ბადრი ფორჩხიძე

ორატორული ხელოვნებისა და ზოგადი რიტორიკის სოციალურ -ფილოსოფიური და ლოგიკურ-გნოსეოლოგიური საფუძვლები

(დამხმარე სახელმძღვანელო)

ქუთაისი - 2018

წიგნი გათვალისწინებულია, როგორც დამხმარე სასწავლო-სამეცნიერო სახელმძღვანელო, ფილოსოფიის, სამართალ-მცოდნეობისა და ჟურნალისტიკის სპეციალობის სტუდენტე-ბისათვის, აგრეთვე რიტორიკის სოციალურ-ფილოსოფიური, ლოგიკურ-გნოსეოლოგიური და ფსიქოლოგიური საკითხე-ბით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო აუდიტორიის-თვის. აღნიშნული ნაშრომის თეორიულ ნაწილს თან ერთვის ესსეისტური ნარკვევი, რომელშიც წარმოდგენილია, ავტორის ფილოსოფიური მსოფლმხედველობის გამომხატველი, თემა-ტურად დალაგებული სენტენციები, აფორიზმები და იმპერა-ტიული დებულებები.

რედაქტორი: **ი. კალანდია,**
ფილოსოფიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

რეცენზენტები: **კ. ქეცბაია,**
ფილოსოფიის აკ. დოქტორი,
პროფესორი

ამ. ბერძენიშვილი,
ფილოსოფიის აკ. დოქტორი,
პროფესორი

ISBN 9928-79-72-6

© აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

ქუთაისი, 4600, თამარ მეფის 59. ტელ.: 24 00 21
E-mail:atsugamomcemloba@gmail.com

რედაქტორის წინასიტყვაობა

უხსოვარი დროიდან მოყოლებული დღემდე, ადამიანური ურთიერთობები ეფუძნებოდა და ალბათ, მომავალშიც დიდხანს დაეფუძნება ენის ფუნქციებზე დამყარებულ კავშირებსა და კომუნიკაციებს, რაც მეტყველებისა და გაგების ლოგოცენტრული სისტემის სახელწოდებით მოიხსენიება. ამასთან დაკავშირებით, არსებობს სხვადასხვა მეცნიერ-მკვლევართა ვარაუდიც, იმის თაობაზე, რომ პრეისტორიულ ხანაში, როდესაც მთელი კაცობრიობა ერთიანი და განუყოფელი იყო, მეტყველება და ურთიერთგაგება ემყარებოდა მელოცენტრულ, განვრცობილბგეროვან მუსიკალურ სიგნალებსა და ექსპრესიულად გამოხატულ, ფანტომიმიკურ ჟესტიკულაციებს, საიდანაც შემდეგში იშვა ფოლკლორული სიმღერები და ცეკვა-თამაშობები. ანტიკური პერიოდის კლასიკური რიტორიკული მჭევრმეტყველების სკოლებსა და მისტერიულ ტაძრებში ეუფლებოდნენ ურთიერთგაგების იდუმალ, მრავალთათვის მიუწვდომელ ხერხებსა და უნარშესაძლებლობებს. ანალოგიურ პრაქტიკულ ცდებსა და ღონისძიებებს შესაძლოა, ადგილი ჰქონდა ფაზისის კოლხურ რიტორიკულ სკოლაშიც, რაც ნათლად იკითხება ძველი ბერძენი სწავლულის, თემისტოსის მიერ მეგობრისადმი მიწერილ წერილში.

ნებისმიერი საკაცობრიო საქმეები,_პერსონალურიდან საერთო და გლობალურის ჩათვლით, იწყებოდა ამოსავალი პრინციპისა და იდეის გაცხადებით, რომლის ინდივიდუალური და საზოგადოებრივი ცნობიერების დადასტურების მიზანს ემსახურება სიტყვა. ჭკვიანურად წარმოთქმული, საქმიანი სიტყვა, ხალხზე ზემოქმედების უმთავრესი საშუალებაა, ყველა შემთხვევაში, როდესაც საკითხი ეხება მოწოდებას ომისკენ, მშვიდობისკენ, სოცი-

ალური ურთიერთობების სრულყოფისაკენ, შრომისაკენ, სწავლისა და ოჯახური ცხოვრებისაკენ. სიტყვა_ცივილიზაციის მთავარი საჭურველია, რომლის ფლობასაც გვასწავლის ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთში, ათენში შობილი, დამოუკიდებელი გამოყენებითი დისციპლინა, რიტორიკა-ორატორული ხელოვნება. ათენში, ქალაქის მთავარ მოედანზე შეკრებილი მოქალაქეები ირჩევდნენ ხელისუფლების ორგანოებს, წყვეტდნენ კანონმდებლობის, სამოქალაქო და ზოგადსახელმწიფოებრივი მმართველობის, მშენებლობის, ფინანსების, გადასახადების დაკისრების, ვაჭრობისა და საგარეო პოლიტიკის საკითხებს. ძველ საბერძნეთში აგორა (ძველ რომში-ფორუმი), გახლდათ თავისებური პარლამენტი, პირველი დემოკრატიული მმართველობის ორგანო. იმ დროისათვის დემოკრატია ბევრად უკეთ ესმოდათ, ვიდრე დღეს; იმ ნამდვილი დემოკრატიის პირობებში მოქალაქენი დამოუკიდებლად წყვეტდნენ საკუთარ სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ საქმეებს, რა დროსაც ისინი ემყარებოდნენ თითოეული მოქალაქის პირად შეხედულებებსა და საღად გააზრებულ პოზიციებს. გადაწყვეტილების მიღების უმთავრეს ფაქტორად გვევლინებოდა მტკიცებულება-გამოკვეთილი თითოეულ შეხედულებათა საყოველთაო ჭიდილსა და პაექრობაში, რა დროსაც ეფექტურად იყენებდნენ ლოგიკურ, ფსიქოლოგიურ არგუმენტებს, შემოქმედებით ტალანტებს, ავტორიტეტებს და მომხიბვლელ მანერებს. სწორედ ასეთმა აგორულმა თავყრილობებმა აჩუქა მსოფლიოს პირველი დიდი ორატორები, რომელთაც ძალუძთ, მკაფიოდ და ნათლად გამოხატონ არა მარტო ის, რასაც განიცდიან და ფიქრობდნენ სხვები, არამედ ერთიანად აღაგზნონ მოქალაქეთა გულები, რათა მიმართონ ისინი იმ დიადი პერიპეტიებისაკენ, რომელთა დაუოკებელი წიაღსვლების გარეშეც, ჩვენი სამყარო სრულიად სხვაგვარი იქნებოდა. სოფისტი გორგიადან (Vს. ჩვ.წ.აღ. მდე) მოყოლებული, სიტყვის მეშვეობით, რიტორიკის მამები, საჯარო მიმართვის

ფორმას განსაზღვრავდნენ, როგორც ხალხის დარწმუნებისა და განმგებლობის ხელოვნებას. ისტორიული ქარტეხილების გადამწყვეტ წუთებში, გამოჩენილი ორატორები იშვიათი ოსტატობითა და დამაჯერებლობით ახერხებდნენ ხალხის ენერგეტიკული ძალისხმევის მართვასა და სასურველ კალაპოტში მოქცევას, რითაც ფაქტიურად ერთპიროვნული პასუხისმგებლობით წყვეტდნენ არა მარტო მათ, არამედ მთელი საერთაშორისო ურთიერთობების ბედიღბალს რამდენიმე თაობის მანძილზეც. ამის საილუსტრაციოდ შეგვიძლია მოვიყვანოთ მეექვსე საუკუნის პერიოდის კოლხეთის ისტორია, სადაც ბერძენი ისტორიკოსის, აგათია სქოლასტიკოსის მიერ დაწვრილებითაა აღწერილი ფარტაძისა და აიეტის ორატორული პაექრობა საგარეო ორიენტაციის განსაზღვრის თაობაზე. დასაბამითგანვე რიტორიკა გვევლინებოდა, როგორც საჯარო პაექრობის პოლიტიკური და სამართლებრივი ფორმა, სახეობა. ანტიკური პერიოდის ორატორული ხელოვნების უბრწყინვალეს წარმომადგენლებად მიჩნეული არიან ათენის სწორუპოვარი მოქალაქე, დემოსთენე (IVს. ჩვ.წ. აღ-მდე) და რომაელი საზოგადო-პოლიტიკური მოღვაწე, მარკუს ტულიუს ციცერონი (I ს. ჩვ. წ. აღ-მდე). ყველა ფართო მასშტაბური, პოლიტიკური, საზოგადოებრივი კულტურული და რელიგიური ლიდერები, ბელადები, წინამძღოლები, რეფორმატორები, მხედართმთავრები, რევოლუციონერები, მოციქულები, თუ განმანათლებლები გახლდნენ განსაკუთრებული ტალანტით დაჯილდოებული რიტორიკული სიტყვის ფუძემდებელი ოსტატები.

სიტყვის მაგიური ძალის წყალობით, დიდი ისტორიული მოღვაწენი შთააგონებდნენ ხალხთა მასებს ახალი გენიალური და თამამი იდეებისთვის ბრძოლისა და თავგანწირვის ვალდებულებას, რითაც ერთიანი სულისკვეთებით შედუღაბებულ-შეკავშირებულ ხალხთა და პიროვნებათა ცხოველმყოფელ მისწრაფებას შეეძლო ეთამაშა, ამა თუ იმ ისტორიული პროცესის უმთავრესი

ფაქტორისა და ძირითადი მამოძრავებლის, გადამწყვეტი როლი. უკანასკნელ ათწლეულთა ტექნიკური პირობებისა და საშუალებების უფართოესი გამოყენების საკომუნიკაციო ქსელში ჩართულია მთელი ჩვენი პლანეტის საინფორმაციო სივრცეთა ურთიერთზემოქმედების სისტემა, რომელიც იპყრობს ზოგადსაკაცობრიო, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან, ნებისმიერ დარგსა და სფეროს; ამიტომაც თანამედროვე რიტორიკა უკვე აღარ გვევლინება წმინდა ფილოლოგიურ დისციპლინად, ის ამჟამად მჭიდროდაა დაკავშირებული სოციოლოგიასთან, პოლიტოლოგიასთან, ისტორიასთან, ფილოსოფიასთან, კულტუროლოგიასთან, ნეიროლინგვისტიკასთან, სემანტიკასთან, ინფორმატიკასთან და კომუნიკაციის თეორიასთან, რაც ყველაზე მთავარია, მისი განახლებული ფუნქციონირების აქტუალურობა ორგანულად ერწყმის ინდივიდუალურ და სოციალურ ფსიქოლოგიას. აღნიშნული მომენტების მიხედვით მკვეთრად ამაღლდა მისი გავლენის ხვედრითი წილი საერთაშორისო პოლიტიკური, საზოგადოებრივი თვითშეგნების მიმართ, განსაკუთრებით, ადამიანური ქცევისა და ნებელობის ქვეცნობიერი განცდის სიღრმეში. მაშასადამე, თანამედროვე პროფესიული ჩვევებით აღჭურვილი ორატორი ნაზიარებია მსოფლიოს საუკეთესო ფსიქოლოგთა მიერ ჩატარებული ნაყოფიერი სამეცნიერო კვლევა-ძიების იმ შედეგებს, რასაც პრაქტიკული საწარმოო და კულტურული მოღვაწეობის კონტექსტში დამსახურებული და საგანგებო პრიორიტეტი ენიჭება.

დღევანდელ პერიოდში, რიტორიკა ბევრად უფრო საპატიო ადგილს იკავებს, ვიდრე ოდესმე. ის, ერთ-ერთი უპირველესი, სავიზიტო ბარათია იურისტის, პედაგოგის, ლექტორის, პოლიტიკოსის, ექიმი-თერაპევტის, მენეჯერის, სარეკლამო აგენტის, მეცნიერის, სამხედრო მეთაურისა და ექსპედიციის ხელმძღვანელის კომპეტენტურობის დასადგენად. აქედან გამომდინარე, ყველას, ვისაც სამუშაო პროცესში უხდება ხალხთან ურთიერთობა,

სისტემატურად უნდა დაუთმოს ყურადღება საკუთარი სიტყვიერების ლექსიკურ მარაგსა და გამართული მეტყველების უნარის დამკვიდრებას, რისთვისაც ეფექტურად უნდა გამოიყენოს თანამედროვე სოციალური, ჰუმანიტარული, ზუსტი და ტექნიკური სამეცნიერო დისციპლინების მიღწევები. ეგრეთწოდებული „სტიქიური რიტორიკით“ შემოფარგლული თვითკმაყოფილება, რომელიც უკავშირდება ადრეული ასაკიდან მოღწეულ ორატორულ გამოცდილებებსა და პროფესიულ ინდივიდუალურ მოღვაწეობას, ნიშნავს საკუთარ წარმატებათა ასპარეზის შეზღუდვას, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ფლობთ კარგი მეტყველების უნარს, ვინაიდან რიტორიკული საქმიანობის უმდიდრესი, მრავალფეროვანი ინსტრუმენტები და საშუალებები ბევრად უფრო უკეთესი პერსპექტივის შესაძლებლობას გვანიჭებს. გასათვალისწინებელია აგრეთვე ის ფაქტიც, რომ სამჭევრმეტყველო ზემოქმედება, ხშირ შემთხვევაში, მიზნად ისახავს არა ჭეშმარიტების ძიებას, არამედ ანგარებასა და გამორჩენას. ის, ვისაც ნამდვილად სურს გახდეს საკუთარი აზრებისა და საქციელის ბატონ-პატრონი, უნდა ფლობდეს სიტყვის ხელოვნებას, იცოდეს მისი კანონები, ჰქონდეს უნარი არა მარტო სათქმელის თქმისა, არამედ გაგონებისა და მოსმენისა, იმისათვის, რომ მოახდინოს იდეათა თანმიმდევრული ანალიზი, რათა ერთმანეთისგან გამოარჩიოს ხმაურიანი ჭარბსიტყვაობა და საფუძვლიანი დასკვნები; რა თქმა უნდა, აუცილებელია სოფიზმებისა და ფსიქოლოგიური მანევრების გათვითცნობიერებაც, რამეთუ დავაზღვიოთ საღი, შეუვალი და პირუთვნელი აზროვნება საშიში, სავალალო გავლენებისაგან და შევძლოთ მყარი კონტრარგუმენტებით მათი უკუგდება. რიტორიკა არა მარტო კარგი მეტყველების გარანტიაა, არამედ კარგი გულისყურით მოსმენისაც, რაც უნიკალურ შესაძლებლობას იძლევა გავიგოთ და ჩავწვდეთ არა მარტო იმას, რასაც უშუალოდ და პირდაპირ გადმოსცემს მოკამათე, თანამოსაუბრე, ან ორატო-

რი, არამედ ისეთ რამეებსაც რასაც ის ქვეტექსტებში გულისხმობს, ან სულაც იმას, რასაც ის საკუთარი არაცნობიერი ფიქრებისა და იმპულსების ქვესკნელში განზრახ ჩქმალავს და საიდუმლოდ ინახავს, მაგრამ უნებლიედ წამოცდება დანაწევრებული ბგერის სახით, ის, რაც გონებამახვილური მიგნებისა და მინიშნებისათვის სრულიად საკმარისია. ამგვარად შეიძლება გამოცნობილი იქნეს ეგრეთწოდებული მეორეული, მესამეული და ა.შ. უთქმელი უმნიშვნელოვანესი ინფორმაციები. ეს ყველაფერი კი ხორციელდება საგანგებო რიტორიკული ანალიზის მეშვეობით, რასაც შესატყვისი თეორიულ-მეთოდოლოგიური დანიშნულება და ფუნქცია გააჩნია.

რიტორიკა დამატებით პრობლემებს კი არ გვახვევს თავს და ახალ თავსატეხებს კი არ გვიჩენს, არამედ ააშკარავებს და აშიშვლებს მოზღვავებულ უსიამოვნებებს, რომელთაგან თავის დაღწევის მოხერხებულ ინსტრუმენტებსაც, შესაშური ეფექტიანობით და ოპერატიულობით, რეგულარულად გამოიმუშავებს. ამ ინსტრუმენტებს, საბრძოლო იარაღის მსგავსად, იყენებს ის, ვინც გულდასმით შეისწავლის მისი ოსტატურად დაუფლების სათანადო წესებს. აღნიშნული თვალსაზრისით, რიტორიკა სხვა არაფერია, თუ არა სიტყვის წარმოთქმის ზეპირი და წერილობითი ფორმის წარმოების შემოქმედებითად მდიდარი და მრავალმხრივი ტექნოლოგია. ეს სწორედ ისაა, რასაც შეუძლია, რიგ შემთხვევაში, თვით საპირისპიროდ განწყობილ მსმენელთა „მონადირება“, მონუსხვა და დატყვევება მაღალეფექტური ინდივიდუალური იმპროვიზაციის გამობრძმედილი უნარით. მოცემული კურსის გავლის შედეგად, დისციპლინარული საქმიანობის წარმატებით შესრულება ნებისმიერი ჯანსაღი ფსიქიკის ადამიანს მისცემს შემდეგი უნარ-ჩვევების გამომჟღავნების საშუალებას:

1. განსხვავებული თემატიკის მოვლენებისა და ფაქტების სა-

ფუძვლიანი ამომწურავი განსჯა, სიტყვაკაზმული მეტყველების სხვადასხვაგვარი შეხამებისა და შესაფერისად მისადაგებული სტილით.

2. მწყობრი, თანმიმდევრული, მკაფიო, დამაჯერებელი, ერუდირებული და განსწავლული თხრობა_ბრძნული აფორიზმებისა და ე.წ. რიტორიკული ფიგურების (გონივრული საკაზმავების) მოშველიებით.

3. ნებისმიერი განსხვავებული სიტუაციისა და აუდიტორიისთვის მზადყოფნა, რათა წარმოთქმული, საქვეყნებელი ტექსტი გახდეს მისაღები და გასაგები მსმენელთათვის.

4. საკუთარი პოზიციის დაბეჯითებული და არგუმენტირებული დაცვა პოლემიკის, კამათის, დისკუსიისა და სხვადასხვაგვარი დიალოგის წარმოების ვითარებაში.

წინამდებარე ნაშრომი, თავს უყრის ძალზე საჭირო მასალას სხვადასხვა მეცნიერული ცოდნის სფეროებიდან, რასაც უშუალო კავშირი აქვს ზოგადი რიტორიკისა და ორატორული ხელოვნების კომპეტენციებთან. ავტორის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ ფილოსოფიური დისციპლინებისთვის დამახასიათებელი თეორიული და მეთოდოლოგიური პრინციპების, კატეგორიებისა და პრობლემური ანალიზის გამოყენებით შედგენილი ნაშრომი, რომელიც ეძღვნება ზოგადი რიტორიკისა და ორატორული ხელოვნების სოციულურ-ფსიქოლოგიურ და ლოგიკურ-გნოსეოლოგიურ ასპექტებს, წარმოადგენს განსაკუთრებულ იშვიათობას ქართულ ფილოსოფიურ ლიტერატურაში. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია, აგრეთვე ის ფაქტი, რომ ნაშრომის დამამთავრებელი ნაწილი ეთმობა ავტორის მიერ, რიტორიკული ტროპების სტილში, თემატურად დალაგებულ ორიგინალურ გამონათქვამებს, რომელიც წარმოადგენს ტროპოლოგიისთვის ნიშანდობლივ სენტენციებს, იმპერატიულ დებულებებსა და აფორიზმებს, სხვა-

დასხვა შინაარსისა და ფორმის ფუნდამენტური ცნების, იდეის, ექსისტენციალური ღირებულებისა და კატეგორიის შესახებ, რაც მკითხველისთვის მეტად აქტუალური და საინტერესოა. სხვა კეთილ სურვილებთან ერთად, გამოვთქვამთ საფუძვლიან იმედს, იმის შესახებ, რომ აღნიშნული ნაშრომი გაუძლებს დროის გამოცდას და დაიმკვიდრებს დამსახურებულ ადგილს ქართულ ფილოსოფიურ ლიტერატურაში, თუკი მისი გადათარგმნა მოხერხდება უცხო ენებზეც, ამ შემთხვევაში, მის მიმართ გამოხატული დაინტერესების მასშტაბებიც უთუოდ გაიზრდება.

საქართველოს ფილოსოფიურ

მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი,

პროფესორი: ირაკლი კალანდია.

ნაწილი I
ორატორული ხელოვნებისა და ზოგადი რიტორიკის ძირითადი თავისებურებანი

§1.ზოგადი რიტორიკის საგანი

მითითებული კურსი ემსახურება ზოგადი რიტორიკის საფუძვლების გადმოცემას, ამასთანავე აღწერს და განიხილავს საყოველთაოდ ცნობილ და გამოჩენილ პიროვნებათა ორატორული ხელოვნების საუკეთესო ნიმუშებსა და ფრაგმენტებს. თანამედროვე ეტაპზე, ზოგადი რიტორიკის საგნად გვევლინება სამეტყველო საქმიანობის იმ უზოგადეს კანონზომიერებათა წვდომა და გაგება, რომლებიც განსაზღვრავენ საზოგადოებრივი მოღვაწეობის სხვადასხვაგვარ სარბიელზე წარმოებულ მიზანდასახულ, გონით კავშირურთიერთობებსა და სოციოკულტურულ სააზროვნო სისტემებს. თანმიმდევრული ლოგიკურ-მეთოდოლოგიური ანალიზისა და კომპეტენტური პროფესიული კლასიფიკაციის ბაზაზე, დადგენილ დასკვნებსა და საკვანძო დებულებზე დაყრდნობით, შესაძლებელი ხდება სამეტყველო ურთიერთობების დახვეწისა და ეფექტური გაუმჯობესების მიზნით, პრაქტიკული რეკომენდაციების გამომუშავება. ორატორული საქმიანობა ხასიათდება, როგორც აზრის სიტყვად და სიტყვის აზრად გადამუშავება-გარდაქმნის პროცესი, ამიტომაც ზოგადი რიტორიკა, რომელიც წარმოადგენს ორატორული საქმიანობის ერთ-ერთ მთავარ გამოყენებით დისციპლინას, შეისწავლის და იკვლევს, სხვადასხვა სასაუბრო სიტუაციებში, მეტყველებასთან დაკავშირებული ქცევის უზოგადეს კანონზომიერებებს, ამასთანავე იძლევა პრაქტიკულ,

სახელმძღვანელო მითითებებსა და რეკომენდაციებს, მსმენელთა აუდიტორიასთან, სიტყვით გამომსვლელის ეფექტური კავშირურთიერთობის გაუმჯობესების მიზნით. უმთავრესი ატრიბუტი, რომელიც განსაზღვრავს მოცემულ დისციპლინას, ეს გახლავთ მისი მრავალდარგოვანი შინაარსი და მოცულობა. ამის მიხედვით არსებობს პროფესიული ნიშნით გამოცალკევებული, სპეციალური, ანუ კერძო დანიშნულების მატარებელი რიტორიკული სახეცვლილი ვარიანტები და მოდელები. იმისათვის, რომ აზრი ნათლად და ცხადად გამოითქვას, ხოლო ნათქვამი სწორად და გასაგებად გავიაზროთ, საჭიროა მათი მნიშვნელობის განსაზღვრება. აზრი, ესაა გარკვეული იდეა, სახიერი ხატი, რომელიც ყალიბდება ცნობიერების შიგნით, როგორც გარკვეული მოვლენა, ან მატერიალურ და სულიერ მოვლენათა კავშირის გამოხატულება. რაც შეეხება აზროვნებას, ეს კი გახლავთ, დინამიურად მომართული პროცესუალური მწკრივი იმ აღქმა-წარმოდგენებისა, რომლებიც თავდაპირველად გატარებულია ჩვენს გონებაში, მანამდე, სანამ მოხდება მათი სიტყვებად გარდაქმნა-გადამუშავება, ანუ ვერბალიზაცია, რომელიც შესაძლებელია მოგვევლინოს, როგორც შინაგან, ისე გარეგნულ ჩარჩოში, ჭურჭელსა, თუ ყალიბში. ამდენად, სიტყვა_ეს უბრალოდ, იდეის ფორმა და გარსია, ხოლო იდეა_ სიტყვის გააზრებული მნიშვნელობა. თუმცა, არც თუ იშვიათად, გვხვდებიან უსიტყვო იდეებიც, რომელიც მეტად თავისებური გააზრების ფორმით იჩენენ თავს, ისეთი პროფესიის ხალხში, როგორიცაა მფრინავები, მძღოლები, მოჭადრაკეები ფეხურთელები და სხვები. ეს ადამიანთა ის კატეგორიაა, რომლებიც, უბრალოდ, არც საჭიროდ თვლიან და არც იცლიან, საიმისოდ, რომ თავიანთი აზრები სიტყვებში გადაიტანონ. როდესაც ჩვენ ვესაუბრებით სხვას, ან წერილობით ვახდენთ აზრის გამოთქმას, საკუთარი ცნობიერების ეკრანიდან ამოღებული, წარმოდგენებისა და ხატების საფუძველზე გადამუშავების შედეგად, მსმენელსა და მკითხველს

ვაწოდებთ კოდიფიცირებულ სიტყვებს, ხოლო როცა სხვები გვე-საუბრებიან, ან ვკითხულობთ მათ ნაწერს, ამ შემთხვევაში ხდე-ბა პირიქით– კოდიფიცირებული სიტყვების გადაყვანა ხატებად და წარმოდგენებად, ასევე საკუთარი ცნობიერების ეკრანზე. ამ პროცესში უმთავრესი გახლავთ, ავტორის იდენტური სუბიექტის სახიერი ხატის ჩამოყალიბება, რომელიც უზრუნველყოფს ჩვენი თანამოსაუბრის აზრის გაგებას. სხვათა შორის, ფილოსოფიის ენა-ზე ამას ჰერმენევტიკის სახელით მოიხსენიებენ, რომელიც აზრთა სიღრმისეულ წვდომასა და სხვათა სულების თანაზიარობა-გათა-ვისებას გულისხმობს, ხოლო ამგვარი მიმართებისა და დამოკი-დებულების გონით განპირობებულ შესაძლებლობას ეწოდება ინ-ტენციონალობა.

მეტყველების კულტურის ისტორიულ სიბრტყეში გამოიყოფა სპეციალური და კერძო დანიშნულების მქონე ისეთი ეგრეთწო-დებული რიტორიკები, როგორიცაა: პოლიტიკური, დიპლომატი-ური, აკადემიური, იურიდიულ-სამართლებრივი, სამედიცინო, სამხედრო, ყოველდღიურ-საყოფაცხოვრებო, სავაჭრო-სასაქონ-ლო, იდეოლოგიურ-პროპაგანდისტული, სალექციო-სააუდიტო-რიო, საეკლესიო-საღვთისმეტყველო და ბიუროკრატულ-ადმი-ნისტრაციული. რასაკვირველია, მიმდებარე სახელმძღვანელოს სასწავლო და სამეცნიერო ინტერესებში, ყველა მათგანის განხილ-ვა არ შედის.

ზოგადი რიტორიკის ძირითადი კანონებიდან გამოარჩევენ რამდენიმე მათგანს: 1. ორატორთა და მსმენელთა ჰარმონიული დიალოგის კანონი; 2. ორატორული ტექსტის სტრუქტურაში უმ-თავრეს საგანზე (ძირითად ადრესატზე) ორიენტაციის კანონი; 3. მსმენელთა დადებითი ფსიქოლოგიური განწყობის შექმნის კანო-ნი; 4. ორატორის მიერ მსმენელთა ეჭვის გაქარწყლებისა და ნდო-ბის მოპოვების კანონი; 5.მსენელთა ემოციური აღგზნებადობის რაციონალური რეგულირებისა და მართვის კანონი. კანონების

შესაბამისად დგინდება ორატორული ტექსტების შემდეგი ფუნ-ქციონალური ტიპები: 1.ურთიერთობის გაბმისა და დამყარების თავდაპირველი ფუნქცია პირველი კანონის მიხედვით; 2. ინფორ-მირებისა და ახალი ცოდნის გადაცემის რეჟიმში წარმოებული ფუნქცია, მეორე კანონის შესაბამისად; 3. განცდად-ემოციური მდგომარეობის სტაბილიზაციისაკენ მიმართული ფსიქო-სოცია-ლური ფუნქცია, აპრობირებული მეთოდოლოგიის გამოყენებით, მესამე კანონის გათვალისწინებით; 4. ლოგიკური არგუმენტაცი-ის გზით მიღწეული დამარწმუნებელ-დამაჯერებლური ეფექტის ფუნქცია, მეოთხე კანონის თანახმად; 5. ემოციური აღგზნებადო-ბის მიზანდასახულ, სასურველ კალაპოტში მოქცევის ფუნქცია მართვად-რეგულირებადი მექანიზმების მოშველიებით, მეხუ-თე კანონის ძალით. ამათ გარდა, ძირითად ფუნქციებს განეკუთ-ვნება აგრეთვე: ტექსტის სტრუქტურული დალაგება, სიტყვიერი მასალის გამომუშავება და კონცენტრაცია, დახსომება-შენახვის მიზნით ტექსტის ძირითადი ბირთვის ეტაპობრივი განმეორება (რეპეტიცია) და ბოლოს ეფექტური ფრაზების წარმოთქმა სათქმე-ლის დედაარსის მკაფიო გამოხატვის მიზნით. კლასიკური რიტო-რიკული წესის თანახმად: იმისათვის, რომ სიტყვა იყოს მშვენიე-რი, ორატორი უნდა ფლობდეს ჭეშმარიტებას იმის შესახებ, რაზეც ლაპარაკობს… [1]

რიტორიკის მეცნიერების საგანი, **აზრთა გაზიარების იდეის თანმიმდევრულ, სიტყვიერ ფორმაში გამოხატულ, გამიზნულ საქ-მიანობასა და საინფორმაციო კავშირგაბმულობის ურთიერთშექ-ცევადი პროცესის შესახებ მოძღვრებას წარმოადგენს.**, სიტყვიერი გარსის ზემოქმედება მნიშვნელოვნად ამარტივებს და ამთლია-ნებს აზრობრივ გამოსახულებას, რომელიც ნაკლებად ემთხვევა თავდაპირველ იდეაში მოცემულ მის მდგომარეობას. ამიტომაც

1. Творения Платона., Федр, пер. Н. Мурашова, М., 1904; стр. 47.

კვლავ ძალაში რჩება ანტიკური განმანათლებლობის სოფისტური ტრადიცია, რომლის წანამძღვრებიც ჯერ კიდევ, გორგიას ფილოსოფიურ თვალსაზრისში მოიპოვებოდა, ჭეშმარიტი აზრის სიტყვიერი გამოუთქმელობის თაობაზე. ამიტომაც ერთ-ერთი თანამედროვე რუსი რიტორიკის მკვლევარი, ტიუჩოვი მიაჩნევს: „მეტყველებაში გამოთქმული აზრი ნამდვილი სიყალბეა“.[1] რასაკვირველია, აზრის ცნობიერი შინაარსის სიტყვიერი გამდიდრება გარკვეულ ლოგიკურ დამაჯერებლობასა და ესთეტიკურ მომხიბვლელობას ანიჭებს როგორც ზეპირ, ისე წერილობით გამოსახულებას, თუმცა ამ გზით მაინც არ ხერხდება ვერბალიზაციამდე, იდეის რანგში არსებული, თავდაპირველი წმინდა ტექსტის აღდგენა. აქედან გამომდინარე, სავსებით ჩვეულებრივი ამბავია ის, რომ ხალხი ერთს ფიქრობს და მეორეს ამბობს სხვაგვარად, ხოლო მეორეს როდესაც ამბობს, ამასობაში, აკეთებს მესამეს, კიდევ და კიდევ, სულ სხვაგვარად. მართალია, რიტორიკის ამოცანებში შედის სიტყვისა და აზრის ურთიერთდამთხვევისა და იგივეობის პრობლემატიკის გამოკვლევა, თუმცა მისი ვალდებულება, ფილოსოფიისაგან განსხვავებით, გამოიხატება არა აღნიშნული პრობლემის დასმასა და გადაწყვეტაში, რაც ნაწილობრივ ენის ფილოსოფიისა და გარკვეულწილად ლოგიკის უშუალო პრეროგატივაა, არამედ იმ თეორიული სიძნელეებისა და თუნდაც გნოსეოლოგიური აგნოსტიციზმის აღიარებული ნიმუშების, პრაქტიკული მიზნებისამებრ, მეთოდოლოგიურ დამუშავება-გამოყენებაში, რასაც ჭეშმარიტი ცოდნის დადგენა სრულებითაც არ ჭირდება; ამდენად, მისთვის სავსებით საკმარისია, ისეთი მჭევრმეტყველება და აზრის საჯაროდ გამოთქმა, რომელიც მსმენელისთვის იქნება შთამბეჭდავი, დამაჯერებელი და მისაღები.

1 Муштук О.З. ОСНОВЫ ОБЩЕЙ РИТОРИКИ: Учебно-методический комплекс. – М., 2008; стр.79.

§2. ზოგადი რიტორიკის კანონებისა და კატეგორიების წინასწარი განმარტება

ზოგადი რიტორიკის კანონებისა და კატეგორიების წინასწარი განმარტება ერთმანეთთან ისევე მჭიდრო და ორგანულ, განუყრელ კავშირშია, როგორც ლოგიკის, ფილოსოფიისა და ყველა ნამდვილი მეცნიერების, ამიტომაც, როდესაც თითოეულ კანონს დავახასიათებთ, იქვე შესატყვისი კატეგორიებიც უნდა იქნას განმარტებული. პირველ რიგში, უნდა განვიხილოთ: მეტყველების შემთხვევის (ამბის), მეტყველების როლისა და მეტყველების მიზნის კატეგორიები, რომელიც გამოხატავს ისეთი სოციალური ურთიერთკავშირის აუცილებლობას, რაც ემსახურება, როგორც ცალკეულ-ინდივიდუალურ, ასევე საერთო-კოლექტიურ ინტერესთა გამომჟღავნების, გაზიარებისა და თანხმობა-უთანხმოების საჭირბოროტო პრობლემათა დარეგულირების ამოცანას. ამ გაგებით, ნებისმიერი მეტყველების შემთხვევის დასრულებული ფაქტი კვალიფიცირდება, როგორც სიტყვების საშუალებით, იდეების გადაცემა-გავრცელების საქმიანობა. მეტყველების შემთხვევის კატეგორიებში მოიაზრება, ისეთი რიტორიკული სახელწოდებანი, როგორიცაა: მონოლოგი, დიალოგი, დისპუტი, ცალკეული ფრაზა ან, უბრალო შორისდებული და ნაწილაკიც კი. აქედან გამომდინარე, სამეტყველო შემთხვევა პირდაპირ შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც სამეტყველო აქტი. კანტის მიერ შემოთავაზებული ლოგიკური კატეგორიების ცხრილის მიხედვით, მეტყველების შემთხვევა, ანუ იგივე აქტის ამბავი, განეკუთვნება ასერტორული მსჯელობის ფორმას, რომელიც არსებული ფაქტის მითითებას გულისხმობს, თუმცა ამ ფაქტის თავისებურება განისაზღვრება, არა შემთხვევითობის ინდეტერმინისტული ბუნების შესაბამისად, რომელიც შეიძლება უმიზეზოდ მოხდეს ასედაც და სხვაგვარადაც, არამედ მკაცრი აუცილებლობით, რასაც, როგორც ზემოთ

აღვნიშნეთ, განაპირობებს ინტერესთა გაზიარებისა და თანხმობა-უთანხმოების ამოცანის გადაწყვეტა-დარეგულირების სოციალური მოთხოვნა. მეტყველების შემთხვევა შედგება ორი ძირითადი კომპონენტისაგან: 1) მეტყველების ნიშანდობლივი ქცევა, რომელშიც შედიან: საკუთრივ სიტყვა (მეტყველების შინაარსი); სიტყვის გახმოვანება (მეტყველების ფორმა); ჟესტიკულაცია და მიმიკა და სივრცეში განხორციელებული ქცევა (თანამოსაუბრეთა ერთმანეთისადმი განთავსება-განლაგების მდებარეობას); 2) მეტყველების ნიშანდობლივი სიტუაცია, რომელსაც განსაზღვრავენ: სოციალური ფაქტორი, რაც ითვალისწინებს მეტყველების ვითარების (მდგომარეობის), მონაწილეთა ურთიერთობას, ორატორსა და სამეტყველო გარემოს (აუდიტორიას) შორის. მოქმედების ადგილის (ფიზიკური ფაქტორი), მატერიალური ვითარების მიხედვით (სახლი, ბაღი, ქუჩა, თვითმფრინავი და სხვა). ყოველი მეტყველების შემთხვევის ყველა მონაწილე თავისებურად თამაშობს საკუთარ მეტყველებით როლს, რასაც უცილობელი ადგილი უჭირავს ურთიერთობების ცოცხალ დინამიურ პროცესში. აღნიშნული როლი ექვემდებარება ურთიერთობის მონაწილეთა სტატუსს, მათ პირად დამოკიდებულებებს, სიტუაციურ გუნება-განწყობილებებს და მოვლენათა განვითარების ხასიათს, არსებული ურთიერთობებიდან გამომდინარე. მეტყველების როლი გახლავთ სოციალური როლის პროექცია მეტყველების სიტუაციაზე თანდართულ მიზნობრივ მოღვაწეობასთან. მეტყველება არასოდეს არაა გამონაკლისი მოვლენა, რადგანაც ჩვენ ყოველთვის რაღაცის გამო გვიწევს საუბარი. მიზანი გამოხატავს ცნობიერ, თუ არაცნობიერ სისხლხორცეულ ინტერესს. რაც შეეხება მეტყველების მიზანს_ეს ის შედეგია, რისი მიღებაც გვსურს ჩვენს მიერ წარმართული მეტყველების მეშვეობით. აღნიშნული მიზნის მიღწევისას, მთქმელსაც და მსმენელსაც ერთნაირად ეუფლება კმაყოფილების განცდა, რაც მიუთითებს იმაზე, რომ მათ, საუბრის დასრულების შემდეგ,

იმაზე უფრო უკეთესი განწყობილება და მოლოდინი აქვთ, ვიდრე, საუბრის დაწყებამდე. მსგავს შემთხვევებში, როცა სათქმელი წარმატებით ართმევს თავს ძირითად დანიშნულებას, იტყვიან, რომ ჩვენი ენა, ჩვენი მეგობარია, ხოლო საპირისპირო ვითარებაში კი–მტერი. სამეტყველო მდგომარეობის (ვითარების) ყოველი მონაწილე კარგად უნდა ერკვეოდეს როგორც საკუთარ, ისე სხვა თანამოსაუბრეთა სამეტყველო როლსა და მიზანში, ასევე მან, სასურველია ისიც უწყოდეს, თუ ვის და რატომ რას ესაუბრება, აგრეთვე, ვინ რას და რატომ ეუბნება მას. ძირითადი სამეტყველო მიზნები მოიცავენ შემდეგ კომპონენტებს: ა) ინფორმაციის გავრცელება და საკუთარ სიმართლეში სხვათა დარწმუნება; ბ)მსმენელთა წახალისება აქტიური ქმედებისკენ, ან პირიქით, დაყოვნებისა და თავშეკავებისაკენ მოწოდება; გ) წამოჭრილი საკითხის ერთობლივი განსჯა, სასურველი გამოსავალის მოძებნის მიზნით (ჭეშმარიტების დადგენა); დ) საკუთარი ხედვისა და შეფასების გამჟღავნება ამა თუ იმ მოვლენათა დამოკიდებულებისას; ე) თანამოსაუბრეთა კმაყოფილებისა და სიმპათიის გამოწვევა; ვ) მიეცეს გასაქანი ჯანსაღ ემოციებს; ზ) შეიქმნას განსაზღვრული ფსიქოლოგიური ატმოსფერო.

სამეტყველო აქტში შესაძლებელია არსებობდეს რამდენიმე განსაკუთრებული, საერთო მიზნები, ასევე მოიპოვება მეორეხარისხოვანი მიზნებიც, რომლებიც აუცილებლად უნდა დაექვემდებაროს მთავარ მიზანს. ორატორული საქმიანობის დანიშნულებაში შედის, აღნიშნული დაქვემდებარების იერარქიის აგება. სამეტყველო მიზანი გააჩნია არა მარტო ორატორს, არამედ მსმენელსაც, რაც გამოიხატება სათქმელის მოლოდინის მიხედვით. ეს ის მოლოდინია, რის მოსმენას და გაგებასაც ისურვებდა მსმენელი ორატორისგან. აი, მაგალითად, თუ რატომ მივიდა ლექციაზე, მიტინგზე, რატომ რთავს ტელევიზორს და სხვა. ნებისმიერი სამეტყველო ქმედება დამაკმაყოფილებლად და დასრულებუ-

ლად ჩაითვლება, თუკი, ორატორისა და მსმენელის სამეტყველო ველები ერთიმეორეს გადაკვეთავს. მაშასადამე, სამეტყველო ღონისძიების სააზროვნო ველი გახლავთ შინაარსი, რომელიც განიხილება საერთო სამეტყველო მიზნების გათვალისწინებით: რა და რატომ უნდა მოვუთხრო ვინმეს, როგორც ორატორმა, ან, რა უნდა როგორ გავიგონო (გავიგო), როგორც მსმენელმა. ორატორთა და მსმენელთა სააზროვნო ველთა გადაკვეთის ზონები განსაზღვრავენ სამეტყველო ველის ძირითად დანიშნულებას.

§3.მეტყველების ძირითადი მიზნობრივ-ფუნქციონალური სახეები

ზოგად-მიზნობრივი კრიტერიუმების მიხედვით, სათქმელი იყოფა სამ ფუნქციონალურ სახეობად: ა) საინფორმაციო სიტყვა, ანუ ცოდნაზე დამყარებული განცხადება; ბ) არგუმეტირებული სიტყვა, როგორც მსმენელთა დარწმუნებაზე დანერგილი მტკიცებულება; გ) რაც შეეხება ემოციურ სიტყვას, ის აღიქმება მსმენელთა განწყობილების შექმნის შესაძლებლობად. პრაქტიკიდან ცნობილია, რომ იმ პირობებში, როცა ორატორთა და მსმენელთა ზოგადი მიზნები ერთმანეთს ემთხვევა, ხოლო სათქმელისა და გაგების მოლოდინის შინაარსები არა, ასეთ შემთხვევაში, ორატორული ღონისძიება წარმატებას ვერ მოიპოვებს. ხშირად ხდება პირიქითაც, როცა მსმენელი სათქმელის შინაარსით მოხიბლულია, თუმცა გააკეთა სრულიად არაადექვატური, ორატორისგან მკვეთრად განსხვავებული დასკვნები. მართალია, აქ, შემოთავაზებული და მოსალოდნელი შინაარსების ურთიერთდამთხვევაა, მაგრამ

მიზნები დაცილებულია. მაგალითად, ორატორი ცდილობს, მსმენელებში აღძრას აღშფოთება ტერორისტთა მხეცური ქმედებებისადმი, იმ დროს, როცა რადიკალური მოძრაობის მიმდევრები მის გამოსვლას ესწრებიან იმ მიზნით, რომ ხალხის შეშფოთების ფონზე, თავი მხნედ და კომფორტულად იგრძნონ, ასევე, მათი დასწრება ხშირად განპირობებულია გამოსვლის ტექსტის შინაარსობრივი ანალიზის მოტივით, თუნდაც კრიტიკული აზრის ჩამოყალიბებისთვის, ორატორული ხერხების ოსტატური გამოყენების შეფასებლად, ან მსმენელთა რეაქციის დაკვირვების გამო.

მეტყველების სააზროვნო ველის თავისებურება მნიშვნელოვანია იმითაც, რომ ის აუცილებელია გაიყოს ორ ნაწილად: 1) ის თემა, რომელიც უფრო მეტად გამოსაყენებელი და სასარგებლოა მსმენელთათვის გასაცნობად და 2) თემა, რომელიც ამ მხრივ, ნაკლებად ღირებულია. ამის მიხედვით, სააზროვნო ველი იყოფა აქტიურ და პასიურ თემატურ ფონდად. აქტიურ ფონდში იგულისხმება ის ტექსტუალური ნაზავი, რასაც აუდიტორიის წინაშე მოიხმარს ორატორი, ხოლო პასიურში–რაც შემონახულია სარეზერვო განხილვისთვის, იმ შემთხვევაში, თუ ამის სათანადო სურვილი გაუჩნდება მსმენელს.

<u>ცალკეული, წარმატების მომტანი ორატორული თვისებები:</u>

სათქმელი მხოლოდ იმ შემთხვევაში აღწევს მიზანს, როცა მსმენელი ენდობა ორატორს. არსებობს ნდობის მოპოვების ისეთი კონკრეტული პარამეტრები, რომელთა განსაკუთრებული გათვალისწინების გარეშეც, ცხოველმყოფელი კომუნიკაცია აუდიტორიასთან, უბრალოდ არ შედგება.

1) მომხიბვლელობა და მიმზიდველობა, ეს გახლავთ უნარი, რომლითაც შესაძლებელია სხვისთვის თავის მოწონება. გარდა იმისა, რომ უნდა ფლობდე დახვეწილ მანერებს, ამასთანავე, საჭიროა ბუნებრიობა, ანუ განიცადო და შეიგრძნო თავი იმად, ვინც ხარ. არ აიღო საკუთარ თავზე ისეთი რაღაც უცხო და უცნაური

რამ, რაც, არც ორგანულად არ გახასიათებს და არც სამეტყველო როლის შესრულების ვალდებულებით არ გეკისრება. ასევე წამგებიანია ორაკულის მაღალფარდოვანი გამომეტყველების მორგება, ან მრისხანე მსაჯულის იმიტირება, რომელსაც აბსოლუტური ჭეშმარიტების ფლობის ხმამაღალი პრეტენზია აქვს, კიდევ უფრო წამგებიანი, დამწყები ორატორისთვის, გახლავთ რომელიმე პოპულარული პიროვნებისადმი დაუოკებელი მიბაძვის წყურვილი. ის, რითაც შეიძლება მოიპოვო სასურველი განწყობა და სიმპატია აუდიტორიისგან, არის შენი შინაგანი ინდივიდუალური ღირსება, რაც ისე უნდა გააძლიერო და განავითარო, რომ საკუთარი თავის ნარცისულ ტრფიალში არ გადაიზარდოს, მოკლედ, რომ იტყვიან, „ბუზიდან სპილოს გამოძერწვას უნდა ვერიდოთ“.

2) არტისტიზმი, არის განსაკუთრებულად მომადლებული უნარი, იმ წესებით თამაშისა, რომელიც არსებულ გარემოში მოგვენიჭა. როგორც უილიამ შექსპირი იტყოდა: „მთელი ჩვენი ცხოვრება თეატრია, ხოლო ხალხი კი, შიგნით მოთამაშე, მონაწილე მსახიობები“. ამდენად, როგორც ნებისმიერი სოციალური როლის, ისევე სამეტყველო როლის შესრულებას ესაჭიროება შესაბამისი თამაშის წესების ცოდნა, რომელიც გამოიყენება სხვადასხვა სახის სამეტყველო სიტუაციებში.

3) დამაჯერებლობა წარმოადგენს ორატორის ინტელექტუალური და მორალური შესაძლებლობების მიმართ მაღალი შეფასების გამოხატულებას, რაც უნდა გააჩნდეს პირველ რიგში თვითონ ორატორს, ხოლო შემდეგ კი მის მსმენელ აუდიტორიას. თუ ორტორს საკუთარი ძალების რწმენა არ გააჩნია, ის დაკარგავს მსმენელთა ნდობას და პატივისცემას. რაც უფრო ერთმნიშვნელოვნად და გამართულადაა ჩამოყალიბებული სათქმელი, მით უფრო დიდია ხალხზე ზემოქმედების ეფექტი. გარდა ამისა, ნებისმიერი გამოსვლა არის თავისებური გამოცდა და ტესტი, სადაც წარმატების უმთავრესი პირობა იმ საგნის ზედმიწევნით ცოდნაა, რის შე-

სახებაც წარმოითქმება საჯარო სიტყვა. ასევე ორატორს მოეთხოვება ფხიზლად აკონტროლს საკუთარი ემოციური მდგომარეობა და შეინარჩუნოს სულიერი წონასწორობა; რაც იმას ნიშნავს, რომ არც თვითკმაყოფილების ეიფორიამ არ უნდა შეიპყროს და არც იმედგაცრუებისა და უიღბლობის დამღუპველმა განცდამ. ეს ყველაფერი განისაზღვრება საგანგებო ფსიქოლოგიური მზადყოფნის უნარით, რაც პერმანენტული, თანმიმდევრული წვრთნით და საკუთარ თავზე მუშაობის გზით მიიღწევა. სასურველია, ორატორული გამოსვლების პერიოდის ოპტიმალურ ვადებში, გამოყენებულ იქნას კვალიფიცირებული ფსიქოლოგის მეთვალყურეობის რეჟიმი და გეგმაზომიერი კონსულტაციები.

4) ერთერთი უმნიშვნელოვანესი, წარმატების მომტანი თვისებათაგანი არის მსმენელთა აუდიტორიისადმი კეთილგანყობილება. როგორც განეწყობა ორატორი მათ მიმართ, იგივე დამოკიდებულებით განიმსჭვალებიან ისინიც მის მიმართ. ამიტომაც, ვისაც მტრების მომრავლება სურს, მას შეუძლია შეუტიოს და შეურაცხყოს შეკრებილი ხალხი, ხოლო ვინც მეგობრების მოპოვებას ესწრაფვის, მან კრებულისადმი პატივისცემა და სითბო უნდა გამოამჟღავნოს, რათა მჭიდრო საქმიანი თანამშრომლობა, ხელსაყრელი, ნაყოფიერი ურთიერთობა დაამყაროს თავის პოტენციურ თანამოაზრეებთან და მოკავშირეებთან. არსებობს ეფექტური და პრაქტიკაში აპრობირებული მეთოდი, სასურველი კეთილგანწყობილების მისაღწევად: სიტყვის მსვლელობისას, ყურადღება უნდა გამახვილდეს ისეთ საკითხებსა და ღირებულებებზე, რაც ერთნაირად მტკივნეულია როგორც ორატორისთვის, ისე მსმენელთათვის, წინა პლანზე უნდა იქნას წამოწეული საერთო პრობლემური თემები, აქტუალური სამომავლო პერსპექტივები, სტრატეგიები და მიზანდასახული საქმიანობის უმთავრესი ინტერესები.

5) მორიგი თვისება გახლავთ გულწრფელობა, რომლის ნაკლებობაც მყისვე აისახება აუდიტორიის რეაქციის მიხედვით. არა-

გულწრფელი სიტყვა, რაც უნდა განსაკუთრებულად შეინიღბოს და მოიკაზმოს სხვადასხვა ტიპის პათეტიკით, აკადემიური ტერმინოლოგიით და მჭევრმეტყველური ფრაზეოლოგიით, ის ვერ გამოიწვევს მსმენელთა სიმპატიას, აღტაცებასა და კმაყოფილებას, ნაცვლად ამისა, მოსალოდნელია უსიამოვნოდ შესამჩნევი ბუზღუნი, ჩოჩქოლი, ან უარეს შემთხვევაში, ხმამაღალი რეპლიკები და შეძახილები, რაც ორატორს სერიოზულ დისკომფორტს უქმნის და საუბრის გაგრძელების ხალისს აკარგვინებს. გულწრფელი გამოსვლის პირობებში კი პუბლიკა სულგანაბული უსმენს ორატორს, აჯილდოებს ოვაციებით და აპოლოდისმენტებით, პატიობს როგორც ფორმალურ-სიტყვიერ, ისე აზრობრივ-ტექსტუალურ შეცდომებსაც და მსგავსი პოზიტიური რეაქციებით ამხნევებს, ახალისებს ორატორს, საიმისოდ, რომ მან მაქსიმალურად გამოავლინოს საკუთარი ვერბალური და კოგნიტური შესაძლებლობანი; მის ხმასა და ინტონაციას, ასეთ დროს, მეტი პირდაპირობა, უშუალობა, სიმკვეთრე და შეუვალი ზემოქმედების ძალა ენიჭება.

6) აუდიტორიაზე გადამწყვეტი გავლენის მოხდენის აუცილებელ თვისებად, საყოველთაოდ აღიარებულია ობიექტურობა. ეს ის მომადლებული ღირსებაა, რაც უშუალოდ ასოცირდება კეთილსინდისიერებასთან, მიუკერძოებლობასა და სამართლიანობასთან. მართალია, დასაწყის სტადიებზე მისი გამომჟღავნება გარკვეულ სოციალურ სირთულეებთან და ფსიქოლოგიური ადაპტაციის სიტუაციურ ფაქტორებთანაა დაკავშირებული, თუმცა, მომდევნო ეტაპებზე, ტრიუმფალური აღმავლობისა და სრულყოფილი დამაჯერებლობის გარანტიებს იძლევა, მსმენელთა მასიური აყოლიებისა და აქტიური მხარდაჭერის გრანდიოზული პოტენციალით. ობიექტურობა დაკავშირებულია მოვლენებისა და ფაქტების გაფერადებისა და სასურველი შელამაზებადამახინჯების გარეშე, რეალურ, ცხად აღწერასა და ანალიზურ დახასიათებასთან; მოწინააღმდეგე პოლიტიკურ, ან სხვადასხვა

ეთნო-სოციალური ფენების, დაჯგუფების ძალთა ღირსება-ნაკ-ლოვანების, სერიოზული შეფასებასთან და ანგარიშისგაწევასთან; ნაკლებ პათეტიკასთან და ემოციურ მღელვარებასთან, ლოგიკუ-რი თანმიმდევრობასთან, განსწავლულობასა და საღი პროგნო-ზირების უნართან. ობიექტურობა შეუთავსებელია, როგორც ამა თუ იმ მომხრეთა მიმართ აღვლენილ ხოტბა-დიდებასთან, ხე-ლისუფალთა და საზოგადო მოღვაწეთა დითირამბულ აპოლო-გეტიკასთან, ასევე მოწინააღმდეგეთა ლანძღვა-გინებასთან, მათ ლიდერთა საქმიანობის იგნორირებასა და გაბაიბურებასთან, რაც მთლიანობაში უზრუნველყოფს ერთიანობას, თანხმობასა და ჯან-საღი სულისკვეთების დამკვიდრებას ხალხის ეროვნული, სოცია-ლურ-პოლიტიკური, მორალური, იდეოლოგიური და რელიგიუ-რი თვითშეგნების კუთხით.

7) ბოლო, თვისება, რომელსაც გარკვეული დაქვემდებარებული კატეგორიის რანგში წარმოვადგენთ, არის სათქმელში მოცემული საგნისადმი ცხოველმყოფელი გულისყური და ინტერესი. რო-გორც მაგნიტი იზიდავს რკინას, ასევე ორატორის შემართება და მხნეობა იზიდავს მსმენელთა ანალოგიურ გუნება-განწყობილე-ბას. თუ ორატორი მოდუნებული და მოწყენილი ჩანს, მსმენელიც ასეთსავე ხასიათზე განეწყობა, რაც აღძრავს ერთფეროვნებისა და პასიურობის განცდას, უინიციატივობას, იწვევს ინდივიდუალურ განკერძოებას და კოლექტიურ დაქსაქსულობას, ანუ ყოველივე იმ დეპრესიულ მდგომარეობას, რომელიც მომართულია მასიური თავყრილობების ბრძოლისუნარიანი დარაზმულობისა და გაბე-დული ნაბიჯების საწინააღმდეგოდ. ყველა ჩამოთვლილი თვი-სება წარმოადგენს ფსიქო-სოციალური ზემოქმედების ფორმებსა და ქმედუნარიან რესურსებს, რითაც ორატორს ხელეწიფება მსმე-ნელთა საზოგადოებასთან ორგანული, დინამიური კომუნიკაცი-ის დამყარება და რაც ყველაზე მთავარია, აუდიტორიებზე, ხალ-

ხთა კრებულზე, მასობრივ თავყრილობებზე შთამბეჭდავი, მძაფრი და გადამწყვეტი გავლენის მოხდენა.

§4.ზოგადი რიტორიკის ოთხი კანონი

იმისათვის, რომ ორატორმა მსმენელთაგან სასურველი რეაქცია მიიღოს, აუცილებელია, სიტყვათწარმოების ყველა რიტორიკული პარამეტრი უნდა შეესაბამებოდეს დასახულ მიზანს. აღნიშნული ამოცანის გადაწყვეტას ემსახურება ზოგადი რიტორიკის ოთხი კანონი.

პირველი კანონი—ორატორისა და მსმენელთა ჰარმონიული დიალოგი, რაც ითვალისწინებს მოცემული თემატიკის მიმართ მსმენელთა გათვითცნობიერებას და დაინტერესებას, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება აგრეთვე, საერთო ღირებულებათა ორიენტაციას, გაგებას, მისაწვდომობას, საკითხთა კონკრეტულობას და სიცხადეს. სიტყვით გამოსვლა უნდა წარმოებდეს დიალოგის ფორმატში, რაც, რა თქმა უნდა, იმას კი არ ნიშნავს, რომ გამომსვლელი და მსმენელი ერთმანეთს წარამარა აზრებს უნდა უცვლიდნენ, არამედ ეს გულისხმობს ორმხრივ უშუალო განცდა-მგრძნობელობის ურთიერთშეხამებას, ემოციურ დატვირთულობას და სულიერ ერთიანობას. სხვათა შორის, არსებობს რამდენიმე ეფექტურად ნაცადი ხერხი, მსგავსი ჰარმონიის მისაღწევად, შეძლებისდაგვარად განვიხილავთ ცალკეულ მათგანს: 1. სასურველია, ორატორმა შეიტყოს და გაითვალისწინოს, მისი მიმართვის ობიექტის შესახებ, მნიშვნელოვანი ფაქტები, როგორიცაა სპეციფიკური ინტერესები, საჭირბოროტო პრობლემები, მისწრაფება-გატაცებანი, მტკივნეული ადგილები, ფსიქო-სოციალური განწყობილებანი, რასაც შეუძლია ორატორის მიერ დასახულ მიზანზე მეტად პოზიტიური გავლენის მოხდენა. 2. ორატორმა უნდა შეარჩიოს და განსაზღვროს მსმენელთათვის ახლობელი

და ამაღელვებელი მტკივნეული თემები; ასეთი ახლობელი და განსაკუთრებული შეიძლება იყოს, არა მხოლოდ საკუთრივ თემა, როგორც ასეთი, არამედ თუნდაც საკითხთან მიდგომის ფორმა, ხედვის კუთხე, ორიენტირი, ასევე სხვადასხვა კერძო სახის ასპექტი. ამ მხრივ, ყველაზე უმთავრესია შეფასებითი პოზიციის თანაზიარობა და ერთობა, თუ რა თქმა უნდა, ორატორი მიზნად არ ისახავს ხალხის გადარწმუნებას და მათი საპირისპირო შეხედულების დასაბუთებას. ამასთანავე, მან საგულდაგულოდ უნდა შეარჩიოს უტყუარი, სანიმუშო მტკიცებულებანი და აუდიტორიისთვის პატივსაცემი, აღიარებული ავტორიტეტები, რადგან ამის გარეშე, დიდი ალბათობით, ორატორი არ იქნება სასურველი და მისაღები მსმენელთათვის. ჯერ კიდევ არისტოტელე ამტკიცებდა, რომ მსმენელი მომეტებულ ყურადღებას იჩენს ყოველივე სიდიადისადმი და მასთან ერთად, იმისადმი, რაც უშუალოდ მათ ეხება პირადად, მათ მოსწონთ ყველაფერი, რაც გაკვირვებას და კმაყოფილებას იწვევს, ამიტომაც მათ ორატორმა უნდა შეუქმნას ამის შესაფერისი გუნება-განწყობილება. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, შეიძლება კიდევ ითქვას, რომ თუ ორატორი კარგად ახერხებს საინტერესო მასალის გადაცემას, მაშინ ის ზოგიერთ ისეთ რამესაც შეაპარებს მსმენელს, რომელიც მათთვის არც თუ მნიშვნელოვანი და საინტერესოა, მაგრამ ორატორს ეს მაინც ჭირდება საკუთარი პოზიციების განსამტკიცებლად, ან რაღაც, ფარული მიზნის განსახორციელებლად. ასეთ ეპიზოდში თავს იჩენს ე. წ. ემოციონალური ინერციის მოვლენა, როგორც მზარეულთა წრეში გავრცელებული ხუმრობით იტყვიან: „ძალიან კარგ საწებელთან ერთად, კაცი ბათინკსაც კი შეჭამსო“. აი, სწორედ ასეთი საწებლის ანალოგიური რამ გახლავთ, მახვილგონივრული ნართაულები, კალამბურები, ხუმრობები, ანდაზები და აფორიზმები, რომელთაც ძალუძთ, მსმენელთათვის რთულად აღსაქმელი ტექსტები შედარებით უფრო ნათელი, გასაგები და სასურველი გახა-

დონ. 3. ორატორი უნდა ეცადოს მაქსიმალურად კონკრეტულად და თვალნათლივად ჩამოაყალიბოს აზრი, რისთვისაც მან უნდა მიმართოს მხატვრულ სახეებს, სანიმუშო ფაქტებს, ილუსტრაციებს, კოლორიტულ შედარებებს, მოდელებსა და ანალოგიებს–რომელთა გარეშეც ფონს ვერ გავა თვით ყველაზე მკაცრად აკადემიური სამეცნიერო ლექცია. უფრო მეტიც, რაც უფრო აბსტრაქტულია მასალა თავისი სპეციფიკით, მით უფრო მეტ კონკრეტიზაციას მოითხოვს ის, რათა წარმატებით მოხდეს მისი ათვისება. სიტყვის კაზმულობა და თვალსახიერება, ტექსტს აქცევს თეატრალურ წარმოდგენად, სპექტაკლად, რომელიც თავისი ზემოქმედების სიძლიერით, მოსმენილ ამბავს გარდაქმნის სანახაობრივ შთაბეჭდილებად, რომლის მეშვეობით ორატორთა და მსმენელთა ურთიერთკავშირი იმდენად ცხოველმყოფელი და დინამიურია, რომ ძალიან მარტივად და ბუნებრივად ხდება საკითხთა კონკრეტული და აბსტრაქტული დონეების ურთიერთშერწყმა და შეხამება.

ზოგადი რიტორიკის მეორე კანონი–ტექსტის სტრუქტურაში კონკრეტულ მისამართზე ორიენტირება–რაც გულისხმობს სათქმელის ნაწილებად დაყოფას, რომელიც აადვილებს შინაარსობრივი და ფორმალური მასალის აღქმისა და სიტუაციური რეგულირების პროცესს. ძალზე საყურადღებოა აგრეთვე, სიტყვით გამოსვლის სტრუქტურული ნაწილების გამოყოფა განსაკუთრებული ფრაზებით, ინტონაციებით და ჟესტებით, რათა მთქმელმა ზუსტად გათვალოს დარჩენილი სათქმელის შესაბამისი ძალ-ღონის სათანადო რესურსი. უმრავლეს შემთხვევაში, მიზანშეწონილია, ორატორმა გამოსვლა დაასრულოს გაცილებით უფრო ადრე, ვიდრე ამას ელოდება მსმენელი, რადგანაც სიტყვის შემოკლება ითვლება გარკვეულ ორატორულ ღირსებად.

მესამე კანონი–სათქმელის ემოციონალური შეფერილობა, რაც გამოიხატება, ზეპირსიტყვიერი გამოსვლების დროს, მსმენელთა

აქტიური ყურადღების მიპყრობის მიზნით, უმოკლესი ხერხის მოძიებაში.

მეოთხე კანონი–მსმენელთა დადებითი ფსიქოლოგიური განწყობის შექმნა, რომელიც ორატორის მიმართ სასიამოვნო დამოკიდებულებით განისაზღვრება. აუდიტორიისადმი მომღიმარე ორატორს უფრო მეტად უჯერებენ და უწევენ ანგარიშს, ვიდრე მოქუფრულსა და გაღიზიანებულს. მართალია, კეთილგანწყობა და სასიამოვნო შთაბეჭდილების მოხდენა ფრიად მისასალმებელი ორატორული თვისებაა, თუმცა ეს ზოგჯერ უკუეფექტის მომტანია ისეთ ვითარებაში, როცა მსმენელთა შორის აზრი პრინციპულად გაყოფილია და მათი ურთიერთპოლარიზების პირობებში, მშვიდობიანი კომპრომისის მიღწევა შეუძლებელია. ასეთ შემთხვევაში, ორატორი ნაკლებად უნდა ცდილობდეს ასიამოვნოს თავისი პოზიციის მოწინააღმდეგეებს, მთავარია, მან იმდენად მოიგოს საკუთარი მომხრეების გული, რომ შეუქმნას მათ ფსიქოლოგიური და მორალური უპირატესობის განცდა, დამაჯერებელი არგუმენტებით და საბრძოლო სულისკვეთების ოპტიმისტური პათოსის გამოხატულებით.

ზოგადი რიტორიკის ჩამოთვლილი ოთხი კანონიდან, პირველი–ჰარმონიული დიალოგის კანონი, ორატორსა და მსმენელს შორის–გვევლინება უმთავრესად, ხოლო სამი დანარჩენი კი, წარმოადგენს მისი გამოვლინებისა და რეალიზაციის ფორმებს. არცთუ ისე იშვიათად, ზეპირმეტყველების სუბიექტი წარმოდგენილია რამდენიმე საპასუხისმგებლო დონეზე, საჯარო დისპუტში, მიკროდონეზე, საკითხი ეხება ოპონენტებს, ან თანამოაზრეებს, მეზოდონეზე–ყველა დისკუსიურ დაჯგუფებას, მოწინააღმდეგეთა და მოკავშირეთა ჩათვლით (მეორე რიგის აუდიტორია); მაკროდონეზე–მოდავე მხარეების ნაცნობ-მეგობრებს (მესამე რიგის აუდიტორია); ყველა მათ, ვინც ღებულობს ცნობებს დარბაზში,

საქმიანობის დასრულების შესახებ, ერთ, ან რომელიმე ორატორისაგან, ან მსმენელთა გადაძახილის გზით. თუ გამოსვლის ტრანსლირება ხდება რადიოს, ან ტელევიზიის მეშვეობით, მაშინ თავს იჩენს, უკვე მეოთხე რიგის აუდიტორია, რომელიც ორატორს უყენებს ერთობ სპეციფიკურ მოთხოვნას. აქედან გამომდინარე, ორატორის გამოსვლის მიზანდასახულობა საჭიროებს წარმოთქმული სიტყვისადმი, მოლოდინის გათვალისწინებას, არა მარტო პირდაპირი და უშუალო, არამედ არა უშუალო, ირიბი მსმენელისგან, ისევე, როგორც შესაბამისი დონისა და რიგის აუდიტორიის სავარაუდო რეაქციის გათვალისწინებასაც.

§5.აუდიტორიის მართვისა და გაძღოლის „ტექნოლოგიები“

ნებისმიერ ორატორს, უმეტეს შემთხვევაში, როგორც წესი, უწევს გადაღლილ აუდიტორიასთან შეხვედრა. შეხვედრის ორგანიზატორები ამას მუდამ ითვალისწინებენ და ამიტომაც, კამათისთვის დროს, ოთხ-ხუთ წუთზე მეტს არ გამოყოფენ, ვინაიდან ორატორთა გამოსვლებით დაქანცულ აუდიტორიას მეტის ატანა არ შეუძლია. ასეთ ვითარებაში, ვინც მოახერხებს, კამათის მიწურულს, თქვას რაღაც მნიშვნელოვანი რამ, წამოჭრილ საკითხთან დაკავშირებით, მისი ნათქვამი ყოველი სიტყვა მიწვდება გადაღლილობისგან დაუძლურებულ ყურთასმენას, რითაც ფაქტიურად, ის მოახდენს, ყოველივე იმის განზოგადებასა და შეჯამებას, რაც უკვე თქვეს მისმა წინაგამომსვლელმა თანამოაზრეებმა; თუ ამას კიდევ თან ერთვის ხმის ტემბრის გაძლიერებაც და შესაფერისი დამაჯერებლობით გამოხატული პათოსი, თემის კონკრეტულ და ძირითად, საკვანძო დებულებებთან ერთად (ორატორები ამას „სხვის ზურგზე გადასვლის ეშმაკურ ხერხს“უწოდებენ), შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ წარმატება მას განაღდებული

აქვს. რაც უფრო შეამცირებს თავის ოთხ წუთიან რეგლამენტს და ნაკლებ დროში მოაქცევს თავის სათქმელს, ეფექტი მით უფრო ძლიერი და შთამბეჭდავი იქნება. ყველაზე უფრო ხელსაყრელი ადგილი, ამ მეთოდის გამოსაყენებლად, არის მიტინგი, სადაც ლაკონურობას განსაკუთრებული ფასი ადევს. კვლევები ცხადყოფენ, რომ თითოეული ორატორისთვის რეალური მოსმენის მაქსიმალური ხანგრძლიობა სამი წუთია, ამიტომ არსებობს რეკომენდაცია, რომ სწორედ ამ სამ წუთიან მონაკვეთში, ყველაზე უმთავრეს ფრაზას, მოვანდომოთ ათი-თხუთმეტი წამი და ამით დავამთავროთ, თუ გვსურს სასურველი შთაბეჭდილების მოხდენა პუბლიკაზე. მართალია, მსგავსი რეკომენდაციები უსათუოდ ანგარიშგასაწევია, თუმცა პრობლემისა და თემატიკის სპეციფიკის მიხედვით, მისი აბსოლუტიზაცია არამართებულია, ვინაიდან არსებობს ისეთი სისხლხორცეულად მნიშვნელოვანი პრობლემები, რომელთა მიმართ გაცხოველებული ყურადღებაა მიპყრობილი მთელ დამსწრე საზოგადოებაში და მსმენელთა ინტერესებში შედის საქმის თანმიმდევრული, მრავალმხრივი და სრულყოფილი ანალიზი. მაგალითად, როცა ქვეყნის საჭირბოროტო, პოლიტიკური, ეკონომიკური, რელიგიური, მორალური და კულტურული პრობლემების გადაწყვეტა მოითხოვს საზოგადოების ერთსულოვნებას, სიფხიზლეს, ბრძოლისუნარიანობასა და სულიერ სიმტკიცეს, როცა წყდება ერის თვითმყოფადი, ისტორიული განვითარების ბედ-იღბალი და სხვა.

როდესაც, საჭიროებიდან გამომდინარე, ორატორი ოცდაათი წუთის განმავლობაში გამოდის საჯარო მოხსენებით, მას უხდება მთელი რიგი ხერხებისა და მანევრების გამოყენება, რათა დარბაზში მსხდომთა ყურადღება მიიპყროს. გავეცნოთ რამდენიმე ასეთ ნაცად ფორმას და შესაბამის ვითარებაში მივმართოთ მას.

–1. მასალის კონტრასტული გადმოცემა–გულისხმობს როგორც ცნობილი პიროვნების, ან ჯგუფისადმი, ასევე უცნობი, ანონიმუ-

რი სუბიექტებისადმი ურთიერთშეხამებული მიმართვის ფორმას, აგრეთვე ძნელისა და მარტივის, სადაოსა და უეჭველის, აბსტრაქტულისა და კონკრეტულის, სერიოზულისა და სასაცილოს, მშფოთვარე და მშვიდი ტექსტების გამოყენებას. მოყვანილი ციფრები და ციტატები შეზავებულ უნდა იქნას მოკლე, გასაგები განმარტებებითა და კომენტარებით, კრიტიკას თან უნდა სდევდეს ქება და წახალისება, იმის და მიხედვით, თუ რას იმსახურებს ესა თუ ის ობიექტი.

–2. სათქმელის მოდულაცია–საუბრის ტემპის ცვალებადობაში აისახება, როცა ხმის სიძლიერე თანხმობაშია გამოთქმულ შინაარსთან. ფორმულირებანი, ტერმინები და სპეციფიკური განსაზღვრებანი უნდა გამოითქვას დინჯად, გარკვეულად და შთამბეჭდავად, ანდაზები და აფორიზმები კი მხიარულად, მგზნებარედ და მოხდენილად. ორატორთა უმეტესობა განსაკუთრებული ინტონაციით გამოყოფს ერთიმეორისაგან ციფრებს, მაგალითებსა და ციტატებს.

–3. აუდიტორიასთან უკუკავშირი–თუ მსმენელები შესამჩნევად გადაერთვებიან რაიმე წვრილმანებზე, ან შეუდგებიან ჩანაწერების კეთებას, დაუყოვნებლივ უნდა გამოვიყენოთ წყვეტილი კომპონენტები: შინაარსის, სტილის, ან ვოკალური ჟღერადობის მიხედვით; ზოგჯერ ძალიან სასარგებლოა, ყურადღების მიპყრობა განსაზღვრული პაუზის მეშვეობით, იციან ხოლმე დემონსტრაციული ჩახველებაც, თუმცა ბევრის აზრით, ეს ფორმა, დიდ აუდიტორიებში მაინც, გამართლებული არ არის.

–4. აზრობრივი კვანძები – ფართოდ გავრცელებულ მოხსენებებში იყენებენ ხუთ-შვიდწუთიან მონაკვეთებს, რაიმე კონკრეტული თეზისის, ან მისი დასაბუთების სახით, როდესაც ვატყობთ, რომ მსმენელთა საშუალო კონტინგენტის ყურადღება, განუწყვეტლივ მიპყრობილია ერთი რომელიმე თემისადმი.

–5. ე. წ. კიდის კანონის თვალყურის დევნება (ნებისმიერ საინ-ფორმაციო ბლოკში უკეთ ამახსოვრდებათ დასაწყისი და განსა-კუთრებით დასასრული) მიკრო, მეზო და მაკროდონეებზე, ანუ ყოველ საკვანძო თეზისზე, მოხსენების ყოველ ნაწილზე (დასა-წყისი, შუალედი, დასასრული) და მთელი მოხსენების განმავლო-ბაში. როგორც აღნიშნავდა მ. ვ. ლომონოსოვი, „ძირითადი დებუ-ლებებიდან, წინა პლანზე უნდა გადავიდეს ყველაზე ძლიერი და მთავარი, შუალედში უნდა მოექცეს შედარებით სუსტი და ნაკლებ მნიშვნელოვანი, ხოლო დასასრულს, ყველაზე უფრო არგუმენტი-რებული მტკიცებულებანი, რამეთუ მსმენელი და მკითხველი ყველაზე უკეთესად ითვისებენ და იმახსოვრებენ დასაწყისსა და დასასრულს“. რამდენადაც საკითხი შედარებას ეხება, დასაწყის-ზე უფრო არსებითი და მნიშვნელოვანი, მაინც დასასრულია, რამ-დენადაც დამამთავრებელ ფაზაში ხორციელდება მთელი სათქმე-ლის შემაჯამებელი შედეგების თავმოყრა, რისი ფსიქოლოგიური მოლოდინიც მუდამ არსებობს, მეტ-ნაკლებად საქმიან მსმენელთა აუდიტორიებში. ეს წესი ყველაზე მეტად ვრცელდება დებატებზე, სადაც ორატორები ცდილობენ უარყონ და დაძლიონ ოპონენტთა შეხედულებანი. ეს ყოველივე იწვევს ნეიტრალური მსმენელის გადაღლას, რომელიც შინაგანად ემუდარება მოკამათეებს, რომ დაასრულონ დავა და ამის გამო, უნებურად მადლიერებას გამო-ხატავენ იმის მიმართ, ვინც საბოლოო წერტილს გაუსვამს გაჭია-ნურებულ პოლემიკას, ამდენად მსმენელთა თანხმობისა და ნდო-ბის ალბათობა, ამ უკანასკნელის მიმართ, აშკარად მატულობს. ამიტომაც არაა შემთხვევითი, რომ მრავალ ენაში, „დასასრულისა“ და „მიზნის“ ცნებები ერთმანეთს ემთხვევა.

–6. არგუმენტაციის გაღრმავება – რაც უფრო მწვავდება პოლე-მიკა, მით უფრო პრინციპული ხდება ორატორის მიერ დაცული თეზისი, მით უფრო შეუვალია მოთხოვნა, არგუმენტაცია წარი-მართოს არა ფართო მოცულობის მიმართულებით, არამედ სიღ-

რმისეულად. მოცემულ შემთხვევაში არავითარი გამართლება არა აქვს წვრილმან, უსუსურ და იაფფასიანი ინტერესის მატარებელ დასკვნებს, რომელიც დროის დეფიციტის პირობებში, მხოლოდ ფორმალურად ასრულებს საპასუხო რეაქციის დანიშნულებას და მეტს არაფერს.

–7. აუდიტორიის თავისებურებათა გათვალისწინება–რაც უფრო ახალგაზრდა, გამოუცდელი, ნაკლებ განათლებული და მრავალრიცხოვანია აუდიტორია, მით უფრო ადვილი უნდა იყოს მოხსენების ტექსტი, როგორც შინაარსით, ასევე სტრუქტურით და ფორმით.

§6. ძირითადი რიტორიკული კანონი

როცა ვინმე დააპირებს, გაიწაფოს ორატორულ ხელოვნებაში, მას მართებს, განსაკუთრებული გულისყურით მოეკიდოს ზოგადი რიტორიკის წესებისა და მეთოდების ისტორიულად ჩამოყალიბებულ გამოცდილებას, რასაც არისტოტელე რიტორიკის კანონის სახელწოდებით მოიხსენიებდა. აღნიშნული კანონის მიხედვით, ზეპირმეტყველების სამუშაო განრიგი მოიცავს შემდეგი სახის წესებს:

1)ტექსტის შინაარსის გამოგონება; 2)გამოგონებული სიტყვის მასალის დალაგება; 3)სიტყვიერი გაფორმება (გამომჟღავნება, სამეტყველო ინსტრუმენტების შერჩევა); 4)დამახსოვრება (რეპეტიცია); 5) წარმოთქმა.[1]

უმეტეს შემთხვევაში, საპასუხისმგებლო სიტყვით გამოსვლისას, წინასწარ ემზადებიან, ისე, რომ მხოლოდ რეპლიკებისთვის, ცალკეული საკითხებისთვის და პასუხებისთვის იტოვებენ ექსპრომტად რეაგირების უფლებას, თუმცა იშვიათ შემთხვევაში, არსებობენ ვირტუოზი ორატორებიც, რომლებიც ყოველგვარი

1 3. იხ. არისტოტელე., რიტორიკა, თბილისი., 1992.

კონსპექტის, წინასწარ დაზეპირებული ფრაზებისა და საკვანძო თეზისებისა და ციტატების მონიშვნის გარეშეც, ახერხებენ მსმენელთა მოხიბვლასა და გაოცებას. მაგალითად, როდესაც საქვეყნოდ ცნობილ ისტორიკოსს, ე.ვ. ტარლეს ეკითხებოდნენ, თუ რატომ არასოდეს არ სარგებლობდა ის ჩანაწერებით, პასუხობდა: „ძალიან უბრალოდ –მე ვიცი ათჯერ და თორმეტჯერ მეტი, იმასთან შედარებით, რის თქმასაც ვაპირებ!“[1] რასაკვირველია, ძალიან ბევრს არ შეუძლია გაიბრწყინოს მსგავსი ტალანტით, თანაც, თუ მხედველობაში მივიღებთ იმასაც, რომ მსხვილი სახელმწიფო მოხელის, სამხედრო მეთაურის, ან პარლამენტის თავმჯდომარის არასწორი მოხსენების ფასი ერთობ ძვირია, რომელიმე სასკოლო საგნის, თუნდაც ისტორიის მასწავლებლის გაკვეთილისგან განსხვავებით, არა მხოლოდ აზრობრივი, არამედ საგნის სტილისტური სიმქისის მიხედვით, რომ მსგავსი პრეცენდენტი არაერთხელ გამხდარა, საჯარო დაცინვისა და სერიოზული სკანდალის საფუძველი. ამიტომაც სავალდებულოა, მივყვეთ შემდეგ აქსიომას, რომ პოლიტიკურ, იურიდიულ, ბიზნესისა და მსხვილ მასშტაბიან საქმიან შეხვედრებზე, სადაც მრავალი ადამიანის ბედ-იღბალი განისაზღვრება, არ არსებობს არავითარი წვრილმანი და ამიტომაც თავგამოდებული შრომა და საპასუხისმგებლო გამოსვლისთვის საგანგებოდ მომზადება, ნამდვილად არ ჩაითვლება ზედმეტად არავისთვის.

1 4. Маркичева Т.Б., Ножин Е.А. Мастерство публичного выступления. М., 1989. Ст. 58.

ნაწილი II
ზოგადი რიტორიკის ისტორიული ტრანსფორმაცია (პერიოდიზაცია)

§1. ანტიკური ეპოქის რიტორიკული ტრადიცია

რიტორიკა (ბერძნ. ῥητορική (τέχνη) „მეტყველების, სიტყვის ხელოვნება“) – მჭევრმეტყველების ხელოვნება – თავდაპირველად იყო მეცნიერება ორატორობის ხელოვნებაზე, შემდგომ მისი ცნება გაიზარდა არგუმენტაციით მსჯელობამდე. რიტორიკა ანტიკური ხანის საბერძნეთში მეტად ცნობილი დისციპლინა იყო, რომლის ფლობაც უმნიშვნელოვანესად მიიჩნეოდა. რიტორიკა არის ზეპირი მეტყველების სტილი. ფართო, ტრადიციული მნიშვნელობით, ის გულისხმობს მჭევრმეტყველებას, იგივე ორატორულ ხელოვნებას. ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთში ჩამოყალიბდა რიტორიკა, როგორც ხატოვანი, შთამბეჭდავი მეტყველების ხელოვნება; მისი ხერხების ფლობა ითვლებოდა პიროვნული სრულყოფილების ერთ-ერთ გამოხატულებად. ბერძნულ-რომაულ სამყაროში ჩამოყალიბდა რიტორიკის ორი განსხვავებული გაგება და ტრადიცია: ერთი მათგანი არისტოტელესა და მის მიერ დაფუძნებული სკოლის პერიპათეტიკოს მოწაფეებს ეკუთვნით, რომლის მიხედვითაც, რიტორიკა მიჩნეულია დარწმუნების მეცნიერებად;[1] მეორე თვალსაზრისი კი ეკუთვნის ფაბიუს კვინტილიანესა და მის მიმდევრებს, ვისთვისაც რიტორიკის დაუფლებისთვის ყველაზე უფრო არსებითი და მთავარი გახლავთ სწორად მეტყველების ხელოვნება_მჭევრმეტყველება.

კლასიკური ანტიკური რიტორიკა შედგება ხუთი ნაწილისაგან:

1 არისტოტელე ,,რიტორიკა ”., თსუ გამომცემლობა, თბილისი., 1981; გვ 1-2.

1) ინვენტიო – „გამოგონება“, ანუ იმის მოძებნა, თუ რა უნდა ითქვას; 2) დისპოსიტიო – „გეგმა“ ანუ არგუმენტების (მსჯელობის კომპონენტების) თანმიმდევრულად დალაგება; 3) ელოკუტიო – სიტყვიერად გამოხატვის უზრუნველყოფა; 4) მემორია – დამახსოვრება (დაწერილი ტექსტის დაზეპირება); 5) აქტიო – „გათამაშება“ (აუდიტორიის წინაშე დეკლამირება).

ყოველი ეპოქის რიტორიკას გააჩნია თავისი განსაკუთრებული ტრადიცია და გაგების მეთოდოლოგია, რომელიც ფილოსოფიური მსოფლმხედველობის მსგავსად, ეპოქალური სულის გამოხატულებაა შესაბამისი ენობრივი დისკურსების მეშვეობით. ამიტომაც ამა თუ იმ რიტორიკული ნიმუშის სრულყოფილი აღქმა მოითხოვს შესატყვისი ეპოქისთვის დამახასიათებელი ღირებულებებისა და ატრიბუტების გულდასმით შესწავლას. ამიტომაც რიტორიკის მეცნიერული კვლევა-ძიების ამოცანა კვალიფიცირდება ისეთნაირად, როგორადაც ამას მოითხოვს ამა თუ იმ ეპოქის სამეტყველო სიტუაცია. იმისათვის, რომ შედარებით ნათელი წარმოდგენა შევიქმნათ რიტორიკული მჭევრმეტყველების ეპოქალურ თავისებურებებზე, ინტერესმოკლებული არ იქნება თუ გავეცნობით მის ისტორიულ პერიოდიზაციას:

§2. ძველბერძნული პერიოდი

ძვ. წ. V ს.-დან დიდი კულტურული წიაღსვლები ხორციელდებოდა იმდროინდელი საბერძნეთის საზოგადოებრივი განვითარების ისტორიაში. მართვა-გამგეობა ხალხის ხელში გადავიდა და მოხდა სახელმწიფო დაწესებულებათა დემოკრატიზაცია. ამ პოლიტიკურმა ცვლილებამ ახალი ასპარეზი გაუშალა პიროვნებას. ამიერიდან ადამიანი ფასდებოდა არა მისი გვაროვნული

წარმომავლობის მიხედვით, არამედ მისი შესაძლებლობებით. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა იმათ, ვისაც შეეძლო სახალხო კრებებზე გამოსვლით მასაზე გავლენის მოხდენა. დემოკრატიული მართველობის დამყარება განისაზღვრებოდა იმის შესაბამისად, თუ როგორ წარიმართებოდა პიროვნების პოლიტიკური მოღვაწეობა; თუ რამდენად შეძლებდა ის ხალხზე გავლენის მოხდენას. ასეთ ვითარებაში კი, მჭევრმეტყველებას უმნიშვნელოვანესი ფუნქცია ენიჭებოდა. ამ მდგომარეობამ თითქმის რადიკალურად შეცვალა სწავლა-განათლების დანიშნულებაც, რომელიც მჭევრმეტყველური ზემოქმედების მასობრივი შთაბეჭდილების მოხდენის მეთოდებზე და პრინციპებზე დაფუძნდა.

თავდაპრველად, ძვ. წ. V ს.-მდე, ბერძნული სწავლა-განათლების შინაარსობრივი სტრუქტურა მეტად მარტივი გახლდათ; მის შემადგენელ ნაწილებს შეადგენდა: წერა-კითხვა, ანგარიში, მუსიკა და ვარჯიში. ასეთი სახის წვრთნა და სწავლება არ იყო საკმარისი რიტორიკული მჭევრმეტყველებისათვის. მჭევრმეტყველების, ორატორული ხელოვნების წესებისა და კანონების შესახებ მოძღვრება წარმოიშვა ძველ საბერძნეთში, ჯერკიდევ ანტიკური კულტურის დაცემამდე, ძველი წ. აღ-ის მე-5 საუკუნეში, როგორც მჭევრმეტყველების თეორია, რომელიც საბოლოოდ ჩამოყალიბდა ძვ. წ. აღ-ის მე-3-მე-2 სს-ში. რიტორიკის პირველი სახელმძღვანელო, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია, დაწერილი უნდა ყოფილიყო ძვ. წ. აღ-ის მე-5 ს-ში; მის ავტორებად მიჩნეულნი არიან სირაკუზელი ბერძნები კორაკსი და ტესია. ორატორული ხელოვნების დასაუფლებლად, მოწაფე უნდა გათვითცნობიერებულიყო მაშინდელი ცოდნის სისტემაში, რომელსაც ძირითადად, ამა თუ იმ მოაზროვნის გაშემო შემოკრებილ ვიწრო წრეებში ეუფლებოდნენ. როდესაც ორატორობა ფართო საზოგადოებრივ მოთხოვნილებად და პიროვნული სრულყოფილების მაჩვენებლად იქცა, ძველებური გზა ცოდნის შეძენისა, უკვე საკმარისი არ აღმოჩნდა. საზოგა-

დოებაში გაჩნდა განსხვავებული ტიპის მოაზროვნე, რომელიც თანახმა იყო, საკუთარი ცოდნა და გამოცდილება თეზისების სახით სხვისთვისაც გაეზიარებინა გარკვეული სასყიდელის სანაცვლოდ. სწორედ ამგვარი ტიპის მოღვაწეებს, ანუ მასწავლებლებს, უწოდეს სახელად სოფისტები, რომლებიც ყოვლისმცოდნეობისა და სიბრძნის პრეტენზიებს საქვეყნოდ აცხადებდნენ. სოფისტები გამოირჩეოდნენ სხვადასხვაგვარი ორიგინალური ხერხებითა და მახვილგონივრული სააზროვნო ნოვაციებით: მათ შეიმუშავეს ენობრივი გამოსახულების თეორიული კვლევის ამოცანა, რათა უკეთ გარკვეულიყვნენ ურთულესი სააზროვნო მექანიზმებისა და ოპერაციების შინაგან სტრუქტურებსა და სისტემაში. ყოველგვარი ყოყმანის გარეშე უნდა ვაღიაროთ, რომ მათ, თავიანთი ნაყოფიერი მოღვაწეობით, ღირსეულად დაიმსახურეს ანტიკური პერიოდის განმანათლებელთა საპატიო სახელი. მათ ხელში ენა იქცა ეფექტურ იარაღად, სხვადასხვა პრაქტიკულ მიზნთა მისაღწევად, კერძოდ კი, პოლიტიკურ დებატებში წარმატების მოსაპოვებლად. უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა სწორი მეტყველების დაუფლებას, ენის მუდმივ გაუმჯობესებასა და სიტყვიერ კამათში მის მოქმილ იარაღად გამოყენებას. ამ მიზნით სოფისტებმა განავითარეს ცოდნის ახალი დარგი – რიტორიკა. ახლა უკვე ყურადღების ცენტრმა გრამატიკიდან და ეტიმოლოგიიდან რიტორიკაზე გადაინაცვლა. მას ენიჭება წამყვანი როლი სოფისტების მსჯელობებში სიბრძნის შესახებ. ზედმეტი და უსარგებლო გახდა ყოველგვარი დავა სიტყვასა და სახელს შორის მიმართებისა და მათი ჭეშმარიტება-მცდარობის შესახებ. სიტყვებს არა თუ არ აკისრია საგანთა ბუნების გამოხატვა, არამედ, მათ, საზოგადოდ, არ მოეპოვება რაიმე საგნობრივი შესატყვისი (შდრ. ასბტრაქტული სახელები). საკუთრივ მათი ამოცანაა არა საგანთა გადმოცემა, არამედ – ადამიანში აფექტების აღძვრა; არა წმინდა იდეებისა და შეხედულებების გადმოცემა, არამედ – ადამიანებზე ზემოქმედების მოხდენა

და მათი წარმართვა გარკვეული მიზნისკენ. ამ თვალსაზრისით, სოფისტებთან მთელი აზროვნება და მჭევრმეტყველება ემსახურებოდა ერთადერთ პრაგმატულ მიზანს, რაც მასებზე სასურველ გავლენასა და ზემოქმედებაში განისაზღვრებოდა[1]. სოფისტები ასწავლიდნენ ყველაფერს, რაც საჭირო და აუცილებელი იყო გამართული მეტყველებისთვის, ასევე მახვილგონივრული და შთამბეჭდავი აზრების უხვად გადმოფრქვევისათვის. კამათის გონივრულად წარმართვა და საჯარო პაექრობაში წარმატების მიღწევა იყო უცილობელი და გადამწყვეტი პირობა, იმისათვის, რომ მოწაფეზე დახარჯული წვრთნის ძალისხმევა და მეთოდოლოგია საკადრისად შეფასებულიყო და ამავე დროს დაფასებულიყო, როგორც მორალურად და აკადემიურად, ისე, ფინანსურად და მატერიალურად. როგორც უკვე ითქვა, სოფისტებს მჭევრმეტყველება აინტერესებდათ ძირითადად, პრაქტიკული თვალსაზრისით. ადამიანის მჭევრმეტყველად ქცევის საკითხის გადასაწყვეტად უმთავრესი ამოცანა იყო, პირველ ყოვლისა, რიტორიკის ამოსავალი პრინციპების თეორიული საფუძვლების ჩამოყალიბება, რის მერეც მოსახერხებელი ხდებოდა პრაქტიკულ სწავლებაზე გადასვლა სპეციალური ვარჯიშების კურსის საშუალებით.

როგორ შეიძლება ადამიანი მჭევრმეტყველად იქცეს? – აი მათი პრობლემა რიტორიკის დარგში, რომლის გადასაჭრელად საჭირო იყო ჯერ მჭევრმეტყველების პრინციპების თეორიული დამყარება და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლებოდა პრაქტიკული სწავლების გონივრულად შეთვისება მოწაფეთა მიერ. ამის შესახებ გვარწმუნებს ის ფაქტიც, რომ ეტიმოლოგიის გარდა, სოფისტები მუშაობდნენ ორთოეპიისა და სტილისტიკის სფეროში, რომლებიც ერთნაირად მნიშვნელოვანია ორატორული ხელოვნების დაუფლებისათვის. არსებობს გარკვეული მოსაზრება იმის შესახებ, რომ

1 ს. დანელია, ანტიკური ფილოსოფიის ნარკვევები, თბილისი უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1983, გვ. 251-257.

სოფისტები, თითქოსდა, ასწავლიდნენ თავიანთ მოწაფეებს ფორმალურ ხელოვნებას, რომელიც უგულებელყოფდა შინაარსს და მთავარ მიზნად აქცევდნენ იმას, თუ როგორ უნდა მიეყვანა ორატორს საკუთარი მოწაფე მისი აზრის აღიარებამდე და არა იმას, თუ როგორ უნდა შეექმნა და დაესაბუთებინა საკუთარი აზრი. ასეთი პოზიცია ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს, იმიტომ, რომ არსებობს სოფისტთა არაერთი თაობა, ვისაც მემკვიდრეობით ერგო როგორც წინამორბედთა აზროვნების ნამოღვაწარი, ამის გარდა, მათ თავიანთი შემოქმედებითი ნიჭის აღმაფრენით, შექმნეს ისეთი გასაოცარი სიახლეები და შედევრები, რომ ეჭვს გარეშეა, მათ ეწოდოთ განმანათლებლობის ჭეშმარიტი ნათლიები, რომელთა მიერ კურთხეულ, ნამოწაფარ ნათლულებს, იმდენად განუსაზღვრელი კრიტიკული სულისკვეთება განუვითარდათ, რომ ფილოსოფიური პოლემიკის უკიდეგანო ქარცეცხლში, საკუთარი მასწავლებლების წინააღმდეგაც კი გამოიყენეს და დახარჯეს.[1] რიტორიკის საყოველთაო აღიარება, სხვა დარგებთან ერთად, მეცნიერული ცოდნის განვითარების ადრეულ საფეხურებზეც შეინიშნებოდა, როდესაც ის ცნობილი იყო შვიდი თავისუფალი ხელოვნების შემადგენელ ნაწილად, რომელიც ისწავლებოდა ძველ საბერძნეთში. ეს დარგები კი გაერთიანებული გახლდათ ორ ფუნდამენტურ განყოფილებაში: Trivium-ისა და Quadrivium-ის მიხედვით. პირველში ერთიანდებოდა გარამატიკა, დიალექტიკა და რიტორიკა, ხოლო მეორეში–არითმეტიკა, გეომეტრია, მუსიკა და ასტრონომია. ყოველივე ეს არ იყო იოლი, რაზეც მეტყველებს ის ფაქტი, რომ ანტიკური სამყაროს პირობებში, იმდენად შორს წავიდა აზროვნება და მჭევრმეტყველება, ხელოვნების დანარჩენ დარგებთან ერთად, რომ არც მომდევნო და მით უმეტეს თანამედროვე ეპოქას მსგავსი პრეცენდენტი არ ჰქონია, რასაც განცვიფრებასა და

1 7. Платон, Эвтифрон, Введение, перев и примеч. А. М. Якимаха, СПБ, 1893, стр. 5.

აღტაცებაში მოჰყავს ყველა, საქმეში მეტ-ნაკლებად ჩახედული ადამიანი, რომელსაც გააჩნია შესაბამისი პროფესიული უნარ-ჩვევები და საქმიანობის გამოცდილება. ამგვარი განმანათლებლობის მადლითა და დამსახურებით, ანტიკური სამყარო ადამიანს თვალწინ უშლიდა უნივერსალური განათლების მიღების შესანიშნავ პერსპექტივას.

ანტიკური საბერძნეთი ცნობილი იყო იმდროინდელი კაცობრიობის უნიკალური და განსაცვიფრებელი ღირშესანიშნაობებით, მათ შორის, ენამზიანი და გონებამახვილი ორატორებით, რომელთაგან სოკრატეს, პლატონისა და სოფისტების გარდა, შეგვიძლია დავასახელოთ სოლონი, პერიკლე, დემადე, ფოკიონი, ანტისთენე, ესქინე და ყველასგან გამორჩეული დემოსთენე. რაც შეეხება სოკრატესა და პლატონს, ისინი, რიტორიკის მთავარ მახასიათებლად მიიჩნევდნენ დიალოგის დიალექტიკური მეთოდის გამოყენებას, ვინაიდან დიალოგი, მონოლოგისა და პოლილოგისგან განსხვავებით, მეტყველების იმგვარი ფორმაა, რომელიც კარგად გამოხატავს აქტიური აზროვნების პროცესს და მათთან შედარებით, ბევრად უფრო მოქნილი მეტყველებაა თავისი ბუნებრივი მდგომარეობით. ცოდნა და ჭეშმარიტება არის გამოუთქმელი, მას შეიძლება ატარებდეს ადამიანი, თუ აზრი არსებობს ვერბალიზაციამდე, მაშასადამე, მასთან მიახლოვება არის იმდენად მისტიკური და ღვთაებრივი, რომ შეუძლებელია ის სიტყვით გამოთქვა. დიალოგური ფორმით შემეცნებისკენ სვლა არის სწორედ ადამიანის გზა ღვთაებრივისკენ, თვითშემეცნებისკენ და ჭეშმარიტებისაკენ. როგორც სოკრატეს დიალოგებს (დაუწერელ, ზეპირ დიალოგებს) უწოდებდნენ – ეს იყო ერთგვარად ადამიანის სულის გამოცდა და რა მიზანს აღწევდა ის ამ დიალოგებით? სოკრატეს შეეძლო ჩაეგდო ადამიანი თავის თავთან სრულ წინააღმდეგობაში და მიეყვანა ის მანამდე უცხო ჭეშმარიტებამდე, რითაც ადამიანები იწყებდნენ სხვაგვარ ცხოვრებას. სოკრატეს დიალოგები იყო თავისებური

ირონიაც. მას შეეძლო საუბრის დაწყება მარტივი, მაგრამ წინასწარ გამიზნული კითხვების მეშვეობით, რის შედეგადაც გაჩაღდებოდა დიალოგი. სოკრატეს ირონია (თვითირონია) – "მე ვიცი, რომ არაფერი არ ვიცი" - იყო მისეული როტორიკის გამოვლენის ორიგინალურად დახვეწილი ფორმა.[1]

არ შეიძლება რაიმე არ ითქვას დემოსთენეს შესახებ, რომელიც სხვა ბერძენ ორატორთა მსგავსად, (გამონაკლისებიც იყვნენ, რა თქმა უნდა, როგორც სოკრატე, რომელსაც საერთოდ არაფერი დაუწერია, თუმცა, მის შესახებ სხვები წერდნენ) საგანგებოდ წარმოსათქმელ სიტყვებს წინასწარ წერდნენ. ამ გზით, ჩვენამდე მოაღწია არაერთი სახელგანთქმული ორატორის ფასდაუდებელმა სიტყვამ, რომელთა შორის გამოირჩევა დემოსთენეს „ფილიპიკები". კი, მართალია, რომ ზეპირსიტყვიერების ცოცხალი აქტი, უმრავლეს შემთხვევაში, მნიშვნელოვნად არღვევდა გამიზნულად დაწერილი სიტყვის ფაბულას–პოლემიზმის, რეპლიკებისა და სხვადასხვა გაუთვალისწინებელი ვითარების გამო, თუმცა, ორატორის ძირითადი ნააზრევი ტექსტი პირველ წყაროებში მაინც კარგადაა შემონახული. მართალია, უშუალო აღქმის პროცესში, ის ჩვენზე ვერ მოახდენს იმ შთაბეჭდილებას, რასაც მაშინდელი დროის მსმენელებზე, თავისი ცოცხალი გამომეტყველებით, მიმიკებით, ჟესტიკულაციებით, ხმის ტემბრით, მრავლისთქმელი პაუზებით, ირონიით, იუმორით, ადექვატური რეაქციებით გამოთქმული რეპლიკების მიმართ და სხვა, თუმცა, ჰერმენევტიკულ -ინტენციონალური მეთოდოლოგიის გამოყენებით, რომელიც ეპოქის სულისკვეთების წვდომის ნახევრად მისტიკურ, ინტუიციურ ძალისხმევას ითვალისწინებს, სავსებით შესაძლებელია იმ გრანდიოზული განცდის გამოწვევა, რაც ნაცნობი და ახლობელია

1 8. ს. დანელია, ანტიკური ფილოსოფიის ნარკვევები, თბილისი უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1983, გვ. 261.

მაშინდელი ადამიანისთვის[1](დემოსთენე 1984; 17).

რაც შეეხება არისტოტელეს, მისი რიტორიკის სპეციფიკური მახასიათებელი გახდა სწავლების ის ფორმა, რომელმაც შემდგომ მის სკოლას "პერიპატეტიკოსთა" სახელი მოუპოვა. არისტოტელე თავის „რიტორიკაში" ეხება ესთეტიკის, ეთიკის, პოლიტიკის, ფსიქოლოგიის საკითხებს და თითქმის ყველა სფეროში ახალ სიტყვას ამბობს.ა რიან მკვლევრები, რომლებიც უარყოფენ არისტოტელეს დამსახურებას რიტორიკული ხელოვნების განვითარების საქმეში. ისინი ამტკიცებენ, რომ არისტოტელეს მჭევრმეტყველება ესმოდა მხოლოდ როგორც კამათის და კამათში ნებისმიერი ხერხით გამარჯვების ხელოვნებად. მათ წინააღმდეგ კ. კრაუსი ამტკიცებდა, რომ არისტოტელესათვის რიტორიკა იყო ეთიკურ -პოლიტიკური იარაღი მიმართული სამართლიანობის, სარგებლობისა და ზნეობისაკენ.[2]

არისტოტელეს „რიტორიკა" სამი ნაწილისაგან შედგება: პირველ ნაწილში განიხილავს რიტორიკის, ანუ ორატორული ხელოვნების პრობლემატიკას; მეორე ნაწილში, ძირითადად, ეთიკური პრობლემებია განხილული; მესამე ნაწილში_ სტილი. არისტოტელე „რიტორიკის" დასაწყისშივე ამახვილებს ყურადღებას რიტორიკისა და დიალექტიკის (სიტყვა „დიალექტიკას" არისტოტელე აქ ხმარობს „ფილოსოფიის" მნიშვნელობით) მიმართების საკითხზე. არისტოტელეს დაკვირვებით, „დიალექტიკა რიტორიკას ჰგავს, რადგან ორივე ეხება ისეთ საგნებს, რაც რატომღაც იცის ყველამ და რასაც არ სწავლობს რომელიმე ერთი მეცნიერება"[3]. აღნიშნული აზრის თანახმად, რიტორიკა არ წარმოადგენს

1 9. დემოსთენე, ფილიპიკები., წინასიტყვაობა და კომენტარები დაურთო გიგლა სარიშვილმა., თბილისი., 1984. გვ: 17.

2 10. Карл Краус. Беньямин В. Маски времени. Эссе о культуре и литературе. СПб: Симпозиум, 2004, с.313-358.

3 11. არისტოტელე, რიტორიკა; თბილისი 1992. 1355 a.

რაიმე მეცნიერებას, არამედ ის სიტყვის ხელოვნებაა. გარდა ამისა, აქვე შეგვიძლია გამოვყოთ დიალექტიკასა და რიტორიკას შორის მსგავსების რამდენიმე ნიშანი: რაც ყველაზე მთავარია, დიალექ-ტიკა და რიტორიკა საერთო ობიექტებს ეხება, მაგრამ არა ზოგადს, არამედ კონკრეტულს; დიალექტიკასა და რიტორიკას აქვს დასა-ბუთების მსგავსი მეთოდები: ა) რიტორიკა ემყარება დარწმუნების მეთოდს, რომელიც, თავის მხრივ, დასაბუთებასაც მოითხოვს. ამიტომაა, რომ ვიჯერებთ იმას, რაც უფრო მეტად მიგვაჩნია დასა-ბუთებულად. რიტორიკული დასაბუთება არის ენთიმემა (ბერძნ. ἐνθύμημα – დასკვნა); ბ) დიალექტიკა ან მისი რომელიმე დარგი შეისწავლის სილოგიზმს, რომელიც არის ერთგვარი ენთიმემა. ხოლო „ვისაც იმის კარგად განხილვა შეუძლია, თუ საიდან ან რო-გორ მიიღება სილოგიზმი, იგი კარგი ენთიმემატიკოსიც იქნება, ეცოდინება რა ის, თუ რას ეხება ენთიმემა ან რით განსხვავდება იგი ლოგიკური სილოგიზმისაგან. არც ერთი ხელოვნება, გარდა დიალექტიკისა და რიტორიკისა, არ განიხილავს საწინააღმდეგო არგუმენტებს. ისინი შეისწავლიან წინააღმდეგობებს, რომელშიც იგულისხმება საწინააღმდეგო შეხედულებების ორგვარი ბუნება:- მიზანია დაადგინოს ჭეშმარიტება; ხოლო ის, რაც ბუნებით სწორი და მართალია უფრო ადვილად გამოიყვანება წინამძღვრებიდან და უფრო მარტივი დასასაბუთებელიცაა. სოკრატე, პლატონი და არისტოტელე უპირატესობას ანიჭებდნენ დიალოგს, როგორც რი-ტორიკის გამოვლენის უმაღლეს ფორმას. არისტოტელეს აზრით, რიტორიკულ სიტყვას აქვს სამი ნაწილი: შესავალი, შინაარსი და დასკვნა. მან გამოყო აგრეთვე რიტორიკული სიტყვის სამი მხარე: ორატორი; ის საგანი, რის შესახებაც ორატორი საუბრობს; ის, ვი-საც სიტყვით მიმართავს, ანუ მსმენელი [1].

არისტოტელე სპეციალურად ჩერდება სიტყვის სიცივის მი-

1 იქვე; 1358 a.

ზეზებზე, რასაც წარმოშობს: რთული ან შერწყმული სიტყვების ხმარება, უჩვეულო, გაუგებარი სიტყვებისა და სხვადასხვა მხატვრული ხერხის უმართებულო გამოყენება იგი წინააღმდეგია მრავალსიტყვაობისა და სიტყვათა უწყვეტობისა. სიტყვა იქ უნდა თავდებოდეს, სადაც თავდება საგნის შესახებ მსჯელობა. კარგია პერიოდებად დანაწევრებული დასრულებული აზრის შემცველი სიტყვა, არ ვარგა არც მოკლე და არც ვრცელი პერიოდები. ვარგისია მხოლოდ მიზანშეწონილი.ზეპირი სიტყვა, სადაც აქტიორული და პათეტური მომენტები ჭარბობს, წერილობითთან შედარებით ნაკლებ ზუსტია, რაც გამოწვეულია დეკლამაციურობის სიჭარბით. სამაგიეროდ ზეპირი სიტყვა უფრო სასიამოვნოა მშრალ წერილობით სიტყვასთან შედარებით. თუ მჭევრმეტყველების ფორმობრივ და შინაარსობრივ მხარეს მივაქცევთ ყურადღებას, მისი განსაზღვრისას არისტოტელეს „რიტორიკაში“ შემდეგი მახასიათებლები გამოიყოფა (აღსანიშნავია, რომ თითოეული ეს მახასიათებელი უკლებლივ თავს იყრის ორატორულ ხელოვნებაში): სიცხადე, ლოგიკურობა, უწყვეტობა, პერიოდულობა, ემოციურობა, მხატვრულობა, დროის სწორად გამოყენება, მოულოდნელობის ეფექტი, კონტრასტულობა,ზომიერება (არისტოტელეს ფილოსოფიისა და მისი ეპოქის უზოგადესი კატეგორია). ამიტომაც არის რიტორიკის ერთ-ერთი მახასიათებელი კაზმული ფორმით სათქმელის გამოხატვა, რომელსაც აქვს გარკვეული მიზანი – მსმენელთა დარწმუნება. ამდენად, ის არსებითად განსხვავდება ყოველდღიური მეტყველებისაგან, მით უფრო ფატიკური საუბრებისაგან, რომელსაც, ამ შემთხვევაში, არ აქვს არანაირი მიზანი და საზრისი, არამედ წარმოადგენს სასხვათაშორისო საუბარს დროის გაყვანის მიზნით.

§3. რომაული პერიოდი

ახ. წ. I ს. რომაული ლიტერატურის ოქროს ხანადაა ცნობილი. ლიტერატურამ შეწყვიტა აქტიური განვითარება და ერთგვარად დაღმავლობის გზას დაადგა, თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ ამ საუკუნეში ძალიან ბევრი მწერალი და პოეტი მოღვაწეობს. წინა ეპოქისგან განსხვავებით ამ პერიოდში სიტყვის თავისუფლება მოისპო (გაჩნდა ცენზურა), რაც უარყოფითად აისახა ლიტერატურაზე. საზოგადოებრივი ცხოვრების შებოჭვის შედეგად ორატორულმა ხელოვნებამ დაკარგა თავისი უწინდელი მნიშვნელობა. რომის იმპერიის ეპოქაში მას ჩაენაცვლა რიტორიკა, რომელიც მხოლოდ სასამართლოში გამოიყენებოდა. რიტორიკას არ გააჩნდა მნიშვნელოვანი შინაარსობრივი დატვირთვა, მთავარი აქცენტი კეთდებოდა გარეგნულ ეფექტზე. რომაული ლიტერატურა წარმოადგენს ლათინურ ენაზე დაწერილ ლიტერატურულ ნაწარმოებებს რომის დაცემამდე, რომელიც შეიცავს უმნისვნელოვანეს რიტორიკულ ნიმუშებს. რომაულ ლიტერატურას ძველ ბერძნულ ლიტერატურასთან ერთად უკავია მნიშვნელოვანი ადგილი ანტიკურ ლიტერატურაში, სადაც განსაკუთრებული ადგილი ეთმობა ზოგადი რიტორიკისა და ორატორული ხელოვნების ანტიკური ტრადიციის დასრულებული სახით ჩამოყალიბებას. მიუხედავად სიძველისა იგი დღესაც ძალიან მნიშვნელოვანი და ღირებულია. რომაული ლიტერატურისა და ორატორული ხელოვნების უძველესი ძეგლები ძვ. წ. III საუკუნეს მიეკუთვნება. მან განიცადა ბერძნული ლიტერატურისა და რიტორიკის გავლენა, მაგრამ მიუხედავად ამისა, გამოირჩევა ორიგინალურობით. ასევე რომაულ ლიტერატურასა და რიტორიკაში ჩამოყალიბდა ჟანრები, ტენდენციები და პრინციპები, რომლებიც მანამდე არ არსებობდა ბერძნულ ლიტერატურასა და რიტორიკაში, შემდეგ კი მან უდიდესი ზეგავლენა მოახდინა ევროპულ კულტურაზე, საჯარო

პოლემიკის წარმოების თეორიულ და პრაქტიკულ საქმიანობაზე. რომაული რიტორიკის დაყოფა ხდება ეპოქების მიხედვით და ყოველ ეპოქას თავისი დამახასიათებელი ნიშნები აქვს.

მხატვრული ლიტერატურა რომში წარმოიშვა შედარებით გვიან. რომი უკვე ჩამოყალიბებული ქალაქ-სახელმწიფო იყო, რომელიც აკონტროლებდა თითქმის მთელ იტალიას, ხოლო ლიტერატურა კი როგორც ასეთი, ჯერ კიდევ, ჩანასახოვან სტადიაზე იყო. ფართოდ გავრცელებული იყო ფოლკლორი, მითები და ლეგენდები, ასევე რიტუალური ჰიმნები, მაგრამ ლიტერატურა თანამედროვე გაგებით არ არსებობდა. ლიტერატურის განვითარების ასეთ სურათზე ალბათ იმან იმოქმედა, რომ ბერძნულ გავლენამდე, რომაელები განიცდიდნენ ეტრუსკული კულტურის გავლენას, ხოლო ამ უკანასკნელებს უმეტესად რელიგიური დანიშნულების მწერლობა ჰქონდათ და არა მხატვრული ლიტერატურა. შესაბამისად რომშიც მწერლობა რელიგიას ემსახურებოდა. რომაული პოეზიის უძველესი ძეგლებიც სწორად რელიგიური ჰიმნებია. ტიტუს ლივიუსისგან ვიცით თუ რა სახით შემოვიდა ეტრუსკებისგან რელიგიური გიმნების სიმღერის ტრადიცია. ეს ძვ. წ. 364 წელს მოხდა, ეპიდემიის დროს ღმერთების გულის მოსაგებად რომაელებმა ეტრუსკი მომღერლები მოიწვიეს გიმნების შესასრულებლად. რომაული ფოლკლორი როგორც ავღნიშნეთ ძალიან მდიდარია. რომაელი ისტორიკოსები გადმოგვცემენ ქალაქის ისტორიას სავარაუდო დაარსების თარიღიდან ძვ. წ. 753 წლიდან საკმაოდ ზუსტად და დაწვრილებით, თუმცა ისინიც საკმაოდ კრიტიკულად აფასებენ ამ დაარსების სესახებ არსებულ გადმოცემებს. ლივიუსი გვამცნობს რომ ძვ. წ. 390 წელს რომი <u>გალებმა</u> აიღეს გა გადაწვეს, ამიტომ მანამდე მომხდარი მოვლენები არა დოკუმენტურად არამედ გადმოცემების სახით უფრო შემორჩა.

პირველ რომაელ მწერალად მიიჩნევენ აპიუს კლავდიუს ბრმას, რომელიც ძვ. წ. IV - III საუკუნეების პოლიტიკური მოღ-

ვაწე იყო. მან შექმნა სენტენციების კრებული, რომელმაც ძალიან მწირად მოაღწია ჩვენამდე, ჩაატარა ორთოგრაფიის რეფორმა, დაწერა იურიდიული ტრაქტატები და ერთი სამხედრო პოლიტიკური სიტყვა პიროსის წინააღმდეგ. მხატვრული ლიტერატურა რომში წარმოიშვა შედარებით გვიან. რომი უკვე ჩამოყალიბებული ქალაქ-სახელმწიფო იყო, რომელიც აკონტროლებდა თითქმის მთელ იტალიას, ხოლო ლიტერატურა კი როგორც ასეთი ჯერ ჩანასახოვან სტადიაზე იყო. ფართოდ გავრცელებული იყო ფოლკლორი, მითები და ლეგენდები, ასევე რიტუალური ჰიმნები, მაგრამ ლიტერატურა თანამედროვე გაგებით არ არსებობდა. ლიტერატურის განვითარების ასეთ სურათზე ალბათ იმან იმოქმედა, რომ ბერძნულ გავლენამდე რომაელები განიცდიდნენ ეტრუსკული კულტურის გავლენას, ხოლო ამ უკანასკნელებს უმეტესად რელიგიური დანიშნულების მწერლობა ჰქონდათ და არა მხატვრული ლიტერატურა. შესაბამისად რომშიც მწერლობა რელიგიას ემსახურებოდა. რომაული პოეზიის უძველესი ძეგლებიც სწორად რელიგიური ჰიმნებია. ტიტუს ლივიუსისგან ვიცით თუ რა სახით შემოვიდა ეტრუსკებისგან რელიგიური ჰიმნების სიმღერის ტრადიცია. ეს ძვ. წ. 364 წელს მოხდა, ეპიდემიის დროს ღმერთების გულის მოსაგებად რომაელებმა ეტრუსკი მომღერლები მოიწვიეს ჰიმნების შესასრულებლად. რომაული ფოლკლორი როგორც ავღნიშნეთ ძალიან მდიდარია. რომაელი ისტორიკოსები გადმოგვცემენ ქალაქის ისტორიას სავარაუდო დაარსების თარიღიდან ძვ. წ. 753 წლიდან საკმაოდ ზუსტად და დაწვრილებით, თუმცა ისინიც საკმაოდ კრიტიკულად აფასებენ ამ დაარსების სესახებ არსებულ გადმოცემებს. ლივიუსი გვამცნობს რომ ძვ. წ. 390 წელს რომი გალებმა აიღეს გადაწვეს, ამიტომ მანამდე მომხდარი მოვლენები არა დოკუმენტურად არამედ გადმოცემების სახით უფრო შემორჩა.

III საუკუნის შუა პერიოდისთვის ეტრურიამ დაკარგა თავისი პოლიტიკური და კულტურული მნიშვნელობა, მათი გავლენა კი ბერძნულმა გავლენამ ჩაანაცვლა. თუ მანამდე განათლებულმა რომაელებმა მშობლიური ლათინურის გარდა იცოდნენ ეტრუსკული ენა, ახლა უკვე ბერძნულს სწავლობდნენ. ამან გამოიწვია რომაელების მიერ ბერძნული ლიტერატურის გაცნობა, რომელიც უკვე ჩამოყალიბებული იყო.რომში ბერძნული ლიტერატურის პოპულარიზაციაში დიდი როლი ითამაშა ლივიუს ანდრონიკუსმა, რომელიც ტყვედ იყო ჩამოყვანილი რომში. იგი ასწავლიდა ბერძნულ და ლათინურ ენებს. მან პირველად თარგმნა ჰომეროსის პოემა ოდისეა ლათინურად. ამის გარდა იგი თეატრისთვის წერდა და თარგმნიდა პიესებს. მიუხედავად იმისა რომ მის ლათინურს საკმაოდ ცუდად აფასებდნენ, მან მოახდინა რომის კულტურაში ნამდვილი რევოლუცია.

რესპუბლიკური რომის არსებობის ისტორიაში მნიშვნელოვანი იყო ძმები გაიუს და ტიბერიუს გრაკხუსების მოღვაწეობა, რომლებიც იყვნენ შეუდარებელი ორატორები; თავიანთი ორატორული ნიჭი მათ მამისგან–სახალხო ტრიბუნის, ტიბერიუს სემპრონიუს გრაკხუსისაგან გამოჰყვათ, რომელიც სციპიონთა დაუძინებელ მტრად იყო მიჩნეული, მისი შვილებიც ტრიბუნები გახდნენ და ისინი არამხოლოდ მგზნებარე სიტყვებით, არამედ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლით ემსახურებოდნენ რომაელი ხალხის სასიცოცხლო ინტერესთა დაცვას. ისინი ცნობილნი არიან, როგორც დიდი რეფორმატორები, რომელთაც თავიანთი რეფორმით სცადეს გადაეჭრათ კრიზისი, რაც შედეგად მოჰყვა რომის მსოფლიო სახელმწიფოს წარმოქმნას. გრაკხუსები დახასიათებული არიან, როგორც იულიუს კეისრის წინამორბედები. საბოლოოდ, ისინი დაიღუპენ საერთო სახალხო საქმისთვის თავგანწირულ ომში, თუმცა მთელ ეპოქას დაატყვეს თავიანთი ომახიანი და შთამაგო-

ნებელი სიტყვის შთამბეჭდავი კვალი.[1]

რომაული რიტორიკის განვითარებაში უდიდესი წვლილი შეიტანა მარკუს ფაბიუს კვინტილიანემ, რომელიც იყო არა მარტო ბრწყინვალე ორატორი, არამედ კლასიკური რიტორიკის არაჩვეულებრივი პედაგოგიც. მისი ავტორობით სეიქმნა ანტიკური პერიოდის უიშვიათესი ორატორული ხელოვნების სახელმძღვანელო წიგნი, რომლის სათაურია– „ორატორის მოძღვრება“, რომელიც ისწავლებოდა ანტიკური პერიოდის სკოლებში. კვინტილიანე გახლდათ არა მარტო მაღალი რომაული არისტოკრატიის დახვეწილი გემოვნების გამომხატველი, არამედ ლიტერატურული სტილის უბადლო რეფორმატორი და მეცნიერი, რომელიც მუშაობდა ლათინური ენის ეტიმოლოგიურ პრობლემებზე.

რესპუბლიკური რომის წყობილების დანგრევისა და მსოფლიო იმპერიის ჩამოყალიბების შემდეგ, სიტყვის თავისუფლების მოსპობისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების შებოჭვის გამო, ორატორულმა ხელოვნებამ დაკარგა თავისი უწინდებური მნიშვნელობა. რომის იმპერიის ეპოქაში მას რიტორიკა ჩაენაცვლა, რომელიც მხოლოდ სასამართლოებში გამოიყენებოდა. რიტორიკას არ გააჩნდა მნიშვნელოვანი შინაარსობრივი დატვირთვა, მთავარი აქცენტი კეთდებოდა გარეგნულ ეფექტებზე. დეკლამაციური რიტორიკის წარმომადგენელი იყო ლუციუს ანეუს სენეკაც, რომლის ტრაგედიებმაც მოაღწია ჩვენამდე. ტრაგედიების გარდა, იგი წერდა ფილოსოფიურ და პოეტურ და პოლიტიკურ ნაწარმოებებს. სენეკას დროს, არისტოკრატია სრულიად ემორჩილებოდა იმპერატორს და ოპოზიციური აზრი სასტიკად ისჯებოდა, ამიტომ ლიტერატურა არ ისახავდა მიზნად აშკარად გამოეხატა ხალხის დამოკიდებულება არსებული სიტუაციისადმი, არამედ ზოგადად ეთიკურ საკითხებზე იყო მიმართული. შეიქმნა ახალი

1 გრანი ქანთარია, რედაქტორი: ლ. სანიკიძე/ ძმები გრაკხუსები. თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა , 1990. 262-266 გვ.

რიტორიკურ დეკლამაციური სტილი, რომელმაც შეცვალა ძველი ციცერონისეული სტილი. სენეკას ლიტერატურული მემკვიდრეობა შედგება ფილოსოფიური და პოეტური ნაწაროებებისგან. ფილოსოფიურებს მიეკუთვნება: 1. ეპისტოლეები 2. ტრაქტატები დიალოგები ეთიკაზე ("სიბრაზეზე", "სიცოცხლის ხანმოკლეობაზე", "სიკეთეზე", "ბრძენის სიმტკიცეზე", "ბედნიერ ცხოვრებაზე", "თავისუფალ დროზე", "სულიერ სიმშვიდეზე" და ა.შ.). პოეტურ ნაწარმოებებს კი მიეკუთხვნება სატირიკონი მოკლულ იმპერატორ კლავდიუსზე და 10 ტრაგედია: "გაგიჟებული ჰერკულესი", "ტროელი ქალები", "ფინიკიელი ქალები", "მედეა", "ფედრა", "ოიდიპოსი", "აგამემნონი", "ტიესტი", "ჰერკულესი ეტაზე" და "ოქტავია".

კლასიკური რომაული კულტურა და ორატორული მჭევრმეტყველების ისტორია სრულიად წარმოუდგენელია ციცერონის გარეშე. მარკუს ტულიუს ციცერონი, ადრეული ახალგაზრდობიდანვე, რომში სწავლობდა რიტორიკას, რომაულ სამართალს, პოეზიას და ფილოსოფიას. მან შექმნა ძალიან საინტერესო ფილოსოფიური ტრაქტატები, რომლებიც სტოიციზმის, სკეპტიციზმისა და ეპიკურეიზმის საინტერესო ეკლექტიკურ ნაზავს წარმოადგენდა, ის ამასთანავე იყო უდიდესი პოლიტიკური მოღვაწეც, რომელიც იმდროინდელი რომის პოლიტიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენდა. მისი მასწავლებლები იყვნენ გამოჩენილი ბერძენი ორატორები და ფილოსოფოსები. დიდი ორატორული ნიჭით დაჯილდოებულმა ციცერონმა ახალგაზრდობაშივე შექმნა და შემდგომში განავითარა საორატორო ხელოვნების საკუთარი თეორია. თავად იულიუს კეისარი - უნიჭიერესი ორატორი და ციცერონის პოლიტიკური მოწინააღმდეგე აღიარებდა ციცერონის სიტყვის იშვიათ მრავალფეროვნებას. ციცერონი იხილავდა ისეთ საკვანძო საკითხებს, რაც დღესაც დგას ჩვენ წინაშე. ესაა მართლმეტყველებისა და მჭევრმეტყველების ურთიერთმიმართების

პრობლემა, რომელზედაც ის წერს: „...რაც შეეხება... ენის სიწმინდეს და მკაფიობას, ვფიქრობ, არავინ მოელის მათი აუცილებლობის დასაბუთებას. ჩვენ ხომ არ ვაპირებთ შევასწავლოთ ორატორული მეტყველება იმას, ვისაც საერთოდ არ იცის ლაპარაკი; და არც უნდა გვქონდეს იმის იმედი, რომ ის, ვინც არ იცის წმინდა ლათინური ენა, ილაპარაკებს მოხდენილად, და უფრო ნაკლებად, რასაკვირველია, იმის იმედი, რომ ის, ვისაც არ შეუძლია გასაგებად ლაპარაკი, ილაპარაკებს ისე, რომ აღტაცებას გამოიწვევს".[1]

რომაული რიტორიკის, ლიტერატურისა და საერთოდ კულტურის ისტორიას, გაკვრითაც ვერ შევეხებით ისე, რომ განსაკუთრებულად არ მოვიხსენიოთ, უდიდესი ფილოსოფოსი და რომის ბრწყინვალე იმპერატორი, მარკუს ავრელიუსი, რომელსაც თამამად შეგვიძლია ვუწოდოთ სტოიკური ფილოსოფიის–სტოიციზმის მწვერვალი. მართალია, არსებობდა გარკვეული წინააღმდეგობა, ფილოსოფიურ ჰუმანისტურ მრწამსსა და ჰეგემონის მოვალეობას შორის, თუმცა მისი ძლევამოსილი იმპერიის საჭეთმპყრობლობა და იშვიათი ფილოსოფიური სიბრძნე ნათლად ცხადყოფდა და განამტკიცებდა პლატონური პოლიტიკური ფილოსოფიის უმთავრესი თეზისის ჭეშმარიტებას_ფილოსოფოსთა მეფობისა და მეფეთა ფილოსოფოსობის შესახებ, როგორც სახელმწიფოებრივი მმართველობის ყველაზე გამართლებულ ფორმას. ამიტომაც მარკუს ავრელიუსის მმართველობის დასასრული, ისტორიის ცნობილ მკვლევართა მიერ რეალურად განიხილება ანტიკურობის დიდების დასასრულად, რაც ერთნაირად ვრცელდება, როგორც სახელმწიფო-პოლიტიკურ სისტემაზე, ასევე კულტურასა და აზროვნებაზე, საერთოდ. მაშინდელი მრავალი გამოჩენილი და სწორუპოვარი მოღვაწე, ფილოსოფოსი ღებულობდა მის აღზრდასა და განსწავლულობაში მონაწილეობას, ამასთან, ჰომე-

1 http://www.iep.utm.edu/cicero/

როსის, ჰესიოდეს, პინდარეს, თეოგნიდეს, პლატონის, არისტოტელეს, ემპედოკლეს, ჰერაკლიტეს, ესქილეს, სოფოკლეს, აგათონის, ევრიპიდეს, არისტოფანეს, პლავტეს, ვერგილიუსის, ჰორაციუსის, სენეკასა და ეპიკტეტის უკვდავ ნაწარმოებებს დაწაფებული, ყველაზე მეტად მაინც, თავს დავალებულად განიცდიდა მისი მამობილი იმპერატორისგან, ანტონიუს პიუსისგან, რომელმაც მას ჩაუნერგა უმაღლესი მორალური და პოლიტიკური მრწამსი; ეს ის ანტონიუს პიუსია, ვისი ბრძანებითაც, იბერიის მეფეს, ცხენზე ამხედრებულ ფარსმან ქველს, რომის კაპიტოლიუმში დაუდგეს ძეგლი, რაც იყო ის ერთადერთი გამონაკლისი პატივი და აღიარება, რომლის მსგავსიც, მანამდე არც ერთ ბარბაროს მმართველს არ ღირსებია. ამიტომაც ის არასოდეს ბოროტად არ მოკიდებია ძალაუფლებას და მისი მმართველობის წლები ოქროს ასოებით ჩაიწერა მსოფლიოს პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი მართვა-გამგეობის ისტორიაში. ამ პერიოდს უკავშირდება აგრეთვე რომის სამართლის ჩამოყალიბებაც, რაშიც ლომის წილი ედო ამ გენიალურ პიროვნებას, ვისი უშუალო ინიციატივთაც, კანონით აღკვეთილ იქნა მონობის მიმართ არაადამიანური სისასტიკის ჩადენა, მონების მოკვლა, ამიერიდან დანაშაულად ცხადდებოდა, ასევე მათი წამება და დასახიჩრებაც. მონას ენიჭებოდა აქამდე არნახული უპრეცენდენტო უფლება სასამართლოს წინაშე წარსდგომისა, ის გახდა სახელმწიფოს წევრი, ძალაში შევიდა, სადავო საკითხების გარჩევისას, კანონის ინტერპრეტაცია, მისი განთავისუფლების სასარგებლოდ.[1]მარკუს ავრელიუსი, როგორც სწორუპოვარი სტოელი, მთლიანად იზიარებდა ამ გრანდიოზული ფილოსოფიური სკოლის ეთიკური ჰუმანიზმის კრედოს, რომლის თანახმად, მისმა დიდმა წინამორბედმა, სენეკამ დამაჯერებლად და ხატოვნად შეაფასა მონის მდგომარეობა–„ის ვისაც შენ მონას უწოდებ,

1 იხ. მარკუს ავრელიუსი., ფიქრები. /წინასიტყვაობა, რომელიც დაურთო ბაჩანა ბრეგვაძემ/გამომცემლობა CARPE DIEM 2008. 26-27გვ.

შენივე მშობელი თესლისგან (ex iisdem seminibus) იღებს დასაბამს. ის შენთან ერთად ცხოვრობს ერთი და იგივე ცის ქვეშ და ერთი და იგივე ჰაერით სუნთქავს...და შენ ისევე შეგიძლია თავისუფალ კაცად თვლიდე მას, როგორც მას შეუძლია მონად გთვლიდეს შენ...ჩვენ მათ მონებს ვეძახით, მაგრამ ისინიც კაცნი არიან; ჩვენ მათ მონებად ვთვლით, მაგრამ ისინიც ჩვენი თანამოზიარენი (contubernales) არიან; ხოლო თუ დაუფიქრდები იმას, რომ ყველას თანაბრად გვათამაშებს ბედისწერა, შენ ნახავ, რომ ისინიც ჩვენი მონობისმიერი თანამოძმენი (conservi) არიან."[1]

მარკუს ავრელიუსი გამოირჩეოდა ჰუმანისტური, ტოლერანტული და კოსმოპოლიტური შეხედულებებით, მან ერთნმაირად მნიშვნელოვანი სამსახური გაუწია, ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული მსოფლმხედველობრივი ხასიათისა და მიმართულების ფილოსოფიური სკოლების პოპულარიზაციას, თვით ეპიკურეიზმის ჩათვლით, რომელსაც თვითონ დიამეტრულად ეწინააღმდეგებოდა, თუმცა ამ ფონზე ყველაზე მეტად გასაოცარია ის, რომ ეს უდიდესი მოღვაწე ისტორიაში შევიდა, არა მარტო თავისი კეთილშობილური ღვაწლითა და დამსახურებით, არამედ ქრისტიანული რელიგიის მიმართ უკომპრომისო დაპირისპირებით და ქრისტიანთა დაუდგრომელი დევნით.[2]მართალია, მისი სახელოვანი ბიოგრაფიის აღნიშნული ეპიზოდი სერიოზულ ჩრდილს აყენებს ამ ბუმბერაზი პიროვნების მოღვაწეობას, თუმცა, საბოლოო ანგარიშით, მან შექმნა მთელი ეპოქა სახელმწიფოებრივ -პოლიტიკური საქმიანობის, შთამბეჭდავი რიტორიკული ნიმუშებისა და ფილოსოფიური აზროვნების მემკვიდრეობის სახით.

1 იქვე.

2 Paul Keresztes: War Marc Aurel ein Christenverfolger?. In: Richard Klein (Hrsg.): Marc Aurel. Wiss. Buchges., Darmstadt 1979,. 261–303 pp.

§4. შუა საუკუნეების დროინდელი რიტორიკა

შუა საუკუნეები–ათასწლოვანი პერიოდია ევროპული აზროვნების კულტურის ისტორიაში, ანტიკურობასა და აღორძინებას შორის. აღნიშნული სახელწოდება გამოიყენეს აღორძინების პერიოდის მოაზროვნეებმა, რომლებიც თვლიდნენ, რომ რომის იმპერიის დაცემის შემდეგ დამკვიდრდა ადამიანური შემოქმედების კულტურული ჩახშობის ხანა. თუმცა მათ საპირისპიროდ, სხვები მიიჩნევენ, რომ პირიქით, ეს გახლავთ ქრისტიანული სარწმუნოების განმტკიცებისა და ზეობის ხანა, რომელმაც შექმნა ადამიანი, როგორც მორალურ-სოციალური უფლებების მქონე პიროვნება და აღჭურვა ის საკუთარი ცხოვრებისა და საქმიანობის მიმართ პერსონალური პასუხისმგებლობით. შეიძლება ითქვას, რომ ქრისტიანობაზეა დაფუძნებული მთელი ევროპული კულტურა და ცივილიზაცია, ადამიანიც, შესაბამისად, როგორი ქონებრივი ცენზისა და სოციალური ფენის წარმომადგენელიც არ უნდა ყოფილიყო, პირველ ყოვლისა, იყო ქრისტიანი, მაგრამ შუასაუკუნეების ადამიანი, გარკვეულწილად მაინც, წარმართი იყო. ქრისტიანული და ბარბაროსული წარმოდგენები ერთმანეთში იყო გადახლართული, ამიტომაც ეკლესია ცდილობდა ერთმნიშვნელოვანი ავტორიტეტი და გავლენა მოეპოვებინა მთელ მოსახლეობაში, რისთვისაც არ იშურებდა არავითარი სახის საშუალების გამოყენებას.[1] პირველ ყოვლისა, ამ პერიოდში, ვრცელდება რელიგიური მქადაგებლობა, რომელიც მანამდე უცხო იყო ანტიკურობისთვის, ამიტომაც ამ ეპოქაში, რელიგიური მქადაგებელი წარმოგვიდგება ტიპიურ ორატორად, ხოლო მის მიერ წარმოებული რიტორიკა–ღვთისმეტყველების მსახურად.

სასულიერო მჭევრმეტყველების ოქროს საუკუნედ ითვლება მე-

1 Риторика. Курс лекций / Под ред. Л.А. Муриной. - Мн., 2002.

ოთხე საუკუნე, როდესაც ქრისტიანობა მოგვევლინა რომის იმპერიის სახელმწიფო რელიგიად. მართალია, დასაწყისში, დიოკლეტიანეს მმართველობის დროს, ქრისტიანთა დევნის ოთხი ბრძანებულება იქნა გამოცემული, თუმცა მოგვიანებით, იმპერატორმა გალერიუსმა შეარბილა ახალ რელიგიასთან დამოკიდებულება. იმპერატორ კონსტანტინეს დროს კი, ეკლესიამ სახელმწიფოს უმაღლესი მფარველის უფლებამოსილება მოიპოვა, რამაც წარმოქმნა სჯულისსწავლების ძირითადი პრინციპების ჩამოყალიბების აუცილებლობა, ამ მიზნით ხდებოდა რელიგიური დისპუტების ღონისძიებათა სისტემატური ორგანიზება, სადაც ქრისტიანი ორატორები ვალდებულნი იყვნენ დაესაბუთებინათ ახალი რწმენის ჭესმარიტება, რათა საბოლოოდ შეერყიათ და გაეცამტვერებინათ წარმართული რელიგიის ავტორიტეტი. აქვე ისიც აღსანიშნავია, რომ საღვთისმეტყველო კამათისას ხშირად წამოიჭრებოდა აზრთა სხვადასხვაობა თვით ქრისტიან მქადაგებელთა შორის, რისი ძირითადი მიზეზი გახლდათ, ტრადიციული ქრისტიანობის დაპირისპირება სხვადასხვა სახის ერესთან მიმართებაში. ამავე საუკუნეში ყველაზე პრინციპული პოლემიკა გაჩაღდა ნიკეას მსოფლიოს კრების (325 წ. საბერძნეთის ქალაქ ნიკეოსში ჩატარდა ქრისტიან ეპისკოპოსთა მსოფლიო კრება) მომხრე ეპისკოპოსებსა და არიოზ ეპისკოპოსის მიმდევრებს შორის. დაპირისპირების საფუძველი გახდა უმთავრესი რელიგიური დოგმატის შესახებ არაერთგვაროვანი დამოკიდებულება, რომელიც მდგომარეობდა მამა-ღმერთისა და ძე-ღმერთის ერთიანობა-განუყოფლობის აღიარებაში. ნიკეას კრების მომხრენი იზიარებდნენ ერთიანობის იდეას, არიანელები კი უარყოფდნენ მას. აღნიშნულმა უთანხმოებამ ისეთი ვრცელი მასშტაბები მიიღო, რომ მან მოიცვა იმპერიის მთავარი ქალაქების მოედნები, ბაზრები და ქუჩები; თვით საერო ხელისუფლებიც მონაწილეობდნენ ამ დავაში, რომლებიც ან ერთ მხარეზე იდგნენ, ან მეორეზე და მთელი ორი საუკუნის მანძილზე

გრძელდებოდა ეს დაპირისპირება, რომელიც ბოლოსდაბოლოს, დამთავრდა არიანელთა დამარცხებით, თუმცა ზემოხსენებულმა წინააღმდეგობებმა მნიშვნელოვანწილად განაპირობეს აღმოსავლური და დასავლური ქრისტიანობის ურთიერთგათიშვის იდეოლოგიური და პოლიტიკური წანამძღვრები. დასავლური და აღმოსავლური ქრისტიანობის შინაგანმა წინააღმდეგობის გამწვავებამ შეუქცევადი ხასიათი მიიღო მეხუთე საუკუნიდან, როდესაც რომის პაპებმა პრეტენზია განაცხადეს მსოფლიო ქრისტიანობის ერთპიროვნულ გამგებლობაზე, რასაც პრინციპულად დაუპირისპირდნენ, ბიზანტიის იმპერიაში მოღვაწე, აღმოსავლური ეკლესიების საჭეთმპყრობელი პატრიარქები.

დასავლური ქრისტიანობის უდიდეს ავტორიტეტად მოიხსენიება ნეტარი ავგუსტინე (ავრელიუს ავგუსტინე 354-430 წწ. დაბ. ჩრდილოეთ აფრიკის ქალაქ ტაგასტში). რომელიც სხვადასხვა სამეცნიერო დისციპლინებთან ერთად, განსაკუთრებულად იყო განსწავლული რიტორიკაში, სწორედ რიტორიკული მჭევრმეტყველების დამსახურებით გახდა შესაძლებელი მისი აქტიური საქმიანობა ფართო საზოგადოებრივი მოღვაწეობის ასპარეზზე; ის ასევე წარმატებით გამოდიოდა სასამართლო პროცესებზეც, სადაც მისივე გადმოცემით, მოხერხებულად და სარფიანად ვაჭრობდა „ლამაზი ტყუილებითა“ და „მომგებიანი ლაზღანდარობით“. აფრიკის რომაულ ქალაქ კართაგენში, მან თავისი მჭევრმეტყველებით, იმდენად გაითქვა სახელი, რომ მონაწილეობას ღებულობდა დრამატული პოეზიის შეჯიბრებაშიც, თუმცა მისი ორატორული ხელოვნების ძირითად ასპარეზად მაინც ის ხალხმრავალი ფორუმები რჩებოდა, რომელზეც მოგვიანებით, იგი თავის ცნობილ „აღსარებანში“ იგონებდა, რომ რაც უფრო მეტ ხელოვნებით კაზმავდა საკუთარ ტყუილებს, მით უფრო მეტ ქება-დიდებას იხვეჭდა მსმენელთაგან. რამდენიმე ხნის შემდეგ ის მიემგზავრება იტალიაში, სადაც აგრძელებს რიტორიკის სწავლებას, ამ პერიოდში

ის თავდაპირველად წევრიანდება მანიქეველთა საზოგადოებაში, შემდეგ ხდება ნეოპლატონიკოსი, საბოლოოდ კი, ეპისკოპოს ამბროსი მედიოლანელის ზეგავლენით, ქრისტიანულად ინათლება და სიცოცხლის ბოლომდე რჩება აღნიშნული მრწამსის ერთგული. ქრისტიანულ რელიგიასთან შეხება მას სიჭაბუკეშიც ჰქონდა, როდესაც გაეცნო ბიბლიას, თუმცა იმჟამინდელი რიტორიკული ქედმაღლობის პოზიციიდან ის მეტად უფერულად აღიქვა, როგორც ჭეშმარიტების წვდომისა და გადმოცემის ნაკლებად ეფექტური შესაძლებლობა. გაქრისტიანების შემდეგ ეს წარმოდგენა ძირფესვიანად შეცვალა წმინდა წერილისთვის ნიშანდობლივი, დაუმუშავებელი და უბრალო ენით გადმოცემული, საღვთო ჭეშმარიტების უალტერნატივო პრინციპმა, რომელიც ბიბლიას განიხილავს არა მხოლოდ სასულიერო და და საერო ცოდნის, არამედ, გარკვეულწილად, რიტორიკული გამოცდილების მიღების ერთადერთ სანდო წყაროდ. ჩრდილოეთ აფრიკაში დაბრუნებისთანავე ის შეუდგა აქტიური ქრისტიანული ცხოვრების წესის დამკვიდრებას და მთელი თავისი დაუშრეტელი ძალისხმევა მოახმარა აღნიშნული სარწმუნოების განმტკიცებისა და მისი ერესებისაგან დაცვის მისიის თანმიმდევრულ განხორციელებას. მოგვიანებით ის აკურთხეს ეპისკოპოსად, რამაც მას საშუალება მისცა კიდევ უფრო განევრცო და გაეძლიერებინა ქრისტიანული რელიგიის ავტორიტეტი.

ნეტარი ავგუსტინე საკუთარი ორთოდოქსული გაგების მიუხედავად, მაინც გარკვეულ სიმპათიებს ამჟღავნებდა წარმართული სიბრძნის მიმართ, რომელიც მან ახალგაზრდობაშივე აითვისა, მდიდარი ანტიკური ფილოსოფიური მემკვიდრეობის სახით. სხვადასხვა თეოლოგიურ ავტორიტეტებთან ერთად, ნეტარი ავგუსტინეს დიდი დამსახურებაა, ის რომ ქრისტიანული რწმენის განსამტკიცებლად ის აუცილებლობად მიიჩნევდა ანტიკური

ლიტერატურის, გრამატიკის, დიალექტიკის, ლოგიკისა და რიტორიკის ცოდნას, რომელიც მომდინარეობდა პლატონის, არისტოტელეს, მათი წინამორბედი, თუ შემდგომი ავტორებისგან, ყურადღებას იქცევს ის ფაქტიც, რომ მათ შორის მოხსენიებულია ციცერონიც, როგორც დიდი და სწორუპოვარი ორატორი. მათგან მომდინარე გამოცდილება და სიბრძნე კი არ გვაშორებს წმინდა წერილისგან, არამედ გვაახლოებს მასთან. ამდენად, მისი თვალთახედვით, რიტორიკის მიზანი განისაზღვრება ჭეშმარიტების შეცნობადობით, თეოცენტრიზმის დედაარსის მისაწვდომად. ამით ნეტარმა ავგუსტინემ განახორციელა ანტიკური კულტურისა და ქრისტიანობის ერთგვარი სინთეზი, რის გარეშეც ეს ახალი სარწმუნოება, ვერც ზოგადევროპული და ვერც მსოფლიო რელიგიის დონეზე ვერ ამაღლდებოდა.[1]

რაც შეეხება აღმოსავლეთ საქრისტიანოს რიტორიკის ისტორიას, ისიც ისევე, როგორც დასავლეთში, იწყება IV საუკუნიდან, რომელიც განუყოფლადაა დაკავშირებული აღმოსავლეთ რომის იმპერიის (ბიზანტიის) პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ თავისებურებებთან. ამ პერიოდში აქ ფეხი აიდგეს ისეთმა დიდმა საეკლესიო ავტორიტეტებმა, მართლმადიდებლურ-ქრისტიანული მრწამსის სულიერმა მამებმა და ორატორულ ხელოვნებაში დაოსტატებულმა მოღვაწეებმა, როგორებიც იყვნენ: ბასილი დიდი, იოანე ოქროპირი, გრიგოლ ნაზიანზელი, გრიგოლ ნოსელი და სხვები. ორატორული ხელოვნების განსაკუთრებული აღმავლობა ბიზანტიის იმპერიაში განპირობებული იყო ორი ძირითადი ფაქტორით: პირველ რიგში, ეს იყო წარმართულ და ქრისტიანულ მსოფლმხედველობათა დაპირისპირების კულმინაცია, როდესაც ქრისტიანობის პოზიციები თანდათან ძლიერდება, ის იმარჯვებს წარმართობაზე და ყალიბდება სახელმწიფოს ოფიცია-

1 Уколова В.И. Античное наследие и культура раннего средневековья (конец V - начала VIII века).М., 1989. Стр.110.

ლურ რელიგიად და იდეოლოგიად, მეორე კი ისაა, რომ საყოველთაო მასშტაბით განათლების დაქვეითებას, შედეგად მოჰყვა ლიტერატურისა და თეატრის აღმზრდელობითი ფუნქციის დაკარგვა, გასაქანი ეძლეოდა ცოცხალ სასაუბრო ურთიერთობებს, რომელშიც ერთვებოდა სულიერ-ემოციურ განწყობილებათა მთელი კომპლექსი, რაც მიმართული იყო მასაში მოქცეული ცალკეული მსმენელისაკენ და უშუალო ზემოქმედების ობიექტად აქცევდა მას. სწორედ ამ თვალსაზრისით, სასულიერო მჭევრმეტყველების აღმოსავლური ფრთის ჩამოყალიბებაში, უმთავრესი როლი ითამაშეს კაპადოკიელმა მამებმა–ბასილი კესარიელმა (330-379წწ.), რომელიც დიდის სახელითაა ცნობილი (სხვადასხვა სარწმუნო წყაროების მონაცემებით, წარმოშობით ის გახლდათ კაპადოკიელი ქართველი), ასევე გრიგოლ ნაზიანზელმა და გრიგოლ ნოსელმა. მათი აქტიური მოღვაწეობის დამსახურებად არის აღქმული ქრისტიანული რელიგიის საბოლოო გამარჯვება წარმართობის მიმართ საუკუნეების მანძილზე წარმოებულ ბრძოლაში, ასევე შიდა რელიგიური დავის გადაწყვეტაც, რომელიც განაპირობებდა დოგმატური საკითხების შემუშავების ინიციატივებს და ქრისტიანული ქადაგების ეპისტოლარული ჟანრის განვითარების თავისებურებებს. მანამდე კაპადოკიას ზედაპირულად აღიქვამდნენ, როგორც ბიზანტიის ნახევრად ველურ, ჩამორჩენილ და ნაკლებ კულტურულ მხარედ, არც მის ადგილობრივ მცხოვრებთა მიმართ ჰქონდათ ჯანსაღი წარმოდგენები, იმის მიუხედავად, რომ მარიამ ღვთისმშობლის მშობლები, წმინდა გიორგი, ანდრია პირველწოდებული, წმინდა ნინო, სწორედ ამ მიწის საოცარი მკვიდრნი იყვნენ. ისიც ცნობილია, რომ პონტო-კაპადოკიის მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს კოლხური, ასირიული და სომხური მოსახლეობა შეადგენდა, რომელთაც უძველესი ცივილიზაციის მემკვიდრეობის სამართლიანი პრეტენზიაც უნდა ჰქონოდათ. IV საუკუნის შემდეგ მდგომარეობა კაპადოკიაში რადიკალურად

იცვლება, რაც განისაზღვრება ამ რეგიონის ქალაქებში ქრისტიანული საგანმანათლებლო ელიტის მნიშვნელოვანი კონცენტრაციით, ამდენად მისი აყვავებისა და ბრწყინვალების ხანა განუხრელ კავშირშია ქრისტიანული რელიგიის საყოველთაო გავრცელებასთან. ბასილი დიდი იყო ეპოქალური მოღვაწე, რომელმაც უზრუნველყო მართლმადიდებლური კონფესიის ტრიუმფალური გამარჯვება მთელი ბიზანტიის იმპერიის ტერიტორიაზე, რომელიც უზარმაზარ ტერიტორიებზე იყო განვრცობილი.[1] იგი, ნეტარი ავგუსტინეს მსგავსად, ფლობდა ორატორული ხელოვნების მრავალფეროვან დარგობრივ მიმართულებებს, რამაც მას დიდი სახელი და აღიარება მოუტანა ფართო საზოგადოებრივი საქმიანობის ასპარეზზე. რიტორიკული გამოცდილება მას გენეტიკურად მოსდგამდა საკუთარი წინაპრებისგან, განსაკუთრებით აღსანიშნავია, მამამისის რიტორიკული ღვაწლი, რომელსაც უკვალოდ არ ჩაუვლია და გამოხატულება ჰპოვა განახლებული ეპოქალური იდეოლოგიის დამკვიდრებაში. მან თავისი მოწიფული და ზრდასრული ცხოვრების უმეტესი ნაწილი განვლო ასკეტიზმისა და ქრისტიანული ღვთისმეტყველების უანგარო სამსახურში, რასაც წინ უძღოდა ღრმა სულიერი დეფორმაციები და კრიზისი, რამაც ის აიძულა ზურგი ექცია საკუთარი მიწიერი ლტოლვებისა და გატაცებებისათვის და შედგომოდა მოწამებრივი ცხოვრების ეკლიანი გოლგოთის ურთულეს აღმართს. მან კაპადოკიაში დაარსა სარწმუნოებრივი საზოგადოებრივი გაერთიანება, რომელიც განთქმული იყო უმაღლესი ზნეობრივი და სარწმუნოებრივი ღირებულებებისადმი ერთგულებითა და თავგამოდებული მზრუნველობით. პალესტინის ქალაქ კესარიაში, მისი ეპისკოპოსად კურთხევის შემდეგ, გაიბრწყინა იშვიათმა პოლიტიკურმა ალღომ,

1 Курбатов Л.Г. Риторика // Культура Византии (IV - первая половина VII в.). М., 1984. Стр.59.

უნარიანმა ორგანიზატორულმა ნიჭმა, კოლოსალურმა შრომისუნარიანობამ და სამეურნეო საქმიანობის გაძღოლის ინიციატივამ. რამდენიმე წლის განმავლობაში მან მოიხვეჭა იმოდენა ავტორიტეტი, რომელიც არ ღირსებია არც ერთ იმდროინდელ მცირეაზიელ ეპისკოპოსს, არსებითად ბასილი კესარიელი გახდა მართმადიდებლობის მამამთავარი აღმოსავლეთ საქრისტიანოში, ამიტომაც დაიმკვიდრა „დიდის“საპატიო წოდება. მან, როგორც სისტემატიზატორმა, მოახდინა ქრისტიანული თხზულებათა განსაზღვრული კლასიფიკაცია–წმინდა წერილის ეკზეგეტური (განსჯითი), კატეხისტიკური (მორალურ-აღმზრდელობითი) და პანეგირისტული (სახოტბო-სადიდებელი) ჟანრების მიხედვით.

ეკზეგეტური თხზულებებში, „ჰექსამერონის“სახელწოდებით, გადმოცემულია ცხრა სასაუბრო, ღვთაებრივი შესაქმის ექვსი დღის შესახებ. რამაც მთელი ევროპის, კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის საქრისტიანოში გაუთქვა მას სახელი, რაც ითვლება ქრისტიანული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების ახალ ეტაპად. ეს არის ნათელი დემონსტრირება იმისა, თუ როგორი საოცარი ნიჭის წყალობით ახერხებს ბასილი დიდი, ერთიანი ქრისტიანული დოქტრინის შემუშავებას, ანტიკური ბუნებისმეტყველური ცოდნის უნიკალური მემკვიდრეობის, ნეოპლატონური იდეისა და არისტოტელეს ტრადიციული თეორიის ბაზაზე დაყრდნობით, რასაც ერთიანად უქვემდებარებს ჭეშმარიტ რელიგიურ რწმენას. აღნიშნულ საუბრებში კარგად იკითხება ბასილი კესარიელის რიტორიკული სტილის უმთავრესი თავისებურებანი: გადმოცემისა და სტილის სისადავე, მასალის დანაწევრება უკეთ გააზრებისა და გაგების მიზნით, მახვილგონივრული ცხოვრებისეული შედარებები, ანტითეზისები, საწინააღმდეგო მსჯელობაზე დაყვანის ლოგიკური მეთოდები და სხვა.

კატეხისტური თხზულების მნიშვნელოვანი ნაწილი (მორალურ-ზნეობრივი ქადაგება) მიძღვნილია ისეთი ადამიანური ვნე-

ბების მხილებისადმი, როგორიცაა: მრისხანება, ეჭვიანობა, მემთვრალეობა და სხვა. აქ სამაგალითოდ ვითარდება ქრისტიანული დამუნათების ტრადიციული თემატიკა, რომელიც აიდეალებს უბრალოებას, თავმდაბლობას, სიმდიდრის უსარგებლობას, მიმტევებლობას, და ა. შ. აღნიშნულ ქადაგებებში სათქმელი ხანდახან უხეშად ჟღერს, თუმცა ნებისმიერი მსმენელისთვის გასაგებ ენაზეა მისაწვდომი. ქადაგების ყურადღების ცენტრში მოქცეულია არა მჭევრმეტყველების გარეგნული სილამაზე, არამედ შინაგანი საზრისი, რომლის წვდომასაც უნდა ეფუძნებოდეს რიტორიკული ხერხებისა და საშუალებების გამოყენება. ის ამის შესახებ მოხდენილად ამბობს: „ხალხის გარკვეულ წყებას შეუძლია შემოიფარგლოს ყვავილების მრავალფეროვანი ფერებისა და სურნელებისადმი ტკბობით, მაშინ როდესაც ფუტკრები მისგან თაფლს აგროვებენ. ასევე ისინიც, ვინც მიდრეკილია გარეგნული სილამაზისა და სიტკბოებისადმი, უძლურია, გამოადნოს იქედან, სულ მცირე რამ, სულისთვის სასარგებლო“.

ბასილი დიდის ქადაგებებში ვლინდება ისეთი ნიშნები და ტენდენციები, რომელიც მკვიდრდება ქრისტიანული რიტორიკისა და ორატორული ხელოვნების ატრიბუტიკად. აქ ავტორის პიროვნება სრულიად უკანა პლანზეა გადატანილი, რაც, მისი აზრით, წარმართული ცნობიერებისთვის ნიშანდობლივი, „ამაო განდიდებისკენ მისწრაფების“ საპირისპირო განწყობილების მაჩვენებელი იყო. ასევე არ მიიჩნევდა მიზანშეწონილად ნატიფი ორატორული ხელოვნების დემონსტრირებასაც, რამდენადაც ძირითადი მიზანი ქადაგებისა იყო არა მსმენელთა ესთეტიკური ტკბობა და მოხიბვლა, არამედ მათთვის აუცილებელი სულიერი საზრდოს მიცემა. ამიტომაც ის მოითხოვდა, რომ მსმენელებს მისთვის პერიოდულად შეეწყვეტინებინათ საუბარი და დაესვათ დამატებითი შეკითხვები, საკითხის უკეთ გაგების მიზნით– „იჯექით ისე, როგორც მოწაფენი და არა ისე, როგორც მოსამართლენი“.

ბასილი დიდის ქადაგებანი დაწერილია ნათელი, ზუსტი და გასაგები ენით. ის წინასწარ ამზადებდა და ამუშავებდა მათ, რათა მნიშვნელოვნად გაემარტივებინა ტექსტები. ბასილი კესარიელის დამსახურებაა აგრეთვე, ქრისტიანული პანეგირიკის ჟანრის ჩამოყალიბებაც, რაც მის ხელში პოეზიის რანგში ამაღლებულად მოგვევლინა. მისი ცნობილი ნაწარმოები, „ორმოცი მოწამის“ შესახებ, ტრიუმფალური ქრისტიანობის სადიდებელ ქორალად იქცა.

სასულიერო რიტორიკის მეორე, არანაკლებ დიდი ფიგურანტი გახლდათ გრიგოლ ნაზიანზელი, ანუ ღვთისმეტყველი (329-390 წწ.), ბასილი დიდის უახლოესი მეგობარი, რომელმაც რიტორიკული განათლება შეიძინა კაპადოკიის, პალესტინის კესარიისა და ალექსანდრიის სკოლებში, შემდეგ მან ეს განათლება კიდევ უფრო სრულჰყო ათენში. ამის მერე დაბრუნდა იგი ნაზიანზში, სადაც გახდა რიტორი. ბასილი დიდისაგან განსხვავებით, ის არ გამოირჩეოდა მაღალი ორგანიზებულობით, დისციპლინირებულობითა და შინაგანი ხასიათის კონცენტრაციით, ამჟღავნებდა მეტ ემოციურობას, თვითცნობიერების სიღრმისეულ რეფლექსიას და ერთგვარ გაორებას, აქტიური და მჭვრეტელობითი ცხოვრების წესის არჩევანთან მიმართებაში. მას მერე, რაც მიიღო საგანგებო ეკლესიური კურთხევა, გახდა კონსტანტინოპოლის მართლმადიდებლური საზოგადოების ხელმძღვანელი. მოგვიანებით, ის აირჩიეს ბიზანტიის სატახტო ქალაქის მთავარ ეპისკოპოსად.

გრიგოლ ნაზიანზელის კალამს ეკუთვნის 45 თხზულება, რომელთა შორის გამორჩეულია ადრეული წლების ნაწერები, რომელიც ცნობილია კონსტანტინოპოლური პანეგირიკული ქადაგებების სახელით. ის არის აგრეთვე ავტორი ხუთი ცნობილი თეოლოგიური თხზულებისა, მართლმადიდებლობის დასაცავად, არიანელთა წინააღმდეგ და იმპერატორ იულიანე განდგომილის საპირისპირო ორი მოხსენებისა. მისთვის დამახასიათებელია ანტიკური ენობრივი ფორმების კონსერვაციისკენ მიდრეკილე-

ბა, მისი საერო პოლემიკაში გამოყენების მიზნით, თუმცა იმასაც აღნიშნავდა, რომ ქადაგებები არ უნდა გადატვირთულიყო მწიგნობართა ენით, ის უფრო უშუალო სასაუბრო ფორმით უნდა წარმოდგენილიყო. მისი ქადაგებანი უმაღლეს ემოციონალურ ეფექტს აღწევდა. განსაკუთრებული მგრძნობელობა და წარმოსახვის იშვიათი უნარი მის ქადაგებას აქცევდა პანეგირიკულად, მიუხედავად მრავალსიტყვაობისა, სულისშემძვრელი ზემოქმედების ძალა მას არ არასოდეს აკლდა. ასეთნაირად გამოირჩეოდა მაგალითად, ბასილი დიდისადმი მიძღვნილი მისი დამკრძალავი სიტყვა, რომელიც გაჟღენთილი გახლდათ ინდივიდუალური მგრძნობელობის ლირიზმით. ასევე გამორჩეული იყო მისი რელიგიური ჰიმნები უნიკალური პოეტურობით, გრიგოლ ნაზიანზელი პროზასაც პოეტური გამომსახველობის მუსიკალური ფორმით გადმოგვცემდა, რითაც ხაზს უსვამდა რელიგიური გრძნობის ინტიმურობასა და პიროვნულობას. სწორედ შინაგანი განცდებით და მგრძნობელობის პოეტიზაციის თვალსაზრისით ფასდება მისი წვლილი ბიზანტიურ ღვთისმეტყველებასა და რიტორიკაში.

„კაპადოკიელი მამების“ მესამე წარმომადგენელი გახლდათ გრიგოლ ნოსელი (335-394). ისიც, წინა ორის მსგავსად, განსწავლულობით გამოირჩეოდა ფილოსოფიურ და რიტორიკულ დისციპლინებში. ბასილი დიდის გავლენით, ის შევიდა საულიერო სასწავლებელში და მრავაწლიანი საეკლესიო მოღვაწეობის შემდეგ, გახდა ეპისკოპოსი. თავდაპირველად ის იყო მჭვრეტელობითი ბუნების მოაზროვნე, კაბინეტური მეცნიერების ყაიდისა, თუმცა, დროთა განმავლობაში, ჩამოყალიბდა თავისი დროის ღვთისმეტყველების ერთერთ ყველაზე გავლენიან მოღვაწედ, რომელიც ფართოდ იყენებდა ბიბლიის თავისუფალი, ალეგორიული განსჯის მეთოდებს. მისი ნაშრომები წარმოადგენს ქრისტიანული რიტორიკის საუკეთესო ნიმუშებს. გრიგოლ ნოსელის სტილი რამდენადმე მძიმეა, თუმცა ის მომეტებულად არ იყენებს ციტატებს,

ძირითადად ამჯობინებს, სათქმელი გადმოსცეს თავისი სიტყვებით. ერთგვარი სადღეგრძელოს სტილით ტექსტის მოქარგვა მას არ უკარგავს გამომსახველობას, სიცხადესა და დამაჯერებლობას.

აღმოსავლური სასულიერო მჭევრმეტყველების მწვერვალად ითვლება „კაპადოკიელ მამათა“ყველაზე უმცროსი თანამედროვე, იოანე ოქროპირი (350-407). რომლის ნაწარმოებებშიც, ანტიკური კულტურული ტრადიციების ქრისტიანულ ეკლესიასთან ორგანულად შერწყმის მისსია ყველაზე თანმიმდევრულად და სრულყოფილად განხორციელდა. რიტორიკაში იონე ოქროპირი განიწაფა სახელგანთქმულ ორატორთან, ლიბანიოსთან, რომელსაც, თავის დროზე, ახლო მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდა იბერიის მეფესთან და ფილოსოფოსთან, ბაკურ იბერიელთან. ლიბანიოსი საოცარი აღფრთოვანებით წერს ქართველი მოაზროვნის შესახებ: „იყო იგი ბუნებრივი ნიჭით დაჯილდოებული, სამართლიანი და ზომიერების მოყვარული“ – წერს ლიბანიოსი. ბაკურ იბერიელისადმი მიწერილ წერილში კი, ის ასე მიმართავს მას: „... ზოგი ადიდებს შენს ზომიერებას და იმას, რომ უფრო მეტად ბრძანებლობ ვნება-სურვილებს, ვიდრე ჯარისკაცებს, სხვა კიდევ აქებს შენს სიბრძნეს, შენს სულს არ მიჰკარებია არავითარი შიში რაიმე საფრთხის წინაშე. მე კი შენ ღირსებათაგან ყველაზე უფრო მნიშვნელოვნად მეჩვენება ის, რომ შენ გიყვარს ლოგოსები და ისინიც, ვინც ლოგოსებს მისდევენ“. ლოგოსებში აქ იგულისხმება რიტორიკული ხელოვნება. არისტანეტესადმი წერილში კი ლიბანიოსი ბაკურ იბერიელზე ამბობს, რომ იგი „სხეულითაც ბრწყინავს და სულიც მას ასეთივე აქვს“.[1]

მცირე ხნით, სწავლის დამთავრების შემდეგ, იოანე ოქროპირი ადვოკატობას ეწეოდა, რაც მისი ბუნების შესაბამის საქმიანობად მიაჩნდა, თუმცა მას შემდეგ, რაც ქრისტიანულად მოინათლა, ან-

1 გოზალიშვილი გ., ქსე, ტ. 2, გვ. 162, თბ., 1977. გვ. 87.

ტიოქიის ეპისკოპოს მელენტის მიერ, შეუდგა ღვთისმეტყველების მსახურებას. ამ პერიოდისთვის ის მიემართება უდაბნოში, სადაც ოთხი წლის განმავლობაში უმძიმეს მარხვასა და გამუდმებულ ლოცვებში ცხოვრობს. ანტიოქიაში დაბრუნებისთანავე, ის ღებულობს დიაკონის თანამდებობაზე მსახურების კურთხევას და ვრცელი აუდიტორიის წინაშე ქადაგებს. მისი კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსად დანიშვნა არაერთგვაროვნად იქნა აღქმული იქაური საზოგადოების მიერ, ვინაიდან იოანე ოქროპირი სასტიკად ილაშქრებდა მდიდარი ფენების წინააღმდეგ და მათ მოუწოდებდა მოკრძალებულად ცხოვრებისკენ, ზომიერებისა და თავშეკავებისკენ: „ვეკითხები მრავალთა მათ, რომელნიც მდიდართა მიმართ გამოთქმული აუგის გამო მკიცხავენ, თუ რატომ არიან ისინი უმოწყალონი და უსამართლონი ღარიბთა მიმართ? მე ბრალს ვდებ არა მდიდრებს საერთოდ, არამედ მტაცებელთ. მდიდარი ხარ?–არ გიშლი, მაგრამ თუ მძარცველი ხარ, მაშინ დასაგმობი ხარ! დანარჩენად, მდიდარია თუ ღარიბი, ერთნაირი შვილია ჩემი.“ იოანე ოქროპირი ასეთივე შეურიგებლობას იჩენდა, იმ დროისთვის ფართოდ გავრცელებული მონობის მიმართ, რასაც ის მიიჩნევდა ძალმომრეობის, ომების, სიძულვილისა და ცოდვების პროდუქტად. მეტად საყურადღებოა ერთი ისეთი შემთხვევა, როდესაც იმპერატრიცა ევდოკიამ, რომელმაც მოისმინა მსგავსი ბრალდება, თავი იგრძნო უკიდურესად შეურაცხყოფილად, რის გამოც, მან საგანგებოდ მოიწვია ტაძრეულთა თათბირი, რომელმაც იოანეს დააკისრა მძიმე სამართლებრივი პასუხისმგებლობა და მიუსაჯა დედაქალაქიდან მოშორებით გადასახლება; თუმცა მალევე, კონსტანტინოპოლში მომხდარმა უძლიერესმა მიწისძვრამ ძალიან შეაძრწუნა ისინი, რამეთუ ეს მოვლენა აღიქვეს ღვთის კანონიერ რისხვად, ღვთისმეტყველის მიმართ ჩადენილი უსამართლობის გამო. მათ დააბრუნეს განდევნილი მოძღვარი დედაქალაქში და პატიება სთხოვეს. ამის შემდეგ მისი დევნა ამით

არ დამთავრებულა–ის ჯერ სომხეთში გადაასახლეს, ხოლო მერე, პიტიუნტში (პიცუნდა), სადაც საბოლოოდ აღესრულა კიდეც. იოანე ოქროპირის გარდაცვალებიდან ოცდაათი წლის შემდეგ, მისმა ავტორიტეტმა და დიდებამ ისეთი დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა, რომ თვით იმპერატრიცას შვილიშვილიც კი, იძულებული შეიქმნა ღვთისმეტყველის ნეშტი, დიდი ზარ-ზეიმით გადაესვენებინა კონსტანტინოპოლის ორმოცი წმინდანის სახელობის ლავრაში.

იოანე ღვთისმეტყველის მჭევრმეტყველების განსაკუთრებულობა და აქტუალობა, წინამორბედ კაპადოკიელ მამებთან შედარებით, გამოიხატებოდა არა მარტო მისი ენის ბრწყინვალეებით, არამედ, უაღრესად დიდი ორატორული ნაყოფიერებით. მას ეკუთვნის დაახლოებით ათასამდე ქადაგება, რაც მისი მრავალრიცხოვნების გამო, სულაც არ გახლდათ ნაუცბათევად შესრულებული, პირიქით, ისინი იმდენად ფილიგრანულად დახვეწილი და დამუშავებული იყვნენ ფორმისა და შინაარსის მიხედვით, რომ ყოველთვის აღტაცებაში მოჰყავს ნებისმიერი ერუდირებული მკითხველი. ერთერთი მიზეზი ამ ქადაგებათა მომნუსხველი შთაბეჭდილებისა, გახლავთ საოცარი ორგანული სინთეზი, ანტიკური რიტორიკის ტრადიციებისა და ქრისტიანული მრწამსისთვის დამახასიათებელი სულისკვეთების. იოანე ოქროპირი უკან არ იხევდა ხატოვანი და მრავალფეროვანი ენამზეობისაგან (რასაც სასულიერო რიტორიკის ტერმინოლოგიით, ატიციზმად მოიხსენიებენ), აღნიშნული ტექსტები ასევე გაჟღენთილი იყო აზიური მგზნებარებითა და დაუდგრომელი მგრძნობელობით. მისი სტილი განასახიერებს ღრმად გააზრებულ ინტონაციებს, გამჭვირვალე და მსუბუქ დებულებებს, გადმოცემის ცხოველმყოფელ მანერას, მორალური დაკვირვების მაგალითის მიმცემ გამოცდილებას და სხვა.

იოანეს მჭევრმეტყველება ხასიათდება უბრალოებისა და სიდი-

ადის ჰარმონიული შეხამებით და შერწყმით, რაც გარდაუვალი იყო საეკლესიო ავტორიტეტისა გავლენის გაძლიერებისათვის. გმირი, სათნო, მგზნებარე სულის „ევანგელიური დახვეწილობა“ აღრმავებდა და ამჭიდროებდა, მსმენელ აუდიტორიასთან გამოვლენილ, ქრისტიანული სიყვარულით განმსჭვალულ სისხლხორცეულ კავშირს. ასეთი უშუალობით და სათუთი მოპყრობით, ბევრი სასოწარკვეთილი დაუშოშმინებია და გულისწყრომას თავმიცემული, ლმობიერად გაუსტუმრებია. მან ერთერთ ამბოხებულ წინამძღოლს, ჰაინას, ასეთნაირად მიმართა: „დიდხანს ვდუმდი, სანამ კვლავ მოვბრუნდებოდი თქვენი სიყვარულით, რამეთუ მე ვარ ყველა თქვენთაგანის მამა, ხოლო მზრუნველობა ჩემი არა მარტო მათ მიმართაა, ვინც მყარად ფეხზე დგას, არამედ დაცემულთა მიმართ, არა მარტო მათი ჭირისუფალი ვარ, ვისაც ზურგის ქარი უადვილებს გზას, არამედ იმათიც, ვისაც აზვირთებული ტალღებისგან უხდება თავის დაღწევა, არა მარტო მათ შემწედ მოვედ, ვინც დაცულია, არამედ იმათიც, ვინც საფრთხეშია.“ასევე სახასიათოა მისი საჯარო მიმართვა, დამხდურთა მიმართ, როდესაც ის მობრუნდა გადასახლებიდან: „ თქვენ ხართ ძმანი ჩემნი, თქვენ ხართ სიცოცხლე და დიდება ჩემი!“ იოანე ოქროპირის დიადი ქადაგებანი არასოდეს არ გაფერმკრთალებულა და არ განელებულა მთელი შუა საუკუნეების ეპოქის მანძიზე, არა მხოლოდ ბიზანტიასა და აღმოსავლეთ საქრისტიანოში, არამედ დასავლეთ ევროპაშიც. ოქროპირის სახელით იოანეს მოიხსენიებდნენ მეექვსე საუკუნიდან. ის ითვლება ამ პერიოდის ყველაზე სახელგანთქმულ ორატორად, რომლის შედარებაც შეიძლება ანტიკური პერიოდის ისეთ ცნობილ ორატორებთან, როგორიცაა დემოსთენე და ციცერონი. მისი ქადაგებანი ჯერ კიდევ მეხუთე საუკუნიდან ითარგმნებოდა ლათინურ, სირიულ, კოპტურ, ქართულ და სომხურ ენებზე. ამგვარად, შუა საუკუნეების სულიერი პროზა, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა მეოთხე საუკუნიდან, უშუალო კავშირშია

„კაპადოკიელ მამათა მოღვაწეობასთან“, რომელთა მიერ დაწყებული მართლმადიდებლური ქრისტიანობის ჩამოყალიბებისა და დამკვიდრების გრანდიოზულმა პროცესმა, დასრულებული სახე მიიღო იოანე ოქროპირის შემოქმედებასა და მოღვაწეობაში. ამიტომ სავსებით ბუნებრივი და სამართლიანია, რომ ის ითვლება აღმოსავლური ქრისტიანული მჭევმეტყველებისა და რიტორიკის მთავარ მესაძირკვლედ.[1]

საქართველოს ისტორიას ახსოვს მეტად ორიგინალური და საინტერესო ორატორული ნომუშები, რომელიც უკავშირდება უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს, რამაც საუკუნეების მანძილზე განსაზღვრა ქართველი ერის ბედ-იღბალი. ისტორიკოსმა აგათია სქოლასტიკოსმა შემოგვინახა აიეტისა და ფარტაზის სიტყვების ტექსტი, რომელიც წარმოთქმულ იქნა 555 წელს, ეგრისის საერთო კრებაზე, ბიზანტიელი სარდლების მარტინეს, ბესასა და რუსტიკეს მიერ ეგრისის მეფე გუბაზ II-ის ვერაგულად მოკვლის გამო. კრებაზე წყდებოდა ქვეყნის პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი. ეგრისის დიდებულთა ერთი ჯგუფი, აიეტის მეთაურობით, მოითხოვდა ბიზანტიასთან კავშირის გაწყვეტას და ირანის მხარეზე გადასვლას; ფარტაზის ჯგუფი კი, ირანთან კავშირის მოწინააღმდეგე იყო, რომელიც საჭიროდ თვლიდა იმპერატორ იუსტინიანე I-ისათვის ეთხოვათ გუბაზის მკვლელთა სიკვდილით დასჯა და გუბაზის უმცროსი ძმის, წათეს დამტკიცება ეგრისის მეფედ. მძაფრი კამათისა და პოლემიკის შემდეგ, ფარტაძის აზრმა გაიმარჯვა და კრებამ გაგზავნა დიდებულთა დეპუტაცია კონსტანტინეპოლში. იუსტინიანე I იძულებული შეიქმნა დაეკმაყოფილებინა ეგრისელთა მოთხოვნა. ისტორიკოსმა აგათია სქოლასტიკოსმა შემოგვინახა ეგრისის საერთო კრებაზე აიეტისა და ფარტაზის სიტყვების ტექსტი.

1 Памятники византийской литературы IV - IX веков. М., 1968. Стр.139.

აიეტის აზრით, გუბაზის მოკვლა მხოლოდ დასაწყისი იყო, რომაელების მიერ მზაკვრული ჩანაფიქრის აღსრულების მიზნით: „გაქრა კოლხების ძველი ღირსება, - დღეიდან ჩვენ სხვებზე ვეღარ ვიბატონებთ ... ჩვენ რომ ეს ბოროტმოქმედება უყურადღებოდ დავტოვოთ, რომაელები უკვე აღარ დაგვეხსნებიან და კიდევ უფრო გაგვაბახებენ ჩვენი უმოქმედობის წყალობით. რა თქმა უნდა რომაელები იმათ უფრო თავხედურად ექცევიან, ვინც ემორჩილება და ჩვეულებრივად ზევიდან ქვევით უყურებენ იმათ, ვინც მათ ემსახურება... მე მინდა, რომ კოლხეთის სამეფოს ჰქონდეს თავისი ძველი დიდება, რომ მას არ სჭირდებოდეს უცხოელების დახმარება გარედან, რომ როგორც ომის, ასევე მშვიდობის დროს ის თავის ძალებს ეყრდნობოდეს. მაგრამ როცა ჩვენ ჟამთა ვითარების გამო, ან ბედის უკუღმართობის წყალობით ან ორივე მიზეზის წყალობით ისე დავუძლურდით, რომ სხვისი ხელქვეითი გავხდით, ისევ სჯობია იმის ხელქვეითი ვიყოთ, ვინც უფრო კეთილისმსურველად მოგვევლინება, ვინც დაურღვევლად დაიცავს კეთილ განწყობილებას, თავისიანებთან და მოკავშირეებთან.“ აღნიშნული პოზიციის საწინააღმდეგოდ, ფარტაძი მოუწოდებდა კრებას, საქვეყნო საქმის გამო დაევიწყებინათ ეს უსიამოვნება და წყენა, რათა ცივი გონების კარნახით საუკეთესო გზა აეირჩიათ: „გუბაზ მეფის მკვლელობა სტრატეგების საქმეა და აქ კეისრი არაფერ შუაშია. რომაელები მაინც უფრო მისაღებნი არიან, რადგან სპარსელები ვერასოდეს ვერ შეეგუებიან, რომ ჩვენ სხვადასხვა სარწმუნოება გვაქვს. სასოწარკვეთილებას და გრძნობების ღელვას კი არ უნდა ავყვეთ და მონებივით კი არ უნდა გავიქცეთ, არამედ უნდა განვიმსჭვალოთ კოლხეთის თავისუფლების სურვილით, ვაჟკაცურად უნდა გადავიტანოთ უბედურება და არ ჩავიდინოთ არავითარი უღირსი და მამაპაპური წესების შემბღალავი საქმე. ჩვენ აუცილებლად უნდა შევატყობინოთ კეისარს, რაც მოხდა და ვნახოთ, რა პასუხს მოგვცემს, თუ ჩვენი სამართლიანი მოთხოვნა უარყოფილი იქნა,

მაშინ ვიფიქროთ სპარსელებთან კავშირზე.“[1]

ასეთი ცხარე კამათი და საჯარო პაექრობა მეტყველებს მაშინდელი კოლხეთის წარჩინებულთა რიტორიკულ განსწავლულობასა და სტრატეგიული ჭვრეტის თავისებურებაზეც, რამაც ძველთაგანვე განსაზღვრა ქართული პოლიტიკის დასავლური ორიენტაცია, თუმცა უნდა ითქვას, რომ ეს პოლემიკა სრულად მაინც არ ასახავს იმ ნათელ სურათს, ქართული რიტორიკის განვითარების პერიპეტიების შესახებ, რასაც ადგილი ჰქონდა სხვადასხვა საჭირბოროტო პრობლემის საჯარო განხილვის პროცესში. ამიტომ კიდევ ერთი საყურადღებო ცნობების მიმართ შეგვიძლია გამოვიჩინოთ დაინტერესება, რომელიც აღნიშნული ეპიზოდის ერთგვარი გაგრძელების სახით წარმოგვიდგება და ის ასახავს ანონიმი იურისტების საჯარო პაექრობის სცენას, გუბაზის მკვლელობის საკითხთან დაკავშირებულ სასამართლო სხდომაზე. სამწუხაროდ, ქართულ წყაროებს არ შემოუნახავს კოლხეთის მეფის–გუბაზის მკვლელობის მიმართ მიძღვნილ სასამართლო პროცესზე, უცნობი (ანონიმი) კოლხი სწავლული იურისტების საჯარო პექრობის შესახებ ცნობები. ზემოთ აღნიშნულ ქართველ მოღვაწეზე მნიშვნელოვან მასალას გვაწვდის ბერძენი ისტორიკოსი, აგათია სქოლასტიკოსი, რომელიც გახლდათ ბიზანტიის იმპერატორ იუსტინიანეს სასახლის დიდი მოხელე. განსაკუთრებით საგულისხმოა აგრეთვე ის გარემოებაც, რომ ბერძნებშიც სახელგანთქმული უნდა ყოფილიყო ქართველი პოლიტიკური ფიგურების– აიეტის, ფარტაძისა და გუბაზ მეფის მკვლელობის სასამართლო პროცესში მონაწილე ანონიმი სწავლული იურისტების სახელები, იმისათვის, რომ უცხოელ ისტორიკოსს, ბერძენ აგათია სქოლასტიკოსს ზედმიწევნით დაწვრილებით გადმოეცა მათი ნააზრევი და ხშირ

1 ლომოური ნ., ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 4, გვ. 26, თბ., 1979 წელი.

შემთხვევაში, მათი განსწავლულობის გამო აღფრთოვანებაც კი გამოეხატა. ტექსტიდან ჩანს, რომ ისინი ძალიან ღრმად არიან განსწავლულნი და დაოსტატებულნი, რომის სამართლში. ნათლად აქვთ შეგნებული შეჯიბრებითი პაექრობის არსი, ბრალმდებლისა და ბრალდებულის მტკიცებულების ტვირთი, ყველა იმ სავალდებულო პროცედურის თანმიმდევრული წარმოების კუთხით, რომელიც მაშინდელ ცივილიზებულ გარემოში, სამართალწარმოების უმაღლეს ნიშნულად იყო მიჩნეული.[1]

შუასაუკუნეობრივი მჭევრმეტყველება, შედარებით უფრო გვიანდელი, სქოლასტიკური აზროვნების დამკვიდრების პერიოდში, მნიშვნელოვნად ჩამოუვარდებოდა გვიანი ანტიკური პერიოდის რიტორიკულ ტრადიციებსა და შემოქმედებით მრავალფეროვნებას, ის აშკარად მოკლებული იყო შთამბეჭდავი ზეპირსიტყვიერებისა, თუ წერილობით-ტექსტუალური შინაარსისა და ფორმის დინამიურობას, მხატვრულ-ესთეტიკურ გრანდიოზულობას, ლოგიკურ დამაჯერებლობასა და სიცხადეს, მსოფლმხედველობრივ სიღრმეებსა და მიზანდასახულობას. არც ორატორისთვის აღარ მოიძებნებოდა ადგილი სახელმწიფოებრივ სარბიელზე, ერთადერთი სახე რიტორიკული საქმიანობისა, იყო სასულიერო მეტყველება და ქადაგება, რომელიც ეკლესიის საიმედო იარაღად იქცა, მასებზე ზეგავლენის მოსახდენად. ეკლესიის მსახურები ვალდებულნი იყვნენ ზუსტად და ერთმნიშვნელოვნად გაემეორებინათ რელიგიური დოგმები, განემარტათ ბიბლიური ლეგენდები, მრევლისათვის შთაეგონებინათ მორჩილება და თავმდაბლობა. მსმენელთა დარწმუნების ძირითად მეთოდად იყენებდნენ დასაბუთებას და შთაგონებას. ამავე პერიოდში ფეხს მძლავრად იკიდებს ჰომილეტიკა, ანუ მეცნიერება ქრისტიანულ-ეკლესიურ

1 იხ. თ. ყაუხჩიშვილი, ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, თბ, 1977. გვ.142.

ქადაგებათა შესახებ.[1] უდიდესი ისტორიული და სამეცნიერო ღირებულება ენიჭებოდა აგრეთვე, XI-XII საუკუნეების აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპულ ქალაქებში უნივერსიტეტების ჩამოყალიბებას; ამ მხრივ ყველაზე მეტად საყურადრებოა კონსტანტინოპოლის უნივერსიტეტი, სადაც მიქაელ პსელოსისა და იოანე იტალოსის უდიდესი ღვაწლითა და დამსახურებით, აღდგენილ იქნა ფილოსოფიის ცალკეული დარგობრივი დისციპლინა, ფორმალური ლოგიკისა და რიტორიკის ჩათვლით და დავით აღმაშენებლის ინიციატივით დაარსებული ქართული საგანმანათლებლო-სამეცნიერო კერა, გელათის სასულიერო აკადემიის სახელწოდებით, რომლის მთავარი წინამძღოლიც და განმანათლებელიც გახლდათ, იოანე იტალოსის მოწაფე, უდიდესი ქართველი ნეოპლატონიკოსი ფილოსოფოსი, იოანე პეტრიწი. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პარიზში, როტერდამში, რომსა და ლონდონში დაარსებულ უნივერსიტეტებისგან განსხვავებით, ბიზანტიურ და ქართულ საგანმანათლებლო კერებში უფრო მეტი ყურადღება ექცეოდა წმინდა აკადემიური მეცნიერული დარგების ანტიკური მემკვიდრეობის შესწავლასა და პოპულარიზაციას, თუმცა საერთოდ ყველგან მაინც გაბატონებული სწავლების ფორმად დამკვიდრდა სქოლასტიკა (ბერძნულად ნიშნავს სასკოლოს), როგორც რელიგიური ფილოსოფია. სქოლასტიკა ემყარებოდა რელიგიურ „ავტორიტეტებს“, ძირითადად, წმინდა მამების სწავლებასა და მათ მიმდევრებს, მნიშვნელოვანწილად უგულებელყოფდა ცდას და ემპირიულ დაკვირვებას, ხოლო დასაბუთების უმთავრეს წყაროს ეძებდა წმინდა წერილში.

თავისი დასრულებული სახე სქოლასტიკამ წარმოაჩინა XIII ს. უდიდესი თეოლოგისა და ფილოსოფოსის, თომა აქვინელის შრომებში, სადაც ყოველგვარი მისწრაფება ცოდნისა და მეცნიერები-

1 Аверинцев С. С. Риторика и истоки европейской литературной традиции. - М.: Шк. «Языки русской культуры», 1996. - 448 с.

სადმი ითვლება უდიდეს ცოდვად, თუ ის უმთავრეს მიზნად არ ისახავს ღმერთის შეცნობას. აღნიშნული პერიოდის მკვლევართა შეფასებით, შუა საუკუნეების მეცნიერება იმყოფებოდა ერთგვარ მოჯადოებულ წრეზე, ავტორიტეტსა და ტრადიციას შორის, განსწავლულობის ერთერთ მთავარ მახასიათებლად ითვლებოდა ლათინური ენის ცოდნა და რიტორიკული წიაღსვლების პირობებში, გავრცელებული ლათინური ფრაზეოლოგიის გამოყენების უნარი. უნივერსიტეტებში ლექციები იკითხებოდა პროფესორთა მიერ, რომელთაც ხელთ ჰქონდათ მთელ სიგრძეზე ფურცლებგადაწეპებული უზარმაზარი ხელნაწერები, ვინაიდან იმ დროისათვის წიგნები ჯერ კიდევ არ იბეჭდებოდა. ასევე ეს გრზელი გრაგნილები სპეციალური ჯაჭვებით იყო მიმაგრებული კათედრებზე, რომელზეც მდგომი ლექტორის მთელი ამოცანა მდგომარეობდა წაკითხული ტექსტის კომენტირებაში. დოგმატიზმი, ციტირება, ზეპირობა, გარეგნულ ფორმებზე გამოდევნება და ლოგიკური ცნებებით სილოგისტური თამაშების აყოლა, სქოლასტიკური რიტორიკის განმსაზღვრელი ატრიბუტები გახდა.[1]

თეორიული თვალსაზრისით, შუა საუკუნეების რიტორიკა თითქმის არაფრით არ ამდიდრებს ანტიკურ ტექნოლოგიას, რომელიც არისტოტელესა და ციცერონის პრინციპებზე დგანან. უკვე IV საუკუნიდან რიტორიკული ნორმების ფუნქციონირება ემთხვევა ლიტერატურის ძირითად დანიშნულებას; მაგალითად, ლათინურ ლიტერატურაში, რიტორიკამ შეცვალა შუა საუკუნეებრივი ტრადიციის მიერ მტკიცედ დავიწყებული პოეტიკა.

ნაწარმოების შექმნა მოიაზრებოდა სამ საფეხუროვანი დაყოფის ანტიკური ჩამონათვალის პრინციპით: 1. ინვენცია (ლათ. Inventio), არის შემოქმედებით პროცესში იდეის მოძიება, რომლის

1 Гаспаров М. Л. Средневековые латинские поэтики в системе средневековой грамматики и риторики //Проблемы литературной теории в Византии и латинском средневековье. - М.: Наука. 1986, 269 с.

მთელი პოტენციალიც დევს საკვლევ საგანში, მასში გათვალისწინებულია ავტორის ხელმისაწვდომი ტალანტი, რომელიც ვლინდება სულ მცირეოდენი ტექნიკური მანევრითაც. 2. დისპოზიცია (ლათ. Dispositio), გულისხმობს ტექსტუალური ნაწილების მოწესრიგებულ დალაგებას. იგი შემოიფარგლება ცალკეული ემპირიული და ძალზე ზოგადი ინსტრუქციებით, რომელიც მეტწილად განაპირობებს რაღაც ესთეტიკურ იდეალს, ვიდრე მისი მიღწევის საშუალებებს. 3. ელოკუცია (ლათ. Elocutio), არის ხერხი, რომელიც ემსახურება „იდეის“ ხორცშესხმას ენობრივი ფორმებით. იგი მოიხმარებოდა ნორმატიული სტილისტიკის მაგვარ სფეროში და იყოფოდა შემადგენელ ნაწილებად, რომელთაგან უპირატესად მუშავდებოდა ისეთები, რომლებიც გამოთქმის სილამაზეზე და ეფექტურობაზე იყო ორიენტირებული და არა იმდენად რიტორიკული ფიგურების თეორიულ წარმოებაზე.[1]

შუა საუკუნეების რიტორიკის შეფასებისას ანტიკური პერიოდის ანალოგიურ ნაკლს, ამჩნევენ, რაც იმაში გამოიხატება, რომ ამ ტიპის რიტორიკული რეკომენდაციები და რჩევა-დარიგებანი არ იძლეოდა პრაქტიკულად სახარბიელო შედეგს. „კეთილსინდისიერი მოწაფენი“, რომლებიც განსაკუთრებული წარმატებებით ვერ გამოირჩეოდნენ, მუდამ ჩიოდნენ იმის გამო, რომ მათ არ შეეძლოთ ისევე გაებრწყინათ აუდიტორიის წინაშე, როგორც ეს ბუნებრივ ტალანტებსა და ოინბაზ ორატორებს სჩვევიათ (მათი აზრით, ასეთი ხალხისთვის სპეციალური ორატორული სწავლებაც ზედმეტი იყო, რადგან ამის გარეშეც შეეძლოთ მათ თავის წარმოჩენა), მაშინ, როდესაც ჩვეულებრივი პატიოსანი მოწაფენი ამ სწავლების მიუხედავად, მაინც ვერ ახერხებენ მსმენელთა მოხიბვლას. ამ ყველაფრის მიუხედავად, ამ ეპოქაში რიტორიკის მეცნიერული ავტორიტეტი მაინც საკმაოდ დიდი იყო. ანტიკური

1 Львов М.Р. Риторика. Культура речи: Уч. пособие для студентов гуманитарных факультетов вузов. – М.: «Академия», 2003. – 272 с.

ეპოქისაგან განსხვავებით, შუა საუკუნეების რიტორიკას არ გააჩნია პოლემიკისა და კონტრასტული პოზიციების დაპირისპირების სიმძაფრე, არც სასამართლო, არც საპარლამენტო და არც სხვა რაიმე თავყრილობის საჯარო ტრიბუნებზე, მისი მჭევრმეტყველება შესისხლხორცებულია ქადაგებასთან და ჰომილეტიკურ ქება-დიდებასთან. ამიტომაც ბუნებრივია, რომ მისი ავტორიტეტი, ძირითადად, ეკლესიის მიერაა გამყარებული. ასეთი დეპრესიის ფონზე, სასულიერო მჭევრმეტყველების ოქროს ხანად მაინც მეოთხე საუკუნეა მიჩნეული, როდესაც ქრისტიანობა იქცა რომის იმპერიის სახელმწიფო რელიგიად. ამის მიზეზი კი ის იყო, რომ ახალი რელიგიის დამკვიდრება დიდი საჯარო ორატორული დაპირისპირების წიაღსვლების გარეშე არ განხორციელდებოდა, ხოლო მოგვიანებით, როცა ის სახელმწიფოში გაბატონდა, უკვე არგუმენტებზე მეტად იყენებდა უხეშად დაკანონებულ ძალას, დოგმატიკას და განსხვავებული აზრის დევნის პოლიტიკურ და იდეოლოგიურ ფორმებს, რასაც დიდი გონების განსაკუთრებული ძალისხმევა სულაც არ სჭირდებოდა და რეგულარული ეკლესიური წესების ცოდნითაც შეიძლებოდა ფონს გასვლა.[1]

გარკვეული პერიოდის შემდეგ, თანდათან დაიძაბა ურთიერთობა აღმოსავლურ და დასავლურ ეკლესიებს შორის. დასავლეთში რომის პაპი აცხადებდა მთელ საქრისტიანოზე უცილობელი ძალაუფლების პრეტენზიას, რასაც წინ აღუდგნენ კონსტანტინოპოლის პატრიარქები, ამიტომაც ისევ დროის საკითხი იყო ორატორული მჭევრმეტყველების აღორძინება და მისი ხანგრძლივი დეპრესიიდან გამოყვანა, რადგან ორი დიდი ქრისტიანული ბანაკის დაპირისპირება ასეთ რამეს დღის წესრიგში აუცილებლად წინ აყენებდა. მართალია, რიტორიკულ ნაწარმოებთა რიცხვი, ანტიკურ ეპოქასთან შედარებით, ბევრად ნაკლები იყო, თუმცა იყვნენ

1 Сурин Н.В. Риторика: Уч. пособие. – М: Изд-во МГИУ, 2000 – 246 с.

საკმაოდ პოპულარული ავტორები, რომლებიც წერდნენ სერიოზული ღირებულების მქონე ფუნდამენტურ შრომებს, რომელთა შორის აღსანიშნავია ბედა ღირსპატივდებულის წიგნი, „ტროპებისა და ფიგურების შესახებ“, აგრეთვე ისიდორე სევილსკისა და იულიუს რუფინუსის შრომები აღნიშნულ საკითხებზე. კიდევ ერთი იმ დროინდელი ტრაქტატი, „ტროპების შესახებ“, რომელსაც რიტორიკის ისტორიაში გამორჩეულად საპატიო ადგილი უჭირავს, ეკუთვნის ბიზანტიელ ავტორს, გიორგი ჰერობოსკას. აღნიშნული ტრაქტატი იმდენად შთამბეჭდავი და აღიარებული იყო მაშინდელი მსოფლიოს განათლებულ საზოგადოებაში, რომ იგი ითარგმნა სხვადასხვა ენებზე.

საერთო ანგარიშით, რიტორიკული ცოდნის დარგის განვითარების კუთხით, შუა საუკუნეების ეპოქა მაინც ფასდება, როგორც გარკვეული უკუსვლა და დეკადანსი, მსგავსად დანარჩენი მეცნიერული დარგებისა და ხელოვნების სახეებისა, რისი მიზეზიც იყო კლერიკალიზმისა და თეოკრატიული მმართველობის ერთპიროვნული ბატონობისა და ჰეგემონიის განუხრელი პრინციპის დაცვა საყოველთაო მასშტაბით.[1]

§5. აღორძინებისა და ახალი ეპოქის რიტორიკა

ბიზანტიური რიტორიკის მეცნიერების განვითარებას თავდაპირველი ლახვარი ჩასცა ჯვაროსანთა მეოთხე ლაშქრობამ (1204), რომლის შედეგად, აღებული და გაძარცვული იქნა მსოფლიოს უმდიდრესი და ულამაზესი ქალაქი კონსტანტინოპოლი, ხოლო საბოლოო წერტილი დაუსვა თურქ-ოსმალთა მიერ ბიზანტიის

1 Хазагеров Г.Г., Лобанов И.Б. - Риторика (Учебники, учебные пособия)- 2004. 219 с.

იმპერიის განადგურებამ (1453). ამის შემდეგ რიტორიკის ცენტრი გადადის დასავლეთ ევროპაში, სადაც აღორძინებისა და კლასიციზმის ეპოქაში, რიტორიკა გადამუშავებულ იქნა თეორიულ სისტემად, რომელსაც ფართოდ იყენებდნენ მხატვრულ პროზაში. ამიერიდან ორატორული ხელოვნების დემონსტრირებით გამოირჩეოდნენ არა იმდენად რეალურ სინამდვილეში მოღვაწე პიროვნებები, არამედ ცალკეული ლიტერატურული გმირებიც. ამიტომაც ყოველმხრივ გამართულ, ორატორული ღირსებით შემკულ, სრულყოფილ მჭევრმეტყველებას ძირითადად თეატრებში უსმენდნენ, ვიდრე საჯარო შეხვედრებზე, საგანგებო სხდომებსა და საუნივერსიტეტო აუდიტორიებში. ევროპული რიტორიკის მკაცრად დადგენილი ნორმატიული ხასიათი თავდაპირველად მყარ დამკვიდრებას იწყებს იტალიაში, სადაც ლათინური და იტალიური ენების გადაკვეთაზე, ყველაზე უკეთ გამოიყურებოდა „სამი სტილის“ ორატორული თეორია. ამიტომაც იტალიური რიტორიკის ისეთი ავტორები, როგორებიც იყვნენ ბემბო და კასტილიონე, გამოირჩეოდნენ სტილის განსაკუთრებული მოქნილობითა და დახვეწილობით. რაც შეეხება რიტორიკის იურიდიულ-საკანონმდებლო მიმართულებას, ყველაზე მძაფრი გამოხატულება მან ჰპოვა დელა კრუსის აკადემიის საქმიანობაში, რომლის მთელი ამოცანა მდგომარეობდა ენის სისუფთავის შენარჩუნებაში, რის გამოც მიმდინარეობს ერთგვარი შემობრუნება გორგიას სოფისტური ანტითეზისის მეთოდოლოგიისაკენ, ადრეული შუა საუკუნეების ატიციზმისა და დიდი ხნით მივიწყებული რომაელი კლასიკოსის, ფაბიუს კვინტილიანეს ტროპოლოგიური მხატვრულ-გამომსახველობითი ტენდენციებისაკენ. იტალიიდან ეს მიმართულება თანდათანობით დაიძრა საფრანგეთისა და სხვა ევროპული ქვეყნებისაკენ, იქმნება რიტორიკის განახლებული კლასიციზმი, რომელიც თავის საუკეთესო გამოხატულებას პოულობს ფენელონის პოპულარულ ნაშრომში, „მსჯელობანი

მჭერმეტყველების შესახებ“, რომლის მიხედვითაც, ყოველგვარი საჯაროდ წაკითხული მოხსენება უნდა ხასიათდებოდეს გარკვეული ფასეულობით– დასაბუთების მიხედვით (რასაც ის უწოდებს ჩვეულებრივ სტილს), მხატვრული ნაირფერადოვნებით (საშუალო სტილი) და მომაჯადოებლობითა და მომხიბვლელობით (მაღალი სტილი). ისიც, ციცერონის მსგავსად, მიიჩნევს, რომ ორატორული სიტყვა უნდა იყოს მიახლოებული პოეტურობასთან; რომ სრულიად ზედმეტია, ხელოვნური დეკორაციებით ტექსტის დატვირთვა, ამიტომაც უნდა მივბაძოთ ძველ წინამორბედებს, მთავარია საკუთარი სათქმელის სიცხადე და აზრისა და განცდის ურთიერთშეხამება. ფრანგული რიტორიკის თავისებურება შეგვიძლია ამოვიკითხოთ ფრანგულ აკადემიურ დაწესებულებათა ისტორიიდან, რომელიც კვლავინდებურად ინარჩუნებს ტრადიციულ წესებს. აღორძინების პერიოდში შეიქმნა ეპოქალური მნიშვნელობის რიტორიკული ტრაქტატები, რომელთა შორის აღსანიშნავია, ფილიპ მელანხტონის „რიტორიკული ხელოვნება“, გერჰარდ ფოსის „რიტორიკული კომენტარები–ორატორთა სახელმძღვანელოდ“ და იულიუს სკალიგერის რიტორიკული თხზულებანი. ლუთერანულ გერმანიაში გაბატონებული ორთოდოქსალური მიმართულება დიდი ხნის განმავლობაში ხუჭავდა თვალს ფილიპ მელანხტონის (1497_1560), როგორც რეფორმატორის დამსახურებაზე, თუმცა მისი მოხსენიება „გერმანიის მასწავლებლად“ (Praeceptor Germaniae), არასოდეს არ ექვემდებარებოდა დავას. სწორედ მან შეიმუშავა პირველი საუნივერსიტეტო წესდება, რომელიც მიზნად ისახავდა მეცნიერ ღვთისმეტყველთა და განახლებული ეკლესიის მსახურთა მომზადებას, ბიბლიასა და პატრისტიკაში მათ განსწავლულობას, აგრეთვე ანტიკური რიტორიკისა და კულტურის თემატიკის გაცნობიერებას.[1]მეთექ-

1 См.: Лютер, Мартин. О свободе христианина. [Сборник]. Уфа: ARC, 2013. С.

ვსმეტე-მეთვრამეტე საუკუნეებში, გერმანული რიტორიკისა და ფილოსოფიის სკოლა მელანხტონის დამსახურებით, იქცა სანიმუშო საგანმანათლებლო სისტემად კათოლიკურ იეზუიტთა მთელი ორდენისთვის, მართალია, ეს ყველაფერი არ იყო მისი ორიგინალური მოღვაწეობის ნაყოფი, თუმცა მნიშვნელოვანი საფუძველი ჩაუყარა იმ შეხედულებათა გავრცელებას, რომლებიც ნიშანდობლივი გახდა ადრეული გერმანული ჰუმანიზმისათვის. მელანხტონი თვლიდა, რომ ლათინურის ცოდნა აუცილებელი იყო წერისა და ხატოვანი მჭევრმეტყველებისთვის, ხოლო ძველი ბერძნულის გარეშე ახალი აღთქმის ორიგინალური ტექსტის აღქმა წარმოუდგენელი იქნებოდა, ეს იყო მისი განმანათლებლობის უმთავრესი მიზანი და პრინციპი, რომლის გარდა, დანარჩენი ყველაფერი მეორეხარისხოვანი იყო. სკოლებისა და უნივერსიტეტებისთვის მან შეადგინა ბერძნულ-ლათინური გრამატიკის, ლოგიკის, რიტორიკის, დიალექტიკის, ღვთისმეტყველების, ეთიკის, ფიზიკისა და ფსიქოლოგიის სახელმძღვანელოები, რომელთა ძირითადი ღირსება უფრო მეტად მდგომარეობდა ნათლად, სისტემატურად და შთამბეჭდავად ტექსტის გამართულობასა და დალაგებაში, ვიდრე სიღრმისეულ განაზრებათა წიაღსვლებში. აკადემიური სწავლების ძირითად დასაყრდენად მან აღიარა არისტოტელე, როგორც „შემეცნების მეთოდის ერთადერთი უნივერსალური დიდოსტატი“. მელანხტონის აზრით, არისტოტელე, უმრავლეს შემთხვევაში, სცილდება გამოცხადების საიდუმლოს, სადაც უბრალოდ რომ ვთქვათ, მისი ადგილი არც არის, ამიტომ უნდა ვენდოთ არისტოტელეს მარტოდენ შემეცნების რაციონალური მიზნის აუცილებლობიდან გამომდინარე. საინტერესოა აგრეთვე ის ფაქტიც, რომ მელანხტონი ვერაფრით ეგუებოდა კოპერნიკის ჰელიოცენტულ სისტემას, იგი კვლავინდებურად რჩე-

117—157.

ბოდა არისტოტელესა და პტოლომეს გეოცენტრული სისტემის ერთგულად, თანაც დაჟინებით მოითხოვდა ხელისუფლებისა და კლერიკალური სასამართლოსგან, რომ მსგავსი სახიფათო იდეის ავტორები სამაგალითოდ ყოფილიყვნენ დასჯილნი. პროფესორული ვარჯიშობით სახელგანთქმული სწავლული იყო თავგამოდებული მომხრე და თაყვანისმცემელი ინკვიზიციისა, რომელიც ცეცხლითა და მახვილით ებრძოდა ახალ საბუნებისმეტყველო აღმოჩენებს, ამის მიუხედავად, მელანხტონი უდიდესი პატივისცემითა და ავტორიტეტით სარგებლობდა არა მარტო თავის თანამედროვეთა შორის, არამედ შემდგომ ეპოქებშიც, რისი დასტურია 1865 წელს დადგმული ძეგლი ვიტენბერგში და რეფორმაციის მონუმენტის გახსნა ლაიფციგში, 1883 წელს, სადაც გამოსახულია მარტინ ლუთერი, მელანხტონთან ერთად.

მეცნიერებათა სინთეზი, ტრივიუმის ორი განსხვავებული მიდგომის საფუძველზე, დასაბამს იღებს რეფორმაციის პერიოდში, როდესაც ბერძნული ენის, ბიბლიის, ანტიკური და საღვთისმეტყველო ლიტერატურის შესწავლის საფუძველზე (იოჰან რეი_ჰლინის, ერაზმ როტერდამელისა და სხვათა თაოსნობით), ყალიბდება რიტორიკული თეორიები მეტყველების სტილის, ტექსტის გამართულობისა და ელოკუციის (პოლიტიკური შინაარსის რიტორიკული ანალიზის) შესახებ, როგორც კლასიკურ ლათინურ, ასევე სხვა დასხვა ევროპულ ენებზე. რეფორმაციამდელი და რეფორმაციის დროინდელი გერმანელი ჰუმანისტების შემოქმედებაში ერთმანეთს შეერწყა ბიზანტიური და დასავლური ფილოლოგიური ცოდნის ტრადიციები. ამ მიმართულებით განსაკუთრებული როლი ითამაშა ფილიპ მელანხტონის პედაგოგიკურმა, ღვთისმეტყველურმა, ჰერმენევტიკულმა და რიტორიკულმა სწავლების მეთოდოლოგიურმა სისტემამ. ფაბიუს კვინტილიანეს ნორმატიულ საფუძველზე დამყარებულმა მელანხტონის „რიტორიკულმა მოძღვრებამ“დასაბამი მისცა ისეთი სპეციფიკური რიტორიკული

სფეროების განვითარებას, როგორიცაა, ინდიკაციური, სასამართლო და სათათბირო მოხსენებათა კომპეტენციები. ამიტომაც არ იყო შემთვევითი, რომ ასეთი ტიპის რიტორიკა, შესაბამის საღვთისმეტყველო და ლოგიკურ თხზულებებთან ერთად, ითვლებოდა იმ დროის ყველაზე აქტიური პროტესტანტული სულისკვეთებისა და მსოფლმხედველობის იდეურ-თეორიულ წყაროდ, რომელიც მოგვევლინა სერიოზულ კონკურენტუნარიან ინსტრუმენტად, რომის კათოლიკური თეოლოგიური მოძღვრების მიმართ.[1]

XVII საუკუნის 60-70-იან წლებში ყალიბდება სწავლა-განათლების ახალი, რაციონალური სისტემა, კარტეზიანული ტრივიუმისა, კ. არნოსა და ა. ლანსლოს „საყოველთაო რაციონალური გრამატიკის“, არნოსა და პ.ნიკოლას „ლოგიკა, ანუ აზროვნების ხელოვნების“ და ბერნარ ლამის „რიტორიკა, როგორც საუბრის ხელოვნების“ სახით. ეს შრომები აგებულნი გახლდათ თეორიული კვლევების ბაზაზე, თუმცა ემსახურებოდნენ კათოლიკური იერარქიის საწინააღმდეგო მოძღვრების თვითშესწავლის მიზანს, რ. დეკარტესა და იანსენისტთა იდეების საპირისპიროდ. სწორედ ამ ნიშნით ხასიათდებოდა მათი პოპულარობა და გავლენა ენის შესახებ ჩამოყალიბებულ მეცნიერებათა მთელი კომპლექსის მიმართ. ენის კარტეზიანულმა თეორიამ, სქოლასტიკური მეცნიერების კვალდაკვალ, მიიღო პრინციპი, რომლის თანახმად, ენის შინაგანი სტრუქტურა, აზრის გადმოცემის, ელემენტთა სისტემატიზაციის კუთხით, როგორც სიტყვიერების შემადგენელ ნაწილთა ერთიანობა, უნივერსალურია, თუმცა სხვადასხვა ენებში ის სხვადასხვანაირად წარმოჩინდება, ერთიანი ენობრივი სუბსტანციის აქციდენციების სახით, სადაც ისინი რაოდენობრივად გან-

1 Лами Б.. Риторика, или Искусство речи / Пер. Е. Л. Пастернак // Пастернак Е. Л. «Риторика» Лами в истории французской филологии. М.: Языки славянской культуры, 2002. Там же. С. 59—61. Там же. С. 62-72. Там же. С. 73—87.

სხვავდებიან, ხოლო სახეობის მიხედვით, იდენტურნი არიან. ეს ეხება აზრის დასაბუთებისას გამოყენებულ მტკიცებულების ხერხებსა და საშუალებებს, ანუ ტოპებს–„კეთილსასურველი მდგომარეობის“ შესაბამის რიტორიკულ ინსტრუმენტებს, როგორც მიზანდასახულ მნიშვნელობათა გადატანის მეთოდებს (ტროპებში იგულისხმება მეტაფორები და მისი სახეცვლილებანი–მეტონიმები და სინეკდოხები) და აზროვნების ვერბალური კონსტრუქციები (სიტყვიერი ფიგურები), აგრეთვე გარკვეული პრინციპებით დალაგებული ცალკეული გამონათქვამები. თუკი შუასაუკუნეობრივი ენის მეცნიერული თეორია ყველა ენებისთვის იყო უნივერსალური, რაციონალური კონცეფციის მიხედვით,ენის სუბსტანციური ფორმები დიფერენცირდებოდა მრავალგვაროვანი აქციდენციების მიხედვით, რაც განპირობებული იყო, ზოგადის გამოხატვის პრინციპით, კერძო ფორმების მეშვეობით. კარტეზიანული რიტორიკის აღნიშნული მიდგომა გამოიხატებოდა ტოპიკისადმი უარყოფითი დამოკიდებულებით, რამდენადაც მას განიხილავდა კულტურულ ტრადიციის შიგნით არსებულ ემპირიულ საგანთა ერთობლიობას, რომელიც ფსიქოლოგიური ზემოქმედების პოტენციალის თვალსაზრისით, ნაკლებად სარწმუნო არგუმენტებს ემყარებოდა. იგივეს თქმა შეიძლება სათქმელის ესთეტიკურ მხარეზეც: რაციონალისტებს მიაჩნდათ, რომ კლასიციზმის ესთეტიკური კანონები, სულერთია, იქნება ეს ლიტერატურა, მუსიკა, არქიტექტურა, ან ფერწერა, სილამაზის ზოგადსაყოველთაო კანონები, ერთნაირად მნიშვნელოვანი და ღირებულია, როგორც „ჩინელისთვის“, ასევე „ჰურონისთვის“ან ფრანგისთვის და სხვა. აქედან გამომდინარე, რამდენადაც ფრანგული შემოქმედების არსი ყველაზე სრულყოფილია, სხვებთან შედარებით, რაც კი, ამა თუ იმ ხალხს, სხვადასხვა ეპოქებში შეუქმნიათ, ამდენად, ყოველი მოაზროვნე, მიუკერძოებელი ადამიანი, დაექვემდებარება იმ

შემოქმედებით ნორმებსა და კატეგორიებს, რომელიც, პროფესიული გაგებით, მისაღებია ფრანგი პოეტების საუკეთესო მსმენელთა და შემფასებელთათვის. ბ. ლამის „რიტორიკა, ამ პოზიციისთვის დამახასიათებელ ჭრილში, განიხილავს მისი ენის თეორიის პირველ სისტემატიურ კურსს. ავტორი ცდილობს თანმიმდევრულად დაალაგოს ენის თავისებურებანი– სიტყვის ორგანოთა აგებულება, ნიშანთა ბუნების მიხედვით, ბგერათა მინიმალურად შეზღუდული ნაკადის საფუძველზე, განუსაზღვრელი რაოდენობის განცხადებათა წარმოთქმის შესაძლებლობა–ნებელობის, შეთანხმების, სიტყვის ორაზროვნების, აზრის დასურათების მიხედვით.

წარმოთქმული სიტყვის სილამაზე გამოიხატება აზრის პროპორციულობისა და შემადგენელი ნაწილების სწორი თანმიმდევრობით დალაგებაში, ხოლო სიტყვის ლექსიკური რესურსების სიუხვე არის საკუთრივ ენის განვითარების რეზულტატი. ამის მერე ლამი გადადის სიტყვის აზრობრივ და გამოხატულებით შესაძლებლობათა დახასიათებაზე შედარებითი ანალიზის მიხედვით (ლათინურ, ებრაულ, მონგოლურ და ჩინურ ენებზე დაყრდნობით), რითაც ის ადგენს, რომ წინადადებებში ფიქსირებულ სიტყვათა წყობა შეიძლება შეიცვალოს ფლექსიური სისტემით, რაც ნიშნავს, სიტყვების ფორმირებას, მათი დაბოლოებისა და ფუძისეული ბგერების ცვლილების გზით, ამიტომაც ჩინური ტიპის ენათა ჯგუფები გაცილებით უფრო ეკონომიურია, ვიდრე ლათინური წარმომავლობის ენები. წინადადებებში, სიტყვათა დალაგების წესის მიხედვით, ძირითადი გრამატიკული და ლექსიკური მნიშვნელობის გამოხატვის სისრულის პრობლემის კვლევისას, ლამმა წამოაყენა გრამატიკული და ლექსიკური სისრულის პრინციპი, მათი სინტაქსური უკმარისობისა და დანაწევრების ვარიანტები. ამ საკითხთან კავშირში განიხილება აგრეთვე ე.წ. სიტყვათა ბუნებრივი წესრიგი წინადადებებში, რომელიც, როგორც ირკვე-

ვა, ყველაზე სრულყოფილი სახით წარმოდგენილია ფრანგულ ენაში, სადაც არსებითი სახელი ქვემდებარის ფუნქციას ასრულებს და დგას პირველ ადგილზე, მას მოსდევს ზმნა და შემდეგ რაიმე ატრიბუტის აღმნიშვნელი სახელი. ლამი დაბეჯითებით ამტკიცებდა, რომ ამგვარი სიტყვიერი წყობა იმდენად მოხერხებული და ბუნებრივია, რომ წესების რღვევასაც ბევრად უფრო ადვილად იტანს, ვიდრე სხვა რომელიმე ენა, ამაში მდგომარეობს მისი უპირატესობაო[1]. რიტორიკის ეს ერთგვარი, კლასიცისტურად შეფერილ-შეზავებული პოეტიკა, დაიწერა კარდინალ რიშელიეს უშუალო დაკვეთით და გამოიყენებოდა ფრანგული კულტურის, როგორც „უნივერსალურის“, ან „ზოგადსაკაცობრივის“პროპაგანდის ინსტრუმენტად («Ьоп gout francais»_ფრანგული გემოვნება). ეს გახლდათ საფრანგეთის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური გავლენის გავრცელების კულტურულ-ესთეტიკური დოქტრინა, რომელიც ასევე, ევროპულ ბაზარზე, ფრანგული წარმოების სასაქონლო პროდუქტისა და მომსახურების უალტერნატივო აღიარებისკენ მიისწრაფვოდა. კლასიცისტური კონცეფციის მიხედვით, ბგერათა ისტორიული ცვლილებანი არის ენის აუცილებელი თავისებურება, ამიტომაც საჭიროა კარგად იქნეს გამოკვლეული ის ისტორიული პირობები და გარემოებანი, რამაც განაპირობა ამა თუ იმ ბგერის ცვლილება რომელიმე სიტყვაში. ასეთი ხასიათის კვლევა ხელს შეუწყობდა ენებს შორის ნათესაობის პრობლემების მეცნიერულ დამუშავებასაც, ამის გათვალისწინებით, ბ. ლამი გვთავაზობს ენათა განსაკუთრებულ „გენეალოგიურ ხეს“: ძველბერძნულს, ძველებრაულს, ლათინურს, რომანულ ენებს. ახალ ენათა წარმოშობა, როგორც მათი ნათესაობა, ამ თვალსაზრისის მიხედვით, არის დიალექტთა ურთიერთგანადგურებისა და აღრევის შედეგი. ენის ცვლილებათა მიზეზები განისაზღვრება მათი

1 Литературные манифесты западноевропейских классицистов. М.: Изд-во Моек, ун-та, 1980. С. 316.

საერთაშორისო კომუნიკაციებისა და შიდა ტრანსფორმაციის კონ-ტექსტში, რომლის ერთმნიშვნელოვანი შეფასებაც პოზიტიური, ან ნეგატიური კუთხით გაუმართლებელია, ამიტომაც ენები უნდა შეისწავლებოდეს მათი გამოყენების დიაპაზონის შესაბამისად. უდავო ფაქტია ისიც, რომ სწორი განათლება ემყარება ენის გამო-ყენების გამართულ სისტემას, რომელიც განსაზღვრავს მის მიზან-მიმართულ ხასიათს; რამდენადაც სიტყვათა რაოდენობა ენაში მუდმივად ნაკლებია იდეათა რაოდენობაზე, ამგვარად გამარ-თლებულია ტროპების მოშველიება, რომელიც სიტყვის საზრისი-სეულ ინსტრუმენტად გვევლინება, რომლითაც უნდა ვისარგებ-ლოთზომიერად, გემოვნებით, ნათლად და პროპორციულად. ემოციები კარგად გამოისახება სათქმელის რიტორიკული ფიგუ-რების მეშვეობით, სწორედ აღნიშნულ საკითხებს ანიჭებდა ბ. ლა-მი უპირატეს მნიშვნელობას. "სიტყვის მატერიალური მხარის" დაწვრილებით განხილვისას, ის ბგერებს, სიმბოლოებსა და პაუ-ზაციებს, სიტყვის კეთილხმოვანების უზრუნველყოფის მიზნით, გარკვეულ კანონზომიერებას უკავშირებდა, რის შედეგადაც აყა-ლიბებდა ვერსიფიკაციის წესებს. ამის მიხედვით განსაზღვრავდა სტილის საკითხსაც–ისტორიულს, ჟანრობრივს, ინდივიდუა-ლურს, რაშიც მას შეჰქონდა სიტყვის ამაღლებულ და საშუალო სტილად დაყოფის სახეები ორატორული, ისტორიული, დოგმა-ტური და პოეტური მახასიათებლების მიხედვით. საბოლოოდ, თავის მეხუთე თხზულებათა წიგნში, მან მოხდენილად და ლაკო-ნურად გადმოგვცა საკუთარი რიტორიკული სისტემა, რომლის თანახმად, „რიტორიკა არის არა მხოლოდ მჭევრმეტყველება და სიტყვის ოსტატობა, არამედ დარწმუნების ხელოვნება". აქედან გამომდინარე საგნობრივი ცოდნის გარეშე, სიტყვათა ადგილის სწორი მისამართით განსაზღვრა შეუძლებელია, ანუ ჭეშმარიტე-ბისკენ სწრაფვა ამის გარეშე ფუჭია, ამიტომაც გაუგებრობის გასა-ნეიტრალებლად, ასეთ ვითარებაში მიმართავენ მრავალსიტყვაო-

ბას, რასაც სრულიად უსაგნო მსჯელობათა უსარგებლო მანევრებისაკენ მივყავართ, ამიტომაც ასეთი ორატორის მარცხი გარდაუვალია. ამის თავიდან ასაცილებლად, ლამი ტოპიკური გამომგონებლობის მეთოდს უპირისპირებს ლოგიკური დასაბუთების სიცხადეს, მისი დებულება – "სიცხადე ჭეშმარიტების მანიშნებელია "– გულისხმობს საგნის შესაბამისობას კარგად გაცნობიერებულ სიტყვასთან. ჭეშმარიტების ორატორისეული გაცნობიერება ერთიანად განსაზღვრავს მსმენელ ოპონენტთა ყურადღების ღირსახსოვარ გზავნილებს, რომელიც დინჯად და აუღელვებლად წარმოთქმულ დებულებებს მოაქვთ, ამ სიცხადის მეშვეობით ორატორი იპყრობს მსმენელთა გონებას, ხოლო სათნოების გამომხატველი ენით კი, იპყრობს მათ გულებს. საერთო ჯამში, ლოგიკურ სიცხადეზეა მაინც დამოკიდებული კეთილგანწყობა, სიბრძნე, მეგობრული ურთიერთობა–"ზოგჯერ ორატორი ისე უნდა მოექცეს ხალხს, ისევე უნდა დაიხსნას ის შეცდომებისგან, როგორც ექიმმა ჭკუადაკარგული ავადმყოფი, რომელსაც განზრახ უმალავენ იმ წამლის დანიშნულებას, რასაც მას მკურნალობის ჩატარებამდე უწერენ".[1]კარტეზიანული მიდგომის რიტორიკული არგუმენტაციის არსი მდგომარეობს ტოპიკის მეთოდოლოგიის მიუღებლობაში, რომელიც ჩანაცვლებულია ლოგიკური სიცხადის პრინციპებით და წესებით, რასაც ბერნარ ლამი და მისი მიმდევრები აცხადებენ არგუმენტაციის აგების „ბუნებრივ პრინციპებად". გამოჩენილი ლოგიკოსის, იანუშ ლუკასევიჩის შეფასებით, სწორედ ამ პერიოდში იწყება ლოგიკის ერთგვარი დაკნინება: „... არასწორია ვიფიქროთ, რომ ლოგიკა, როგორც აზროვნების მეცნიერება, მოწოდებულია იმის გასარკვევად, თუ როგორ ვაზროვნებთ სინამდვილეში, ან როგორ უნდა ვაზროვნებდეთ–ვინაიდან

1 Бернар Лами. Риторика или Искусство речи. Пер. Е.Л. Пастернак. В кн.: Пастернак Е.Л. «Риторика» Лами в истории французской филологии. М., Языки славянской культуры, 2002. Стр. 119.

ლოგიკისთვის მთავარია არა საკუთრივ აზროვნება, არამედ აზროვნების ფორმალური წესები, დანარჩენად კი, რაც აზროვნების შინაარსს ეხება, ეს უფრო მეტად ფსიქოლოგიის კომპეტენციაა, ვიდრე ლოგიკისა. ამდენად, ლოგიკის აზროვნებასთან დამოკიდებულება არაფრით არ აღემატება მათემატიკას; მაგალითად, როდესაც საჭირო ხდება დასკვნის გაკეთება, ან დედუქციური დასაბუთება, ამ დროს ლოგიკის კანონებს ისეთივე მიმართება გააჩნია თქვენს მოსაზრებებთან, როგორც მათემატიკური პრობლემების გადაწყვეტისას მათემატიკის კანონებს. სხვაგვარი მიდგომის საკითხში, ადგილი აქვს „ფსიქოლოგიზმების“ გამოვლენას ლოგიკის მეცნიერებაში, რაც იწვევს მისი როლის შესუსტებას–სწორედ ამგვარი ტენდენცია შეინიშნება დღესდღეობით თანამედროვე ფილოსოფიაში“.[1]რიგი მკვლევარების აზრით, კარტეზიანული რიტორიკული მეთოდოლოგიისთვის ნიშანდობლივი „ფსიქოლოგიზმი“ არა მხოლოდ ლოგიკის მეცნიერების როლის დაკნინების მიზეზად მოგვევლინა, არამედ თვით რიტორიკისაც. მართლაცდა, ბერნარ ლამის დასაბუთების არგუმენტაცია, არსებითად, აუდიტორიაზე სოფისტური ფსიქოლოგიური ზემოქმედების ხერხების ერთობლიობად წარმოგვიდგება, რომელიც გათვალისწინებულია „გონებრივად არასრულფასოვანი ხალხის მოსათვინიერებლად“, როდესაც მოსაუბრის ინტუიტიური დამაჯერებლობა, ინსინუაციის მეშვეობით, თავს ეხვევა მთელს აუდიტორიას. აქვე ისიც აღსანიშნავია, რომ აღნიშნული პერიოდის რიტორიკული ტრადიცია ყოველთვის არ იყო კარტეზიანული ხასიათის; მთელი რიგი მეცნიერული დარგის მოღვაწენი, სიტყვიერი დასაბუთებისა და დამაჯერებლობის მეთოდოლოგიასთან შედარებით, უპირატესობას ანიჭებდნენ წერილობით დებულებებს, რისთვისაც ფართოდ იყენებდნენ ამა თუ იმ დისციპლინის შესა-

1 Лукасевич Я. Аристотелевская силлогистика с точки зрения современной формальной логики. М., 1959. Стр. 131.

ხებ დამუშავებულ ისტორიულ სახელმძღვანელოებსა და მოძღვრებებს, ამან თავის მხრივ, გამოიწვია ორატორული სიტყვის საზოგადოებრივი მნიშვნელობისა და გავლენის მკვეთრი შესუსტება XVII-XVIII სს. ევროპაში, სამაგიეროდ, წერილობითი ლიტერატურის გავლენა გაიზარდა ღვთისმეტყველებაში, რელიგიურ და პოლიტიკურ პუბლიცისტიკაში, ფილოსოფიაში, ისტორიულ პროზასა და საარქივო დოკუმენტურ მასალებში. ამის კვალობაზე შედარებით აქტუალური ხდება კერძო, დარგობრივი რიტორიკის განვითარება, რომელშიც ფორმულირებულია კონკრეტულ ნაწარმოებთა სპეციფიკური ტიპები და სახეები.

რიტორიკის ანატომიის შესწავლისა და განვითარების საქმეში, XVIII-XIX სს. ფილოსოფოსები და რიტორიკის სპეციალისტები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ირონიის თემას, რაც, ჯერ კიდევ ანტიკური პერიოდიდან გახდა არისტოტელეს, ციცერონისა და ფაბიუს კვინტილიანეს დაკვირვების ობიექტი. როგორც ცნობილია, ამ უკანასკნელმა მისი სისტემატიზირებაც მოახდინა, სადაც აჩვენა, რომ ირონიას აქვს როგორც ტროპის ფუნქცია, ასევე ის განასახიერებს ორატორული სიტყვის აზროვნების შიგთავსს, რომელიც ტროპის დანიშნულებასაც აღემატება. ირონია, ს. კირკეგარდის თანახმად, წარმოადგენს ისეთ პოზიციას, სადაც ვლინდება ყოველივე მოჩვენებითი, ყალბი და დროებითი. ამას ის განსაზღვრავდა, როგორც „სუბიექტურობის სახეს“, რაშიც სუბიექტი წარმოგვიდგება ნეგატიურად გაგებული თავისუფლების ხარისხში[1]. ის ახორციელებს ორ იმგვარ მნიშვნელოვან მიდგომას, რომლებიც ხელს უწყობენ შლეგელის თეორიის მიმართ ჰეგელის უარყოფითი დამოკიდებულების გაზიარებას. პირველი მათგანი ხაზს უსვამს იმას, რომ ირონიული დამოკიდებულება თავაშვებული სუბიექტურობის გამოხატულებაა, რომელიც უარმყოფს

1 Kierkegaard's Writings, translated by Howard Y. Hong and Edna H. Hong, Princeton 1980 and after, IV p. 289.

რეალობას, რაც ამ გზით მას თავისუფლებას ანიჭებს, მეორე კი ის არის, რომ ირონია უსასრულო პროცესია, ღვთიური სიგიჟე, რაც ქვას ქვაზე არ ტოვებს– რომანტიკული ირონია. თავის მხრივ, შლეგელმა რიტორიკა გარდაქმნა ტრანსცენდენტულ ინსტრუმენტად, რომელიც ხასიათდება გამოხატვის მხატვრული ხერხით. ეს ე.წ. რომანტიკული ირონია, თავისი ბუნებით, განსხვავებულია სოკრატული ირონიისგან; თუმცა საერთოდ, რომანტიკული ირონია სწორედ სოკრატულს ეფუძნება, ჰეგელმა მისგან გადაიღო ისეთი კომპონენტები, როგორიცაა: დიალოგიზმი, ირონიის ორაზროვნება, სოკრატეს მორალური პრინციპი და დაფიქრებულობა, ასევე პრაქტიკისა და თეორიის შერწყმა. აღნიშნულ თემას საგანგებოდ განიხილავდნენ ისეთი მოაზროვნეები, როგორებიც იყვნენ: ტიკი, ზოლგერი, მიულერი, ჰეგელი, ჰაინე და კირკეგარდი.[1]შლეგელის მიხედვით, ირონია პარადოქსის ფორმაა, რასაც იგი განმარტავდა როგორც ყველაფერს, რაც ერთდორულად კარგი და დიდია. ნოვალისი კი, უპირატესობას ყოველთვის გრძნობას ანიჭებდა, რისი გამოყენებითაც რომანტიკოსები ცდილობენ ამაღლდნენ პირობითობასთან შედარებით, რაც გნასახიერებს ირონიის ძირითად ნიშანს. სწორედ ეს გახლავთ რომანტიკული ირონია, რომელიც წარმოადგენს საკუთარ თავზე ამაღლების ფუნქციას. ამ გზით ხდება ირონია ხდება რომანტიკული ზეშთაგონების ძალა, რამდენადაც ის ათავისუფლებს ადამიანს. ირონიის გამოხატვა არ შეუძლია ადამიანს, თუ ის არაა თავისუფალი, ამავდროულად, ირონია არის განთავისუფლების ინსტრუმენტი, სწორედ ამიტომაა ირონია თავისუფლება. თუ სოკრატული ირონია მიზნად ისახავს მოკამათის განიარაღებას არგუმენტებისაგან, სამაგიეროდ, რომანტიკული ირონია, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი თავისგან განთავისუფ-

1 Adler, Mortimer J. "How to Mark a Book." Rpt. The McGraw-Hill Reader: Issues Across the Disciplines. Ed. Gilbert H. Muller. 8th ed. Boston: McGraw-Hill, 2003. 47-49.

ლების შესაძლებლობაა, რაც, ერთის მხრივ, დაკავშირებულია ტკივილთან, თუმცა მეორეს მხრივ, თავისუფლების შეგრძნების გამო, განსაკუთრებული სიამოვნების მომგვრელია, რამეთუ სწორედ ესაა ის შეგრძნება, რაც გვაქცევს ადამიანად.[1]

რომანტიკული ირონია დასაბამს იღებს იმ პერიოდიდან, როცა კლასიციზმი, მონარქია და რელიგია უკვე ღრმა კრიზისში იმყოფებიან და მათ მიერ შემოთავაზებულ დოქტრინებს აღარ შეუძლიათ აჰყვნენ თანამედროვე აზრის ევოლუციას. საზოგადოებაში შემუშავებული გადაფასებული ღირებულებები – პიროვნების თავისუფლება, რეალობის განსხვავებული აღქმა და ა. შ. საჭიროებს განსხვავებულ ინტერპრეტაციას. რაზეც მიუთითებდა კირკეგარდი, რომელსაც ირონია კრიტიკული ვითარების პირმშოდ მიაჩნდა. რაც შეეხება ჰეგელს, მისთვის სოკრატე გახლდათ ანტიკური სამყაროს მორალის მებაირახტრე და სუბიექტურობის იდეური მესაძირკვლე, რის შედეგადაც, ადგილს იჭერს სახელმწიფოსა და სუბიექტის მიზნებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავება. ჰეგელის მიერ ირონია ხასიათება ორი ძირითადი ასპექტით: ერთის მხრივ, იგი მეტაფიზიკური საწყისის გაცნობიერებას ექვემდებარება, ხოლო მეორე მხრივ, ის უკავშირდება ირონიას, როგორც სიმართლის ფაქტორის რელელატივისტურ გაგებას. რამდენადაც სოკრატული ირონია გამოიხატებოდა ინტერპერსონალური ურთიერთობების კონტექსტში, ამდენად ის წარმოგვიდგებოდა დიალექტიკის სუბიექტურ ყალიბში, ამით ის ძირეულად განსხვავდება ჰეგელის დიალექტიკისაგან, რომელიც საგანთა ობიექტური არსებობის საფუძველს განაპირობებს. სოკრატულ ირონიას გააჩნია კონკრეტული მნიშვნელობა, რაც რომანტიკოსებმა გადაამუშავეს უნივერსალურ ელემენტად. ამიტომაც შლეგელთან ირონია იქცევა

1 P. Lacoue-Labarthe, J.L.-Nancy, The Literary Absolute. The Theory of Literature in German Romanticism, trans. P. Barnard I C. Lester, State University of New York Press 1988, 12.

არა როგორც ინტერპერსონალური ურთიერთობების თავმოყრად, არამედ აბსოლუტური უარყოფის ფუნდამენტურ მოძღვრებად. ეს იყო მიზეზი ჰეგელის მიერ შლეგელისეული შეხედულებების კრიტიკისა, რაშიც აღნიშნულია რომანტიკული ირონიის უმთავრესი ნაკლოვანება, ის რომ იგი არსის მიღმა რჩება, რადგანაც ყოველივეს შემოქმედად ცხადდება აბსტრაქტული სუბიექტი, მაშინ, როდესაც ირონიის ბუნება განასახიერებს აქტივობის იმ უმაღლეს ფორმას, სადაც ნებისმიერი შექმნილი არსება მუდმივად ექვემდებარება შემქმნელის შეფასებით განზომილებას. ამ ბუნების თანახმად, ირონიას შეუძლია ნებისმიერი ვალიდური მოცემულობა დაიყვანოს არარაზე, მათ შორის ადამიანური არსებობაც, რაც უძლური ნოსტალგიის განცდის ინიცირების წინაპირობაა. აქედან გამომდინარე, ირონია არის სუბიექტივიზმის ყველაზე მაღალი და სრულყოფილი ფორმა, კულმინაცია, რომლითაც მთავრდება სუბიექტურობა. სოკრატული ირონიის უპირატესობა, რომანტიკულ ირონიასთან შედარებით, განისაზღვრება იმ ნეგატიური მახასიათებლით, რომლისგანაც ის სრულიად თავისუფალია, მაშასადამე, შლეგელისეული ირონია, როგორც აბსოლუტური სუბიექტურობა, ჰეგელისთვის საფუძველს მოკლებულია, რადგან ყოველივე კონკრეტულის უარყოფით მიღწეული თავისუფლება ყოველგარ საზრისსა და გამართლებას ეწინააღმდეგება. მართალია, სუბიექტი თვითონ ანიჭებს თავისუფლებას საკუთარ თავს, მაგრამ ის თავისუფლდება მარტოდენ სუბსტანციური სიდიდეებისაგან, რითაც ფაქტიურად გადაიქცევა საკუთარი თვითნებობის მონად.[1]

სიორენ კირკეგარდის აზრით, ზოლგერი იყო ერთადერთი, ვინც შეიცნო შემლო ირონიის ფილოსოფიური ბუნება; სწორედ მან შემლო გარეგანი და ჭეშმარიტი ირონიის ერთიმეორისგან

1 Hegel, Georg Wilhelm Friedrich.. The Logic. Encyclopaedia of the Philosophical Sciences. 2nd Edition. London: Oxford University Press. 1874., §93. p478.

განსხვავება. მისთვის გასაგებია, თუ რატომ არ უნდა იქნეს, საგნებთან დაკავშირებული, თავშესაქცევი აქტი, განხილული სერიოზულ ჭრილში, მათ შორის, ცხოვრების მორალური, პოლიტიკური, რელიგიური და სამეცნიერო საკითხები, რომელიც არ წარმოადგენს ნამდვილ ირონიას. ჭეშმარიტი ირონია ადამიანის ძირეული შემადგენელი ნაწილია, როგორც ამბივალენტური ორგანიზმისა, რომელიც მერყეობს დასრულებულისა და დაუსრულებელს, მიწიერსა და ღვთიურს შორის. ირონია ზედმიწევნით შეესაბამება ადამიანის ძირეულად განსაზღვრიულ მდგომარეობას, იგი ტრაგიკულობის ბეჭდითაა დაღდასმული, როგორც რაღაც ღვთაებრივი, რომელიც ღვთიურ ბუნებას ამკვიდრებს ყოველდღიურ ადამიანურ ქცევაში. ეს ამავდროულად ცოდნის გარკვეული ფორმაა, რაშიც ღვთიურის ბუნება თავის თავს აცხადებს და ამხელს, რაც ჩვენი რეალობის გაქრობის შედეგია. ტრაგიკული ირონია ადამიანის ეგზისტენციული თვითდამკვიდრების ხერხია, ამიტომაც ის ვერ მოირგებს მარტოდენ მხატვრული ინსტრუმენტის ფუნქციას, ვინაიდან ეს, პირველ რიგში, ეგზისტენციალიზმის თეორიაა. მართალია, ზოლგერი ხელოვნების არსს ირონიასთან არ აიგივებდა, თუმცა უჩვენებდა, რომ მისი არსი მდგომარეობს იდეიდან დროებითი გამოვლენის მომენტალურ განსახიერებაში; აი, ამას უწოდებდა ის ირონიას. ხელოვნება სწორედ ამიტომ არ დაიყვანება, არც ხელოვნების ნიმუშზე და არც ყველა მოცემულ ხელოვნების ქმნილებათა ერთიანობაზე, არც მხატვრის შემოქმედებით შესაძლებლობასა და არც ესთეტიკურ ობიექტზე; ის ყოფიერების ისეთი მიმართებაა, სადაც იდეასა და გამოსახულებას შეუძლიათ ერთმანეთში შეაღწიონ და წარმოქმნან სინთეზური ერთიანობა. როგორც ერთი წარმოდგენის მქონე სინამდვილის ხატი.[1]

1 Kuypers, Jim A. Rhetorical Criticism: Perspectives in Action. Lanham, MD: Lexington Books. 2009 p. 14.

§6. მეოცე საუკუნისა და თანამედროვე რიტორიკა

მე-20 საუკუნის ხელოვნებამ და მეცნიერულად გადახალისებულმა ფილოსოფიამ, შექმნეს სპეციფიკურად განსაზღვრული წინაპირობა ერთგვარად მივიწყებული რიტორიკული იდეების ხელახალი აღორძინებისათვის. ჯერ კიდევ, მე-18 საუკუნის დასასრულიდან მოყოლებული, მთელი ასწლეულის განმავლობაში, ევროპაში საზოგადოებრივი აზრი, მნიშვნელოვანწილად ორიენტირებული იყო ანტირიტორიკაზე. ის ფაქტი, თუ რატომ რჩებოდა ამ დროისთვის რიტორიკა, ჯერ კიდევ, უმაღლესი ფილოლოგიური განათლების კომპეტენციაში, აიხსნებოდა კლასიკური პერიოდიდან გამოყოლილი ინერციით, ამიტომაც, გასული საუკუნის თითქმის ორი ათწლეულის მანძილზე, მეცნიერებაში არ მოიძებნა ადგილი რიტორიკისათვის. აქედან გამომდინარე, ორატორული ხელოვნებაც მოწყვეტილი აღმოჩნდა პროფესიული მახასიათებლებისგან. მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში, სოციალურ-კულტურული ცნობიერების ის არიალი, რომელშიც განხორციელდა რიტორიკის თავისებური რენესანსი, უკავშირდება ფორმალიზმის განმტკიცებას, როგორც მეცნიერებაში, ასევე ხელოვნებაში. მიუხედავად ამისა, თვით სოსიურიც უშუალოდ არ შეხებია რიტორიკის პრობლემატიკას, უბრალოდ, შეიძლება ითქვას, რომ მისმა თვალსაზრისმა ძლიერი ზეგავლენა მოახდინა რიტორიკის ინტერესის გაღვივებაზე, ხოლო თავის მხრივ, მეტყველების შესწავლის აღნიშნულმა ინტერესმა განაპირობა ნეორიტორიკის ჩამოყალიბება.

ამრიგად, ახალი რიტორიკის განვითარების ათვლის წერტილად მიჩნეულია გასული საუკუნის 60-70-იანი წლები; სხვებთან ერთად, ავტორიტეტულ მეცნიერთა შორის, რომელიც ასეთი მიდგომით გამოირჩევა, გახლავთ ლიეჟის სკოლის ერთ-ერთი დამაარსებელი, დიუბუა, რომელიც ამტკიცებს, რომ ნეორიტორიკა

წარმოიშვა სტრუქტურალიზმის, სემიოლოგიისა და ახალი კრიტიკის ურთიერთგადამკვეთ გზაჯვარედინზე.[1]

თანამედროვე ზოგადი რიტორიკა ეფუძნება ისეთ დისციპლინებს, როგორიცაა ფილოსოფია, ფსიქოლოგია, ესთეტიკა, ეთიკა და ლინგვისტიკა, რომელთაც მთელი ორატორული კომპეტენტურობის გათვალისწინებით, ხელეწიფებათ სამეტყველო კომუნიკაციებში გამოამჟღავნონ პროფესიული ოსტატობის მაღალი დონე. თუ ლოგიკა პასუხს აგებს აზრთა ურთიერთშესაბამისობაზე, თანმიმდევრობასა და გამომდინარეობაზე, ხოლო გრამატიკა სიტყვათა სწორი გამოყენების დემონსტრირებაზე, სამაგიეროდ, რიტორიკა განაპირობებს აზრთა მოწესრიგებულად დალაგების, სიზუსტითა და დამაჯერებლობით გადმოცემის წარმატებით განხორციელებას. მაშასადამე, თანამედროვე რიტორიკის მიზანი მდგომარეობს, ადამიანს ასწავლოს საკუთარი აზრების გადმოცემის მართვა, ნებისმიერი კომუნიკაციის ვითარებაში, აგრეთვე მსმენელის ყურამდე, მისი გამონათქვამის გასაგები ენით მიწოდება.

XX ს. მეორე ნახევრიდან, როგორც ითქვა, მძლავრი ბიძგი მიეცა რიტორიკის დინამიურ აღორძინებას, მთელ დასავლეთ ევროპაში, აშშ-სა და იაპონიაში. ევროპულ ქვეყნებში ძალებს იკრებს „ნეორიტორიკა“, მიმდინარეობს უზარმაზარი მასშტაბის მეცნიერულ-კვლევითი საქმიანობა, ორატორული ხელოვნების სფეროში, სიტყვის პოტენციური შესაძლებლობის, მეტყველების კულტურისა და პროპაგანდისტული ზემოქმედების ხაზით. პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში, სხვადასხვა დოზით, ორატორული ხელოვნების პრობლემატიკის მიმართ, ყურადღების მიპყრობა შეიმჩნევა გასული საუკუნის 70-80-იან წლებში. როდესაც საზოგადოებრივი ცხოვრების თანდათანობითი დემოკრატიზაციისა და დიამეტრული პოლიტიკური გარდაქმნების შედეგად, მკვეთრად შეიცვალა

1 Patricia Bizzell and Bruce Herzberg The Rhetorical Tradition: Readings from Classical Times to the Present, Boston: Bedford / St. Martins, 2nd ed., 2001, p. 486.

საჯარო ურთიერთობების პირობები; სიტყვის თავისუფლება, რეალური, მრავალპარტიული არჩევნების გზით, ალტერნატიული პოლიტიკური ძალების ხელისუფლებაში მოსვლის პერსპექტივა ის ბერკეტები გახლავთ, რითაც აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობის ფერხულში ებმება ის ხალხი, ვისაც აქამდე, ამის არავითარი სურვილი, უნარი და გამოცდილება არ გააჩნდა.[1]

დასავლეთ ევროპასა და აშშ-ში, ასევე იაპონიაში, ნეორიტორიკული კვლევა-ძიების აღორძინება უშუალოდ უკავშირდება ინფორმაციული თეორიის მაღალკვალიფიციური დამუშავების სისტემურ და მეთოდოლოგიურ საფუძვლებს; ჰუმანიტარულმა მეცნიერებებმა, რომელთაც მტკივნეულად განიცადეს, მათემატიკური მეთოდების მხრივ, ერთგვარი ოკუპაცია, ნაბიჯი გადადგეს ჰუმანიტარული შემეცნების ლოგიკის შემეცნების მიმართულებით. ფილოლოგია კვლავაც ინტერესდება ცოცხალი, ზეპირმეტყველებითი ურთიერთობის ტრადიციული ფორმებით. არაერთი მეცნიერული თეორია და მაგისტრალური მიმართულება, თავისი წარმოშობისა და არსებობის გამო, დავალებული გახლდათ კლასიკური რიტორიკისგან, მაგალითად, ისეთი დარგები, როგორიცაა ჰერმენევტიკა (ტექსტის ინტერპრეტაციის თეორია), სტრუქტურალიზმი, ტექსტის ლინგვისტიკა და ნეორიტორიკა. რიტორიკის სწავლებისა და ათვისების ევროპული და ამერიკული ტრადიცია, მეფის რუსეთისა და საბჭოთა კავშირისგან განსხვავებით, არასოდეს არ შეწყვეტილა, უფრო მეტიც ამ რიტორიკაში იმალებოდა სხვადასხვა თანამედროვე მეცნიერული კონცეფციებისა და მიმართულებების საწყისები, რომელთაგან ერთერთი გახლდათ, ნეორიტორიკული დასაბუთების თეორია, რომლის შემქმნელადაც მოგვევლინა ბელგიელი ჰაიმ პერელმანი, ბრიუსელის უნივერსიტეტის–მორალის ფილოსოფიისა და ლოგიკის

1 Пешков, И.В. М.М. Бахтин: от философии поступка к риторике поступка / И.В. Пешков. — М.: Лабиринт, 2006. — 176 с.

პროფესორი. სამართალწარმოების საკითხთა გამოკვლევისას მიმდინარე ღირებულებათა ანალიზის პროცესში, ის მიდის იმ დასკვნამდე, რომ ჯერ კიდევ ანტიკური პერიოდიდან მოყოლებული, დღემდე, რიტორიკა არის „დარწმუნების ხელოვნება“. პერელმანის განხილვის ამოსავალი წერტილი გახდა ის ფაქტი, რომ ანტიკური რიტორები სოცილური, თუ მორალური დასაბუთების ერთადერთ გზას ხედავდნენ საზოგადოებრივი აზრის წინასწარი შემზადების საჭიროებაში, მაღალგანვითარებული დასაბუთების ტექნიკის საფუძველზე. ჯერ კიდევ არისტოტელემ წამოაყენა თეზისი, ორი ტიპის, ანალიტიკური (ფაქტისა და ჭეშმარიტების შესახებ) და დიალექტიკური ხასიათის რიტორიკული მტკიცებულების შესახებ. პერელმანის შეხედულებით, რიტორიკის არსი უფრო მეტად გამოიხატება მეორე ტიპის მტკიცებულებაში. ანტიკური დასაბუთების თეორია ემყარებოდა ამ ორ რიტორიკულ კანონს (იდეოვერბალურ სქემებს): ინვენციასა და დისპოზიციას, შუასაუკუნეობრივი ტრადიცია ძირითად აქცენტს აკეთებდა მესამე ნაწილზე-ელოკუციაზე, ხოლო ახალი რიტორიკა (პერელმანის მიერ სახელდებული ნეორიტორიკა) მოწოდებულია შეიცნოს ყველა სახის არგუმენტი, ყველა ზემოხსენებული ტიპის გამოხატულების შესაბამისად, ნებისმიერი აუდიტორიისათვის, ამიტომაც ძველი რიტორიკის (პალეორიტორიკა),კორექტირება უნდა წარმოებდეს თანამედროვე სამეტყველო კომუნიკაციის პირობებში.[1]ბოლო დროს, ჩნდება ტენდენცია ა. ა. ლუნსფორდისა და ლ.ს. იდეს მიერ წინწამოწეული, კლასიკური და თანამედროვე რიტორიკის კატეგორიული დაპირისპირება–კლასიკურ რიტორიკაში ადამიანი გვევლინება რაციონალურ არსებად, თანამედროვე რიტორიკაში–სიმბოლიზირებული მოღვაწეობის სუბიექტად; კლა-

1 Перельман, Х.; Олбрехт-Тытека, Л. Из книги «Новая риторика: трактат об аргументации» // Язык и моделирование социального взаимодействия. — М.: Прогресс, 1987. — С. 207—264.

სიკურ რიტორიკაში ადამიანი ჰარმონიული სამყაროს მკვიდრია, თანამედროვე რიტორიკაში–ფრაგმენტული სოციუმის წარმონაქმნი; კლასიკურში–ადამიანის წარმმართველი ძალა გონებაა, თანამედროვეში–ემოციები; კლასიკურის მიხედვით, ორატორსა და აუდიტორიას შორის ურთიერთმიმართება ანტაგონისტურია, თანამედროვეობაში–კოოპერაციული; კლასიკური რიტორიკის კომუნიკაცია ცალმხრივია, თანამედროვე რიტორიკისა–ორმხრივი და ბოლოს, კლასიკური რიტორიკის მიზანს წარმოადგენს დარწმუნება, ხოლო თანამედროვე რიტორიკისას კი, ინფორმაციის გავრცელება.[1]

თანამედროვე რიტორიკული მოხსენების საკომუნიკაციო მოდელის ასაგებად, აუცილებელია ისეთი კატეგორიების გათვალისწინება, როგორიცაა გაგება, თანამშრომლობა და კომუნიკაციის ორმხრივი ხასიათი; აღნიშნული მიმართულებით მოქმედებს ლინგვოპრაგმატიკა, რომელსაც დასაბამი მიეცა ჯ. ოსტინის, ჯ. სერლის, ჰ. გრაისისა და 60-70-იანი წლების სხვადასხვა ავტორთა მეცნიერული მოღვაწეობის შედეგად; სოციალურად მნიშვნელოვან სიტუაციებში, ყოველდღიურ ურთიერთობებსი, ის დამყარებულია ენის ეფექტურ გამოყენებაზე, ამიტომაც ჯ. ლიჩი მოითხოვს, ორი ურთიერთშემავსებელი, პიროვნებათაშორისი და ტექსუალური რიტორიკის აგებას.[2] პირველი მათგანი ემყარება თანამშრომლობას, თავაზიანობასა (ეტიკეტი) და ირონიას. მეორე კი მიჰყვება გაზომვის (ტექსტის ადექვატური ათვისება), სიცხადის, ეკონომიისა და გამომსახველობის პრინციპებს. ზოგიერთ შემთხვევაში, ნეორიტორიკა, ძირითად საკვლევ პროგრამებთან მიმართებაში, არ შემოიფარგლებოდეს ზემოქმედების თეორიის

1 Кащей Н. А. Современная риторика как методология убеждения // Вестник Новгородского государственного университета. № 67, 2012. С. 45-48.

2 G. N. LEECH - Principles of Pragmatics, London: Longman, 1983. 250pp.

პრაგმატული დებულებით, რითაც ის ავლენს ძველი არისტოტელესეული რიტორიკის მემკვიდრეობას. მათ მიზნებში ვაწყდებით, როგორც მსგავსებასა და დამთხვევას, ასევე მკვეთრ წინააღმდეგობასა და განსხვავებას. თუ არისტოტელესთან ორატორის მიზანი განისაზღვრება დასაბუთების უფრო ხელსაყრელი მეთოდების ძიებით, სამაგიეროდ, თანამედროვე ავტორთა კონცეფცია მეტწილად იხრება ორმხრივი დიალოგის უკეთესი ვარიანტებისაკენ, ასევე ის დაკავებულია მთქმელის და მსმენელის კონტაქტის დამყარებისა და შენარჩუნების საკითხებით, ურთიერთობის სტრუქტურის შესწავლით, ტექსტთა ჟანრობრივი ანალიზით (კონკრეტული ტექსტები, რომლებიც ორიენტირებულია კონკრეტულ სამეტყველო სიტუაციებზე), სოციალურ პრობლემათა განხილვით. რიტორიკის მიბმულობა რადიოსთან, ტელევიზიასთან, რეკლამასთან და სხვა სახის მასობრივ საინფორმაციო წყაროებთან, განსაკუთრებულ ყურადღებას დიალოგის კონსტრუქციული აგების ღონისძიებას უთმობს, იმეცნებს ენის ეპოქალურ გემოვნებას, მის ტენდენციებს, რომლებიც ვლინდებიან ენის მასობრივი გამოყენების პროცესში, სპეციფიკურ სუბკულტურულ კომუნიკაბელურ ქსელში, კავშირურთიერთობათა სხვადასხვა სფეროების შიგნით. მაგალითად, საქმიანი ურთიერთობის სფეროებისთვის ნიშანდობლივია ინგლისური ბარბარიზმების მოზღვავება, ყოფით დამოკიდებულებებში კი, ეს პროცესი ასე მკვეთრად არ ჩანს. ყოფითი სუბკულტურა იყენებს განსხვავებულ წყაროებს–ანეკდოტებს, პოპულარულ სიმღერებს, კინოფილმებს) თვალშისაცემი სახეცვლილებებით წარმოგვიდგენს ალოგიკურ განცხადებებს, რომელშიც ჩადებულია გარკვეული შინაგანი შეუსაბამობა. თანამედროვე ვერბალური ქცევის მანერათა ანალიზის პროცესში, ამერიკელმა მკვლევარმა კორბეტმა მიმართა სტოიკოსი ძენონის ცნობილი შედარების ნიმუშს, როდესაც კოპებშეკრული ფილოსოფოსის ზუსტი, ლაკონური და მკაცრად გამოთქმული სიტყვა შეადა-

რა ხელ-გულგახსნილი ორატორის მშვიდ ემოციურ და მიზანდასახულ სიტყვას; მისი აზრით, სწორედ აქედან მომდინარეობს ორი განსხვავებული ყაიდის ხალხის სამეტყველო ქცევა–გახსნილი და დახურული რიტორიკა. ერთი მათგანი ცდილობს მიზანს მიაღწიოს ურთიერთმისაღები კომპრომისის გზით, შეთანხმებით და მორიგებით, მეორე კი, პროვოკაციული მეთოდების გამოყენებით, ზოგჯერ გულსგარეთ გამოთქმული, ქარაგმული და ორაზროვანი სიტყვებით (გავიხსენოთ ისიც, რომ გაუნათლებლობა, კაცობრიობის ისტორიაში, არასოდეს არ ყოფილა ინერტული ძალა). კორბეტმა შემოგვთავაზა აღნიშნული სამეტყველო ქცევის მანერათა დამახასიათებელი ნიშან-თვისებების ნუსხა: 1. გარესიტყვიერი ხასიათის ფორმები–მარშები, დემონსტრაციები, მიტინგები და გაფიცვები, რაც კუნთების დემონსტრირების რიტორიკას მიაკუთვნა; 2. შეკრულობა–ორგანიზებული ჯგუფისკენ ლტოლვა, პარტიაში გაწევრიანების მოთხოვნილება და სხვა; 3. იძულებისკენ სვლა–როდესაც არ მოიძებნება ოპონენტის გადარწმუნების სხვა საშუალება; შეურიგებლობა–შეურაცხყოფისა და მუქარის შემცველი გამოთქმები.[1] კორბეტის მიერ შემოთავაზებულ კონტრასტულ შედარებაში რატომღაც მიჩქმალულია ის ფაქტი, რომ მასობრივ საინფორმაციო საშუალებებზე მიპყრობილი მასა, რომელსაც პიროვნული არჩევანის მრავალფეროვანი ფორმები აქვს შეთავაზებული, უმრავლეს შემთხვევაში, კარგავს კრიტიკული შეფასების უნარს და ექცევა გარეშე ანონიმურ სუბიექტთა მანიპულაციებზე დაქვემდებარებული ქცევის სტერეოტიპთა ტყვეობაში. მეცნიერთა ის კატეგორია, რომელსაც მართლზომიერად მიაჩნია კლასიკური და თანამედროვე რიტორიკის ამგვარი შედარება, ერთიანდებიან ენის ეკოლოგიური დამუშავე-

1 Corbett, Edward P.J. Classical Rhetoric for the Modern Student. 3rd ed. New York: Oxford UP, 1990.175pp.

ბის ჯგუფში, რომელიც ცნონილია „ლინგვისტური ეკოლოგიის-“სახელით. ამ ტერმინით დასათაურებულია ენის შესახებ მეცნიერების ის განყოფილება, რომელიც იკვლევს მჭევრმეტყველების ლექსიკური და აზრობრივ-ემოციონალური დეგრადაციის პრობლემატიკას, მიუთითებს ფაქტებს, რომლებიც ნეგატიურ ზეგავლენას ახდენენ ენობრივი სტრუქტურებისა და სრულყოფილი მჭევრმეტყველების უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაზე. პარალელურად, ისახება შესაბამისი ღონისძიებანი ენობრივი გამოსახულებებისა და მჭევრმეტყველების რეაბილიტაციის მიმართულებით, გარკვეული ეთიკური და პრაგმატული პოსტულატების მოძიების მიზნით, ეფექტური და გამართული კომუნიკაციების უზრუნველსაყოფად. ლექსიკური პრაგმატიკა მჭიდროდ უკავშირდება იდეოლოგიურ პრაქტიკასა და XX საუკუნის იდეოკრატიულ სისტემებს, სწავლობს ენობრივი გამოხატვის ფორმებს, მეთოდებსა და შეფასებით ასპექტებს. ტექსტის ლინგვისტიკა სწავლობს ტექსტის აგებულებას, მის შინაგან კომპონენტთა, ლოგიკურ, ლექსიკურ, გრამატიკულ კავშიურთიერთობებს; რომელთა მონაცემებიც აუცილებელია ტექსტის საფეხურეობრივი მომზადებისა და ეტაპობრივი შეფასების მიზნით. მაშასადამე, თანამედროვე ნეორიტორიკა დაკავებულია ხსენებულ მიმართულებათა ორატორული მოღვაწეობის, სამეტყველო ურთიერთობის მრავალგვარი ვარიანტების პრაქტიკული დანერგვისა და გამოყენების ოპტიმალურ შესაძლებლობათა მოძიებით, რაც გახლავთ ძირითადი და უმთავრესი კომპონენტი ენის სისტემური შესწავლისა და დამუშავების პროცესში; იგი ამასთანავე წარმოადგენს ფილოლოგიური განათლების განუყოფელ ნაწილს, რაშიც ინტეგრირებულია ენისა და ლიტერატურის თეორიის ცოდნა, მშობლიური და საერთაშორისო მეტყველების გამოცდილება, გრამატიკა და სტილისტიკა, ენის სტრუქტურა, სამეტყველო მექანიზმები, სოციალურ და ინდივიდუალურ ურთიერთობათა ფსიქოლოგიის, აზრების, განცდებისა

და იდეების სამყარო.[1] ენათმეცნიერული განათლების უმაღლესი საფეხური საკუთარ „ფრთებქვეშ“ თავს უყრის პრაქტიკული გამოყენების უკლებლივ ყველა დარგს, რომელიც ორატორული ოსტატობის კვალობაზე ადამიანს აიარაღებს თანამედროვე რიტორიკული მეთოდებით, რაც წარმოადგენს ერთგვარ სავიზიტო ბარათს, პიროვნული და პროფესიული საქმიანობის წარმატებული მომავლის გარანტიებისთვის. ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, თანამედროვე რიტორიკა არის ორატორული ხელოვნების მეცნიერულად დაფუძნებული თეორიისა პრაქტიკის ერთიანობა, რაშიც პიროვნება არ განიხილება, არც როგორც საზოგადოებაში ინდივიდუუმის მექანიკური გათქვეფის რეზულტატი, ასევე არც როგორც მისგან იძულებითი მოწყვეტისა და განმარტოების სუბიექტი, არამედ ის არის იმ მასშტაბის განვითარების შემოქმედებითი ინიციატორი, რომელიც იმგვარად ახერხებს სხვა სუბიექტებთან საერთო ენის გამონახვას, რომ წარმატებით აღწევს თვითდამკვიდრებას, საკუთარი თვითმყოფადი და უნიკალური თვისებებით, სოციალურ გარემოში. [2]

მე-20 საუკუნის დიდი ფრანგი მოაზროვნის, ჟან-პოლ სარტრის მიხედვით, რიტორიკული გამონათქვამის შესახებ მსჯელობა ერთერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია. „ფორმალური თვალსაზრისით, წინადადება სიტყვათა კომბინაციაა, შთამბეჭდავი შინაარსის მქონე სიტყვებად კი, ისინი მხოლოდ კომბინაციის მეშვეობით იქცევიან, რასაც კარგად გრძნოდნებ ლინგვისტები და ფსიქოლოგები, ისინი თვლიდნენ, რომ გაარღვიეს წრე „მეტყველების მოქმედებაში“_ იმისათვის, რომ ილაპარაკო, საჭიროა, იცოდე

1 Лотман Ю.М. Происхождение сюжета в типологическом освоиении // Лотман Ю.М. Статьи по типологии культуры. -- Тарту: Изд.ТГУ, 1975. – С. 36-49.

2 Бахтин М.М. Эстетика словесного творчества. Сост. С.Г.Бочаров. - М.: Искусство, 1979. - 424 с.

შენი აზრი... მაგრამ როგორ უნდა იცოდე ის აზრი, თუკი ის არ გამოთქვი? მაშასადამე, ენა გვაგზავნის აზრებისკენ, აზრი _ ენისკენ..." (სარტრი, „ყოფიერება და არარა")[1]. ეგზისტენციალისტი ფილოსოფოსის აღნიშნული აზრი ორგანულად უკავშირდება ახალი რიტორიკის (ნეორიტორიკის) პრობლემატიკას, რომელიც ახალ დროში მეტად აქტუალური და მრავალფეროვანი გახდა. რიტორიკის ავტორიტეტულ მკვლევართა მოსაზრების თანახმად, პროზაული ლიტერატურის ჟანრების გაჩენისთანავე, რიტორიკასა და პოეტიკას შორის ზღვარი ერთიანად წაიშალა, სიტყვიერი გამოხატვის, რიტორიკის ცენტრალური ნაწილი პოეტიკის შემადგენელი გახდა და დამკვიდრდა ლიტერატურის თეორიის–სტილისტიკის სახელწოდებით. სკეპტიკოსთა გავრცელებული წარმოდგენით, ჩვენს ყოველდღიურობაში, „რიტორიკულს“ აღიქვამენ, როგორც გარეგნული ეფექტის მატარებელ უშინაარსო სიტყვად, რაც უდავო მოწმობაა იმისა, რომ რიტორიკამ, ბოლო საუკუნეთა მანძილზე, განიცადა მნიშვნელოვანი კრიზისი, ის გადაიქცა შინაარსისაგან დაცლილ ფორმად, „კაზმულსიტყვაობად“, რომელიც მოკლებულია საზრისისეულ დანიშნულებას. ანუ, აზრმა დაკარგა სიცოცხლე და ამგვარად სიტყვიერება წარმოგვიდგა როგორც აზრის სასაფლაო, რომელსაც უკვე აღარ ძალუძს ჩაწვდეს ადამიანთა სულებს, გამოიწვიონ მათი მღელვარება, და როგორც ხელოვნების პეიზაჟი, მისი მაღალმხატვრული შესრულების მიუხედავად, ვერ ჩაანაცვლებს ნამდვილ ბუნებას, ასევე, მოხდენილ ყალიბში გამოსახული სიტყვა ვერ დაიჭერს იმ სიტყვის ადგილს, რაშიც ადამიანის სხეული, სული და აზრია ერთდ შედუღაბებული. სწორედ ამის თაობაზე წერდა დიდი ხნის წინათ ციცერონი: „არ შეიძლება, გამოიყოს სიტყვა აზრისგან, ისევე, როგორც სული სხეულისგან, რათა სიცოცხლე არ წაერთვას არც ერთს და არც მეორეს.“ყველა

1 Sartre, Jean-Paul Being and Nothingness. Hazel E. Barnes (trans.). London: Routledge. 2003. P. 94.

დროის ეს კლასიკური რიტორიკული დოქტრინა ოქროს წესის ფორმულირებად უნდა იქნეს მიჩნეული.

ნეორიტორიკა ჩამოყალიბდა, როგორც სტრუქტურალისტური იდეოლოგიის ოპოზიცია. როგორც მიუთითებენ რიტორიკის თეორიისა და ისტორიის მკვლევრები, ნეორიტორიკაში სტრუქტურალიზმის ცალკეული მეთოდის გამოყენება, კლასიკური რიტორიკის სისტემური ხასიათის გათვალისწინებით, ქმნიდა ყალბ შთაბეჭდილებას, ახალი რიტორიკის სტრუქტურალისტური ხასიათის შესახებ. როლან ბარტის მიხედვით, მეტყველების ლინგვისტიკაზე ტრადიციული ლინგვისტიკის დონიდან გადასვლა არის გადასვლა პრედიკაციის წმინდა ანალიზიდან რეფერენციული ფუნქციის განხილვაზე–დისკურსის ანალიზზე, სადაც წინა პლანზე იწევს კონტექსტი, გამონათქვამის ირგვლივ წარმოქმნილი სიტუაცია. ნეორიტორიკის პრობლემატიკას ის სიმბოლოს თეორიიდან ამოსვლით განიხილავს.[1] ასევე სიმბოლოს პრობლემა გახდა მე-20 საუკუნის მრავალი დისკუსიის მთავარი საგანი, რომლებსაც აწარმოებდნენ როგორც ჰერმენეტიკული (კასირერი, დილთაი, ჰაიდეგერი, გადამერი), ისე სტრუქტურალისტური (ბაშლიარი, დერიდა, რიკიორი) ფილოსოფიური სკოლები. მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა აგრეთვე სიმბოლური ფორმების შესწავლამ ფსიქოანალიზის ფილოსოფიურად ორიენტირებულ მოდიფიკაციებში და საკუთრივ, კულტურულ ანთროპოლოგიაში (ლაკანი და ლევი-სტროსი). ამ მდგომარეობამ განაპირობა ცხოველმყოფელი ინტერესი აზროვნებისა და კულტურის სიმბოლისტური ორგანიზაციისადმი, სადაც საქმე ეხება სემანტიკის მთავარ პრობლემას, სიგნიფიკაციის პრობლემას, რომელიც ფართო სემიოტიკურ კონტექსტში მოიცავს კომუნიკაციის როგორც საკუთრივ ლინგვისტიკურ, ასევე ინფრა და ექსტრალინგვისტიკურ პარამეტ-

1 Barthes, R.The Rhetoric of the Image." In his book Image-Music-Text, trans. S. Heath. 1964; rpt. London: Wm. Collins Sons and Co., pp. 32-51.

რებს. გადატანითი მნიშვნელობის სიტყვისა და აზრის რიტორიკული ანალიზის მეშვეობით, ხორციელდება სიმბოლიზმის ფუნქციონირების პრინციპულად ახალი ასპექტების გამოკვლევა. ასე მოხდა ერთგვარი შემობრუნება ტროპის თეორიისკენ, რომელიც ისტორიის განსაზღვრულ მონაკვეთში განიხილებოდა, როგორც რაღაც ფორმალური ელემენტი, გარედან შემოტანილი „მოკაზმვის“ მიზნით. ამ თეორიის პოპულარობა სემიოტიკის აღმავლობას უკავშირდება. ჩნდება ტროპის თანამედროვე განმარტებები, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ტროპოლოგიის, როგორც მეცნიერების, ამჟამინდელი მდგომარეობა ემყარება წარსულის მდიდარ ტრადიციებზე და შეპირობებულია თანამედროვეობის მოთხოვნებით. ნეორიტორიკის მეთოდოლოგიაც, თავის მხრივ, აქტუალურს ხდის ტროპის თეორიასთან დაკავშირებულ პრობლემატიკას. ენათმეცნიერების მიხედვით, ტროპის თეორია განიმარტება, როგორც ენობრივი მოვლენა, რომელიც ყველაზე ინტენსიურად არის გაჯერებული ენობრივი ფაქტებით, ამიტომაც ტროპის თეორია თანამედროვე ენათმეცნიერების ნაწილი გახლავთ.

ჯერ კიდევ, მთელი ორნახევარი საუკუნით ადრე, დიუმარსე თავის ცნობილ ნაშრომში: „ტრაქტატი ტროპებზე“ ტროპებს განმარტავდა, როგორც ფიგურებს, რომელთა მეშვეობით სიტყვა იძენს ძირითადი მნიშვნელობისაგან განსხვავებულ შინაარსს, ხოლო ფიგურებს უწოდებს „წარმოსახვათა და ვნებათა“ ენას. აქვე მიუთითებს მათი მნიშვნელობის შესახებ: „რიტორიკასა და ტროპოლოგიას ძირითადად აქვთ ენციკლოპედიური და პედაგოგიური მნიშვნელობა. გაგვიჭირდებოდა ავტორის გაგება და ინტერპრეტირება ფიგურებისა და ტროპების ცოდნის გარეშე. დიდ დახმარებას გვიწევს რიტორიკა ახალი აღთქმის კითხვისას, რომელიც დაწერილია ძალიან მარტივი ენით, მაგრამ, ამავე დროს, შეიცავს უამრავ ფიგურას, რომლებიც ძნელად ექვემდებარებიან ანალიზს...მეცნიერება და ხელოვნება მხოლოდ გზაა ცხოვრებაზე

დაკვირვებისა“.[1]ჟერარ ჟენეტის აზრით, დიუმარსეს მიერ ტროპის განხილვა ძირითადად ლინგვისტური ხასიათისაა, სახელდობრ, სემანტიკის სფეროს განეკუთვნება, რაზეც პირდაპირ მიანიშნებს დიუმარსეს წიგნის ქვესათაური: „ტროპები, ანუ განსახვავებული აზრები, რომელიც აქვს ერთსა და იმავე სიტყვას ერთსა და იმავე ენაში”. ამ ტრაქტატის მიხედვით, რიტორიკული შტუდიების ცენტრში აღმოჩნდა არა ფიგურათა ზოგადი თეორია, არამედ უფრო ვიწრო აზრის თეორია, რომლის მეშვეობით, სიტყვას აქვს ის მნიშვნელობა, რაც არის ამ სიტყვის ზუსტი, პირდაპირი მნიშვნელობა. როგორც ცნობილია, დიუმარსე გამოყოფდა ენაში არსებული აზრის გადატანის რამდენიმე სახეობას: 1.განსაზღვრული აზრი - განუსაზღვრელი აზრი (მას სწამს - სწამთ); 2.აქტიური აზრი, პასიური აზრი (წერილის წერა - წერილი დაწერილია); 3.აბსოლუტური აზრი, შეფარდებითი აზრი (მზე კაშკაშებს - მზე დედამიწაზე მეტია); 4.კოლექტიური აზრი, ინდივიდუალური აზრი (ქალებს უყვართ ლაპარაკი ეს ქალი ლაპარაკობს); 5.ნათელი აზრი - ორაზროვნება; 6. სრული აზრი, განუყოფელი აზრი; 7.პირდაპირი აზრი - განუყოფელი აზრი; 8. აბსტრაქტული აზრი - კონკრეტული აზრი და ასე შემდეგ...

მეცხრამეტე საუკუნის ცნობილი რიტორიკის სპეციალისტის, ფონტანეს თეორიის მიხედვით–აზრის „გადატანა“ ტროპის წარმოქმნის საფუძველია. თავდაპირველად ფონტანემ მიიღო დიუმარსეს მემკვიდრეობა, თუმცა შემდეგ იგი უარჰყო. მას ეკუთვნის ენათმეცნიერებაში საკმაოდ პოპულარული ნაშრომი–„ზოგადი ტრაქტატი მეტყველების ფიგურებზე,“ სადაც ერთი მხრივ გაა-ფართოვა შესასწავლი მხარე, რამდენადაც შეიტანა შიგნით ყველა ფიგურა–ტროპები და არატროპები, ამასთანავე იგი დაუბრუნდა სუბსტიტუციის ამოსავალ პრინციპს, როგორც ტროპოლოგიური

1 Jacqueline Lichtenstein. The Eloquence of Color: Rhetoric and Painting in the French Classical Age. University of California Press, 1993. 122 p.

აქტივობის კრიტერიუმს; ამგვარად, ფონტანესთან ტროპმა ცენ-ტრალური მდგომარეობა დაიკავა იმ თეორიულ პარადიგმაში, რომელიც ფიგურათა თეორიას წარმოადგენდა.[1]გასულ საუკუ-ნეში გამოქვეყნდა კოენის პოპულარული ნაშრომი, „ფიგურათა თეორია“, სადაც აღნიშნულია, რომ ჯერკიდევ ფონტანე ცდილობ-და ტროპის შესახებ საკუთარი ორი ტრაქტატის გაერთიანებას მეტყველების ფიგურებში. ასეთია მის მიერ შემოთავაზებული ტროპოლოგიის სქემა: ფიგურა-მიმართება; მეტაფორა-ნათესაობა; სინეკდოქე-ნაწილი-მთელი; ირონია-საწინააღმდეგო; ჰიპერბო-ლა- დიდი, მცირეს ნაცვლად; ლიტოტა-მცირე დიდის ნაცვლად და ასე შემდეგ.[2]ცვეტან ტოდოროვის მიხედვით, სიტყვა აიხსნება სიტყვით, რაც ნიშნავს იმას, რომ გადატანითი აზრი ინტერპრე-ტირდება სიტყვის ძირითადი აზრის გავლით, არისტოტელეს სა-წინააღმდეგოდ, რომელიც მიიჩნევდა, რომ მეტყველების ფიგურა არის არა სიტყვის პირდაპირი აზრის უბრალოდ შეცვლა, გადატა-ნითი აზრით, არამედ ამ უკანასკნელის გამოვლენას წარმოადგენს პირველის ადგილზე. ამჟამად, ნეორიტორიკაში მეტყველების ფიგურა იღებს მრავალ დეფინიციას რაც ემყარება ტექსტის სემი-ოტიკის ბაზისური გაგებას. მიუხედავად იმისა, რომ სხვა ისეთი ავტორიტეტული მეცნიერი, როგორიცაა გრეიმასი, რიტორიკულ ფიგურას განსაზღვრავდა, როგორც განსაკუთრებულ მიმართებას, რომელიც მოიცავს დისტანციას, ტექსტის ფიგურალურ და აბ-სტრაქტულ დონეებს შორის, ამის საპირისპიროდ, ცვეტან ტოდო-როვთან ვხვდებით მნისვნელოვნად განსხვავებულ დამოკიდებუ-ლებას მეტყველების ფიგურების შესახებ. მისთვის რიტორიკული

1 Patricia Bizzell and Bruce Herzberg The Rhetorical Tradition: Readings from Classical Times to the Present, Boston: Bedford / St. Martins, 2nd ed., 2001, p.286.

2 Cohen, H. (1994). The history of speech communication: The emergence of a discipline, 1914–1945. Annandale, VA: Speech Communication Association; and Gehrke, P.J. (2009). 140-141pp.

ფიგურა ენის შინაგანი სუბსტანციური არსია, რომელიც თვითმყოფადი სიტყვის ფუნქციას განასახიერებს.[1]თავის დროზე, ლათინურ რიტორიკაში ტროპებსა და ფიგურებს შორის მიმართება მკვეთრად გამიჯნული არ ყოფილა. მოცემულ სიტუაციაში ტოდოროვი ფონტანეს პოზიციას იზიარებს: ტროპი აზრის არაპირდაპირი ჩამოყალიბების საშუალებაა, ხოლო ფიგურა ერთდროულად წარმოადგენს ფრაზაში ორი ან მეტი სიტყვის კავშირს. ტროპის თეორიის შესახებ, ფრანგ რიტორთა მიერ შემუშავებულ კონცეფციაში, ტოდოროვი საჭიროდ მიიჩნევს დამატებით იდეათა თეორიის არსში წვდომას (პოლ-როიალის „ლოგიკაშიც“ დამატებით იდეათა თეორია გვევლინება იდეათა საფუძვლის რანგში), სადაც სიტყვა შეიძლება განსაზღვრულ იქნას ორი საშუალებით: აზრის აღნიშვნის, ან აზრის გაღვიძების თვალსაზრისით–სიტყვით აღნიშნული იდეა ძირითადი იდეაა, სიტყვის საშუალებით გაღვიძებული იდეა კი–დამატებითი იდეა. ფიგურალურ მეტყველებაში გამოყენებულ ენობრივ ერთეულთა სპეციფიკის გათვალისწინებით, ტოდოროვი გამოყოფს დამოკიდებულებათა ოთხ ტიპს: 1.ბგერა - აზრი (პარონიმები, ალიტერაცია); 2.სინტაქსური დამოკიდებულება (ელიფსისი, ზევგმა); 3.სემანტიკური დამოკიდებულება (მეტაფორა, მეტონიმია, სინეკდოქე); 4.ნიშანი - რეფერენტი (ანტიფრაზისი).[2] ტოდოროვმა აღნიშნულ კლასიფიკაციას, ე.წ. ანომალიათა ჯგუფი უწოდა, მაგრამ, როგორც მკვლევრები მიუთითებენ, რომ მან ვერ მოახერხა შემოთავაზებული კლასიფიკაციის იქით წასვლა, ანომალიათა ჯგუფში ტროპებისა და ფიგურების ჩართვა იმდენად სუსტ კრიტერიუმებზე იყო დაფუძნებული, რომ მომავლისათვის უპერსპექტივო აღმოჩნდა.

თანამედროვე მეცნიერთა წარსულის რიტორიკული მემ-

1 Genette, G., T. Todorov (ed.), Semantics of poetry, Paris, Seuil. 1979. 49p.

2 იქვე. 132 p.

კვიდრეობასთან კავშირ-ურთიერთობის ერთგვარ სინთეზს წარმოადგენს ლიეჟის ნეორიტორიკული სკოლის ნაშრომი ზოგადი რიტორიკა. რაც აშკარა მოწემობაა იმისა, რომ ახალ რიტორიკას სრული საფუძველი გააჩნია საკუთარი პრეტენზია განაცხადოს მეცნიერების იმ განსაკუთრებულ როლზე, რომელიც განიხილავს ენის ცოცხალ სინამდვილეს ყველა განზომილებაში - ინფრალინგვისტიკურისა და მეტალინგვისტიკურის ჩათვლით.[1] აღნიშნულ ნაშრომში საყურადღებოა აგრეთვე ეთოსის თეორიის პრობლემის დასმაც, სადაც ოთხი სახის რიტორიკულ მეტაბოლათა განხილვა წარმოადგენს ენის ცოცხალი ფუნქციონირების ანალიზის ბრწყინვალე ნიმუშს. „ზოგადი რიტორიკის" ავტორთა აზრით, დამაჯერებელი სიტყვის მთელი სტრატეგია, უმთავრესად განისაზღვრება მეტაბოლისა და ეთოსის თეორიებით. ამასთან ერთად, ენათმეცნიერების თვალთახედვით, მეტად საყურადღებოა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ტროპულობის ძირების კვლევა, ენის სტრუქტურის შიგნით, უნდა წარიმართოს ორპლანიანი ნიშანთა სისტემის, შინაარსის პლანისა და გამოხატვის პლანის ასიმეტრიულობის მიხედვით. როლან ბარტი, თავის დროზე აღნიშნავდა: „არ არსებობს წმინდა დენოტაციური ენები, ისევე, როგორც არ არსებობს მხოლოდ კონოტაციური. ნებისმიერი ენა წარმოადგენს გამოთქმულისა და ნაგულისხმევის კომბინაციას, დენოტაციურ და კონოტაციურ დონეებს...ასეთია სემიოტიკური სისტემის დინამიკური რეალობა."[2]თუმცა, აქვე არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ კლასიკური (სტატიკური) სტქრუქტურალიზმის გასაღები ამ რეალობას ვერ მოერგო. ნიცშე ტროპს განიხილავდა ლინგვის-

1 Chaïm Perelman, The New Rhetoric: A Treatise on Argumentation, 31. Translated by John Wilkinson and Purcell Weaver. Indiana: University of Notre Dame Press, 1969. 231-243pp.

2 Roland Barthes., Introduction to the Structural Analysis of Narratives,. New York 1977, pp. 79–124.

ტური პარადიგმის სახით, ფიგურალური სტრუქტურას კი ენის დახასიათებად. ენა თავისი ბუნებით რიტორიკულია, რადგანაც ის მიისწრაფვის არა ჭეშმარიტების (episteme), არამედ მხოლოდ აზრის გადმოსაცემად, ამიტომაც ტროპი სწორედ ის არის, რასაც სურვილისამებრ ვერც დავამატებთ და ვერც წავართმევთ ენას. რადგან ის ენის ჭეშმარიტი ბუნებაა. არ არსებობს არავითარი განყენებული მნიშვნელობა ამის იქით, თუ გამონაკლის შემთხვევებთან არა გვექნა საქმე, ამიტომაც, ნიცშეს აზრით, რიტორიკა რადიკალურად აჩერებს ლოგიკის მოქმედებას და ხსნის რეფერენციულ ცდომილებათა გამაოგნებელ შესაძლებლობებს.[1]ნიშნის ინტერპრეტაცია, პირსის თანახმად, სულაც არ წარმოადგენს რაიმე მნიშვნელობას, ვინაიდან ის უკვე მეორე ნიშანია, ეს მხოლოდ წაკითხვის შესაძლებლობაა და არა დეკოდირება. თავად წაკითხვა კი გაგებულია, როგორც მესამე ნიშანი და ასე შემდეგ. იგი ამ პროცესს უწოდებს წმინდა რიტორიკას, რაც უნდა გავიგოთ როგორც ერთი ნიშნის მიერ მეორის დაბადების აქტი.

თუკი როგორც ობიექტის რეპრეზენტაციის გზით მივიღებდით ნიშანს, ისევე ნიშანიც მოგვცემდა მნიშვნელობას, რის გამოც გრამატიკისა და რიტორიკის განსხვავების აუცილებლობა აღარ გვექნებოდა, მაგრამ გრამატიკა კითხვის დასმის საშუალებას იძლევა თუმცა წინადადებამ, რომლის საშუალებითაც ვაყალიბებთ შესაბამის კითხვას, შეიძლება საერთოდ გამორიცხოს შეკითხვის შესაძლებლობა. მკაფიოდ გამოხატული სინტაქსური კითხვა წარმოშობს წინადადებას, რომელსაც, სულ ცოტა, ორი მნიშვნელობა აქვს, მათაგან ერთი ამტკიცებს, ხოლო მეორე საკუთარ ილოკუციურ მოდუსს უარყოფს. საქმე ისაა, რომ ასეთ ვითარებაში გვაქვს ორი მნიშვნელობა, ერთი პირდაპირი, მეორე კი ფიგურალური,

1 The Rhetorical Tradition: Readings from Classical Times to the present. Ed. Patricia Bizzell and Bruce Herzberg. Second ed. Bedford/St. Martin's: Boston/New York, 2001. 79-84pp.

ამიტომაც განსაზღვრულ სიტუაციაში, ჩვენ თვითონ უნდა გადავწყვიტოთ, რომელია მათ შორის მართებული (პოლ დე მანი). როგორც უკვე აღინიშნა, სემიოტიკის წარმოშობამ გამოიწვია ტროპის თეორიით ხელახალი დაინტერესება. შოფერისა და რაისის ახლებური განმარტების მიხედვით, ტროპი არის სემანტიკური ტრანსპოზიცია არსებული ნიშნიდან (In praesentia) უნიშნობისკენ (In absentia). ტროპის თეორიის განმარტებისთვის, თანამედროვე ენათმეცნიერებაში, ყველაზე უფრო გამართლებულად შეიძლება ჩაითვალოს ტროპის გაგება იერარქიულად ორგანიზებული ელემენტების სისტემად, სადაც ტროპთა საკლასიფიკაციო სისტემაში, მეტაფორა და მეტონიმია იერარქიის პირველი დონეებს შეესაბამებიან.[1]

ლინგვისტურ და ლოგიკურ მიმდინარეობებს შორის, რომლებმაც ნიადაგი მოუმზადეს ნეორიტორიკას, შეიძლება გამოვყოთ ტრანსფორმაციული ლინგვისტიკა (ზ. ჰარისი) და იელმსლევის კონოტაციის თეორია, იაკობსონის შრომები და ბრიუსელის რიტორიკული სკოლა (პერელმანი), რომელმაც შემოიტანა ტერმინი - ახალი რიტორიკა. 1960 წელს კი, პარიზში დაფუძნებულ ფრანგული ენის შემსწავლელ საზოგადოებასთან, ჩამოყალიბდა პარიზის სემიოტიკური სკოლა. ამ სკოლაში იმთავითვე გამოიკვეთა ორი მიმართულება: 1. დიუბუას ჯგუფი, რომელიც საკუთარ გამოკვლევებში წარმატებით იყენებდა დისტრიბუციულ მეთოდოლოგიას; 2. გრეიმასის სახით წარმოდგენილი ლინგვისტთა ალტერნატიული ჯგუფი, რომლის წევრებიც სიგნიფიკაციის ანალიზის პროცესში, მიისწრაფოდნენ წმინდა დედუქციური მოდელების გამომუშავებისკენ, ხოლო 1970 წელს, ბელგიაში ჩამოყალიბებული ლიეჟის ნეორიტორიკის სკოლა (დიუბუა, ედელინი, კლინკენბერგი და სხვა) გენეტიკურად და კონცეპტუალურად უშუალო

1 იქვე: 117-132pp.

კავშირში აღმოჩნდა პარიზის სემიოტიკურ სკოლასთან, რამდენადაც ფრანგული სკოლის ბაზაზე, მკვლევართა მიერ შექმნილი, ნეორიტორიკის ტიპოლოგია შემდეგნიარადაა წარმოდგენილი: 1. არგუმენტაციული რიტორიკა (პერელმანი); 2.მეტარიტორიკა: ა) რიტორიკის ტექსტები; ბ) რიტორიკული კრიტიკა (ბარტი, ტოდოროვი, კოენი, ჟენეტი, კუენცი, არივე...); 3.ზოგადი რიტორიკა (ლიეჟის ნეორიტორიკული სკოლა: დიუბუა, ედელინი, კლინკენბერგი, მენგე, კირი, ტრინონი...); 4.პარარიტორიკა.[1] დიუბუას მორგებული, სრულიად გადაუჭარბებელი განმარტების მიხედვით, თანამედროვე რიტორიკა ფრანგული სტრუქტურალისტური სკოლის მემკვიდრედ მოგვევლინა.

თანამედროვე რიტორიკული დოქტრინის ხსენებულმა ინტერპრეტაციამ ასახვა ჰპოვა მრავალ ლექსიკონში, მათ შორის, გრეიმასისა და კურტესის ლექსიკონში, რომელიც გამოცემულ იქნა 1979 წელს. განმარტებაში მითითებულია, რომ რიტორიკა წარმოადგენს ტექსტის (დისკურსის) მეცნიერებამდელ თეორიას, რომელიც განპირობებულია იმ კულტურული შრეებისთვის დამახასიათებელი კონტექსტით, რომლის ფარგლებშიც ის ტრანსფორმირდებოდა. ჩვენს დროში რიტორიკის აღორძინება აიხსნება არა მხოლოდ სემიოტიკის გავლენით, არამედ ტექსტის პრობლემატიკისადმი აღძრული გნოსეოლოგიური და სოციალურ- ფსიქოლოგიური ინტერესით. ძველი რიტორიკის ზოგიერთი თეორიული მხარე ზედმიწევნით შეესაბამება ამჟამინდელ პრობლემატიკას და ამიტომაც, ამ მხრივ, საჭიროებს გარკვეულ გადასინჯვასა და გადამოწმებას. რასაკვირველია, ოდითგანვე, რიტორიკის მეცნიერებაში ძირითადი და გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა მის ფსიქოლოგიურ ასპექტს, რაც გამოიხატებოდა დარწმუნების ხელოვნებაში–სწორი, ლოგიკურად დასაბუთებული მსჯელობი-

1 А. К. Михальская.,Теория риторики. — М:, 1997.-С.39-46.

სა და მხატვრულ-ემოციური მჭევრმეტყველების საფუძველზე, ამიტომაც იგი იკვლევდა მხოლოდ ტექსტთა ისეთნაირ სახეობას, რომელთა მეშვეობით ხორციელდებოდა აუდიტორიაზე ზეგავლენის მოხდენა. ინვენიციად წოდებული, რიტორიკის ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი, კვლავაც მოითხოვს თანმიმდევრულად და ღრმად შესწავლას, ხოლო ასევე, არანაკლები მნიშვნელობის მქონე, მეორე ნაწილი, ელოკუცია ამჟამად განიცდის სერიოზულ გადახალისებასა და განახლებას. ლინგვისტიკაზე მკაცრად ორიენტირებული ტოტალური გადაფასებით, შესაძლებელი გახდება ელოკუციის ჩართულობა ტექსტის თეორიაში, წმინდა ეპისტემოლოგიურ და ენის თეორიის ფუნდამენტურ საწყისებზე; აქედან გამომდინარე, რიტორიკული ხასიათის კვლევებში გათვალისწინებელი უნდა იყოს უპირველეს, ყოვლისა, ეპოქა, რომელმაც სპეციფიკური ფორმით და შინაარსით ჩამოაყალიბა კომუნიკაციის თეორია. პერელმანის აზრით, ენობრივი კომუნიკაციის თანამედროვე პირობებიც სწორედ ამ მხრივ ახდენს გავლენას რიტორიკაზე, რომელ მოსაზრებასაც მრავალი ანგარიშგასაწევი თეორეტიკოსი იზიარებს. მეტყველების ეფექტურობის უზრუნველყოფის მიზნით, რიტორიკამ უნდა გაითვალისწინოს ენობრივი კომუნიკაციის თანამედროვე თეორიული მოდელები, ისეთი კატეგორიები, როგორიცაა: გაგება, თანამშრომლობა და ორმხრივი კომუნიკაცია, რიტორიკის ერთ-ერთი საინტერესო მიმართულება— პრაგმალინგვისტიკაც სწორედ აღნიშნული მიმართულებით ვითარდება. ამასვე მიგვანიშნებს ცვეტან ტოდოროვი, რომელიც რიტორიკის ძირითად მახასიათებლად მიიჩნევს არა მეტყველების სემანტიკურ და სინტაქსურ სტრუქტურას, არამედ მეტყველების ცოცხალი კომუნიკაციის სოციალურ- ფსიქოლოგიურ ფუნქციებს. ამიტომაც, პრაგმალინგვისტიკის მთავარი შესასწავლი პრობლემა გახლავთ ენა და ადამიანი, რომელიც ერთ სისტემაში აერთიანებს მრავალ ლინგვისტურ, ფსიქოლინგვისტურ, ფსიქოსოციალურ,

ლოგიკურ-გნოსეოლოგიურ, სოციალურ-ისტორიულ, ეთნოსოციალურ, ნაციონალურ-კულტურულ, ეთნოგრაფიულ და სხვა ფაქტორებს. პრაგმატიკის ძირითადი პოსტულატი მდგომარეობს ენის ფაქტების შესწავლაში, ადამიანის ფაქტორის გათვალისწინებით, ყოველივე ამან წინა პლანზე დააყენა ენობრივი კომუნიკაციის ლინგვოპრაგმატიკული პრობლემატიკა, რაც ამავდროულად, საჭიროებს მეტყველების სიტუაციის ანალიზურ განხილვას. ამ თვალსაზრისით, ლინგვისტური პრაგმატიკის ობიექტად განიხილება ენა, მეტყველება, როგორც ენობრივი შემოქმედება და მეტყველება, როგორც ენობრივი მასალა (ტექსტი), რაც შეეხება საერთოდ საგანს და მასთან ერთად, ენის შესწავლასაც, ადამიანის ფაქტორის გათვალისწინებით, ფართო სოციალურ კონტექსტში. თანამედროვე მკვლევართა შეხედულებით, პრაგმატიკა, ისევე, როგორც რიტორიკა, იკვლევს სხვადასხვა მნიშვნელობებს, ენობრივ სიტუაციებთან დამოკიდებულებაში. ენობრივი სიტუაციის კომპონენტებად კი გვევლინებიან, ისეთი სტრუქტურული ელემენტები, როგორებიცაა– კომუნიკანტები, კონტექსტი, მეტყველების მიზანი, ილოკუციური აქტი, გამონათქვამი, მეტყველების დრო და ადგილი; პრაგმატიკის პრინციპებიც ამ კონტექსტში, მოტივირებულია კომუნიკაციური მიზნის თანმდევი ფუნქციებითა და მნიშვნელობით. საბოლოოდ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თანამედროვე რიტორიკა წარმოადგენს პრინციპულად ახალ დისციპლინას, სახელდობრ, საგანგებო სამეცნიერო კვლევა-ძიების იმგვარ მიმართულებას, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს და აერთიანებს ჰუმანიტარულ მიმართულებათა მთელ წყებას; ამ მიმართულებამ, „სიმბოლოს თეორიის“ ზოგადი თეორიული ასპექტების დამუშავების პარალელურად, შეიმუშავა კულტურულ -ანთროპოლოგიურ კონტექსტებთან ტექსტის დამოკიდებულების მრავალმხრივი და ეფექტური ანალიზის მეთოდები, რითაც ახალი რიტორიკა ნერგავს აზროვნების ახალი სტილს, ახალ მი-

მართებებს, რითაც ძველის გადაფასების საფუძველზე, სიახლის დანერგვის საჭიროება, შემოქმედებითი განვითარებისა და მეცნიერული შემეცნების პროგრესის განუყოფელი ატრიბუტია.

ნაწილი III
რიტორიკული დასაბუთების ლოგიკურ-გნოსეოლოგიური და სოციალურ-ფსიქოლოგიური მეთოდები

§1. ლოგიკური დასაბუთება და გაბათილება

აღნიშნულ მონაკვეთში, ჩვენს მიერ დასახულ ამოცანას წარმოადგენს ლოგიკური დასაბუთების თეორიის სხვადასხვა საკითხის განხილვა, როგორც გნოსეოლოგიური, ასევე სოციალურ-ფსიქოლოგიური ასპექტით, რათა ნათელვყოთ ორატორული ხელოვნების, როგორც ხელოვნების განსაკუთრებული ჯანრისა და ზოგადი რიტორიკის, ასევე განსაკუთრებული მეცნიერული დისციპლინის ერთიანობა, იდენტურობა და თანხვედრა, როგორც მეცნიერებისა და ხელოვნების სინთეზური დარგისა. ნამდვილად არ მოიძებნება, მთელი კულტურისა და აზროვნების საკაცობრიო ისტორიაში, მეორე ანალოგიური პრეცენდენტი და ნიმუში, როდესაც მეცნიერება და ხელოვნება თავს იყრიდეს ერთიან თეორიულ-მეთოდოლოგიურ სისტემაში და გრძნობად-ესთეტიკურ განსაზღვრულობასა და მიზანდასახულობაში; ამიტომაც გნებავთ ამას ვუწოდოთ, როგორც უიშვიათესი გამონაკლისი, გნებავთ საყოველთაო მნიშვნელობის უმაღლესი კანონზომიერება, სულერთია, ენისა და აზროვნების ერთიანობა, მისი ფორმალური და შინაარსობრივი იდენტობა, გახლავთ ამავდროულად, მხატვრულ-ესთეტიკური შეფასებისა და ღირებულებითი ორიენტაციის ამოსავალი საწყისი, ისევე, როგორც მყარი თეორიულ-მეთოდოლოგიური ცოდნის სისტემა არ წარმოიქმნება სამყაროს გრძნობად-ესთეტიკური ცოცხალი განჭვრეტის ფსიქო-ემოციური განცდის გარეშე, რომელიც ჰკვებავს როგორც შემმეცნებელი, ასევე შემფასებელი სუბიექტის

თვითცნობიერებას და მით განპირობებულ გონჭვრეტელობას— ინდივიდუალური და კოლექტიური მსოფლმხედველობის გაგებით. როგორც წარმოუდგენელია ამაღლებული და შთამბეჭდავი ორატორული მჭევრმეტყველება მძაფრი ემოციური ქარტეხილებისა და თეატრალიზებული გარდასახვის არტისტული იმპროვიზაციის გარეშე, ასევე ყოველმხრივ საფუძველს მოკლებულია ზოგადი რიტორიკა სწორი, გამართული, მწყობრი და თანმიმდევრული ლოგიკური დასაბუთების გარეშე. ის, რაც ფსიქო-ემოციურ მხარეს შეეხება, უბრალოდ რომ ვთქვათ, ბუნებით უნდა ქონდეს მომადლებული მას, ვისაც სერიოზული ამბიცია და პრეტენზია გააჩნია ორატორობაზე, ძალიანაც რომ ვეცადოთ, მას ვერც ვერავისაგან ვისწავლით და ვერც ვერავის ვასწავლით, თუ ეს ყოველივე თვითონ ჩვენში არ დევს, როგორც დაფარული საუნჯე, რომელსაც მიგნება და გამოყენება ესაჭიროება. რასაკვირველია, ამ მხრივ, კარგი მასწავლებელი და გზის გამკვლევი ყველასთვის სანატრელი მიზნის განხორციელებისა და წარმატებული საქმიანობის საიმედო მესაძირკვლეა (როგორც ამის შესახებ მოხდენილად რუსთველი იტყოდა: „გონიერსა მწვრთნელი უყვარს, უგუნურსა გულსა ჰგმირდეს...“), თუმცა, რაც არ უნდა დიდი არ უნდა იყოს დიდ ხელოვანთა ღვაწლმოსილების უნარ-შესაძლებლობათა დაუფლებისა და შესწავლის წყურვილი, თუ შესაფერი ბუნებრივი ნიჭი არ მოსდგამს, მისგან მაინც ბევრი არაფერი ხეირი გამოვა. სამაგიეროდ, იმავე მოსაზრებას, ასე კატეგორიულად ვერ განვავრცობთ ლოგიკური დასაბუთების მეცნიერულ მეთოდოლოგიაზე, იმისდა მიუხედავად, რომ ბუნებრივი ნიჭი და განსაკუთრებულად მომადლებული აზროვნების თანდაყოლილი უნარი აქაც მთელი სიგრძე-სიგანით იჩენს თავს, თუმცა, მჭევრმეტყველების ფსიქო-ემოციური გარდასახვის უნართან შედარებით, დასაბუთების ხერხები და საშუალებები, გაცილებით უფრო ადვილი დასაუფლებელია გეგმაზომიერი წვრთნისა და სისტემატური სწავლე-

ბის მეშვეობით. ამიტომაც ჩვენი მიზანია, მოცემულ ვითარებაში, მთელი ჩვენი ცნობიერება და გულისყური მივაპყროთ ლოგიკური დასაბუთების მეთოდოლოგიისა და კამათის თეორიის ელემენტების შესწავლის ოპერაციებზე.

დასაბუთება ბჭობის სახეობაა, რომელიც, გამართული ბჭობის მეშვეობით, ადგენს ამა თუ იმ დებულების ჭეშმარიტებას, სხვა რომელიმე წინადადებიდან გამოყვანის მეშვეობით, რომელთა ჭეშმარიტებაც უფრო ადრე იყო დადგენილი.

დასაბუთება შემეცნების უმთავრესი და აუცილებელი პირობაა, შეიძლება ითქვას–საკმარისიც, თუმცა შინაგანად წინააღმდეგობრივი, ანტინომიური მსჯელობების დასაბუთება რამდენადაც არც თუ იშვიათი მოვლენაა, ამდენად ის ყოველთვის ვერ იქნება ჭეშმნარიტი ცოდნის დადგენის გარანტია, თუმცა შემეცნების პროცესი მხოლოდ ჭეშმარიტი ცოდნის მიღებას არ ემსახურება, ის ამასთანავე გახლავთ სხვადასხვა ტიპის სააზროვნო გამოცდილება, ან სულაც აზროვნების ალტერნატიული მიზანდასახულობა, რომელიც გარკვეულ წარმოდგენათა და შეხედულებათა სისტემის სახით ყალიბდება, ამიტომაც მას, როგორც მსოფლმხედველობრივ გაგებას, ან მეცნიერულ ჰიპოთეზას აქვს იურიდიული არსებობის უფლება. მეორენაირად, დასაბუთებას განმარტავენ, როგორც უკვე ცნობილი ჭეშმარიტებიდან ახალ ჭეშმარიტებაზე გადასვლის ოპერაციას, რითაც ხდება ცოდნის გაფართოება, რაც ასევე, დასაბუთების ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა.

დასაბუთებაში გამოიყოფა სამი შემადგენელი ნაწილი: ***თეზისი***-დებულება, რისი ჭეშმარიტების დადგენა წარმოადგენს ლოგიკური დასაბუთების მთავარ მიზანს; ***წანამძღვრები*** (საბუთები, ანუ არგუმენტები)- წინადადებები, რომელთა ჭეშმარიტებაც უკვე მიჩნეულია დადგენილად, მოცემული დასაბუთების დაწყებამდე, რომელთაგანაც გამოიყვნება თეზისი; წანამძღვრებიდან თეზისის, ანუ დანასკვის გამოყვანის პროცესს უწოდებენ ***ბჭობას***, ანუ ***დე-***

მონსტრაციას. თუ ასეთნაირ დასაბუთებას, ლოგიკური ინდუქციის შემთხვევაში გააჩნია ალბათური ხასიათი, რაც გულისხმობს ჭეშმარიტების დადგენის შედარებით მოკრძალებულ, არამყარ პრეტენზიას, ასეთ ვითარებაში, არგუმენტების ალბათური ხასიათი მემკვიდრეობით გადაეცემა მათგან მიღებულ შედეგებსაც. ამათ გარდა, საბუთებად შეიძლება გამოყენებულ იქნენ ისეთი დებულებებიც, რომლებიც თავისთავად ცხადი და ნათელი ჭეშმარიტებანია, რომელთაც არ ჭირდებათ, თავის მხრივ, არგუმენტების მეშვეობით დასაბუთება, ვინაიდან, ისინი, მათი უარყოფის შემთხვევაშიც, მთელი სიცხადით და დამაჯერებლობით ადგენენ საკუთარი ჭეშმარიტების გარდაუვალობას. არნიშნულ მოთხოვნას აკმაყოფილებენ ის წანამძღვრები, რომელთაც ***აქსიომები*** ეწოდებათ. რაც შეეხება იმ წინადადებებს, რომელთა ჭეშმარიტებაც დადგენილია სინამდვილეზე უშუალო დაკვირვებით, მათ ფაქტობრივი არგუმენტები ეწოდებათ. ჩამოთვლილ არგუმენტებს შორის, შეიძლება გამოყენებული იქნეს ისეთები, რომლებიც ერთიანად განსაზღვრავენ დასაბუთების მსვლელობას, ამიტომაც მათ ***დასაბუთების ძარღვს*** უწოდებენ.

ამა თუ იმ წინადადების ჭეშმარიტების დადგენის საპირისპირო აქტს წარმოადგენს წინადადების ***დარღვევა***, ანუ მისი მცდარობის დადგენა, ჭეშმარიტების დადგენის მსგავსად. დარღვევაც შეიძლება განხორციელდეს აბსოლუტურად იგივე პროცედურებით, როგორც ჭეშმარიტების დადგენა. აქედან გამომდინარე, წინადადების დარღვევას, გამართული ბჭობით, მისი მცდარობის, სხვა ისეთი წინადადებიდან გამოყვანის მეშვეობით, რომელთა ჭეშმარიტებაც ადრეა დადგენილი, ეწოდება ამ წინადადების ***უკუგდება***, რომელიც ამასთანავე ნიშნავს უარყოფის დასაბუთებას.

საერთოდ, ბჭობასაც (არგუმენტაციასაც), ანუ, როგორც იტყვიან, წინადადების ჭეშმარიტების დაფუძნებას_მისი გამართლების ცდას, მის სასარგებლოდ არგუმენტების წამოყენებასაც, უპირის-

პირდება მისი დამარღვეველი პროცედურა; ესაა კრიტიკა, წინადადების მცდარობის დაფუძნების მიზნით, მისი გამტყუნების ცდა, მის საწინააღმდეგოდ არგუმენტების წამოყენების გზით. როგორც სასამართლო პრაქტიკიდან ცნობილია, ***ალიბის*** მეთოდი ნიშნავს ეჭვმიტანილის მიერ დანაშაულის ჩადენაში უშუალო მონაწილეობის შესახებ სამხილის შემცველი დებულების გაბათილებას, დარღვევასა და უკუგდებას. როცა მიმდინარეობს პაექრობა ბრალდებისა და დაზარალებულის ინტერესთა დამცველ მხარეებს შორის, დაზარალებულის ადვოკატი ცდილობს ისეთი არგუმენტაციის გამოყენებას, რითაც გარკვეული ალიბის მოძებნას ახდენს, დანაშაულის შემამსუბუქებელი გარემოების, ანდა მისი სრული გაბათილების მიზნით; ამის საწინააღმდეგოდ, დაზარალებულის მხარე–პროკურორი და გამომძიებელი ეძებენ ისეთ საბუთებს, რითაც ცდილობენ უგულებელყონ გარკვეული ალიბის შესაძლებლობა. კრიტიკის გამოყენების მაგალითი სხვა ასპექტითაც შეგვიძლია განვავრცოთ–ჩვენი წელთაღრიცხვის მესამე საუკუნის ფილოსოფიის ისტორიის მკვლევარს, ბერძენ მოაზროვნეს, დიოგენე ლაერციუსს, მოჰყავს უამრავი ცნობა ძველ ბერძენ ფილოსოფოსთა ცხოვრებისა და შეხედულებების შესახებ; ზოგიერთი მათგანის შეხედულებას ის ისე დაწვრილებით გადმოგვცემს და იცავს, რომ მკვლევართა მიერ გამოითქვა მოსაზრება, თითქოსდა ის აღნიშნულ შეხედულებებს უკლებლივ ეთანხმება და იზიარებს, თუმცა ეს მოსაზრება ოპონენტებმა გააკრიტიკეს შემდეგი არგუმენტით–მართალია, დიოგენე საფუძვლიანად და ამომწურავად განმარტავს პლატონის, სტოელების, სკეპტიკოსებისა და ეპიკურელების შეხედულებებს, მაგრამ ეს სკოლები იმდენად ძლიერად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, რომ შეუძლებელია, ფილოსოფოსი ყოველი მათგანის შეხედულებებს იზიარებდეს. აქ ადგილი აქვს ე. წ. ***ენთიმემას*** ენთიმემური ბჭობა ნიშნავს, ისეთი არგუმენტების არსებობის გათვალისწინებას, დეკლარირების გარე-

შე (უთქმელად), რომელიც შინაგანად ნაგულისხმევია იმდენად აშკარად, რომ მას აღარ ესაჭიროება დამატებითი მტკიცებულება, ვინაიდან უკუგდების მიზნით გამოხატული დასაბუთების ძარღვი სახეზეა.

ამ და სხვა დამოკიდებულებათა აღწერა კარგადაა შესაძლებელი ქვემოთ ნაჩვენები ცხრილის გამოყენებით, რომელიც მოყვანილია შესანიშნავი ქართველი ლოგიკოსის, ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორისა და პროფესორის, აწ განსვენებულ ლერი მჭედლიშვილის სახელმძღვანელოში–"ლოგიკა", ასევე ბრწყინვალე ლოგიკის სპეციალისტის, ნუგზარ ივანიძის თანაავტორობით.[1]

1 იხ. ლ. მჭედლიშვილისა და ნ. ივანიძის „ლოგიკა"., თბილისი 1997 წ. 197 გვ.

დარღვევა, უკუგდება, კრიტიკა წინადადებისა არის	ჭეშმარიტების დადგენა, დასაბუთება, მისი უარყოფის დაფუძნება
წინადადება	მისი უარყოფა
1. A და B–და კავშირიანი კონიუნქცია 2. A ან B–ან მაკავშირებლიანი(არაგამომრიცხავი) დისიუნქცია 3. A ან B–ან მაკავშირებლიანი(გამომრიცხავი) დისიუნქცია 4.თუ A მაშინ B–პირობითი წინადადება 5.A მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც B–ტოლფასობა (ეკვივალენცია) 6. აუცილებელია, რომ A–აპოდიქტიკური წინადადება (გამოხატავს აუცილებლობას) 7.შესაძლებელია A–პრობლემატური წინადადება (გამოხატავს შესაძლებლობას) 8.ყველა S არის P–ზოგად დადებითი მსჯელობა (SaP) 9. არც ერთი S არ არის P–ზოგად უარყოფითი მსჯელობა (SeP). 10. ზოგიერთი S არის P–კერძოობით დადებითი მსჯელობა (SiP). 11. ზოგიერთი S არ არის P–კერძოობით უარყოფითი მსჯელობა (SoP). 12. ყველა საგანს აქვს P თვისება–ზოგადობის კვანტორის გამომხატველი მსჯელობა ($\forall$xP(x)). 13. არსებობს P თვისების მქონე ერთი საგანი მაინც–კერძოობითი კვანტორის გამომხატველი მსჯელობა ($\exists$x P(x)).	1.არა A ან არა B–უარყოფა დისიუნქციით. 2.არა A და არა B–უარყოფა კონიუნქციით. 3.A მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა B–უარყოფა პირობითი წინადადებით (იმპლიკაცია). 4.A მაგრამ არა B–უარყოფა კონიუნქციით. 5.A ან B–უარყოფა გამომრიცხავი დისიუნქციით. 6. შესაძლებელია არა A–უარყოფა პრობლემატური წინადადებით (გამოხატავს შემთხვევითობას). 7.აუცილებელია არა A–უარყოფა აპოდიქტიკური წინადადებით (გამოხატავს აუცილებლობას) 8.ზოგიერთი S არ არის P–უარყოფა კერძოობით უარყოფითი მსჯელობით (SoP). 9. ზოგიერთი S არის P–_უარყოფა კერძოობით დადებითი მსჯელობით (SiP). 10. არც ერთი S არ არის P–უარყოფა ზოგად უარყოფითი მსჯელობით (SeP). 11. ყველა S არის P–უარყოფა ზოგად დადებითი მსჯელობით (SaP). 12. არსებობს ერთი საგანი მაინც, რომელსაც აქვს თვისება–უარყოფა კერძოობითი კვანტორის გამომხატველი მსჯელობით –($\exists$x IP(x)). 13. ყოველი საგნისათვის მცდარია, რომ მას აქვს P თვისება– უარყოფა ზოგადობის კვანტორის გამომხ ტველი მსჯელობით–($\forall$x IP(x)).

ლოგიკური დასაბუთების პროცესში ერთმანეთისაგან განარჩევენ დედუქციურ, ინდუქციურ, პირდაპირ და არაპირდაპირ (აპაგოგიურ) დასაბუთებას, აქედან, ჩვენი პრაქტიკული მიზნებიდან გამომდინარე, შევარჩევთ იმგვარ სპეციფიკურ დასაბუთების სახეებს, რომლებსაც საჯარო პოლემიკისა და კამათის პროცესში, ყველაზე უფრო ეფექტური დანიშნულებით ვიყენებთ. რაც შეეხება ყველა მათგანის დეტალურ განხილვას, ეს უშუალოდ ლოგიკის სახელმძღვანელოს ფუნქციებში თავსდება, რომელსაც სასურველია გავეცნოთ მანამ, ვიდრე დასაბუთების რიტორიკულ თავისებურებებს განვიხილავთ; ასეთი კი გახლავთ ***პროგრესიული*** და ***რეგრესიული*** დასაბუთება.

დასაბუთებას ეწოდება პროგრესიული, ანუ სინთეზური, თუკი მასში აზრის მსვლელობა იწყება წანამძღვრებიდან და დასკვნების მეშვეობით ხდება ახალ-ახალ დებულებებზე თანდათანობით გადასვლა, იქამდე, სანამ არ გადავალთ თეზისის დადგენაზე. ასე იქცევა მაგალითად, ექიმი და გამომძიებელი, რომელიც მას მერე, რაც მოაგროვებს ინფორმაციას, ავადმყოფის გასინჯვით და ანალიზით, ან ეჭვმიტანილის დაკითხვით, ადგენს დიაგნოზს, ან წაუყენებს ბრალდებას, იმ სამედიცინო, ან იურისპრუდენციის ცოდნიდან გამომდინარე, რომელიც მას გააჩნია. ამგვარად, პროგრესულ დასაბუთებაში, ინდუქციური აზროვნების ყველა წესის დაცვით, მიმდინარეობს აზრის პროგრესირება საფუძვლებიდან შედეგებისაკენ, ანუ კერძო წანამძღვრებიდან ზოგადი თეზისისაკენ.

ამის საპირისპიროდ, დასაბუთებას ეწოდება რეგრესიული, როდესაც იგი იწყება ზოგადი თეზისის ანალიზით, რომლის შედეგად მოკვლეული ცალკეული დებულებანი გვევლინებიან იმ წანამძღვრების როლში, საიდანაც აღნიშნული თეზისია დადგენილი. მართალია, მოცემულ შემთხვევის შებრუნებულ, პროგრე-

სიულ, ვარიანტში, საქმე გვაქვს სრულ ინდუქციასთან, რაც თავისი შინაარსით დედუქციურ მსჯელობას უტოლდება, თუმცა, ფორმალური განსხვავების გამო–ზოგადი თეზისიდან კერძო წანამძღვარზე გადასვლა–დედუქციური მსჯელობის კომპეტენციას განეკუთვნება და აქცენტი კეთდება ცალკეულ წანამძღვრებზე. რეგრესიული დასაბუთების ნიმუშებს უხვად ვაწყდებით, როგორც სამედიცინო, სასამართლო პრაქტიკაში, ასევე, პოლიტიკის, მათემატიკის, ბუნებისმეტყველებისა და სოციალური მეცნიერების სფეროში.

§2. ლოგიკურ დასაბუთებაში დაშვებული ტრადიციული შეცდომები

ლოგიკური დასაბუთების პროცესში არსებობს, მრავალი სახეობის, ისეთი დამაბრკოლებელი და ხელისშემშლელი გარემოებანი, რის გამოც ჩვენი მსჯელობა ვერ აღწევს სასურველ მიზანს. ამის მიზეზი გახლავთ სხვადასხვა ტიპისა და სახეობის შეცდომები. ასეთი შეცდომების წყარო შეიძლება იყოს გამოყენებულ ტერმინთა მნიშვნელობებისა და მათი გამოყენების ხარვეზები (ენის შეცდომები), ან მსჯელობის მსვლელობაში დაშვებული უზუსტობანი (ენიგარე შეცდომები).

თუ შეცდომა უშუალოდ მსჯელობის პროცესშია დაშვებული, მას ***ფორმალური შეცდომა*** ეწოდება. დედუქციურ მსჯელობაში დაშვებული ფორმალური შეცდომის არსი მდგომარეობს, ამა თუ იმ, უმართებულოდ შერჩეული წანამძღვრებიდან თეზისის გამომდინარეობის შეუძლებლობაში, ამიტომაც ფორმალურ შეცდომად ყოველთვის მიიჩნევა არასწორი დასკვნა, რომელიც სწორ დასკვნადაა გამოცხადებული. ფორმალური შეცდომისგან თავის

დაზღვევის საუკეთესო საშუალება გახლავთ ლოგიკის ცოდნა, რაც მსჯელობაში გამოყენებული დასკვნის წესების შეგნებულ კონტროლზე დაქვემდებარების უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა, რათა ერთმანეთში არ აგვერიოს დასკვნის სწორი და არასწორი მეთოდები. მგალითად, პირობით-კატეგორიული, გაყოფითი, ან მარტივი კატეგორიული სილოგიზმის სწორი და არასწორი მოდუსები.

იმ ტიპის შეცდომას, რომლის დაშვებაც ხდება მსჯელობის წანამძღვრებისა და თეზისის შერჩევისას არასაკმარისი დაკვირვებისა და მზრუნველობის გამო, ეწოდება ***არაფორმალური (მატერიალური)*** შეცდომა. ლოგიკის მეცნიერებიდან ცნობილია ამ ტიპის შეცდომის ოთხი ძირითადი სახე–***ძირითადი შეცდომა, დაუსაბუთებელი წანამძღვრის შეცდომა, მანკიერი წრე და თეზისის შეცვლა***.

ამათ გარდა, საინტერესოა აგრეთვე რამდენიმე ისეთი შეცდომის დახასიათებაც, რომლებიც ენობრივ, ან ენისგარე შეცდომათა სახეობას განეკუთვნებიან. ბევრჯერ უსაგნო კამათის მიზეზი ხდება ენობრივ გამოსახულებათა ***ორაზროვნება (ომონიმია)***. თუ რომელიმე ენობრივი გამოსახულების (ცალკეული ფრაზის, წინადადების, თუ დასკვნის) ორაზროვნება გამოწვეულია რომელიმე სიტყვის ორაზროვნებით, მას ***ეკვივოკაცია*** ეწოდება, ხოლო თუ ეს გამოსახულების სტრუქტურის ორაზროვნებითაა გამოწვეული_***ამფიბოლია*** ეწოდება. პირველი სახის შეცდომის მაგალითად, ფილოსოფიის ისტორიაში, მოჰყავთ ტრადიციულად, ასეთი დასკვნა: „რაიმეს დასრულება მისი სრულყოფის საწინდარია“, საიდანაც გამოდის მცდარი წინადადება_ „სიკვდილი სიცოცხლის დასრულებაა, მაშასადამე სიკვდილი სიცოცხლის სრულყოფის საწინდარია“. ამის მიზეზე გახლავთ სიტყვა დასრულება, რომელიც პირველ წინადადებაში გამოყენებულია სრულყოფილების მნიშვნელობით, ხოლო მეორეში კი დამთავრების, დაბოლოების

მნიშვნელობით. თავის მხრივ, ამფიბოლოასთან დაკავშირებით, ასევე მეტად საინტერესო მაგალითია ის, რაც ლიდიის მეფე კრეზუსს გადახდა თავს, რომელმაც, მანამდე, სანამ სპარსეთზე გალაშქრებას გადაწყვეტდა, კითხვით მიმართა დელფოსის მისანს, თუ რა შედეგით დასრულდებოდა ეს ლაშქრობა; მისანმა მას უთხრა: „თუკი აღდგები სპარსეთზე სალაშქროდ, დაინგრევა ძლიერი სახელმწიფო!“კრეზუსმა ჩათვალა, რომ ეს წინასწარმეტყველება მის ძლევამოსილებას მოასწავებდა, მაგრამ სასტიკად მოტყუვდა, ვინაიდან ის ძლიერი სახელმწიფო, რომელიც დაინგრა და განადგურდა, აღმოჩნდა არა სპარსეთი, რომლის წინააღმდეგაც მან გაილაშქრა, არამედ თვითონ ლიდია.[1]

ეკვივოკაციის სპეციფიკური სახეები გვხვდება აგრეთვე მიმართებითი ტერმინების აბსოლუტური აზრით გამოყენების შემთხვევაშიც; მაგ: არასწორია დასკვნა– „სპილო არის ცხოველი, მაშასადამე პატარა სპილო არის პატარა ცხოველი“, რაც არასწორია, მაგრამ თუ ვიტყვით– „სპილო არის ცხოველი, ხოლო ნაცრისფერი სპილო არის ნაცრისფერი ცხოველი“–უკვე სწორი მსჯელობაა, მიზეზი ამისა კი გახლავთ სიტყვა „პატარას“ ორაზროვნება, პატარა სპილო სპილოებში პატარაა და არა სხვა არსებებში, ხოლო ნაცრისფერი სპილო ყველა შემთხვევაში ნაცრისფერია, იმიტომ, რომ „პატარა“ არის ფარდობითი, ხოლო „ნაცრისფერი”–აბსოლუტური აზრის კატეგორია. ***ტერმინების განაწილებისა*** და ***კრებითი მნიშვნელობების*** ერთმანეთში არევისას, ხშირად ვუშვებთ იმგვარ შეცდომას, რომ ნაწილების საერთო თვისება გადაგვაქვს მთელზე, ან პირიქით: მაგალითად, რადგანაც მანქანის ყოველი შემადგენელი ნაწილი, შედარებით, მსუბუქია, აქედან უმართებულოა დასკვნა, თითქოსდა მთელი მანქანაც მსუბუქია. ამდაგვარ შეცდომებს განეკუთვნება, კატეგორიულ სილოგიზმში, ე. წ. ***ტერმინების გა-***

1 იქვე: 201გვ.

ოთხებაც: „ყოველი ლეგენდა არის პოეტური გადმოცემა რაიმე ისტორიული ამბის შესახებ; ყოველ გეოგრაფიულ რუკას თან ერთვის ლეგენდა, მაშასადამე, ყოველ გეოგრაფიულ რუკას თან ერთვის პოეტური გადმოცემა რაიმე ისტორიული ამბის შესახებ“. ეს დასკვნა არასწორია, რადგანაც სიტყვა „ლეგენდა“ პირველ და მეორე წანამძღვარში მოიხმარება სხვადასხვა მნიშვნელობებით–გეოგრაფიის შემთხვევაში ის გულისხმობს სიტყვიერ განმარტებებს, ამიტომაც ამ დასკვნის წანამძღვარში, პირველი ფიგურის პირველი მოდუსის (Barbara) თანახმად, გვაქვს ოთხი ტერმინი და არა სამი, როგორც ეს კატეგორიულ სილოგიზმში უნდა იყოს; ამიტომაც ტერმინებს: გეოგრაფიული რუკა, პოეტური გადმოცემა და ისტორიული ამბების შესახებ მოთხრობა, ერთმანეთთან არაფერი არ აკავშირებთ.

ძირითადი შეცდომის კერძო სახეა შეცდომა– „ვინც ზედმეტს ასაბუთებს, ის არაფერს არ ასაბუთებს“. მაგალითად, ზოგიერთ ბერძენ ფილოსოფოსს თეზისის– „თვითმკვლელობა დაუშვებელია,“ დასასაბუთებლად იყენებდა შემდეგ არგუმენტს– „ადამიანს არა აქვს უფლება წაართვას საკუთარ თავს ის, რაც, მას თვითონ არ მოუპოვებია“. მართალია, არნისნული არგუმენტიდან თეზისი ლოგიკურად გამომდინარეობს, მაგრამ მისგან ბევრი ისეთი რამეც გამოდის, რომ აშკარად მცდარ შედეგებთან მივყავართ: ამ არგუმენტის თანახმად, ადამიანს არა აქვს უფლება, მოიჭრას ფრჩხილები, შეიკრიჭოს თმა, გააჩუქოს მემკვიდრეობით მიღებული ნივთები და ა. შ. თუ რაქიმე დებულებიდან მცდარი შედეგი გამოდის, მაშინ თვითონ ეს დებულებაც მცდარია. აქედან გამომდინარე, აღნიშნული არგუმენტი მცდარია, რადგანაც დაირღვა დასაბუთება–არა თეზისი, არამედ დამტკიცდა მსჯელობის უპერსპექტივობა–მცდარი წანამძღვრიდან რაიმე დებულების გამოყვანა, არაა ამ დებულების დასაბუთება.

ასევე სახეზე გვაქვს ლოგიკურ შეცდომათა მორიგი სახეობა: ***ნაჩქარევი განზოგადება.*** ინდუქციაში, წანამძღვართა მარტივი ჩამოთვლით, გვხვდება წესები, რომელიც მკვლევართაგან მოითხოვს წანამძღვრებში, რაც შეიძლება მრავალფეროვან შედეგთა თავმოყრას; საკლასიფიკაციო და საკვალიფიკაციო ნიშან-თვისებათა შორის მჭიდრო კავშირის არსებობას. ნაჩქარევი განზოგადება კი ამ მოთხოვნის დარღვევაა, განზოგადების დამრღვევი შემთხვევევის ფაქტიური, ან შესაძლებელი არსებობის უგულებელყოფაა. ერთი ცნობილი მაგალითის მიხედვით, მოგზაურმა რამდენიმე დღე გაატარა კავკასიაში და საკუთარი დაკვირვების შედეგები ამგვარად განაზოგადა: „ქართველები თავქარიანები არიან, ხოლო სომხები–ხელმოჭერილები“. იოლი მისახვედრია, რომ ყოველი ასეთი ნაჩქარევი განზოგადება ეფუძნება ცრურწმენას, რომელიც ერთი, ან რამდენიმე შემთხვევის არასწორი განვრცობისა და განზოგადების შედეგია, ყველა შესაძლო მოვლენაზე, ან საგანზე, რაც ელემენტარული ფსიქოლოგიური სარჩულის მატარებელია–ზედაპირული დასკვნების საფუძველზე, ადამიანთა საკმაოდ დიდი კატეგორია იმუსავებს წინასწარ ვარაუდს გარკვეული კანონზომიერების შესახებ; რაკიღა მას, ჯერჯერობით საპირისპირო შემთხვევა არ მოსწრებია, იმიტომ, რომ კარგად არ იკვლევს მას, ისღა დარჩენია, თამამად და კატეგორიულად ამტკიცოს მცდარი დებულება.

ფილოსოფიური სკეპტიციზმისათვის ერთერთი ყველაზე კარგად შემჩნეული შეცდომა გახლავთ– „ამის შემდეგ, მაშასადამე, ამის გამო“, რომელიც ცნობილ ფილოსოფოსს, დევიდ ჰიუმს ეკუთვნის. აღნიშნულ შეცდომას შეიცავს ის დასკვნა, რომელიც მოვლენებს შორის დროულ კავშირს განაზოგადებს მიზეზობრივ კავშირად; ასე მსჯელობს ველური, რომელიც ფიქრობს, რომ დოლზე და დიპლიპიტოზე რიტუალური დაკვრა არის მიზეზი

მზის ხელახალი გამოჩენისა, მზის დაბნელების შემდეგ[1]. ანალოგიურად შეიძლება შეცდეს თანამედროვე ადამიანიც, რომელმაც ამა თუ იმ ნივთის დაკარგვას მიაწერს რომელიმე პირის მიერ ჩადენილ ქურდობას, იმის გამო, რომ დაახლოებით იმ დროის განმავლობაში, როცა მან ნივთი დაკარგა, ესა და ეს პიროვნება მასთან ახლოს იმყოფებოდა. დროული კავშირისაგან განსხვავებით, მიზეზობრივი კავშირის დადგენა მოითხოვს ინდუქციური მეთოდების თანმიმდევრულ და მიზანმიმართულ გამოყენებას, რაც საკვლევი მიზეზის გარშემო არსებულ შესაბამის მოვლენათა ყოველმხრივ ცოდნასა და მათზე განსაკუთრებულ დაკვირვებას ითვალისწინებს. ვთქვათ, ამა თუ იმ ქვეყანაში მართვის განსაკუთრებული ფორმების შემოღებას მოჰყვა არასასურველი მოვლენები—ეკონომიკის დაქვეითება, დამნაშავეობის ზრდა და ა. შ. აქედან ხშირად გამოაქვთ დასკვნა, რომ აღნიშნული ამბების მიზეზი სწორედ მართვის ის განსაკუთრებული ფორმებია, მაგრამ თუ ამ დასკვნის გაკეთებისას სხვა რაიმესაც არ ითვალისწინებენ, შესაძლებელია, რომ ეს ამბები იყოს უფრო ადრე დაწყებული პროცესის, ან საზოგადოების ტექნოლოგიური განვითარებისა და ზნეობრივი მდგომარეობის დაბალი დონის შედეგი. უფრო მეტიც, ეს ყოველივე, შესაძლებელია, აღმოჩნდეს მართვის საგანგებო ღონისძიებათა დამკვიდრების მიზეზიც.

აღნიშნულ შეცდომათა ანალიზისა და განხილვის საფუძველზე ხორციელდება გარკვეული სიფრთხილის წესების შემუშავება (სიფრთხილის ზომები), რომელთა დაცვაც აუცილებელია, რათა მსჯელობა ემყარებოდეს, კლასიკური გაგებით, დასაბუთებას და არა დასაბუთების მხოლოდ წარუმატებელ

მცდელობას. გავეცნოთ ხსენებული დასაბუთების წესებს:

1 Fogelin, R. J. Hume's scepticism. In Norton, D. F. (ed.) . The Cambridge Companion to Hume, Cambridge University Press, 1993 p. 90.

1.თეზისი უნდა იყოს ზუსტად და ნათლად ფორმულირებული;

2. თეზისი არ უნდა იცვლებოდეს მსჯელობის პროცესის მთელ მანძილზე;

3. არგუმენტები ჭეშმარიტი, ანდა საკმაოდ კარგად დადასტურებული უნდა იყოს;

4. არგუმენტთა ჭეშმარიტება უნდა იყოს დადგენილი თეზისთა გამოუყენებლად;

5. არგუმენტებიდან თეზისი ლოგიკურად უნდა გამომდინარეობდეს (არაა გამორიცხული, რომ ეს მხოლოდ ალბათობის გარკვეული ხარისხით დაფუძნებული შეიძლება იყოს).

§3.კამათი, დისკუსია, პოლემიკა და მათი სახეები, კამათის რაციონალური წესები და პრინციპები

გარდა იმისა, რომ დასაბუთების ძირითადი დანიშნულება გამოიხატება ჭეშმარიტების დამტკიცებით, რაც მისი გნოსეოლოგიური თავისებურებაა და ამასთანავე, ცოდნის შემოწმების განმსაზღვრელ ფუნქციას წარმოადგენს, მას გააჩნია აგრეთვე კომუნიკაციური დანიშნულებაც, შემეცნების სოციალური ხასიათის მიხედვით; რაც იმას ნიშნავს, რომ საჭიროა, არა მარტო ჩვენთვის მოვიპოვოთ ცოდნა, ეფექტური სააზროვნო პრინციპებისა და მეთოდების გამოყენებით, არამედ სხვაც დავაჯეროთ აღნიშნული ცოდნის აუცილებლობასა და ჭეშმარიტებაში. ამდენად, დასაბუთების კომუნიკაციური ფუნქცია მეცნიერების ფარგლებს გარეთ, ადამიანთა ინტელექტუალურ ურთიერთობებში მჟღავნდება, სადაც ფართოდ გამოიყენება საკუთარ მოსაზრებებში, ამა თუ იმ პოზიციისა და შეხედულების ჭეშმარიტებაში, სხვათა დარწმუნების ხერხები და საშუალებები.

სოციალური კომუნიკაციის ერთერთი გამოკვეთილი სახე გახლავთ ***კამათი***, რომელიც განსხვავებული შეხედულების, პოზიციის ორ მხარეს შორის წარმოებული დიალოგის ისეთი ფორმაა, რაც გამოიხატება ერთერთი მათგანის ჭეშმარიტებისა და მეორის მცდარობის დასაბუთებაში. რაც შეეხება ***პოლემიკას***, ესეც კამათის სახეობაა, ოღონდ უფრო ვრცელი მოცულობის საჯარო სივრცეში მიმდინარე პროცესია, რომელიც მიმდინარეობს ხანგრძლივი დროის განმავლობაში, რაშიც მონაწილეობას იღებს არა მარტო ორი მოწინააღმდეგე მხარე, არამედ ორზე მეტი, სხვადასხვა ალტერნატიული მიმართულების წარმომადგენლები; პოლემიკა შეიძლება გადაიზარდოს ***დისკუსიაში***, რომელიც კიდევ უფრო მასშტაბური, სისტემატიზირებული და წინასწარ დაგეგმილი დაპირისპირებისთვის განკუთვნილი კამათის სახეობაა, რაშიც ჩართულია არა მხოლოდ სხვადასხვა პოზიციის მქონე მხარეები ან ალტერნატიული დაჯგუფებანი, არამედ იდეოლოგიური ნიშნის მქონე ინსტიტუციონალური სტრუქტურები, სამეცნიერო დარგობრივი განყოფილებები და პოლიტიკურ-სამართლებრივი სტატუსის მატარებელი საზოგადოებრივი ორგანიზაციები. კამათის ეს აღნიშნული სახეობანი ინტელექტუალური პაექრობის ღია დემონსტირების მიზნით ყალიბდებიან, სადაც ყოველი მონაწილე ცდილობს დაამტკიცოს საკუთარი თვალსაზრისის მართებულობა და მოწინააღმდეგის შეხედულების უსაფუძვლობა; ამიტომაც კამათის თეორიის ლოგიკური ასპექტის შესწავლას განსაკუტრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან კამათში შეიძლება ჩავებათ ცხოვრების ნებისმიერ საკითხზე. დავა მეზობლებს, ან პოლიტიკურ ძალებს (პარტიებს) შორის, საპარლამენტო დებატები, მოლაპარაკება, სამეცნიერო დისკუსია, სასამართლო პროცესი, ექიმთა კონსილიუმი და ა. შ. კამათის ტიპიური ნიმუშებია. გარდა ამისა, თანამედროვე მასობრივი საინფორმაციო საშუალებები ფართოდ გამოიყენებიან მასობრივ საზოგადოებაზე ზემოქმედების მიზ-

ნით, ხშირად საზოგადოებაზე სხვადასხვა, ხელოვნურად თავსმოხვეული აზრის მიერ ზომბირების მნიშვნელობით.

ნებისმიერი ნორმალური ადამიანისთვის, ასეთი მდგომარეობის ფონზე, მისაღები და სასურველია, გააჩნდეს რაციონალური განსჯის უნარი იმისათვის, რომ ერთმანეთისგან გაარჩიოს გონივრული და სამართლიანი მოსაზრებები, საზიანო და გაუმართლებელი წარმოდგენებისაგან, რათა თავი დაიზღვიონ არაკეთილსინდისიერი ძალების მხრიდან ფსიქიკური ზემოქმედებისაგან, რათა მიიღონ სწორად შემოთავაზებული დასაბუთება და წინ აღუდგნენ სხვადასხვაგვარ სიცრუესა და დეზინფორმაციას. ამისათვის კი, აუცილებელია, კამათის წარმართვის ელემენტარული წესებისა და პრინციპების გულმოდგინედ შეთვისება. კამათის პროცესში კარგად ვლინდება ადამიანის ფსიქოლოგიური და სოციალური ხასათის თავისებურებანი, ნებისმიერ დემოკრატიულ საზოგადოებაში, გარანტირებული უნდა იყოს საჯარო პოლემიკის, დიალოგისა და დისკუსიის უსაფრთხოება.

კამათის პროცესში მოწინააღმდეგეები ერთმანეთს მიმართავენ, ისინი რიგრიგობით, არა ერთხელ და ორჯერ გამოდიან სიტყვით, რის დროსაც აყალიბებენ თეზისს, იცავენ მას, ე. ი. ცდილობენ დაასაბუთონ. „თავს ესხმიან“ მოწინააღმდეგეს, აკრიტიკებენ მის მიერ წამოყენებულ არგუმენტაციას, წამოყენებული დებულების გაბათილების მიზნით. კამათი შედგება რამდენიმე ნაწილისაგან: 1. თეზისთა ერთობლიობა, რომელთა დაცვასაც ცდილობენ კამათის მონაწილენი, 2. არგუმენტები (წანამძღვრები, საბუთები, რასაც წარმოადგენენ თეზისთა დასამტკიცებლად); 3. განსჯა, რომლის მეშვეობითაც არგუმენტებიდან გამოჰყავთ საკუთარი თეზისები. დასაბუთებისაგან განსხვავებით, კამათს გააჩნია კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტი, მოპაექრე მხარეების სახით. მეცნიერული თეორიის დამტკიცებისას, სუბიექტის კვალი, რაც შეიძლება, შეუმჩნეველი უნდა იყოს, კამათის სიტუაცია კი, ამის

გარეშე ყოვლად წარმოუდგენელია. მოტივები, რის მიხედვითაც შეიძლება განპირობებულ იქნეს კამათში ჩაბმა, სამი ტიპისაა: 1. ***თეორიული პოლემიკა***, რომლის მიზანია, რაიმეს შესახებ ჭეშმარიტების დადგენა; 2. ***პრაქტიკული პოლემიკა***, რაც მიზნად ისახავს სამოქმედო გადაწყვეტილების მიღებას, ან მოქმედების შეფასებასა და 3. ***კამათი-შეჯიბრი***, რომლის მიზანია მოწინააღმდეგეზე გამარჯვება, თუნდაც მოჩვენებით, სხვათა დასანახად. პირველ -ორს ეწოდება ***დიალექტიკური კამათი***, მესამეს_***ერისტიკული***. სწორედ დიალექტიკა, კლასიკური ბერძნული ფილოსოფიური გაგებით, გახლავთ კამათის (ზოგადად დიალოგის) წარმართვის ოსტატობა, რაც სიტყვასიტყვით შეესაბამება ტერმინ დიალექტიკის თავდაპირველ მნიშვნელობას. ერისტიკაც ანალოგიური დისციპლინაა, რომელსაც ზოგად რიტორიკაში უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია, ოღონდ, დიალექტიკისაგან განსხვავებით, მისი ობიექტი გახლავთ კამათში შეჯიბრი, მოწინააღმდეგის დამარცხების მიზნით, ყველა რიტორიკული ხერხის მოშველიებით. ძველი საბერძნეთის სინამდვილეში, ორივე სახის კამათს უდიდესი როლი და მნიშვნელობა ენიჭებოდა ქვეყნის სულიერ ცხოვრებაში, რისთვისაც საჯარო პოლემიკა და დისკუსია გრანდიოზულ მოვლენას წარმოადგენდა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პოლემიკის უმაღლეს სახეს დისკუსია გამოხატავს, ვინაიდან ის არის იდეებისა და ფუნდამენტური პრინციპების თემატურად მკაფიო და ფორმით კორექტული ურთიერთგაცვლა-გაზიარების პროცესი, დასახული პრობლემის ერთობლივი ძალებით გადაჭრის მიზნით. დისკუსიისა და რაციონალური პოლემიკის სტრატეგიისგან განსხვავებით, მოწინააღმდეგისადმი არაკეთილგანწყობილი მხარეების მიერ წარმოებული კამათი, რომელიც მიმდინარეობს ზნეობრივი ნორმების დარღვევით, გარეშე პირთა დასარწმუნებლად, არაკორექტული, ლოგიკურად გაუმართავი საშუალებების მოშველიებით, სიტყვიერი კინკლაობით, ცილობით და თავზეხელაღე-

ბული სიჯიუტით, რასაც არ გააჩნია ერთიანი თემატიკა, ძველი ბერძნები ***ლაგომახიას*** უწოდებდნენ.

იმისათვის, რომ რაციონალური კამათი ლაგომახიაში, ან დოგმატურ მონოლოგში არ გადაგვეზარდოს, სასურველია, დავიცვათ შესაბამისი ნორმები, რომლებიც უზრუნველყოფენ ზნეობრივად ჯანსაღ, ფსიქოლოგიურად გაწონასწორებულ გარემოში კამათის წარმართვას:

1.აუცილებელია, პატივისცემით განეწყო ნებისმიერი ოპონენტის მიმართ, რადგანაც როგორიც არ უნდა იყოს, წინასწარ ჩამოყალიბებული აზრი, მის შესახებ, ან, საიდანაც არ უნდა მომდინარეობდეს იგი, არ შეიძლება გამოყენებულ იქნას არგუმენტად, მისი თვალსაზრისის გასამტყუნებლად ***(ზნეობრივი ტოლერანტობის)*** მოთხოვნა.

2. მოწინააღმდეგის აზრის გასაბათილებლად არ არის საკმარისი ის ფაქტი, რომ მას არ იზიარებ, ან უბრალოდ, არ ეთანხმები, თუკი არ გაგაჩნია მასთან დაპირისპირების შესაბამისი არგუმენტი, არ გაქვს უფლება იგი უარყო ***(კამათის რაციონალურობის)*** მოთხოვნა.

3. კამათის ყოველ მონაწილეს გააჩნია საკუთარი მოსაზრებების დაცვისა და მოწინააღმდეგის მიერ გამოთქმულ დებულებაში შეცდომების მხილების თანაბარი უფლება, მიუხედავად იმისა, თუ როგორია თითოეული მათგანის პიროვნული თვისებები, საზოგადოებრივი მდგომარეობა, თუ პრესტიჟი ***(კამათის დემოკრატიულობის)*** მოთხოვნა.

4. აუცილებელია ემოციების მოთოკვა და მართვა, რადგან აღელვება, მრისხანება, სიხარული, იმედგაცრუება და სხვა გრძნობა არგუმენტად არ გამოდგება, ყვირილი არ ნიშნავს დასაბუთებას, წყობილებიდან გამოსული ნერვებაშლილი მოკამათე ცუდი მეტოქეა, გაბრაზება მარცხის ნიშანია ***(ემოციური ზომიერების)*** მოთხოვნა.

5. კამათში მოსალოდნელი გარდაუვალი მარცხის თავიდან ასაცილებლად, ჯიბრი, სიჯიუტე და დაცინვა ყოვლად გამოუსადეგარი იარაღია, რომელიც სულიერად ამდაბლებს და მორალურად აკნინებს არა მოწინააღმდეგეს, არამედ იმას, ვინც ამ უკადრის ხერხებს მიმართავს; ეს არა მარტო უძლურების ნიშანია, არამედ აგრეთვე თვალში საცემი, სამარცხვინო და საზრახისი საქციელია, ამიტომაც სათაკილოა არა უკან დახევა და მეტოქის სიმართლის აღიარება, არამედ მსგავსი უპერსპექტივო დაპირისპირების გაგრძელება უკადრისი საშუალებებით ***(გონივრული კომპრომისის მოთხოვნა)***.

§4. კამათის წარმოების ლოგიკურად აპრობირებული მანევრები

კამათის წარმართვა ძალიან საპასუხისმგებლო და ამასთანავე, ერთგვარი აზარტული პროცესია, ვინაიდან მარტო დასაბუთების მოთხოვნა აქ გადამწყვეტი არ გახლავთ და ოპონენტთა პაექრობის მომენტი ფსიქოლოგიურად მაინც გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს, ამიტომაც მართლაცდა ძალზე დიდი იშვიათობაა, რომ ის შინაგანი მოტივაციით, ობიექტური ჭეშმარიტების დადგენას ემსახურებოდეს და არა კამათში მიღწეული უპირატესობისა და გამარჯვების ინიციატივას. რასაკვირველია, ნამდვილად არ შეიძლება, კამათის გზით, ობიექტური ჭეშმარიტების მიღწევის მოსურნეთა უანგარო ქცევის უგულებელყოფა, განსაკუთრებით, იმ ვითარებაში, როდესაც მოკამათე მხარეები დაინტერესებულნი არიან საერთო ღირებულებების შენარჩუნებისა და განმტკიცების პრინციპით და ისინი ეძებენ უკეთეს შესაძლებლობებს ამ ერთიანი მიზნის განსახორციელებლად. უფრო რეალურია ეს მისწრაფება, როდესაც ის გაზიარებულია ერთი ოჯახის, სამეგობრო-სა-

ახლობლო და სამეზობლო ურთიერთობებში, მაგრამ, საკმარისია, მხარეთა ინტერესები დაიყოს დიდ სოციალურ, პარტიულ, კლასობრივ, იდეოლოგიურ, მენტალურ და სხვა კლასიფიკაციურ, ან კვალიფიკაციურ წარმონაქმნთა შესაბამის მოდულაციებად, რომ უმალ, ჭეშმარიტების მიუკერძოებელი დამოკიდებულების გნოსეოლოგიურ ფუნქციას თავიდან ბოლომდე გადაფარავს ინტერესთა კონფლიქტით გამოწვეული სუბიექტური ამბიცია, რომლისთვისაც მთავარია, არა რეალური საქმის ვითარებიდან გამომდინარე, ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება, არამედ კამათში მოპოვებული მასობრივი მხარდაჭერა, რაც კონკრეტულ ინტერესთა ჯგუფის პოლიტიკური გამარჯვების საწინდარია. ამიტომაც, რაც უფრო საჯაროა კამათი, რაც უფრო ფართოდ შუქდება ის მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით, მით უფრო მცირეა ობიექტური ჭეშმარიტების დადგენის შესაძლებლობა და, მით უმეტეს, მოწინააღმდეგე მხარის გამართლების პერსპექტივა.

კამათში თავდაცვისა და მოწინააღმდეგეზე შეტევის ილეთების გამოყენება, პოზიციური თვალსაზრისით, რამდენადაც უადვილებს ერთ მხარეს, იმდენად ურთულებს მეორე მხარეს მდგომარეობას. მართალია, განზრახ ვინმეს შეცდომაში შეყვანის ხარჯზე, ეს ყველაფერი არ უნდა ხდებოდეს, მაგრამ ძირითადად, ეს მაინც ასეა. პატიოსან დიალექტიკურ კამათს უიშვიათეს შემთხვევაში აქვს ადგილი, მაგრამ იქაც, მთავარი და არსებითი გახლავთ საკუთარი პოზიციის ძლიერი და მოწინააღმდეგის სუსტი მხარეების ნათელყოფა. აღნიშნული დამოკიდებულების გათვალისწინებით შეგვიძლია განვიხილოთ კამათის წარმართვის რამდენიმე ხერხი:

1. ***დასაბუთების ტვირთი***. როდესაც ორი მხარე კამათობს, ის მხარე, რომელიც ვალდებულია დაასაბუთოს რაიმე დებულება, ან გაამართლოს საკუთარი მოთხოვნები, გაცილებით რთულ მდგომარეობაში იმყოფება იმასთან შედარებით, ვისაც უყენებენ რაიმე პრეტენზიას, ან ბრალდებას, ვინაიდან მეორე მხარე ამ სიტუაცი-

აში დამკვირვებლისა და შემფასებლის როლში გვევლინება. ასე ხდება სასამართლო პროცესზე გამართულ მხარეთა პაექრობის შემთხვევაშიც. მაგალითად, თუ ვინმე ფაქტობრივად ფლობს საკუთრებას, ხოლო მოწინააღმდეგე მხარე აცხადებს თავის მოთხოვნას მასზე, ფაქტობრივი მესაკუთრის უფლება საკუთრებაზე ავტომატურად იქნება დადგენილი, თუკი პრეტენდენტი ვერ შეძლებს საკუთარი მოთხოვნის სამართლიანობისა და კანონიერების დამტკიცებას. აქედან გამომდინარე, მტკიცებულების ტვირთი აწევს მას, ვინც აყენებს რაიმე პრეტენზიას. ანალოგიურად, როგორც ვთქვით, ბრალმდებლისა და ბრალდებულის სასამართლო დავაში, დასაბუთების ტვირთი ეკისრება ბრალდების მხარეს, ხოლო ბრალდებული ითვლება უდანაშაულოდ, აღნიშნული ბრალის დამტკიცებამდე, სწორედ ამ პრინციპს ემყარება უდანაშაულობის პრეზუმფცია, რომელიც გახლავთ, ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დეკლარაციის, ერთერთი უმნიშვნელოვანესი სამართლებრივი ნორმა. აღნიშნულ ვითარებაში, მეორე მოკამათე უნდა შეეცადოს დასაბუთების ტვირთი მოიხსნას ეფექტური მტკიცებულების მეშვეობით და დააკისროს მოწინააღმდეგე მხარეს.

2. ***ყურადღების კონცენტრაცია*** მოწინააღმდეგის არგუმენტების, განსაკუთრებით მისი დასაბუთების ძარღვის კრიტიკაზე. მართალია, მოწინააღმდეგის არგუმენტების გაბათილება არღვევს მის დასაბუთებას, თუმცა ეს არაა საკმარისი თეზისის საბოლოო მცდარობის დასამტკიცებლად, თუკი დასაბუთება არის დედუქციური, ვინაიდან დედუქციურ მსჯელობაში შესაძლებელია, ერთი, რამდენიმე, ან ყველა წანამძღვარი იყოს მცდარი, მაგრამ დანასკვი, ანუ თეზისი მაინც ჭეშმარიტი აღმოჩნდეს, რაც ლოგიკაში საყოველთაოდ ცნობილი ამბავია. რაც შეეხება ინდუქციურ მსჯელობას, ასეთ დროს, საწინააღმდეგო არგუმენტის წამოყენება სავსებით საკმარისია თეზისის დასარღვევად, ან მისი სარწმუნოობის

ხარისხის შესასუსტებლად, ვინაიდან ინდუქციურ მსჯელობაში ერთი საპირისპირო შემთხვევაც რომ გამონაკლისის სახით დადასტურდეს, ყველა დანარჩენი, რაც მოცემული თეზისის გამართლებას ემსახურება, ძალადაკარგულად ითვლება.

3. ***იმანენტური კრიტიკა*** წარმოადგენს ისეთნაირ დასაბუთებას, როცა მოწინააღმდეგის არგუმენტზე დათანხმება არის მნიშვნელოვანი წინაპირობა, მისი თეზისის გასაბათილებლად, წინააღმდეგობაზე დაყვანის, ე. წ. ირიბი, აპაგოგიური მტკიცებულების საშუალებით. ეს ხდება მაშინ, როცა მოწინააღმდეგის მიერ წამოყენებული არგუმენტი შინაგან წინააღმდეგობაშია იმ თეზისთან, რის დასაბუთებასაც ის ცდილობს. ასეთი ფაქტი უკავშირდება, ფილოსოფიის ისტორიაში, სოკრატეს მოღვაწეობას, რომელიც პოლემიკის უბადლო ხელოვანი იყო. ამ ხერხს ის ძალზე ეფექტურად იყენებდა. თავდაპირველად სოკრატე მოწინააღმდეგეს დაეთანხმებოდა საწყის დებულებაში, რომლის წანამძღვრად გამოყენებასაც ის ითვალისწინებდა, შემდეგ ნაბიჯ-ნაბიჯ, ამ წანამძღვრებიდან გამოჰყავდა შედეგები, რომელიც მოწინააღმდეგისათვისაც მისაღები იყო, ან იმდენად მკაფიოდ გახლდათ ჩამოყალიბებული, რომ მის უარყოფას ვერ ბედავდა; საბოლოოდ, ამ შედეგებიდან გამომდინარე, დგინდებოდა ისეთი დებულება, რომელიც ძირფესვიანად ეწინააღმდეგებოდა მოკამათის მიერ წამოყენებულ თეზისს. ასეთნაირ მეთოდს სოკრატე უწოდებდა მაიევტიკის ხელობას, რაც სიტყვასიტყვით გულისხმობს ბებიაქალის პროფესიას, მისი არსი იმაში გამოიხატებოდა, რომ ბებიაქალი ეხმარებოდა მშობიარე ქალს ბავშვის დაბადებაში, ის თვითონ კი არ შობდა, არამედ აბადებინებდა, ასევე იქცეოდა სოკრატეც, მას ისეთი მეთოდების გამოყენება შეეძლო, რომ მოხერხებულად შერჩეული კითხვების საშუალებით, საწინააღმდეგო მხარეს თვითონ ათქმევინებდა იმ ჭეშმარიტებას, რასაც თავდაპირველად ეწინააღმდეგებოდა.

4. ***დაზუსტებისა და ნათელყოფის*** მოთხოვნა მდგომარეობს იმაში, რომ კამათში წამოყენებული ყოველი დებულება, რაც შეიძლება, მკაფიოდ და არაორაზროვნად უნდა იყოს ფორმულირებული. საპირისპირო მხარეს მოეთხოვება, მის მიერ წამოყენებულ დებულებაში გამოყენებული საეჭვო შინაარსის ცნებების განმარტება, ანუ მთელი წინადადების სრულად და ნათლად ფორმულირება. ასეთ მოთხოვნაზე პასუხის გაცემის ნაცვლად, სავსებით შესაძლებელია, მოწინააღმდეგემ თვითონ მოხსნას თავის მიერ წამოყენებული თეზისი, ან ისეთი განმარტება გააკეთოს, რომელიც უკვე საკამათო აღარ იქნება. მაგალითად, დებულება, „რუსები შოვინისტები არიან“, არის დაუზუსტებელი და ბუნდოვანი მსჯელობა, რომელსაც აკლია შესაბამისი კვანტორი. თუ მას დავუმატებთ კვანტორს_ „ყველა“, ეს იქნება აბსოლუტურად მცდარი დებულება, რადგან ყველა რუსი ასეთი ნამდვილად არაა, მაგრამ თუ დავუმატებთ კვანტორს „ცალკეული“, ან „ზოგიერთი“, მაშინ ეს დებულება უკვე ჭეშმარიტი იქნება.

§5. კამათის სოფისტური ტრადიცია და მისი გამოყენების შემთხვევები

კამათში წარმატების მისაღწევად, უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოწინააღმდეგის მიერ მსჯელობაში დაშვებული შეცდომების ამოცნობას და მათ დარღვევას. ყოველი ამგვარი შეცდომის დაფიქსირება არის მოწინააღმდეგის არგუმენტაციაში სერიოზული ხარვეზის აღმოჩენა, რაც წარმოადგენს წინსვლას ჭეშმარიტების დადგენის გზაზე. დასაბუთების პროცესში ზემოთ განხილულმა შეცდომებმა შესაძლებელია, თავი იჩინონ კამათშიც, ამიტომ ისინი ყოველთვის უნდა ვიქონიოთ მხედველობაში.

მაგალითად, მეცნიერული თეორიის ფარგლებში დასაბუთებისას, თუკი გამორიცხულია მისი პოლემიკური ხასიათი, მაშინ შეცდომებს უნებლიედ უშვებენ, რასაც ***პარალოგიზმები*** ეწოდება, ასეთი რამ კარგად ჰქონდა აღწერილი დიდ გერმანელ ფილოსოფოსს, ი. კანტს, თავის უმთავრეს ნაშრომში, „წმინდა გონების კრიტიკა“. რაც შეეხება კამათისა და პოლემიკის ნიშანდობლივ სიტუაციებს, ასეთ დროს, ადგილი აქვს განზრახ დაშვებულ შეცდომებს, არა უშუალოდ საწინააღმდეგო მხარის მიერ დემონსტრირებული სუსტი ადგილების მიგნებით, არამედ შეცდომის ერთგვარად შეგნებული პროვოცირებითა და ინიცირებით, რაც ბევრჯერ საჭირო რიტორიკულ ოსტატობას და ღრმა ფსიქოლოგიური ზემოქმედების უნარს მოითხოვს. ამრიგად, საკამათო მსჯელობაში, მოწინააღმდეგის დამარცხების მიზნით, განზრახ გამოყენებულ, არარაციონალური მანიპულაციის შედეგად, წარმოებულ ხერხს, ანუ ინტელექტუალურ ოინბაზობას ეწოდება ***სოფიზმი***. შეგვიძლია განვიხილოთ სოფიზმის რამდენიმე მაგალითი:

1. ***ძალისადმი მიმართვის (ჯოხის) არგუმენტი***, ის შემთხვევაა, როდესაც ვერც ერთი მხარე ვერ ახერხებს მეტოქის დარწმუნებას საჭირო არგუმენტებით, კამათის გაგრძელება კი მოითხოვს დამატებით საკითხის შესწავლას და საჭირო ინფორმაციული მასალების გადამოწმებას, რისთვისაც არც შესაბამისი დრო არ ჰყოფნით და არც ამის განსაკუთრებულ მისწრაფებას არ გამოხატავენ; ასეთ ვითარებაში, ზოგჯერ მიმართავენ ძალას, ან ძალის გამოყენების შესაძლებლობის შეფარულ მუქარას, რათა ერთმა მხარემ აიძულოს მეორე, გაიზიაროს, ან უკან წაიღოს ესა თუ ის წინადადება (შემოთავაზება). ჩვენი პატივცემული და განსაკუთრებულად დასაფასებელი „ლოგიკის“ სახელმძღვანელოს ავტორები, მთლად მართებულად და კორექტულად არ ცდილობენ განმარტონ ის მახვილგონივრული დებულება, რომელიც ეკუთვნის გენერალისიმუსს, იოსებ სტალინს, რომელმაც ჩერჩილის მიერ შემოთავაზე-

ბულ წინადადებას დაუპირისპირა გარკვეული სტრატეგიულად მნიშვნელოვანი სამხედრო ოპერაციის ჩატარებაზე, სტალინისა და რუზველტის თანხმობის მისაღწევად. რაკი ჩერჩილს ჰქონდა ინფორმაცია, იმის თაობაზე, რომ სტალინი პატივს სცემდა უმაღლეს ქრისტიანულ ეკლესიათა უმაღლეს საჭეთმპყრობლებს, ამ შემოთავაზებისას დასძინა, რომ თვით რომის პაპია დაინტერესებული, მოვლენათა განვითარების ამგვარი პერიპეტიებითო_ სტალინს ჭკუაში არ დაუჯდა აღნიშნული გეგმა და აუღელვებლად, შესამჩნევი ირონიით შეეკითხა, თუ რამდენი დივიზიით იბრძოლებდა რომის პაპი ხსენებული გეგმის განსახორციელებლად, რითაც ჩერჩილის მონდომებას ცივი წყალი გადაასხა; ზემოხსენებული კომენტარი, რომელშიც ხაზგასმულია, არაკომპეტენტურობა, პატივმოყვარეობა, ოპონენტთა მიმართ რეპრესიების გატარების სულისკვეთება და სხვა,[1] ამ ბუმბერაზი პიროვნების აღნიშნული ჟესტის დასახასიათებლად, ჩვენი აზრით, სრულიად გაუმართლებელი და არაადექვატურია.

2. ***პიროვნებისადმი მიმართვის არგუმენტი*** ხშირადაა გამოყენებული ავტორიტარულ პოლიტიკურ მმართველთა მიერ, როდესაც ამა თუ იმ დებულების უმართებულობის, ან პირიქით, ჭეშმარიტების დასამტკიცებლად, დასაბუთების, ან გაბათილების ნაცვლად, ლანძღავენ და განაქიქებენ, ან აქებენ და ხოტბა-დიდებას ასხამენ ამა თუ იმ პიროვნებას, ვინც აღნიშნული დებულება წამოაყენა, რათა ამით უგულებელჰყონ ოპოზიციის მოთხოვნები, რომლებიც მოითხოვენ საინფორმაციო საშუალებების განთავისუფლებას მონოპოლიებისაგან, ადამიანის უფლებების დაცვას, გადასახადების ლიბერალიზაციას და სხვა. ასეთ დროს ხშირად, ხელისუფალნი უდიერად იხსენიებენ ოპოზიციას, განსაკუთრებით კი ოპოზიციურად განწყობილ იტელიგენციას, მის ცალკე-

1 ლ. ივანიძე ნ., ლოგიკა., თბილისი., 1997. გვ: 214.

ულ წარმომადგენლებს. მათ ნაკლოვანებებზე და შეცდომებზე გამუდმებული აპელირებით, ისინი ბევრჯერ აღწევენ მიზანს და დაბალი კულტურის საზოგადოებაში მხარდაჭერას პოულობენ, რომელთაც არ ესმით, რომ პიროვნებათა სიმპათია-ანტიპათიის პრინციპით, მათ მიერ წამოყენებული წინადადებების გამართლება, ან გამტყუნება, სრულიად გაუმართლებელი და არასერიოზულია, თუმცა ეს მათ არ ესმით და აღნიშნული კრიტერიუმების მიხედვით მსჯელობის შეფასება კანონიერ დასაბუთებად მიაჩნიათ.

ხალხისადმი მიმართვის არგუმენტი ისეთი სახეობის სოფიზმია, როდესაც ბრბოზე ფსიქოლოგიური ზემოქმედებით, ემოციური პათეთიკისა და არტისტული ეფექტების გამოყენებით, ხდება იმგვარი ვნებებისა და ლტოლვების წახალისება-გამოწვევა, რომ ხალხს ეკარგება მიუკერძოებელი განსჯის შესატყვისი დაკვირვების, ანალიზისა და განზოგადების უნარი. ამ გზით, არც თუ იშვიათად, მასებს თავს ახვევენ გარკვეულ იდეოლოგიას, ახდენენ მათ ზომბირებას; ასეთ რაიმეს, პროპაგანდის მიზნით, ხშირად მიმართავენ გაწაფული აგიტატორები, პოლიტიკური შარლატანები და დემაგოგები. უ. შექსპირის ტრაგედიაში, „იულიუს კეისარი“, არაჩვეულებრივადაა აღწერილი სცენა, სადაც ანტონიუსი სიტყვას ამბობს მოკლული იულიუს კეისრის ცხედართან. წარმოთქმული სიტყვა გამიზნულია იმისათვის, რომ რომაელი მოქალაქეები განიმსჭვალონ შურისძიების გრძნობით, ბრუტუსის, კასიუსისა და სხვა მკვლელების მიმართ, რომელთაც ვერაგულად ხელჰყვეს იულიუს კეისრის სიცოცხლე. კეისრის ქება-დიდების პარალელურად, ის სალანძღავ ეპითეტებს იშველიებს მისი მტრების მიმართ, შთამაგონებლად აღწერს, თუ როგორ სასტიკად აჩეხეს კეისარი, რომ არც კი დაფიქრდნენ, ამით როგორ ავნეს მთელ საზოგადოებას, ვისთვისაც მოკლულმა უამრავი ღვაწლი და ამაგი გასწია; სიტყვის დამაგვირგვინებელ ფაზაში კი, ის შეახსენებს მოქალაქეებს კეისრის გულუხვობის ფაქტებს, მასთანავე აუწყებს, რომ მან

თავის ხალხს უანდერძა სოლიდური ქონება, სასახლე, საზოგადო სარგებლობისთვის და ულამაზესი ბაღი, მდინარის ნაპირზე; ბოლოს წარმოთქმული სიტყვა იყო უკანასკნელი მოთმინების ძაფის გაწყვეტა, რის შემდეგაც, ყველანი განუსაზღვრელი რისხვითა და აგრესიით შეპყრობილნი, სირბილით გაეშურნენ კეისრის მკვლელებისთვის ანგარიშის გასასწორებლად.

ხალხისადმი მიმართვის არგუმენტი წარმოადგენს მსჯელობას, როდესაც დამსწრე საზოგადოებაზე გავლენის მოხდენისა და მეტი დამაჯერებლობის მისაღწევად, მანიპულირებენ „ხალხის ნებით“, რაც სინამდვილეში დაუდგენელი მსჯელობაა, ვინაიდან ზუსტად არავინ არასოდეს არ იცის, რა უნდა ხალხს, ან ვინ არიან ისინი, ვისაც ხალხის სახელით მოიხსენიებენ, ან რატომ არ თვლიან ხალხად იმ ადამიანებს, ვინც მათ მოსაზრებას, ან რაიმე ინიციატივას არ ეთანხმება?! ამავე სოფიზმის კერძო სახეა აგრეთვე სიბრალულის, თანაგრძნობისა და სიმპათიის გამოწვევა იმ ადამიანთა მიმართ, ვისაც ეს ეხება, რასაც ხსირად მიმართავენ ბრალდებულის ადვოკატები სასამართლო პროცესებზე, ვინაიდან ეს მათი ტრადიციული პროფესიული საქმიანობის ატრიბუტია.

შემდეგი გახლავთ ***ავტორიტეტისადმი მიმართვის არგუმენტი***, როდესაც საზოგადოებაში გამოჩენილი, ავტორიტეტული პიროვნების შეხედულების დამოწმების საშუალებით, ვინმე ცდილობს სხვები დაარწმუნოს საკუთარი შეხედულების უტყუარობაში. სინამდვილეში, აღნიშნულ არგუმენტს არ შეიძლება ჰქონდეს დამარწმუნებელი ძალა, ვინაიდან, თავისთავად ის ფაქტი, რომ ვინმე ავტორიტეტი რაიმე აზრს იზიარებს, ლოგიკური დასაბუთებისთვის აბსოლუტურად არაფერს არ ნიშნავს. ჭეშმარიტების გარანტია მდგომარეობს სინამდვილესთან შესაბამისობაში; მართალია, სინამდვილეში იმდენი მოჩვენებითობაა, რამდენი სინამდვილეცაა თვით მოჩვენებითობაში, მაგრამ არსებობს ადამიანთა კოლექტიური შეთანხმების ისტორიულად აპრობირებული პრინციპი,

რომლის მიხედვითაც, სინამდვილედ საღდება ის მოვლენები და ფაქტები, რასაც აღიარებენ, საზოგადოების უმრავლესობის სახელით მანიპულირებული, ეკონომიკურად და სოციალურად დათრგუნულ ფენებზე გაბატონებული პოლიტიკური და ფინანსურ -ოლიგარქიული კლანები. სოფიზმის შემთხვევებს, აღნიშნულ მომენტში, ადგილი აქვს, მხოლოდ მაშინ, როდესაც ისეთნაირი პიროვნების მიმართ მიმდინარეობს ავტორიტეტული დამოწმების პროცედურა, რომელიც, მოცემული კომპეტენციის მიმართ, არაკვალიფიცირებული სუბიექტის კატეგორიას განეკუთვნება. ამის მაგალითია, დარვინის თეორიის დამოწმება სხვადასხვა რელიგიური საკითხის გარკვევის მიზნით, ან იმ ადმინისტრაციული, ხელმძღვანელი პირის მხარდაჭერის მოშველიება, რომელსაც სავარაუდოდ, ჩვენი სამსახურეობრივი ანგარიშვალდებულებით ვექვემდებარებით.

არცოდნისადმი მიმართვის არგუმენტი მდგომარეობს, ამა თუ იმ დებულების ჭეშმარიტად მიჩნევის საფუძველზე, მისი მცდარობის დასაბუთების არარსებობის მიუხედავად, ისეთ ვითარებაში, როცა არც საპირისპირო არგუმენტი არაა დასაბუთებული. ეს სოფიზმი კარგად ჩანს უჩვეულო ფენომენებთან, მაგალითად, ტელეპატიის, ტელეკინეზის, ან ამოუცნობ მფრინავ ობიექტებთან დაკავშირებულ მსჯელობებში, კერძოდ, იმ დროს, როცა საკმაოდ განათლებული ადამიანები მათ არარსებულად მიიჩნევენ, მხოლოდ იმის გამო, რომ ცნობილი არაა მათი არსებობის მეცნიერული დასაბუთება. აღნიშნული სოფიზმის გამოყენების სფეროში ერთი მნიშვნელოვანი გამონაკლისია: ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება მანამ, სანამ არ დადგინდება მისი დანაშაული, სასამართლოს განაჩენის მიხედვით.

ადამიანის მდგომარეობისადმი მიმართვის არგუმენტი იმ შემთხვევაში გამოიყენება, როდესაც ერთი ადამიანი მეორეს აიძულებს გაიზიაროს ესა თუ ის თვალსაზრისი, არა დასაბუთებული

მსჯელობის, არამედ გარკვეული მდგომარეობის მითითებით, რომელშიც იმყოფება ესა თუ ის პიროვნება. მაგალითად, როდესაც ორთოდოქს მორწმუნედ შერაცხავენ რომელიმე სასულიერო პირს, მხოლოდ იმის გამო, რომ ის ეკლესიის მსახურია და წირვა-ლოცვებს ატარებს, ისეთნაირად, რომ არავის აძლევენ, გარკვეული ეჭვის საფუძველზე, მისი შინაგანი სულიერი განწყობილების განსჯის უფლებას. ამის თაობაზე ხშირად გვესმის საგანგებო გაფრთხილებაც, რომ ნებისმიერი ადამიანის განკითხვა, მით უმეტეს, სამღვდელოების წარმომადგელისა, რელიგიური თვალსაზრისით, დიდი ცოდვაა, თუმცა, ამავდროულად ქრისტიანული მორალი იმასაც გვასწავლის, რომ უკეთურთა მხილება, ვინც არ უნდა იყოს ის, ჭეშმარიტი აღმსარებლისთვის სავალდებულოც არის, მაშასადამე, განკითხვა და მხილება სხვადასხვა რამეა, მაგრამ ეს ძალიან ცოტას ესმის, მით უფრო თუ გავითვალისწინებთ, რომ ორივე შემთხვევაში ადგილი აქვს განსჯას, შეფასების მნიშვნელობით, ამიტომაც თუ მას ეთანხმებიან, მაშინ ის მხილებად ჩაითვლება, თუ არადა განკითხვად, ისე, რომ სინამდვილეში, ყოველთვის შეიძლება არც კი იცოდნენ დარწმუნებით, თანხმობის შემთხვევაშიც, სიმართლეა, თუ არა ის, რის გამოც ვინმეს განსჯიან. აღნიშნული სოფიზმის შესახებ არაჩვეულებრივი მაგალითი მოჰყავს ლერი მჭედლიშვილს_რომელიღაც მონადირეს იმის გამო კიცხავენ, რომ ის უმოწყალოდ ხოცავს ნადირს, რაზეც მონადირე პასუხობს, ის ხალხი, ვინც კრიტიკულად აფასებს მას, რატომ არ წუხდებიან იმ დროს, როცა მადიანად შეექცევიან უწყინარი ცხოველების ხორცს, ცხადია, ამ შენიშვნას მათი კრიტიკის მოგერიების დიდი ძალა გააჩნია, თუმცა, ფსიქოლოგიური თვასაზრისით, ცხოველთა ხოცვა-ჟლეტა მაინც გაცილებით მეტი სისასტიკის გამოხატულებაა, ვიდრე, დაკლული ხორცისაგან კერძის მომზადება

და შემდეგ მისი მირთმევა.[1] იგივე მაგალითი ყასბებზეც ვრცელდება, მაგრამ განსაკუთრებით რთული სააზროვნო სიტუაცია იქმნება მაშინ, როდესაც წარმოვიდგენთ, რომ რომელიმე მონადირე, ან ყასაბი შესაძლოა ვეგეტერიანელი იყოს, რა გამოდის ასეთ შემთხვევაში, ის უანგაროდ ხოცავს ნადირს, პირუტყვს და ასე შემდეგ, სხვათა გულის მოსაგებად, ან გამოსაკვებად თუ ასეთი უპრეცენდენტო სისასტიკე მას ესთეტიკურ ტკბობას ანიჭებს?!_ესეიგი, ის ან უანგარო სიკეთეს ემსახურება, ან ერთი გამოუსწორებელი მანიაკია.მოყვანილი მაგალითებიდან კარგად ჩანს, თუ რაოდენ აქტუალური და მნიშვნელოვანია რიტორიკული თვალსაზრისით, სოფიზმების განხილვისა და მათი გამოყენების მიზანშეწონილების საკითხი.

ბოლოს განვიხილავთ, ერთ-ერთ, სხვებზე არანაკლებ, საჭირბოროტო და აქტუალური სოფიზმის სახეობას, ***რასაც ჰქვია მრავლობითი კითხვა***. ჯერ კიდევ ანტიკური ეპოქიდან მოყოლებული, ცნობილია ისეთი ეშმაკური კითხვები, რომლებიც კითხვა-პასუხის ფორმატში, მოითხოვენ ცალსახად, „ჰო“, ან „არა“ პასუხს, რითაც ბევრჯერ, მოპასუხეს გამოუვალ ჩიხში აქცევენ, რადგანაც ამგვარი ცალმხრივი პასუხით ის, მისდა უნებურად, პასუხს სცემს იმ ფარულად ნაგულისხმევ კითხვასაც, რომელიც ასეთ შემთხვევაში მოიაზრება. მაგალითად, „კვლავ აგრძელებ, თუ არა, უდანაშაულო ხალხის წამებას?“ „მოიშლი თუ არა ცოლის ცემას?“ „აღიარებ თუ, ისევ დამალავ ნაქურდალის გასაღების ფაქტს?“ თუ აღნიშნულ კითხვებზე მოპასუხე იტყვის, არას, მაშინ გამოდის, რომ ის აღარ აგრძელებს ხალხის წამებას, მაგრამ აქამდე აწამებდა, მეორე შემთხვევაში_არ მოიშლის ცოლის ცოლის ცემას, ანუ გააგრძელებს უმსგავსობას, მესამე შემთხვევაში კი, არ აპირებს აღიაროს და კვლავ უნდა დამალოს ნაქურდალის გასაღების ფაქტი, რითაც,

1 იქვე: გვ. 212.

ნებისმიერ შემთხვევაში, მისი დამნაშავეობის შთაბეჭდილება იქ-მნება; ასევე, თუ არას ნაცვლად იტყვის ჰოს, მაინც არაფერი იც-ვლება. ამგვარად სახეზე გვაქვს მრავლობითი კითხვა, რომელიც ერთ შეკუმშულ კითხვაშია მოქცეული და მას მოეთხოვება მხო-ლოდ ერთი პასუხი, რითაც მოპასუხის ნების საწინააღმდეგოდ, პასუხი ეძლევა დანარჩენ კითხვასაც. აღნიშნულ სოფიზმებს ხში-რად მიმართავენ უხეში მოპყრობის მიზნით, გამომძიებლები, ან დემაგოგიის მიზნით, საჯარო დებატებში, მოიშველიებენ პოლი-ტიკური პარტიების ლიდერები: „სად წაიღე ის იარაღი, ჯიბეში რომ გედო?“ „მოასწარი გვამის გადამალვა?“ „სამომავლოდ მაინც თუ აპირებთ, საინფორმაციო საშუალებებზე, ავტორიტარული მმართველობის მიერ დაწესებული, პოლიტიკური შეზღუდვების შერბილებას, ან მთლიანად მოხსნას?“ ამ მრავლობითი კითხვების მიზანია, რაც შეიძლება ხელი შეუშალოს და დააბრკოლოს გეგმა-ზომიერი ლოგიკური ანალიზის პროცესს, გამართული პასუხის მისაღებად, ანუ აღნიშნული კითხვების ცალ-ცალკე გამოყოფას და შესაბამისად ასევე, ცალ-ცალკე პასუხის გაცემას. ამიტომაც აუ-ცილებლად მიიჩნევენ, საპარლამენტო პროცედურასა და სამეც-ნიერო დისკუსიებში, განსახილველი საკითხების ქვესაკითხებად დაყოფას თანმიმდევრული და დეტალური ანალიზის ჩასატარებ-ლად.

§6. თავდასხმისა და მოგერიების ლოგიკური წესები საკამათო სიტუაციებში

ლოგიკის შესწავლა აზროვნების ჰორიზონტის გაფართოებისა და სათანადო უნარ-ჩვევათა გამომუშავებასთან ერთად, იმითა-ცაა ღირებული და არაჩვეულებრივი სარგებლობის მომტანი, რომ

კამათის ხელოვნების დაუფლებაში ფასდაუდებელ როლს თამაშობს. ლოგიკური ტერმინებისა და ალგორითმების გამოყენებით აგებული წინადადებების მეშვეობით დასაბუთება, დადასტურების, ან უარყოფის მიზნით, კამათის სწორად წარმართვისა და მისი წარმატებულად დასრულებისთვის, ერთერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა. კამათის ლოგიკური წესების მკაფიოდ გადმოცემის მიზნით, მიზანშეწონილია გამოვიყენოთ ისეთი ნათელი და ლაკონური ფორმულირებები, როგორიცაა ***„წინადადების დაცვა“***, როდესაც საქმე ეხება ჩვენს მიერ რაიმეს დადასტურებას, ხოლო ***„წინადადებაზე შეტევას“*** ადგილი აქვს მაშინ, როცა ვახდენთ მოწინააღმდეგის დებულების უარყოფას. აღნიშნული განმარტებიდან კარგად ჩანს, რომ ამა თუ იმ წინადადების დაცვა წარმოადგენს ამ წინადადების უარყოფაზე შეტევა, ხოლო წინადადებაზე შეტევა კი პირიქით, ამ წინადადების უარყოფის დაცვა. განვიხილოთ დაცვის, ანუ მოგერიებისა და შეტევის, ანუ თავდასხმის რვა წესი, რისი გაადვილების მიზნითაც, შეგვიძლია მოვიშველიოთ ის სქემა, რომელიც ზემოთ იქნა წარმოდგენილი:

1. კონიუნქციური (და მაკავშირებლიანი) წინადადების დაცვისას, ანუ მოგერიებისას, აუცილებლად უნდა დავიცვათ ამ წინადადებაში შემავალი ორივე კონიუნქტი, ვინაიდან ვიცით, რომ კონიუნქცია ჭეშმარიტია მაშინ, როდესაც ჭეშმარიტია მისი ორივე კონიუნქტი, შესაბამისად, თუ ერთერთი კონიუნქტი აღმოჩნდება მცდარი, მცდარი იქნება მთელი წინადადებაც, იგივე წინადადების უარყოფის, ანუ თავდასხმის დროს კი, პირიქით უნდა მოვიქცეთ, ან ორივე შემადგენელი კონიუნქტი უნდა გავაბათილოთ, ან ერთერთი მაინც.

2. თუ მოკამათე იცავს არაგამომრიცხავ (ან მაკავშირებლიან) დისიუნქციურ წინადადებას, მაშინ მან უნდა მოიგერიოს შეტევა ამ წინადადების ერთერთი წევრის (დისიუნქტი) მიმართ მაინც, ხოლო თუ უარყოფს მას, მაშინ ცალ-ცალკე უნდა დაესხას თავს

მოცემული წინადადების ორივე წევრს, ვინაიდან ცნობილია, არაგამომრიცხავი დისიუნქცია ჭეშმარიტია მაშინ, როდესაც ჭეშმარიტია ერთერთი დისიუნქტი მაინც, ხოლო იმ შემთხვევაში აღმოჩნდება მცდარი, როცა დამტკიცდება მისი ორივე დისიუნქტის მცდარობა. თუ მოკამათე ცდილობს მოიგერიოს გამომრიცხავი დისიუნქციის მიმართ წარმოებული თავდასხმა, მან ისევე, როგორც გამომრიცხავ დისიუნქციაში, ერთ ერთი დისიუნქტი აუცილებლად უნდა დაიცვას (ორივეს დაცვა გამორიცხულია, ვინაიდან გამომრიცხავი დისიუნქციის წევრები ერთმანეთს ისედაც გამორიცხავენ); ასევე, როცა თავს ესხმის გამომრიცხავ დისიუნქციას, იმ წევრის გაბათილებას უნდა ეცადოს, რომელსაც იცავს მოწინააღმდეგე, რადგანაც ვიცით ასევე, რომ არაგამომრიცხავი დისიუნქცია ჭეშმარიტია მაშინ, როდესაც ერთ-ერთი აუცილებლად არის ჭეშმარიტი, ხოლო მეორე წევრი კი მცდარი, შესაბამისად, გამომრიცხავი დისიუნქცია მცდარია იმ დროს, როცა ორივე დისიუნქტი არის მცდარი.

3. თუ მოკამათე იგერიებს იმპლიკაციურ (პირობით წინადადებაზე) წარმოებულ შეტევას, მან აუცილებლად უნდა დაიცვას ამ წინადადების კონსექვენტის ჭეშმარიტება (შედეგი), როდესაც საკითხი ეხება მატერიალურ იმპლიკაციას, რომლის ჭეშმარიტება განისაზღვრება ანტეცედენტის (პირობის) ჭეშმარიტების დროს, კონსექვენტის ჭეშმარიტებით, ხოლო მცდარი ატეცედენტის შემთხვევაში კონსექვენტი ან ჭეშმარიტი უნდა იყოს, ან მცდარი; ერთადერთი შემთხვევა, რომელიც განაპირობებს მატერიალური იმპლიკაციის მცდარობას, არის პირობის (ანტეცედენტის) ჭეშმარიტების დროს, კონსექვენტის (შედეგის) მცდარობა, ანუ როდესაც პირობა იდება, მაგრამ იგი შედეგით არ სრულდება; ასევე როდესაც მოკამათე თავს ესხმის მატერიალური იმპლიკაციას, ის უნდა შეეცადოს დაასაბუთოს (დაიცვას) პირობის ჭეშმარიტება და თავს დაესხას (გააბათილოს), დაამტკიცოს შედეგის მცდარო-

ბა. რაც შეეხება მკაცრ იმპლიკაციას, მისი მოგერიება შესაძლებელია მაშინ, როდესაც ვამტკიცებთ, ანტეცედენტის ჭეშმარიტების შემთხვევაში, კონსექვენტის მცდარობას, მატერიალური იმპლიკაციის მსგავსად, ან მისგან განსხვავებით, შედეგის ჭეშმარიტების შემთხვევაში, პირობის მცდარობას, რაც იმას ნიშნავს, რომ როცა თავს ვესხმით ერთერთ მხარეს, ან ანტეცედენტს, ან კონსექვენტს, ვიგერიებთ მეორე მხარეს წარმოებულ თავდასხმას.

4. თუ მოკამათე იგერიებს ეკვივალენციურ (ტოლფასობის გამომხატველ) წინადადებაზე განხორციელებულ თავდასხმას, მკაცრი იმპლიკაციის მსგავსად, უნდა დაიცვას ორივე ეკვივალეტის ერთდროული ჭეშმარიტება, ან ორივე მათგანის ერთდროული მცდარობა, რადგან უნდა გვახსოვდეს, რომ ეკვივალენცია, მატერიალური იმპლიკაციის ანალოგიურად, ჭეშმარიტია მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც ჭეშმარიტია ორივე ეკვივალენტი ან, როდესაც ორივე მათგანი მცდარია; შესაბამისად, ეკვივალენცია მცდარია, მაშინ, როცა ერთ-ერთის ჭეშმარიტების დროს მცდარია მეორე, ან პირიქით, ამიტომაც თუ გვსურს გავაბათილოთ ეკვივალენცია, თავს უნდა დავესხათ ერთერთ ეკვივალენტს და მოვიგერიოთ მეორე ეკვივალენტზე წარმოებული შეტევა.

5. თუ მოკამათე იცავს ზოგად დადებით წინადადებას (ყველა S არის P), მან უნდა მოიგერიოს ყველა ის თავდასხმა, რომელიც მდგომარეობს ერთი, ან რამდენიმე გამონაკლისის სახით არსებული შესაძლებლობის მტკიცებულებაში, რადგანაც ცნობილია, რომ ზოგად-დადებითი წინადადება ჭეშმარიტია მაშინ, როდესაც გამონაკლისი შემთხვევა გამორიცხულია, ხოლო მცდარია მაშინ, როდესაც არსებობს ერთი მაინც გამონაკლისი შემთხვევა. შესაბამისად, თუ მოკამათე თავს ესხმის ზოგად-დადებით წინადადებას, მან უნდა შეძლოს ერთი გამონაკლისი შემთხვევის დასაბუთება, როცა მოიძებნება ისეთი S, რომელიც არ იქნება P.

6. თუ მოკამათე იცავს ზოგად-უარყოფით წინადადებას (არც

ერთი S არ არის P), მან უნდა მოიგერიოს ყველა ის თავდასხმა, რომელიც მდგომარეობს ასევე ერთი გამონაკლისის სახით არსებული შესაძლებლობის მტკიცებულებაში, რადგან ზოგად-უარყოფითი მსჯელობაც, ისევე როგორც ზოგად-დადებითი, ჭეშმარიტია მაშინ, როცა არ მოიძებნება არც ერთი გამონაკლისი შემთხვევა, როცა S შესაძლებელია იყოს P, ასევე თუ მოკამათე თავს ესხმის ზოგად-უარყოფით მსჯელობას, მან უნდა დაასაბუთოს ერთი მაინც გამონაკლისი შემთხვევა, როდესაც მოიძებნება ისეთი S რომელიც არის P.

7. თუ მოკამათე იცავს კერძოობით-დადებით მსჯელობას (ზოგიერთი S არის P), მან უნდა მოიგერიოს ყველა ის თავდასხმა, რომელიც მის საწინააღმდეგოდ ცდილობს დაამტკიცოს ზოგად-უარყოფითი წინადადება, რომლისთვისაც არ არსებობს არც ერთი ისეთი გამონაკლისი შემთხვევა, როდესაც რომელიმე S შესაძლებელია იყოს P, რადგან კერძოობით-დადებითი მსჯელობა ჭეშმარიტია მაშინ, როდესაც არსებობს S არის P ერთი, რამდენიმე, ან ყველა შემთხვევა, ამიტომაც თუ მოკამათე თავს ესხმის კერძოობით-დადებით წინადადებას, ის დარწმუნებული უნდა იყოს იმაში, რომ არ მოიძებნება არც ერთი S, რომელიც შესაძლებელია აღმოჩნდეს P.

8. რაც შეეხება კერძოობით-უარყოფით წინადადების დაცვას (ზოგიერთი S არ არის P), მოკამათემ უდა მოიგერიოს ყველა ის შეტევა, რომელიც მის საწინააღმდეგოდ, ცდილობს დაამტკიცოს ზოგად-დადებითი წინადადება, ვინაიდან კერძოობით-უარყოფითი მსჯელობა ჭეშმარიტია იმ დროს, როდესაც არსებობს ერთი, რამდენიმე, ან სუყველა ისეთი S, რომელიც არ არის P, აქედან გამომდინარე, თუ თავს ვესხმით კერძოობით-უარყოფით მსჯელობას, უნდა შევეცადოთ დავასაბუთოთ ყველა ისეთი S შემთხვევა, რომელიც არის P.

როგორც ვხედავთ, ლოგიკურ-გნოსეოლოგიური ასპექტები, ზოგადი რიტორიკის მეცნიერული დარგის ჩამოყალიბებაში, მუდმივად გადამწყვეტ როლს თამაშობდა სოციალურ-ფილოსოფიურ პრობლემატიკასთან ერთად, რითაც განაპირობებდა იმ თეორიული სისტემისა და მეთოდოლოგიური ფუნქციების ორგანულ ერთიანობას, რომელიც, ფუნდამენტური საკაცობრიო მნიშვნელობის ამოცანების გადაწყვეტაში, საგანგებოდ დაკისრებული ისტორიული ტვირთის საპასუხისმგებლო მისიას ემსახურებოდა.

ეულად მოარულ ფიქრთა იდუმალმეტყველება

(თემატურად დალაგებული სენტენციები)

სახელმწიფოსა და პოლიტიკის შესახებ

1. როდესაც მმართველი პოლიტიკური კასტა, გარედან თავსმოხვეული, სანქცირებული ნორმებით შეეცდება, ჯანსაღი ფსიქიკის მქონე მოქალაქეს აღუკვეთოს, ათასგვარი ბიო-სოციალური სისაძაგლის მიმართ, ბუნებრივი ზიზღის უფლება, მთელი საზოგადოება ვალდებულია, სამკვდრო-სასიცოცხლო ომი გამოუცხადოს უცხო თესლთა მიერ ხელდასხმულ, ანტიეროვნულ ხელისუფლებას, წინააღმდეგ შემთხვევაში, დაუყონებლივ დასრულდება აღნიშნული ქვეყნის არსებობის ისტორია!

2. როცა უცხოელი იმდენად გაკადნიერდება და გათავხედდება, რომ ჭკუის სწავლებას დაგიწყებს, შენს მთავრობას უშვერი პირით უნდა აგინო, ხოლო წინაპრების საფლავებთან მუხლი მოიდრიკო და ჩადენილი ურჩობისათვის პატიება ითხოვო!

3. ლიბერალიზმი, თანამედროვე ევროტლანტიკური გაგებით, ნიშნავს იამაყო იმით, რისთვისაც, სირცხვილის გამო, თავს გარეთ ვერც უნდა ყოფდე!

4. უპირველეს ყოვლისა, ერთი რამ კარგად უნდა გვახსოვდეს ქართველებს: ჩვენი ყველაზე დაუძინებელი მტრის გეგმის შეტყობა და ამოხსნა, თვით ამავე გეგმის შემადგენელი ნაწილია, რაზეც, ვერავითარ შემთხვევაში, ვერ გავჩერდებით, ამიტომაც აუცილებელია, სუყველანი დავირაზმოთ ერთი განსაკუთრებული და მოულოდნელი იერიშით, მის საბოლოო ჩასაშლელად და გასაქარწყლებლად!

5. დემოკრატია ეს არის, საუკუნეთა მანძილზე, ადამიანურ ბედ-იღბალზე სარეველასავით გადახლართული, საწყევარი ჯა-

დო, რომლითაც გაიძვერა პოლიტიკოსები ხალხს იმონებენ და აბითურებენ!

6. დიქტატურა დემოკრატიის უცილობელი თანამგზავრია, რადგან თუ კანონის უზენაესობა მისი არსებობის აუცილებელი პირობაა, მაშინ ეს იმ უმაღლესი კანონმდებლის პერსონალურ ზედამხედველობასა და გადაწყვეტილებაზეა დამყარებული, რომელსაც დიქტატორი ჰქვია.

7. ეს ყბადაღებული და თავმომაბეზრებელი დემოკრატია, ყველა ჯურის სისასტიკის, უსამართლობისა და უსინდისობის საძირკველია, რომელსაც ზუსტად იმდენი ეშმაკეული მონა და ქვეშევრდომი ყავს, რამდენიც ესაჭიროება ადამის მოდგმის ნაშიერთა ტანჯვა-წამებისთვის განკუთვნილ, გლობალური იმპერიალისტური ძალმომრეობის, ჯოჯოხეთურ წეს-წყობილებას.

8. გენიალურ პოლიტიკურ საჭეთმპყრობელთა ყველაზე უფრო გამაოგნებელი და მომნუსხველი გავლენა გენიალურ ხელოვანთა და მეცნიერთა შემოქმედებით მოღვაწეობაზეც ვრცელდება.

9. მხოლოდ განსაკუთრებულად ბრძენ და გონიერ მმართველს შეუძლია დასაჯოს დამნაშავენი ისე, რომ თან შეიწყალოს; დასაჯოს იმისათვის, რაც მათ ჩაიდინეს და იმავდროულად შეიწყალოს იმიტომ, რომ განმეორებით იგივე არ ჩაიდინონ.

10. ჩვენდა ჭირად და სავალალოდ, უნდა ვაღიაროთ, რომ უმადურმა, უგუნურმა და კრეტინმა საბჭოთა ადამიანებმა, ხელყვეს და გააცამტვერეს ის, რასაც ამჟამად პოსტ-საბჭოთა ადამიანები მოთქმით და გოდებით მისტირიან!

11. ტერორიზმი იმპერიალიზმის უცილობელი და მისი არსებობის ბოლო წუთამდე თანმდევი ჭირია!

12. არც ერთი იმპერია არ არსებობს ტოტალური ბოროტების, უსასტიკესი დანაშაულის, ვერაგობისა და წამებული მსხვერპლის მიმართ გამაოგნებელი ცილისწამების გარეშე, რომელიც საბოლოო ანგარიშით, მიმართულია მთელი კაცობრიობის წინააღ-

მდეგ და ყოველი სხვისი გოჯი მიტაცებული მიწაწყლის შეუფასებელი საწყაულითა და საზღაურით, პირველ რიგში, საკუთარი ხალხის მოდგმას საშინელი, საუკუნო, არაადამიანური განსაცდელისათვის ამზადებს! ასევე შეუძლებელია ერთმა იმპერიამ გაამტყუნოს და ამხილოს მეორე, იმ უკურნებელ ტკივილსა და მოურჩენელ უბედურებაში, რასაც ისინი, ერთნაირი ულმობლობით და საარაკო ცინიზმით, გამუდმებით აყენებენ იარაღის ძალით დათრგუნული ქვეყნების მოსახლეობას. ისინი უმალ მალულად შეთანხმდებიან და გარიგდებიან, ვიდრე რომელიმე დაჩაგრულს, განგებ ღიად და ხმაურით გამოესარჩლებიან!

13. ქვეყნის ძლიერებისა და კეთილდღეობისთვის უმთავარესია არა მატერიალური რესურსების სიუხვე და სიმდიდრე, არამედ მოსახლეობის მაღალი სულიერება, მმართველი გუნდის პატიოსნება და საერთო ზნეობრივი პასუხისმგებლობა ღმერთის, სამშობლოსა და ერის წინაშე!

14. თუკი, მბრძანებელთა სასტიკი განკარგულება, სამართლიანობისა და კანონიერების უეჭველი განჩინებაა, სამაგიეროდ, მის აღმასრულებელ ქვეშევრდომთა სისასტიკე, ლაჩართა სიმხდალით ნაკისრი მონური ვალდებულებაა.

15. როცა ძალაუფლება მტრის ხელშია, ყოველთვის არსებობს მისი ბოროტად გამოყენების შესაძლებლობა მისთვის არასასურველი ხალხის მიმართ, რომლის ერთადერთი ფარული, მაგრამ უტყუარი საიმედო მოკავშირე გახლავთ არსებული, თუნდაც ყველაზე ცუდი უზენაესი კანონმდებლობა, რისი განუხრელი, უპირობო და უაპელაციო შესრულებაც, ადრე თუ გვიან, აუცილებლად ბოლოს მოუღებს ნებისმიერი გათავხედებული ტირანის თვითნებობას!

16. როცა ხალხი ტირის, ანტიხალხური ხელისუფლება ზეიმობს! როცა ხალხი დუმს, მოძალადე მთავრობა ხმამაღლა გაჰყვირის, როცა ხალხი იცინის, პოლიტიკანები გარბიან და იმალები-

ან, თუმცა, ახლა, როდესაც მმართველ ეშელონებში ხუმრობენ და იცინიან, ისინი, მისგან მოტყუებულ ხალხს მწარედ დასცინიან!

17. როცა შინ გამუდმებით ისეთ ვინმეს ეპატიჟები, ვინც თავის საბრძანებელში არ გიშვებს, ადვილი შესაძლებელია მან საკუთარი სახლიდანაც გაგაძევოს!

18. ნებისმიერი დაპყრობილი კოლონიის გამუდმებული დათრგუნვისა და ხანგრძლივი დროით შენარჩუნების ყველაზე აპრობირებული, ეფექტური ხერხი გახლავთ, როგორც ხელისუფლებაში, ისე წამყვან უმაღლეს სასწავლებლებში, ადგილობრივ გაიძვერა-ავაზაკთა, გონებაშეზღუდულ კრეტინთა მომრავლება, მათი მმართველობაში დაწინაურება, ხოლო გონიერ, განსწავლულ კაცთა შემცირება-დაქვეითება, იმ ყოვლად უბინძურესი, მზაკვრული გეგმის განსახორციელებლად, რასაც ადგილობრივი მოსახლეობის დაჩლუნგება და გამოთაყვანება ჰქვია!

19. ყოფილ ხელისუფლებათა და მათ მებაირახტრეთათვის, უიშვიათესი გამონაკლისის გარდა, ყველაზე მთავარი გახლდათ პრინციპი: "მე ვარ და ჩემი ნაბადი!" რაც მომდევნო მთავრობებისთვის კვლავინდებურად ძალაში რჩება, თუმცა ამის გარდა, იმ ძველსა და განახლებულ ნაბადს, კიდევ ემატება, მანამდე უხმარგამოუსადეგარი, ბოხოხი და ტყაპუჭიც...

20. დღესდღეობით ასეთი მდგომარეობაა: ვინც გაჭირვებულია, არ მალავს რომ უჭირს და ამაში ადანაშაულებს როგორც ხელისუფლებას, ისე საზოგადოებას, ხოლო ვისაც ულხინს, ის საუკეთესო შემთხვევაში, ან უხმაუროდ მალავს თავის სიხარულსა და კმაყოფილებას, ან გაჭირვებულივით ხმამაღლა წუწუნებს და ადანაშაულებს დანარჩენ გაჭირვებულ ხალხს, ვინც, მისი აზრით, არაფრის ღირსი არაა და ვისაც მისგან არც არაფერი ერგება, მაგრამ, ამის მიუხედავად, ვითომ მაინც ეხმარება, რის გამოც, საკუთარი კეთილდღეობისთვის ვერც კი მოიცალა; ამას გეუბნებათ,

იმისთვის, რათა პირდაპირ არ გითხრათ ის, რისი თქმაც უნდა: წადი ბიძიკო, მომცილდი, თავი დამანებეო!

21. არც ერთი მხარის მოკეთედ, კარგა ხანია, აღარ ვითვლებით, რამეთუ საკუთარ თავსაც ვერ ვშველით და აბა სხვას როგორღა დავეხმარებით! მტრადაც აღარავინ მიგვიჩნევს, რაკიღა უძლურების გამო, წინააღმდეგობის გაწევა არ შეგვიძლია–ჰოდა, გეკითხებით ახლა მე თქვენ–არის თუ არა ეს ნეიტრალიტეტი?– მეტი რა ვთქვათ, ან რა ვქნათ, რომ მაინც არ გვეშვებიან მაინც ეს შეჩვენებულები?!

22. საჯარო კანონმდებლობა, რომელიც რაციონალური აზრის მიზანშეწონილებას და მორალურ პრინციპს არ ექვემდებარება, საზოგადოებრივი წესრიგისა და სამოქალაქო უსაფრთხოების გარდა, ყველა სახის უმსგავსობას ემსახურება.

23. არასოდეს არ უნდა წაუყენო ვინმეს ისეთი მოთხოვნა, რომლის შეუსრულებლობის შემთხვევაშიც, პასუხისმგებლობას ვერავის დააკისრებ.

24. იმისათვის, რომ დიდი ადამიანების ფასდაუდებელ ღვაწლს ჩრდილი მიაყენონ და მათ მიმართ გამოხატულ ერთგულებაში ეჭვის ჭია ჩანერგონ, ავანტიურიტი პოლიტიკოსები ყველაზე ზნედაცემულ ადამიანებს შეარჩევენ, რათა ყველაზე მხურვალე მხარდამჭერთა სახელით, სწორედ მათ დააკისრონ, ხალხის რჩეულთა შესახებ, მაღალფარდოვანი დითირამბების ფრქვევა და ხოტბის აღვლენა.

25. აზარტში ღრმად შესულ რიგით მოთამაშეთა გაუთვალისწინებელი საბედისწერო მარცხისა და აუნაზღაურებელი ზარალით გამოწვეული დანაკარგების გარეშე, ბუნებრივი ნიჭისა და შემოქმედებითი ტალანტის სულთამხუთავი პოლიტიკური ბიზნესი საერთაშორისო გავლენისა და საყოველთაო ძალაუფლების ზენიტში ვერ ამაღლდებოდა.

26. ძალიან ხშირად, გლობალური თამაშის საგანგებოდ მორგებულ თავთავიანთ აზარტულ როლებს, არა მარტო დიდი მსახიობები, არამედ თვით პატარა კლოუნებიც, ტრაგიკომიკურად ეწირებიან!

27. როცა უსუსური და პატარა ქვეყნის ხელისუფლება ირჩევს ისეთ სტრატეგიულ კურსს, რომელიც საფრთხეს უქმნის მშვიდობას,როგორც წესი, ასეთ დროს ის კი არ ცდება, არამედ განზრახ მოქმედებს გარეშე მტრის დაკვეთით, საკუთარი ქვეყნისა და ხალხის სასიცოცხლო ინტერესთა საზიანოდ.

28. ქართული სამეფოს აღდგენა ნიშნავს ზეციურ საუფლოსთან ჩვენი მიწიერი საუფლოს ურთიერთდამაკავშირებელი იმ სანუკვარი გზის აღდგენას, რომლის მთელ მანძილზე გაბმულ სახიფათო ბეწვის ხიდზეც, ამჟამად, ჩვენი მრავალტანჯული ერი და ბერი, აუწყავი მსხვერპლის ფასად, დაიარება.

29. ამ უკიდეგანოდ განუკითხავ პოლიტიკურ ბიზნესს წარმართავს უსაქმურ ავანტიურისტთა განსაკუთრებულად პრივილიგირებული კასტა, რომელიც ყოველდღიურად ცინიკურად ფეხქვეშ თელავს, ატიალებს, აქარწყლებს და ანიორწყლებს, აქაიქ, კანტი-კუნტად შემორჩენილ მუშაკთა კეთილსინდისიერი საზოგადოებრივი საქმიანობის ფასდაუდებელ ღვაწლს.

30. კლასიკური კანონმდებლობისა და წესების მიღმა, სახელმწიფოს ზედა ეშელონებიდან გატარებული ნებისმიერი სახის რეფორმა, დროში უზომოდ გახანგრძლივებული, ბარბაროსული ცინიზმით შენიღბული და ძალმომრეობის უმაღლეს ხარისხში აყვანილი რევოლუციაა! ამას, როგორც სჩვევია, მოყვება ე.წ. ოპტიმიზაცია, გათავისუფლება, შემცირება, წმენდა, შეკვეცა, რანჟირება და სხვა, მაგრამ რაც მთავარია, ეს გახლავთ ყველაზე საუკეთესო კადრისა და კეთილსინდისიერი მუშაკის თავიდან მოცილების საუკუნეობრივად ნაცადი, უხმაურო რეპრესიის ეფექტური ხერხი.

31. რეალურ ძალაუფლებას ფლობენ მხოლოდ ისინი, ვისაც მუდმივად შესწევთ ძალა მასზე უარის თქმისა.

32. ბინძურ პოლიტიკაში ჩართული ადამიანები მენაგვის ფუნქციებს მაინც უნდა ასრულებდნენ, თუმცა ამის ნაცვლად, ისინი ნაგავს ქუჩაში ყრიან, რის გამოც პოლიტიკურ სანაგვეში, ადრე თუ გვიან, თვითონვე იყრებიან!

33. ტერორი მხოლოდ მაშინ აღწევს სასურველ მიზანს, როცა იგი ხელისუფლების ორგანიზებითა და დაკვეთით ხორციელდება!

34. ევროპა ამჯამადაც ისევე ჩაირაზება, როგორც ჩვენთვის ეს აქამდე იყო. ამისთვის გამოიწვიეს ხელოვნურად ამხელა აჟიოტაჟი, მაგრამ ახლა კარებს უშუალოდ კავკასიონზე მოგვიჯახუნებენ!

35. როდესაც ეს, არაჩვეულებრივად უკვდავი, მდიდარი და ჭკვიანი საჭეთმპყრობელნი, ამა ქვეყნისანი, ერთმანეთს გამუდმებით ასულელებენ, ყველა დანარჩენს, უბრალოდ დაგლახავებულსა და მოკვდავ სულელს, ერთმანეთის დაშოშმინება-დაწყნარების გარდა, სხვა გამოსავალი აღარც დარჩენიათ..

36. სადაც კაცი ფლობს ძალაუფლებას, იქ ყოველთვის ჩანს საზოგადოების კეთილდღეობისთვის მისი გამოყენების ნათელი პერსპექტივა; და თუ პირიქით, ძალაუფლება იპყრობს კაცს, არ არსებობს არავითარი სხვა გასაქანი და მისწრაფება, გარდა ამ ტიპის ძალაუფლების ბოროტად გამოყენების დაუოკებელი წყურვილისა.

37. შურისძიებისა და ანგარიშსწორების წყურვილით გახელებული, კაცთმოძულე, პოლიტიკური შარლატანები და ავანტიურისტები, მთელ ერს და საზოგადოებას, გონებას უმღვრევენ, სულს უფორიაქებენ, გმირული წარსულის ისტორიულ მემკვიდრეობას უბილწავენ და კულტურული აღმშენებლობის, საუკუნეობით ნალოლიავები, ტაძარ-ქონგურებიდან, ქვას ქვაზე არ ტოვებენ!

38. მთელი დღევანდელი სამთავრობო, თუ არასამთავრობო, როგორც საპარლამენტო, ასევე არასაპარლამენტო პოლიტიკურ პარტიათა და დაჯგუფებათა მდგომარეობა ძალიან წააგავს მიწაში ღრმად ჩაფლულ აუზს, რომელსაც მრავალი, ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებული სარქველი ახურავს, შიგთავსი კი, სრულიად ერთი აქვს, ერთიანად უბადრუკი, მოშხამული და მომაკვდინებელი!

39. ამჟამინდელი მსოფლიოს პოლიტიკური ქაოსი და უწესრიგობა, საერთაშორისო იმპერიალიზმისათვის დამახასიათებელი შინაგანი წესრიგია, რომლის მიერ მართული მარიონეტული რეჟიმებისა და მათი ხელშემწყობი ორგანიზაციების მიერ დანერგილი ეროვნული ნიჰილიზმი, მორალურ-სამართლებრივი ინდიფერენტიზმი და სოდომური ცინიზმი, ადგილობრივი მასმედიის საშუალებებით გამოთაყვანებულ-გამოლენჩებულ ხალხთა და გაუღმერთოებულ საზოგადოებათა უსულგულობის ნოყიერი საკვებია.

40. უკვე, ვინ იცი, რა ხანია, რაც ჩვენი სამსახურეობრივი დაწესებულებანი გარდაიქმნა, იმ ფსკერ-ამოღრმავებულ, მდორე წყალსატევად, სადაც მარტო ვეებერთელა ღლავები თუ დატყლაშუნობენ თავიანთ გემოზე, ლაღად და თავმომწონედ, ხოლო სხვა დანარჩენ, ჯიშიან თევზებს, უიმედოდ და უღიმღამოდ რომ შეყუჟულან ქვა-ღორღის ქვეშ, აქ არავითარი გასაქანი არ ეძლევათ!

41. ჩვენისთანა მცირე ერს, დიდი ხალხების ენა, იმდენად კარგად უნდა ესმოდეთ, რომ მათ ჩვენი მოტყუება და გაბრიყვება ვერ მოახერხონ, თუმცა მშობლიურის ჩანაცვლების ფასად, მოჭარბებული გულმოდგინებით, არც ისე უნდა შევისრუტოთ და შევისისხლხორცოთ, რომ მათი მტაცებლური ჟინის მიმართ, ქვეშევრდომული მორჩილებით განვიწაფოთ და განიმსჭვალოთ!

42. იმ სახელმწიფოში, სადაც საზოგადოებრივი წესრიგისა და თანაცხოვრების სისტემა სამართლიანობისა და კანონიე-

რების საფუძველს არ ემყარება, თვით ბუნებით კეთილშობილი ადამიანებიც კი, ყველაზე არამზადა და გაიძვერა მმართველთა ყურმოჭრილი ყმები არიან, რომლებიც, გადამწყვეტ ვითარებაში, განსაკუთრებული მონდომებით უშლიან ხელს მდგომარეობის ძირფესვიანი გაჯანსაღებისკენ მიმართულ ყველა წამოწყებას და ძალისხმევას.

43. ცნობიერების გონივრული ელემენტებისგან სრულიად გამოშიგნული და გამოცარიელებული ტერორისტთა უტვინო გოგრის თავები გამოვსებულია, არა რომელიღაც რელიგიური მრწამსით, ან იდეალით, არამედ ავადმყოფური კაცთმოძულეობის ნაღმით, ტროტილით და დეტონატორით, რომელსაც დისტანციურად ამონტაჟებენ და მართავენ, მათ უბადრუკ სულებზე ჯღიბებივით ჩაბზღივებული, მაჯლაჯუნა პოლიტიკური მომთვინიერებლები.

44. კანონი ყველგან მკვდარია, სიცოცხლესთან ერთად, სიკვდილის მთესველი არამზადების ხელში!

45. ნუთუ ამ წყეულმა იმპერიებმა იმისთვის გამოიარეს ორ ათეულზე მეტი საუკუნე, რომ თავიანთ ქვეშევრდომთათვის აღეკვეთათ ცივილური საზოგადოების ორი უმთავრესი უფლებიდან, ერთ-ერთი მათგანი_პური და იმდენად გაევრცელებინათ მეორე_სანახაობა, რომ ამდენ აუარებელ საშინელებათა მზერისგან, სიბრმავე მოგვნატრებოდა?!

46. ყველგან, სადაც კი პირსისხლიან რევოლუციებს დღესასწაულობენ, საზოგადოების კოლექტიურ არაცნობიერში, ტოტალური მსხვერპლშეწირვის რიტუალებს აწესებენ და სიკვდილსაც საჯაროდ აღმერთებენ.

47. საზოგადოებრივ აზრს ქმნიან საზოგადოების გარეთ მდგომი გავლენიანი ფარისევლები, რომლებიც, ფინანსური სახსრების შესაბამისად, ფლობენ იმ ინსტრუმენტებს და თაღლითური ზემოქმედების ბერკეტებს, რითაც ხალხს თავს ახვევენ ვიგინდარების ავტორიტეტს.

48. როცა კანონთა კოდექსი ერის ისტორიულ ტრადიციებს ეწინააღმდეგება, მისი აღსრულების ერთადერთი საფუძველი და მიზანი საკუთარ სამშობლოსთან, ხალხთან და ჯილაგთან დაპირისპირებაა!

49. პოლიტიკოსთა მიერ, ხალხის გასაბრიყვებლად შეთხზული ყალბი წარმოდგენა, მწარე სიმართლეზე ბევრად უფრო ძვირფასი და მიმზიდველია, რამეთუ იგი, მთელი თავისი ტყუილებით, ჰგავს იმ ნაირფერადოვან, მძაფრი სანელებლით შეკაზმულ, ნუგბარ კერძს, რომლის ნატვრითაც, დიდი ხნის დამშეულ კაცს დროებით ავიწყდება გარდაუვალად მოსალოდნელი ყველა ნამდვილი, გაჭიანურებული ავადმყოფობა, ტანჯვა-სატკივარი და უსიამო წყენა, რაც მის დახარბებულ მირთმევას დაუყონებლივ მოჰყვება.

50. ნებისმიერი სახელმწიფო, რაც უფრო ძლიერია, მით უფრო სასტიკია; ასე იყო ოდესღაც ჩვენშიც, ასე არის და იქნება ყველგან: წარსულშიც, აწმყოშიც და მომავალშიც!

51. ყველა, ვინც ყოველთვის ხელაღებით გამორიცხავს შეთქმულების თეორიას, თვითონ გახლავთ სულ მცირე, ერთ-ერთი, რომელიმე შეთქმულების აქტიური მონაწილე და თანამზრახველი მაინც!

52. ყოველთვის მისასალმებელია, ნებისმიერ დიდ სახელმწიფოსთან, ინტენსიური თანამშრომლობის იდეა, განსაკუთრებით, მეცნიერების, კულტურისა და ეკონომიკის სფეროში, რამეთუ ეს არის ერთერთი ეფექტური გზა, იმპერიული პოლიტიკური ჰეგემონიისა და სამხედრო ექსპანსიის თავიდან ასაცილებლად!

53. სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში არჩევნებს სწორედ ვაჭრუკანები, კარიერისტები და თაღლითები იგებენ, რომლებიც იდეალისტებისა და პატრიოტებისაგან განსხვავებით, იქამდე არიან დაფასებულნი, სანამ მოსყიდვისა და მტაცებლობის ჟინი არ გამონელებიათ!

54. ჩვენი დახავსებული სოციალური სნობიზმის მიხედვით, პოლიტიკოსს არქმევენ მარტო იმათ, რომლებიც თავიანთ ჭკუაზე და გემოზე მართავენ ქვეყანას, საერთოდაც ფეხებზე რომ ჰკიდიათ; სიყვარული, ერთგულება და თავგანწირვა კი, საერთოდ, უპატიებელ სისუსტედ ითვლება.

55. ყოველ გაიძვერა შარლატანს, ყველაზე მეტად ესაჭიროება სიძულვილით დაბრმავებული, თავზე ხელაღებული მტრები, რომლებიც ყველაზე უკეთ მისცემენ მას საკუთარ თავზე გავრცელებული ჭორის გაქარწყლების საშუალებას, ამ გასაშტერებლად უმოკლესი გზით, უამრავი გამოსირებული კერპთაყვანისმცემლის გულის მოსანადირებლად.

56. ყოველი ერი, სახელმწიფო, ოჯახი და საზოგადოება საბოლოოდ განწირულია დასაღუპავად, თუკი მათი მკვიდრნი, საკუთარი თავის გარდა, არც არავისთვის იღწვიან და არც არაფერზე ზრუნავენ!

57. საქართველოს ყველაზე განსაკუთრებულად ესაჭიროება ნამდვილი მეფე, რათა ერს ცრუ ხელმწიფენი თავს არ მოასხდნენ!

58. ნებისმიერ საჯარო თანამდებობაზე უნდა ირჩეოდეს და ინიშნებოდეს მხოლოდ ისეთი კაცი, ვისი ცხოვრების უმთავრეს აზრსა და დანიშნულებას, თავის მშობლიურ ქვეყანასა და საზოგადოებაში, თავდავიწყებამდე მისული სხვებზე ზრუნვა განსაზღვრავს!

ისტორიის, წინაპრების, მშობლების, შვილებისა და სწავლა-აღზრდის შესახებ

1. ის, რაშიც ჩვენს შვილებს ვადანაშაულებთ, უკლებლივ ჩვენი საბედისწერო შეცდომების შედეგია, რომლის დედაარსიც იმაში მდგომარეობს, რომ თავის დროზე, ჩვენი უგერგილობისა

და სიბლაგვის გამო, ჯეროვნად და მიზანდასახულად ვერ გამოვიყენეთ, ის წუთები და წამები, რაც გადამწყვეტი გავლენის მოსახდენად და სანაქებო მაგალითის მისაცემად, უფლის მიერ საგანგებოდ გვქონდა მონიჭებული, შთამომავლობის აღზრდა-განვითარების უმთავრესი მისიის აღსასრულებლად.

2. შესაძლოა ვინმეს გადაჭარბებულად მოეჩვენოს, მაგრამ დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ ზრდილობა მართლაც ფასდაუდებელი განძია და მისი მფლობელი გახლავთ მხოლოდ არისტოკრატიული გონებისა და პლებეური გრძნობების მატარებელი ხალხი, ვინც ბუნებრივად ახერხებს პიროვნული პატივისცემის გამოხატვას, ყოველგვარი ფარისევლობის, მლიქვნელობისა და პირფერობის გარეშე.

3. მთელი ქართველი ერის უბედურება იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენს შთამომავლობას, თავიანთ ღირსეულ წინაპართა მიერ მემკვიდრეობით დაკისრებული საქვეყნო საქმის კეთების კი არა, გაკეთებულ საქმეთა ყურების თავიც კი არ გააჩნიათ!

4. როგორი თანმიმდევრობით და მოცულობითაც არ უნდა გადაფასდეს, ან გადანაწილდეს მამათა და დედათა შიდა ოჯახური, თუ საერთო საზოგადოებრივი უფლება-ვალდებულების ხვედრითი წილი, ზვარაკად შეწირულ, კეთილსინდისიერ პიროვნებათა ქანც-გამწყვეტ ტვირთს იოტისოდენი მისხალ-ნატამალიც არ დააკლდება.

5. დღევანდელი ჩვენი საზოგადოების, მომეტებულად კი, ახალგაზრდობის ყველაზე გამოუსწორებელი ნაკლი და მანკიერება, გამოიხატება ქართველი ერის მამაპაპურ ღირსებათა უპატივცემულობით, დაკნინებით და მასობრივი შეურაცხყოფით.

6. ცოდნა, განათლება და ჭკუა მაშინ ამკობს კაცს, როცა მართალი სიტყვის ხმლად და სატევრად მოიხმარება, სხვა შემთხვევაში კი, მათსავით ვერაფერი ვერ აღძრავს სიმახინჯისა და ზიზღის გრძნობას, სწავლას მოწყურებულ ახალგაზრდობაში.

7. თუ ვარგებული და სარგებლიანი ხარ, ბავშვობაც, ახალგაზრდობაც, და სიბერეც თავთავისებურად ძვირფასი და განუმეორებელია, ხოლო უვარგისად და უსარგებლოდ დღე-მოთეული ხალხი, ერთნაირად უშნო, უგაბავი, აუტანელი, საყოველთაოდ ნაცადი და გაგონილი ჭირია.

8. აჰა, იხილე ჩემო სულით, ხორცით და მიწა-წყლით თანაზიარო ქართველო ძმაო, დაო, დედავ, მამავ და შვილო, თუ რაიღა შეგვრჩა ღვთის ანაბარად მიტოვებული, საზრუნავი და საპატრონო ამქვეყნიურ ყოფაში: სამშობლო დაფლეთილ-დანაწევრებული და უსინდისოდ გაყიდული; ხალხი მოტყუებული და აბუჩად აგდებული; წინაპარი მიტოვებული და დავიწყებული; შთამომავლობა ურჩი, ბრიყვი უგუნური და გაუთლელი; მთავრობა უთაური, უსახური, უღირსი და უმსახური; ეკლესია, მართლმორწმუნე სულიერ მწყემსთაგან და ერთგულ კრავთაგან გაუკაცრიელებული; მეცნიერება თვალდაფსებული და გამოფიტული; ხელოვნება ხელმოცარული და დაკნინებული; ხოლო ეს ერთი მუჭა, გასაცოდავებული გულშემატკივარი, გაოგნებული, სახტად დარჩენილი და გამოთაყვანებული!

9. ვინც წინაპართა ნაკვალევს შლის, ის შთამომავლობის მკვლელობის კვალს ტოვებს!

10. საკუთარი ქვეყნის ისტორიის განსაკუთრებული სიყვარულის გარეშე, ერი ვერაფრით ეღირსება მორიგ ისტორიულ გამარჯვებებს და მას აუცილებლად შეიწირავს საკუთარი არასრულფასოვნების ავბედითი განცდა!

11. ვერც ერთი კეთილი საქმის სწავლება სასურველ ნაყოფს და სარგებელს ვერ გამოიღებს, თუკი მასწავლებელი ვერ ჩაწვდება საკუთარი მოწაფის მოწაფეობის, ხოლო მოწაფე, საკუთარი მასწავლებლის მასწავლებლობის არსს.

12. კეთილგონიერებასა და წინდახედულებას მოკლებული, მედიდური და ამპარტავანი ახალგაზრდა, რაც უფრო ნაკლებად

ისწავლის, მით ნაკლებ ზიანს მიაყენებს საკუთარ საზოგადოებასა და ქვეყანას, ამიტომაც ჭეშმარიტი ცოდნა მარტოდენ ზნეობრივ სუბიექტთა კუთვნილებაა.

13. თუ იცი ასწავლე, თუ შეგიძლია გააკეთე, თუ არადა, კეთილი ინებე, სხვას მაინც აცალე!

14. რჩეული ადამიანები, არამც თუ მხეცებს და ფრინველებს, არამედ თვით ცეცხლსაც კი თავიანთ გემოზე მოათვინიერებენ, მაგრამ საკუთარ შვილებს საბოლოოდ, მაინც ვერაფერს უხერხებენ!

15. ადამიანს შეუძლია ისწავლოს, არა ყოველივე ის, რაც თვითონ უნდა, არამედ, უნდა ისწავლოს მხოლოდ და მხოლოდ ის, რაც საერთოდ შეუძლია!

16. შურისძიებისა და ანგარიშსწორების წყურვილით გახელებული, კაცთმოძულე, პოლიტიკური შარლატანები და ავანტიურისტები, მთელ ერს და საზოგადოებას, გონებას უმღვრევენ, სულს უფორიაქებენ, გმირული წარსულის ისტორიულ მემკვიდრეობას უბილწავენ და კულტურული აღმშენებლობის, საუკუნეობით ნალოლიავები, ტაძარ-ქონგურებიდან, ქვას ქვაზე არ ტოვებენ!

17. ბუნებრივად და ისტორიულად დამკვიდრებული, პატრიარქალური ცხოვრების, საზოგადოებრივი წესი, არის, სხვა რამეებთან შედარებით, ქალთა უსაფრთხოების, უფრო სანდო და მოხერხებული საშუალება, რომლის მეოხებითაც, თვით ყველაზე ურჩი და დაუდგრომელი, შემაძრწუნებელი ფათერაკების მოყვარული მანდილოსნებიც კი, ერთობ საიმედოდ არიან დაცულნი, დანარჩენთათვის სასტიკად საზიანო და მავნებლური, თავისივე ავანტიურისაგან.

18. უძღები შვილი, მის მიერ უარყოფილ, სვებედ-გამწარებულ მშობელს მანამ არ დაუბრუნდება, სანამ თვითონაც, საკუთა-

რი შვილის გამო, განსაცდელში ჩავარდნილი მშობლის შემაძრწუ-ნებელ მდგომარეობაში არ აღმოჩნდება.

19. ქართველი ერის ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის, უმთავრესი და ძირითადი ფუნქციის დაკარგვის გამო, გზააცდენილი ახალგაზრდობა, ეშმაკისეულ იაფფასიან სატყუარა სანახაობებს ექვემდებარება და უაზროდ ფლანგავს ღვთით მომადლებული, განსაკუთრებული ნიჭის თვალუწვდენელ შესაძლებლობას.

20. ის ქართველი, რომელიც მამა-პაპისგან დანატოვარ ბებერ ვენახს ისე უმოწყალოდ აჩეხავს, რომ ახალშენით არ ჩაანაცვლებს, არა მარტო საკუთარ მოხუცებულ მშობელს არ მიხედავს, არამედ მის კუთვნილ საგვარეულოსაც უშვილ-ძიროდ გადააგებს და საბოლოოდ გადააჯიშებს!

21. თქვე ოჯახაშენებულო და მამაცხონებულო ემიგრანტებო, ერთი ეს მითხარით, როცა უკან არავინ მოგდევდათ, მაგრამ ამის მიუხედავად, მაინც სხვაგან გაიქეცით, თავის საშველად, მტერი რომ შემოგვსეოდა, მაშინ რაღას იზამდით, ნეტავ?!—მართალია, ძალიან კარგად მესმის, რომ გიყვართ და გენატრებათ მიტოვებული სამშობლო, თუმცა, რატომღაც მგონია, რომ საკუთარი თავი მაინც ყველაფერს გირჩევნიათ!

22. საშინელი და შემაძრწუნებელია იმ მშობლის ხვედრი, რომელსაც მკვდარი შვილის დამარხვა არგუნა ბედმა, თუმცა ათასჯერ უფრო უბედური და წამებულია ის შვილი, რომელიც საკუთარ მშობელს ცოცხლად დამარხავს!

23. თაობათა დაპირისპირებაში, სამართლიანად და დამსახურებულად, მარტოდენ ის კეთილგონიერი თაობა გაიმარჯვებს, რომელიც, ასეთნაირი სახის დაპირისპირებასა და ბრძოლაზე, უარს განაცხადებს.

24. რა იოლად ვივიწყებთ წარსულს და რაოდენ ამაოდ ვიკ-ვლევთ გამოგონილ-გაყალბებულ ისტორიებს, რომელთაც წარ-მარა ვცვლით, მავანთა ახირებულ ნათქვამ-ნაფიქრალსა და ნაქ-ნარ-ნაცოდვილარზე მოსარგებლად.

25. საკუთარ პირქუშ ეპოქასთან ჭიდილში ხელმოცარული, ყოველი ჩვენი მომდევნო თაობა, ბრიყვულად აკვიატებული სა-კუთარი შეხედულებითა და გემოვნებით, ხელახლა წერს საერთო წარსულის შესახებ გამოგონილი ისტორიის ცალკეულ ნაწყვეტს იმგვარად, რომ ქვეყნის მოკეთენი და მტრები, მათ თანამდევ გმი-რებთან და გამყიდველებთან ერთად, ერთიმეორეს სისტემატიუ-რად ადგილებს უცვლიან.

26. სწავლა-განათლებასა და შრომით საქმიანობას მოწყვეტი-ლი კაცის ყოფა-ცხოვრებაში ყველაფრისთვის გამოიძებნება ადგი-ლი, გარდა სიყვარულისა და თავისუფლებისა.

27. არც თუ იშვიათად, ადამიანები ძალიან ნაადრევად ივი-წყებენ წარსულში მომხდარ ისეთ რამეებს, რომლის გარეშეც, მთე-ლი დარჩენილი სამომავლო ყოფა-ცხოვრება, ოდნავ მოგვიანებით მაინც, ყოველგვარ აზრს კარგავს.

28. არც არავითარი ტალანტი და ნიჭი, არც არავითარი აღ-ზრდა და განათლება, არ ანიჭებს ადამიანს უმთავრეს ღირსებას: უფლისა და სამშობლოს სიყვარულს და ერთგულებას, რომელიც მარტოდენ გმირადშობილ მამულიშვილთა ხვედრია და არა იმ ჩვეულებრივი, საშუალო მასისა, ვისთვისაც ყოველგვარი ბიწიე-რი და უკადრისი, მათ შორის, ღალატიც, სავსებით ჩვეულებრივი მოვლენაა!

29. ანტიკური პერიოდიდან მოყოლებული, მეოცე საუკუნის ჩათვლით, ინტერნეტის თაობამ საბოლოო წერტილი დაუსვა წიგ-ნების ეპოქას, რამეთუ აღნიშნული თაობა, სრულიად უძლური და უუნაროა იმისთვის, რომ ან გულისყურით წაიკითხოს და გაიგოს,

ან თვითონ დაწეროს და შექმნას, საკუთარი ეპოქალური წიგნი.

30. როგორმე ვასწავლოთ ჩვენს შვილებს პატივისცემა, სიყვარული, ერთგულება, თანაგრძნობა და ურთიერთგატანა, თორემ ისინი სიძულვილს, ღალატს, დამცირებას და ცილისწამებას თვითონაც ნამეტანი იოლად და მშვენივრად მოახერხებენ!

31. ყველა იმას ასწავლის, რაც არავინ იცის, გარდა თვით სწავლებისა!

საქართველოს, ქრთველი ერის, აგრეთვე, მასთან შეხებაში მყოფი, სხვა ქვეყნებისა და ერების შესახებ

1. მთელი ქართველი ერის უბედურება იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენს შთამომავლობას, თავიანთ ღირსეულ წინაპართა მიერ მემკვიდრეობით დაკისრებული საქვეყნო საქმის კეთების კი არა, გაკეთებულ საქმეთა ყურების თავიც კი არ გააჩნიათ!

2. სანამ ოჯახი, სახელმწიფო და საზოგადოება, მუქთახორა ხალხს, მკაცრი იძულების წესით, არ დააკისრებს შრომით ვალდებულებას, მანამ ბეჯით მუშაკთა მთელი ძალისხმევა მოხმარდება არა ქვეყნის წინსვლას და კეთილდღეობას, არამედ დანარჩენი მუქთახორების რჩენას და გამოკვებას, რაც წარმოადგენს ძირითად მიზეზს, წმინდათაწმინდა ღირებულებათა გადაფასებისა– ადამიანური ცხოვრების საზრისის გაუფასურებისთვის.

3. როცა უცხოელი იმდენად გაკადნიერდება და გათავხედდება, რომ ჭკუის სწავლებას დაგიწყებს, შენს მთავრობას უშვერი პირით უნდა აგინო, ხოლო წინაპრების საფლავებთან მუხლი უნდა მოიდრიკო და ჩადენილი ურჩობისათვის პატიება უნდა ითხოვო!

4. უპირველეს ყოვლისა, ერთი რამ კარგად უნდა გვახსოვდეს ქართველებს: ჩვენი ყველაზე დაუძინებელი მტრის გეგმის შეტყობა და ამოხსნა, თვით ამავე გეგმის შემადგენელი ნაწილია, რაზეც, ვერავითარ შემთხვევაში, ვერ გავჩერდებით, ამიტომაც აუცილებელია, სუყველანი დავირაზმოთ ერთი განსაკუთრებული და მოულოდნელი იერიშით მის საბოლოო ჩასაშლელად და გასაქარწყლებლად!

5. როცა ხალხი ვარგა, ის, ჯერ კიდევ, ნებისმიერ ზემოდან დანიშნულ არჩევნებამდე, ქვემოდან გადაწყვეტს საკუთარი ღირსეული არჩევანის ბედ-იღბალს!

6. დღევანდელი ჩვენი საზოგადოების, მომეტებულად კი, ახალგაზრდობის ყველაზე გამოუსწორებელი ნაკლი და მანკიერება, გამოიხატება ქართველი ერის მამაპაპურ ღირსებათა უპატივცემულობით, დაკნინებით და მასობრივი შეურაცხყოფით.

7. ერთადერთი, ჭეშმარიტი, პურ-ღვინის მომწევი ერი, არც ევროპისაა და არც აზიის, ეს ერი ღმერთისაა და მის ბედს ღვთის განგების გარდა, ვერც ერთი ადგილობრივი და უცხოური სამსჯავრო ვერ გადაწყვეტს! ეს ერი თვით ამხელს ყველა სხვა ხალხს, ბუნებისა და საკაცობრიო კულტურის ისტორიის წინაშე, ჩადენილ დანაშაულსა და გენოციდში!

8. მსოფლიოში მაშინ დამყარდება საყოველთაო მშვიდობა და სამართლიანობა, როდესაც ყველა ადამიანისთვის, საკუთარ სამშობლოში ცხოვრება, იქნება ერთადერთი გამართლებული აზრი და ფიქრი უმაღლესი ბედნიერების მისაღწევად!

9. რაც არ უნდა ბრალი დაგვდონ ქართველებს სუფრის ჭარბი გადატვირთვის გამო, ოკეანის გაღმელ მუცელღმერთებს სულსწრაფობით და სიხარბით მაინც ვერ შევედრებით, რადგანაც, ყოველივე ის, რაც ჩვენთან ერთ მოზრდილ მაგიდაზე ძლივს კავდება, მათთან სულ რაღაც, ერთ ცალ ბუტერბროდში თავსდება!

10. არც ერთი იმპერია არ არსებობს ტოტალური ბოროტების, უსასტიკესი დანაშაულის, ვერაგობისა და წამებული მსხვერპლის მიმართ გამაოგნებელი ცილისწამების გარეშე, რომელიც საბოლოო ანგარიშით, მიმართულია მთელი კაცობრიობის წინააღმდეგ და ყოველი სხვისი გოჯი მიტაცებული მიწაწყლის შეუფასებელი საწყაულითა და საზღაურით, პირველ რიგში, საკუთარი ხალხის მოდგმას საშინელი, საუკუნო, არაადამიანური განსაცდელისათვის ამზადებს! ასევე შეუძლებელია ერთმა იმპერიამ გაამტყუნოს და ამხილოს მეორე, იმ უკურნებელ ტკივილსა და მოურჩენელ უბედურებაში, რასაც ისინი, ერთნაირი ულმობლობით და საარაკო ცინიზმით, გამუდმებით აყენებენ იარაღის ძალით დათრგუნული ქვეყნების მოსახლეობას. ისინი უმალ მალულად შეთანხმდებიან და გარიგდებიან, ვიდრე რომელიმე დაჩაგრულს, განგებ ღიად და ხმაურით გამოესარჩლებიან!

11. ყველა დამპყრობელი, რომელიც ხელყოფს რომელიმე, თუნდაც ერთი, სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობას, არის ოკუპანტი, ნებისმიერი ქვეყნისა და ხალხის წინაშე, იმისდა მიუხედავად, აქვს თუ არა დანარჩენ მათგანთა კუთვნილი მიწა-წყალი მიტაცებულ-გასხვისებული.

12. ხალხები კი არ ეომებიან ერთმანეთს, არამედ მათი ანტიხალხური მთავრობები, რომლებიც სულს უმწარებენ, უწინარეს ყოვლისა, საკუთარ ხალხებს.

13. ქვეყნის ძლიერებისა და კეთილდღეობისთვის უმთავარესია არა მატერიალური რესურსების სიუხვე და სიმდიდრე, არამედ მოსახლეობის მაღალი სულიერება, მმართველი გუნდის პატიოსნება და საერთო ზნეობრივი პასუხისმგებლობა ღმერთის, სამშობლოსა და ერის წინაშე!

14. ყველა დამპყრობელი საზიზღარი და აუტანელია, მაგრამ მაინც, ყველაზე ულმობელი და საშინელი, ის დამპყრობელია,

ვინც ეროვნული სინდისისა და თავმოყვარეობისგან გათავისუფ-ლებს!

15. საკუთარი ქვეყნისა და ხალხის უმადური, მუდამდღე ორ-გულობს ღმერთს, რათა ნებაყოფლობით, სრულიად შეგნებულად, სატანისა და მუხანათი მტრის ქვეშევრდომობა დაიმკვიდროს და შეინარჩუნოს.

16. ქართველი კაცი წარმოუდგენელია მამა-პაპის დანატოვა-რი ვენახის გარეთ; რასაც ეძღვნება კიდეც, უძველესი მრავალხმი-ანი საგალობელი–"შენ ხარ ვენახი". ვინც მიატოვებს თავის წილ ვენახს, ადრე თუ გვიან, ის უარს იტყვის სამშობლოზეც!

17. საიდანაც გამუდმებით ჩვენს გაძევებას ცდილობენ, ჩვენი ერთადერთი და საუკუნო თავშესაფარიც სწორედ იქ არის!

18. ქართული ტრადიციული სუფრა საკრალური მაგიური ძა-ლის შემცველია, რომელსაც ძალუძს მოსისხლე მტრებს საერთო სიწმინდის სადღეგრძელო წარმოათქმევინოს და მათი ჭიქები,-გაშიშვლებული მახვილების სასიკვდილო კვეთების ნაცვლად, ერთიმეორეს სამშვიდობოდ და სასიცოცხლოდ შეახეთქოს! სირ-ცხვილია, ფლობდე ასეთ ხელოვნებას და არ გივარგოდეს დიპ-ლომატია!

19. სანამ წმინდა გიორგის ხსენებას არ მოიშლის სრულიად საქართველო და ქართული მრევლი, მანამ ჩვენი მიწიერი და ზე-ციური გმირები გააგრძელებენ უკომპრომისო ბრძოლას, სატანის მოციქულთა წინააღმდეგ, ღვთისმშობლის წილხვედრი კურთხე-ული ქვეყნის სრული თავისუფლებისა და გამარჯვებისთვის!

20. აჰა, იხილე ჩემო სულით, ხორცით და მიწა-წყლით თანა-ზიარო ქართველო ძმაო, დაო, დედავ, მამავ და შვილო, თუ რაიღა შეგვრჩა ღვთის ანაბარად მიტოვებული, საზრუნავი და საპატრო-ნო ამქვეყნიურ ყოფაში: სამშობლო დაფლეთილ-დანაწევრებული და უსინდისოდ გაყიდული; ხალხი მოტყუებული და აბუჩად აგ-

დებული; წინაპარი მიტოვებული და დავიწყებული; შთამომავლობა ურჩი, ბრიყვი უგუნური და გაუთლელი; მთავრობა უთაური, უსახური, უღირსი და უმსახური; ეკლესია, მართლმორწმუნე სულიერ მწყემსთაგან და ერთგულ კრავთაგან გაუკაცრიელებული; მეცნიერება თვალდაფსებული და გამოფიტული; ხელოვნება ხელმოცარული და დაკნინებული; ხოლო ეს ერთი მუჭა, გასაცოდავებული გულშემატკივარი, გაოგნებული, სახტად დარჩენილი და გამოთაყვანებული!

21. ჩვენი ერის ტრაგიკული და ბედკრული ისტორია, თავისი სავალალო და აქამდე გამოუსწორებელი, ერთი და იგივე შეცდომებით, მოგვაგონებს ადრეულ ბავშვობაში საგულდაგულოდ დაზეპირებულ ომახიან ლექსს, რომელიც გამუდმებით ერთსა და იმავე ადგილზე გვეშლება.

22. უმჯობესია საკუთარ ქვეყანაში იმათხოვრო, ვიდრე უცხოეთში ფუფუნებაში იცხოვრო! გადახედეთ, რამდენი ოჯახია საქართველოში, ვინც ამ აზრს იზიარებს და მაშინ დარწმუნდებით, თუ რატომ ვართ ასე სხვისი ხელის შემყურე!

23. თითოეული ქართველის საფლავში, მიცვალებულთან ერთად, ყოველი ცოცხლად დარჩენილი კაცის ყოფა-ცხოვრების მეხსიერების მატიანეცაა დამარხული, ჩვენი ჯილაგისა და მოდგმის პირუთვნელი, ნამდვილი ისტორიის გასაგრძელებლად.

24. საკუთარი ქვეყნის ისტორიის განსაკუთრებული სიყვარულის გარეშე, ერი ვერაფრით ეღირსება მორიგ ისტორიულ გამარჯვებებს და მას აუცილებლად შეიწირავს საკუთარი არასრულფასოვნების ავბედითი განცდა!

25. ქართული სამეფოს აღდგენა ნიშნავს ზეციურ საუფლოსთან ჩვენი მიწიერი საუფლოს ურთიერთდამაკავშირებელი იმ სანუკვარი გზის აღდგენას, რომლის მთელ მანძილზე გაბმულ სახიფათო ბეწვის ხიდზეც, ამჟამად, ჩვენი მრავალტანჯული ერი და ბერი, აუწყავი მსხვერპლის ფასად, დაიარება.

26. ვინაიდან არ არსებობს არც ერთი ერი, უფლის განგებით მონიჭებული, მისსიის გარეშე, არც ერთი ხალხი, ღვთისგან დაწესებული, საამქვეყნო ტვირთის გარეშე, არც ერთი საზოგადოება, მიზანდასახულად გაცნობიერებული საქმიანი ურთიერთთანამშრომლობის გარეშე, ასევე არც ერთი ოჯახი, ურთიერთსიყვარულისა და პატივისცემის გარეშე, ამიტომაც ყველა დანარჩენი, ნებისმიერ ადამიანთა სიმრავლე, უბრალოდ, წარმოადგენს სახელდახელოდ თავშეყრილ ნახირს, რომლის მბრძანებელი და წინამძღოლიც გახლავთ ან თვით შეჩვენებული ეშმაკი, ან რომელიმე მისი მსგავსი წყეული მაჯლაჯუნა.

27. ის ქართველი, რომელიც მამა-პაპისგან დანატოვარ ბებერ ვენახს ისე უმოწყალოდ აჩეხავს, რომ ახალშენით არ ჩაანაცვლებს, არა მარტო საკუთარ მოხუცებულ მშობელს არ მიხედავს, არამედ მის კუთვნილ საგვარეულოსაც უშვილ-ძიროდ გადააგებს და საბოლოოდ გადააჯიშებს.

28. ჩვენისთანა მცირე ერს, დიდი ხალხების ენა, იმდენად კარგად უნდა ესმოდეთ, რომ მათ ჩვენი მოტყუება და გაბრიყვება ვერ მოახერხონ, თუმცა მშობლიურის ჩანაცვლების ფასად, მოჭარბებული გულმოდგინებით, არც ისე უნდა შევისრუტოთ და შევისისხლხორცოთ, რომ მათი მტაცებლური ჟინის მიმართ, ქვეშევრდომული მორჩილებით განვიწაფოთ და განიმსჭვალოთ!

29. ამქვეყნად არც ერთ ძეხორციელს, სხვადასხვა ერის ნაშიერს, ისე არ სძულს არც ერთი უცხო გადამთიელი, როგორც ქართველებს ერთმანეთი, მაშინაც კი, როცა ისინი იმის გამო კამათობენ, რომ ვინმე სხვა ჯიშსა და მოდგმას განსაკუთრებით ამოიჩემებენ და აძაგებენ, სინამდვილეში ამით, ერთმანეთის დაუოკებელ სიძულვილს ირიბად აფრქვევენ და ყოველივე ამას, სხვათა ლანძღვა-გინებით ნიღბავენ!

30. ცხოველს აქვს ჯიში და საბინადრო ადგილი, რომელსაც ის არ მოშორდება; ეროვნება-დაკარგულები კი, უჯიშო ადამიან-

თა იმგვარი კატეგორიაა, რომელთა ტიპის ცხოველებსაც მარტო ცირკში, ან ზოოპარკში თუ შეხვდებით.

31. რაც მარტო შენ გეკუთვნის, სრული უფლება გაქვს ის, რამდენ ხანსაც გსურს, იმდენ ხანს შეინახო, ან გააჩუქო, ან გაყიდო, მაგრამ იმის მიმართ, რასაც სხვებთან ერთად შენც ეკუთვნი, რის წინაშეც მთელი შენი მოდგმით და შთამომავლობით ანგარიშვალდებული ხარ, საკუთარი სიცოცხლის ფასადაც რომ დაგიჯდეს, მტკიცედ უნდა დაიცვა და სამარადჟამოდ შეუნახო შენს ერს და სამშობლოს, ისე რომ მისი გაჩუქება და გაყიდვა ფიქრშიაც არ გაივლო!

32. სანამ მიწისა და ვაზის ნაჟურის მომყვანი იხარებს და ერისთვის ილოცებს, საქართველო არ გადაშენდება.

33. ყოველი ერი, სახელმწიფო, ოჯახი და საზოგადოება საბოლოოდ განწირულია დასაღუპავად, თუკი მათი მკვიდრნი, საკუთარი თავის გარდა, არც არავისთვის იღწვიან და არც არაფერზე ზრუნავენ.

34. რა დიდებულია ასე ლამაზად და ხატოვნად შეთხზულ -შეფერადებული, მაგრამ მაინც ძვირფასი ჩვენი ერის ისტორია, თუმცა ამ ლაჟვარდის საოცარ ფერებს ხომ საკუთარი წარსულის ნაირფერადოვნების ჩანაცვლების ხარჯზე ვხატავთ, რათა გაცილებით უფრო იოლად შეგვეძლოს, შავ-თეთრ ფონზე, თეთრისა და შავის გარჩევა!

35. საქართველოს ყველაზე განსაკუთრებულად ესაჭიროება ნამდვილი მეფე, რათა ერს ცრუ ხელმწიფენი თავს არ მოასხდნენ!

36. ვინაიდან და რადგანაც, სხვადასხვა ძველთაძველ ხალხთა კულტურულ-ისტორიულ ნამოღვაწართა მემკვიდრეობის მითვისებაში, ივრითის მოდგმას ბადალი არა ჰყავს, ამიტომაც სიონისტი ებრაელები, თავიანთ თავს ღვთის უპირველეს, რჩეული ერის შვილებად ასაღებენ; აღნიშნულ საკითხში, მათ არც სომხები ჩამორჩებიან, რის გამოც, განსაკუთრებულად ვერ იტანენ ერთმანეთს.

37. საერთო სარწმუნოებაზე მყოფი ორი ერის ურთიერთსიძულვილი და მტრობა, წარმოუდგენელია დიდი ხნით ისე გაგრძელდეს, რომ ამ თავიანთ სარწმუნოებას ან ერთმა არ უღალატოს და ან მეორემ; ჭეშმარიტ ქრისტესმიერ ძმებსა და დებს კი ერთმანეთის სიყვარული აუცილებლად მართებთ, რადგანაც სხვაგვარად, ისინი სჯულის კანონის თანახმად, ქრისტიანებად არ მოიხსენიებიან.

ფილოსოფიის, ცოდნის, ფიქრის, აზროვნების, გაგებისა და შემეცნების შესახებ

1. რამდენ სისულელესაც გაიფიქრებ და ხმამაღლა არ იტყვი, იმდენ ჭკვიანურ საქმეს იქმ ჩუმად შენთვის, ხოლო რასაც დაუფიქრებლად წამოროშავ, იმდენ უეცრად დაბრძენებულ მსმენელთა მქუხარე ყურადღების ღირსი გახდები!

2. რაც უმცირესია დაფარული, მით უმრავლესია გაუმჟღავნებელი.

3. ბრძენია ის, ვისაც შეუძლია გაიგოს ვის, როდის, როგორ და რისთვის რა ასწავლოს!

4. ფილოსოფიური სიბრძნე სწავლა-განათლებით არ მოიპოვება, ის ღვთის მადლთან ზიარების ნაყოფია!

5. ნამდვილი ფილოსოფოსი ის კი არ გახლავთ, რომელიც უბრალოდ, თავის ყველაზე ჭკვიანურ აზრს გამოთქვამს, არამედ ის, ვინც უშუალოდ თვითონ ქმნის ადამიანის ცხოვრების აზრს და ძირითად დანიშნულებას.

6. ფილოსოფოსობა არა მარტო მეგობრობის დიდი ძალა და უნარია, არამედ ამაზე უფრო მეტად, ის სხვა არაფერი არაა. ფილოსოფოსი მეგობრობს ყველასთან და ყველაფერთან, რასაც კი მოიაზრებს. მას შეუძლია მუდმივ დიალოგში იმყოფებოდეს საკუ-

თარი შემეცნების ობიექტთან, საგანთან. ფილოსოფოსი იმდენად ღრმა თავდავიწყების სტიქიებს აღძრავს სამყაროს სუბსტანციური არსის წვდომის დაუოკებელი წყურვილით, რომ მას შეუძლია, არამც თუ ადამიანს, არამედ თვით უფალსაც გაუწოდოს სამეგობროდ შემართული ხელი, გულწრფელი დახმარების სურვილით.

7. სადაც პრობლემა და გაჭირვებაა, იქაა ფილოსოფიაც თავისი მეგობრობის დიადი ძალისხმევით. ამიტომ ვინც ახერხებს ფილოსოფოსობას, ის ახერხებს მეგობრობასაც. არ არსებობს სხვა მეგობარი და სხვაგვარი მეგობრობა თვინიერ ფილოსოფოსისა და ფილოსოფიისა. არაფილოსოფოსი არამეგობარია, რადგან მას სულიერი ძალა თავისი თავის სანუგეშოდაც არ ყოფნის და მით უმეტეს სხვის სანუგეშოდ რაღა რჩება?!–მეგობრობა მარადიულია, ხოლო მეგობარი კი უკვდავი, ამიტომაც ფილოსოფოსები ყოველთვის ახერხებენ მეგობრობას. მათ ამაში ხელს სიკვდილიც კი ვერ უშლით. მართლაც, ფილოსოფოსისთვის სულერთია, ცოცხალი იქნება თუ მკვდარი, რადგან მის აზრებს ვერც ვერაფერი მოკლავს და ვერც ვერაფერი წაშლის. ეს ის აზრებია, რომლებიც წყვდიადს განანათლებს და ხრიოკს გაამწვანებს, რომელიც ბოროტს კეთილად მოაქცევს და ჭირ-ვარამს ნეტარების სიტკბოებად გარდაქმნის. ფილოსოფოსობა დიადი მეგობრობის მაკავშირებელი გზა და ხიდია ღმერთსა და მის ხელდასმულ კაცობრიობას შორის.

8. თვითშემეცნებისა და გონიერების ფილოსოფია, რომელსაც სიბრძნის განუზომელი სიყვარულით ბახუსამდე მიჰყავყარ, ბახუსში არ ჩაგტოვებს და თან გაგიყოლიებს, სამაგიეროდ, თავდავიწყებისა და თრობის ფილოსოფია, რომელიც ბახუსის ტკბობით, თავგზააბნევას განიჭებს, სამიკიტნოს კარებამდეც კი არ მიგაცილებს!

9. ადრე კანტმა თქვა: "მე შევზღუდე ცოდნა, რათა ადგილი მიმეღო რწმენისთვის!"

–დღეს კი მე ვამბობ: " მე საგანგებოდ შევზღუდე წინასწარ გაცნობიერებული სამომავლო გეგმა, რათა ადგილი მიმეღო მოულოდნელი და მძაფრი მგრძნობელობისთვის!"

–და ამის მიუხედავად, მე მაინც მგონია, რომ როგორც კანტის შემთხვევაში მიღებული რწმენის ადგილი, მისივე შეზღუდული ცოდნის კუთვნილებაა, ასევე ეს ე. წ. მოულოდნელი და მძაფრი მგრძნობელობაც, ჩემგანვე შეზღუდული და წინასწარ გაცნობიერებული, სამომავლო გეგმის საკუთრებაა!

10. ცოდნა, განათლება და ჭკუა მაშინ ამკობს კაცს, როცა მართალი სიტყვის ხმლად და სატევრად მოიხმარება, სხვა შემთხვევაში კი, მათსავით ვერაფერი ვერ აღძრავს სიმახინჯისა და ზიზღის გრძნობას, სწავლას მოწყურებულ ახალგაზრდობაში.

11. არავის შეუძლია იყოს სხვა ადამიანის მიმართ ისეთი გულგრილი და შეუწყნარებელი, როგორც რაიმე უეჭველ ჭეშმარიტებაში დარწმუნებულ თვითდაჯერებულ კაცს, ვისაც მიაჩნია, რომ ყველა წამოჭრილი საჭირბოროტო კითხვის მიმართ ამომწურავი პასუხი გააჩნია!

12. კარგია, როცა საკუთარ თეორიას ქმნი, რადგანაც გწამს, რომ ჭეშმარიტია და მაშასადამე მასზე დახარჯულ ძალასა და ენერგიას ფუჭად არ ჩაუვლია, თუმცა გამოჩნდებიან ისეთი ოხერი და მუდრეგი მაჯლაჯუნები, რომლებიც ამ დაღლილ ტვინში იმდენნაირად გიჩხიკინებენ, რომ საკუთარი სახელისა და გვარის ცოდნაშიც კი ეჭვს აღგიძრავენ და აი, სწორედ მაშინ ხარ დაღუპული და მოთარყიზებული თავიდან ბოლომდე.

13. თუ კაცი თავისავე ფიქრში არ წახდა, მას ვერავითარი საქმე ვერ წაახდენს!

14. ოდეს ენით უთქმელი, გრძნეული ფიქრები, თვით საგნებში ამეტყველდებიან, საგნობრივ სიცხადეს მოკლებული, ხმაურიანი და არაფრისმთქმელი სიტყვებიც საბოლოოდ დადუმდებიან!

15. საერთოდ ოცნებისთვის საქმიანმა კაცმა დრო არც უნდა დაკარგოს, მაგრამ თუ მაინცდამაინც რაიმეზე იოცნებებს, ის რომელიმე ბედის ირონიით აღზევებულ ტირანთან შედარებით, რეალურად განხორციელებულ სინამდვილეზე ბევრად ძვირფასი და უკეთესი უნდა იყოს!

16. არსებობს ყველაზე გამართლებული, არაჩვეულებრივი ხერხი, უდიდესი "არა"-ს დასაწერად, ჩვენთვის არასასურველი, ნებისმიერი მოვლენისგან თავდასაღწევად და გასათავისუფლებლად: უპირველესად, ასეთი რამ, წვრილმანებში კარგად გავაცნობიეროთ, რათა მთლიანობაში და განსაკუთრებულობაში არა ვცნოთ, არ მივიღოთ, არ ვაღიაროთ, არ აღვიქვათ, არ ავსახოთ, არ შევიგრძნოთ, არ შევამჩნიოთ, არ ვიფიქროთ, არ განვიცადოთ, რაიც, ყოველივე ამდაგვართათვის სავსებით საკმარისია, იმად, რომ ისინი, ვითარცა უხსენებელნი, თავისთავად, შეუმჩნევლად, გაგვეცალონ და საერთოდ გაქრენ!

17. რაკი ადამიანთა უმეტესობა, შეზღუდული გონიერების გამო, უძლურია, ჩაწვდეს ჭეშმარიტებას, ამიტომაც უმაღლესი სიბრძნე, მათ წარმოდგენებში,სრულიად გათანაბრებულია სიგიჟესთან.

18. ჭკვიანები ერთმანეთს ასულელებენ, ხოლო მათ შორის, უარეს შეშლილთა გამო, გადარეულ-გაფრენილები კი ერთიმეორეს აწყნარებენ.

19. გამოცდილებაში დახავსებული წარმოდგენა და შეხედულება, უმრავლეს შემთხვევაში, ისევე შორსაა ჭეშმარიტი ცოდნისაგან, როგორც ბავშვური აღმაფრენის წლები ბედნიერი სიბერისაგან.

20. დავიწყება გარდაუვალია, იმიტომ, რომ გახსენების ე. წ. ლიმიტი ყოველთვის ისეთნაირად და ისეთ დროსაა შეზღუდული, რომ ამ სასტიკ და საზიზღარ სინამდვილეს ვერანაირად ვერსად ვერ გაექცევი!

21. ადამიანი, თავისი ხელოვნური ინტელექტით, დგას არა სამყაროს შუაგულში, არამედ ბუნების მიღმა, ხოლო მთელი ეს ბედკრული კაცობრიობა, ზეცისკენ მიმავალ გზაზე სიარულის ნაცვლად, ირჩევს ეშმაკის მატარებლით ქვესკნელისკენ გასეირნებას!

22. როცა მავანის თვალწინ რაიმე დიდ საიდუმლოებას ფარდა ეხდება და ცოდნის ნათელი ეფინება, ეს უეჭველად დასტურია იმისა, რომ ღმერთმა მას, ვითარცა ერთგულ მეგობარს დამსახურებული ნდობა გამოუცხადა და გონების თვალი აუხილა!

23. ადამიანური ფიქრი და გადაწყვეტილებანი სავსე რომ არ ყოფილიყო წინასწარ გაუაზრებელი და გაუთვალისწინებელი შეცდომებით, კაცობრიობას მომავალი საერთოდ არ ექნებოდა!

24. ადამიანური მშვენიერება, სიბრძნე და სიკეთე, წარმოადგენს, სიცრუესთან წილნაყარი მდგომარეობის შინაარსით და ფორმით, შეფარულად და ირიბად გამოხატულ ცნობიერების აბსტრაქტულ ჰიპოსტაზებს, რომლის გარეშეც აზროვნება და გაგება ყოვლად შეუძლებელია.

25. ოცნება, რომელიც მახინჯი სინამდვილის ატანასა და შეგუებაში გვეხმარება, ნათელი და ფხიზელი გონების გამოთაყვანება-გაბრუების უებარი ელექსირია!

26. მშობლიურ ენაზე აზროვნების სისუსტისა და უნიათობის საზღაურს, უცხო ენების დაუფლების ხარჯზე, ვერავინ გაინაღდებს!

27. ჭეშმარიტი მეცნიერება ისაა, რომელიც აღიარებს სასწაულის არსებობას და ამით ცნობს საკუთარი შესაძლებლობის შეზღუდულობას! ღვთაებრივი სიბრძნის არსში წვდომაც ხომ სწორედ სასწაულთა იდუმალების რწმენითაა შესაძლებელი! თუკი გონების თვალს გავახელთ, სასწაულს ყოველი ფეხის ნაბიჯზე ვიხილავთ!

28. არ არსებობს არც ერთი მოაზროვნე აზრის გარეშე, თუმცა არსებობს უამრავი აზრი მოაზროვნეთა გარეშე!

29. არ არსებობს უთქმელად დაფარული აზრი, ისევე, როგორც გაუაზრებლად წარმოთქმული და გაგონილი, არსებობენ მხოლოდ ისინი, ვინც ვერ ამბობენ, რასაც იაზრებენ, ან ვერ იაზრებენ, რასაც ამბობენ!

30. ადამიანთა უმეტესობა მხოლოდ იმიტომ ვერ აღწევს დასახულ მიზანს, რომ მათ უბრალოდ არ იციან, რა უნდათ; ან ამის გაგება ვინმესგან რაღაცით მაინც რომ შეძლებოდათ, სხვებსაც როგორღაც მიახვედრებდნენ საკუთარი მწარე გამოცდილებით, იმისათვის, რათა ბოლოს და ბოლოს, მთელ ჩვენს ხალხს, როგორღაც ერთიანად საშველი დადგომოდა.

31. თუ გგონია, იმაზე მეტი იცი, ვიდრე გახსოვს, მაშინ ეს ცოდნა ზღვაში წვეთია, ხოლო თუ იმაზე მეტ რამეს იხსენებ,რაც გამოცდილებით იცი, მაშინ განუსაზღვრელი ცოდნის მფლობელი ყოფილხარ.

32. ეს ეგრეთწოდებული ობიექტური სინამდვილე სხვა არაფერია, თუ არა, სუბიექტურ მოთხოვნილებათა და მისწრაფებათა მოჩვენებითი სინთეზი, ხოლო ნებისმიერი სუბიექტური მოჩვენება შეუცნობადი ობიექტურობის კანონზომიერად განპირობებული ნამდვილობაა.

33. როდესაც, სხვისი მისამართით, შენი გულიდან ამოხეთქილი მართალი სიტყვა მსმენელთათვის სრულიად გაუგებარია, აუცილებლად უნდა მიხვდე და გაიგო, რომ შენს მისამართით ყველაფერი გასაგებია!

34. ჭეშმარიტი ცოდნა და ღვთაებრივი სიბრძნე, ისევე გამოუსადეგარი და უვარგისია, ამქვეყნიური გამორჩენა-ანგარებისთვის, როგორც წისქვილის ბორბალი ფეხის აჩქარებისთვის.

35. მწიგნობარნი, ამ ხანმოკლე წუთისოფლის უდიდეს ნა-

წილს იმ ავტორთა ფიქრების ტყვეობაში ატარებენ, ვის წიგნებსაც კითხულობენ, მაშინ როდესაც უწიგნურნი, მთელი თავიანთი უბადრუკი ცხოვრების მანძილზე, უგუნურთა ტყვეობას თავს ვერ აღწევენ.

36. აუცილებელი არ არის, კაცი იყოს ფილოსოფოსი, რათა მიხვდეს, რომ აშარი დედაკაცების ტყვეობაში ყოფნას, ისევ აბეზარი და მოუსვენარი ფიქრების ტყვეობაში ყოფნა სჯობს.

37. შიშებთან უნუგეშოდ წილნაყარი აზროვნება, რამდენადაც უძლურია, თვითდინების ძალით, შემოქმედების ღია სარბიელზე თავისუფალი გასაქანი ჰპოვოს, იმდენად იძულებულია, დამფრთხალი ლოკოკინასავით, თავისავე გავაზნექილად დაშენებულ ნიჟარაში უკუღმა შეიჩურთოს, რათა მთელი მისი დარჩენილი, გატიალებული ცხოვრება, ყოვლად უჟმურ, მოსაწყენ ერთფეროვნებაში დაშრიტოს.

38. განსხვავებული აზრი, აზროვნების შეუფერხებელი მსვლელობის ის მძლავრი ნაკადია, რომელიც ერთიანად ასუფთავებს ფიქრსა და გონებას, მავნე ზეგავლენის მქონე წარმოდგენათაგან.

39. ფილოსოფია, ამ ცხოვრებისეულ ამაოებაში, დანთქმულ-დამარხული ყოფიერების საზრისის შეცნობაა, ხოლო ფილოსოფოსი, საკუთარი ბედისწერის ტყვეობაში მყოფი, უკიდეგანოდ თავისუფალი ფიქრის დემიურგი და ხელოვანი.

40. ისე უსაზღვროდ მიყვარს პლატონის ფილოსოფია, რომ ლამის ვაღმერთებ, მაგრამ აქვე ვიტყვი იმასაც, რომ აქამდე ვერ შევგუებივარ მის უმკაცრეს და ულმობელ დამოკიდებულებას ლირიული პოეტებისადმი, თუმცა ამ ბოლო ხანს, განსაკუთრებით, იმნაირ უცნაურ ლექსებს წავაწყდი, რომ თითქმის მზადა ვარ, ამ ბუმბერაზ მოაზროვნეს არ დავეთანხმო არაფერში, ოღონდაც, უკლებლივ, მთელი სიგრძე-სიგანით, გავიზიარო მისი გულისწყრომა ამ აუტანლად აბეზარი და მატრაკვეცა ხალხისადმი!

41. რაც შეიძლება ბევრი ადამიანი უნდა გაიცნო, რათა ზედმეტ ხალხზე ფიქრით დრო არ დაკარგო.

42. სხვათა თვალით რომ გამუდმებით უმზირო საკუთარ თავს, ვერასოდეს გაიგებ და შეამჩნევ იმას, რასაც განსხვავებულად ზოგიერთნი, სწორედ იმ სხვათა სიყვარულის გამო განიცდიან!

43. თუკი კუჭს მუცელში მის კუთვნილ ადგილზე არ დააყენებ, ის დაუყონებლივ დაიჭერს ადგილს შენს თავში, გონების ნაცვლად!

44. იმისათვის, რომ მოაზროვნე სუბიექტმა საღი განსჯის უნარი და სულიერი წონასწორობა არ დაკარგოს, მას ყოველთვის უნდა ახსოვდეს თვითშემეცნების უმთავრესი მორალური პრინციპი: "ჭეშმარიტი ცოდნის დაუფლება ნიშნავს სხვათა დახმარების, გადარჩენისა და განვითარების ვალდებულებას და არა, მავანთა დასაკნინებლად მომარჯვებულ, ვინმეზე რაიმეთი აღმატებული პრივილეგიის მისაკუთრებას!"

45. ცოდნისგან განსხვავებით, სხვისი გამოცდილების გაგება და გაზიარება, საკუთარი გამოცდილების გარეშე შესაძლებელი რომ ყოფილიყო, ჩვენს ისტორიულ მოღვაწეთა წარსული საქმეების ავ-კარგიანობა, შავი თუ თეთრი, საყოველთაოდ ნათელი და გარკვეული იქნებოდა.

46. შემთხვევის ადგილზე წასწრებული დამნაშავე იმდენად ცდილობს გაექცეს პიროვნულ პასუხისმგებლობას, რომ არც ღირსებას და არც თავმოყვარეობას არად დაგიდევთ, ისე გაიშვერს თითს სხვისკენ, თუმცა რაკი ვერ ბედავს თქვას–ამის ბრალია!–ამბობს–ამან მასწავლა!.. და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ განზრახ მიჩქმალოს შინაგანად სარწმუნო, საყოველთაო აზრი შემეცნების იდუმალი თავისებურებისა–ვერავინ ვერავისგან ვერაფერს, ისეთს ვერ ისწავლის, რაც უკვე თვითონ, იმთავითვე არ იცის.

47. ადამიანობაზე და კაცობაზე აღმატებული ნებისმიერი თვითმარქვია ფილოსოფია, თავის უბადრუკ ავტორებიანად, ყველგან და ყოველთვის არის არაადამიანობისა და არაკაცობის უხამსი გამომზეურება, რომელსაც არასოდეს არც არაფერი გაეგება და არც რაიმე ვინმესგან მოეკითხება!

48. შინგანი სიბრძნის თვითცნობიერებასა და საზრისისეულ ცოდნას მოკლებული სწავლა-განათლება წარმოადგენს ცარიელ, უსიცოცხლო და უბადრუკ ბუტაფორიულ დეკორაციას, ყოველგვარი მყარი შიგთავსისა და საყრდენის გარეშე.

49. ამ ჩვენს თანამედროვე დამბლადაცემულ და თავგზააბნეულ საზოგადოებაში, რამდენადაც ნაკლებად უსმენენ ნამდვილ ფილოსოფოსს, იმდენად მეტი გასავალი აქვს, ათასნაირი ნაყარნუყარა ჭკუისა და ჯურის ე. წ. ფილოსოფიებს.

50. ბედნიერი იქნება ის ქვეყანა, რომელსაც ეყოლება ძალიან მცირე რაოდენობის პოლიციელი, კიდევ უფრო ნაკლები ექიმი, მაგრამ რაც მთავარია, სანთლით საძებარი ფილოსოფოსი და ღვთისმეტყველი!

51. უფლის მიერ ხელქმნილი სამყაროს შეცნობა, თავიდან ბოლომდე, პრინციპულად შეუძლებელია, თვით რწმენაც კი უძლურია, თუკი მას საყოველთაობის პრეტენზია გააჩნია, ამიტომაც ყველა დიდი მოაზროვნე, მეცნიერი თუ თეოლოგი, სუყველაზე პირველად თვითონ დგება იმ გამონაკლისი, გამაოგნებელი მოვლენის წინაშე, რომლის უარსაყოფადაც, თავდაუზოგავად ცდილობდა შეექმნა ობიექტური კანონზომიერების დასაბუთებისთვის, ან პირიქით, უარყოფისთვის, რაიმე არაწინააღმდეგობრივი თეორია.

52. ყველა იმას ასწავლის, რაც არავინ იცის, გარდა თვით სწავლებისა!

53. სირცხვილია არა უცოდინრობა თავისთავად, არამედ მედიდური და უტიფარი უმეცრება, რომელიც ცოდნას ბაძავს!

54. სინათლის მამოძრავებელი დაუშრეტელი ძალა და ენერგია დაუსაზამო სიბნელეშია, ისევე, როგორც არსი ცოდნისა, განუსაზღვრელ არცოდნაშია; ამიტომაც ყოველივე, რაც ნათდება, თვითონ არ ანათებს, ხოლო რაც ანათებს, უხილავია და არ ჩანს... ასევე, ნამდვილი ჭეშმარიტებაც სწორედ ისაა, რომლის დამტკიცებაც ისევე შეუძლებელია, როგორც უარყოფა, იგი დაუსრულებელი დასასრულის განცდით მონიჭებული აუტანელი ტკივილია!

55. როგორც კი ადამიანი, დაუოკებელი ფიქრითა და სასოებით, ჩაეფლობა სამყაროს ნივთიერი ქაოსის კოსმიური მართლწესრიგის გონით რეალიებში, მთელი თავისი არსებით, მყისვე შეიგრძნობს მის გარშემო აბლაბუდასავით დაქსელილ ზერელე და უსარგებლო ურთიერთობებს, რასაც ნებსით, თუ უნებლიედ, ამ ჩვენი ხანმოკლე წუთისოფლის უდიდეს და უმეტეს ჟამს, სულ ამაოდ ვწირავთ.

56. ბოროტი ფიქრი, შხამიან საკვებზე მეტად, ერთიანად აავადებს და წამლავს ადამიანის სულსა და სხეულს, ამიტომაც ასეთი ავადმყოფი ვერავითარი ექიმითა და წამლით ვერ განიკურნება, სანამ მის სულხორციელ არსებაში ბინადარი მხეცი საბოლოოდ არ განიდევნება.

სიყვარულისა და სიძულვილის, დახმარება-თანადგომის, მეგობრობისა და მტრობის შესახებ

1. სიყვარული ეს არის მსხვერპლის გაღების უნარით აღჭურვილი თავისუფალი მიზანსწრაფვა, რომელიც თავდავიწყების ძალით გვანიჭებს საკუთარი არსის შეცნობის ერთადერთ გზას.

2. სანამ ვინმეს მეგობრად მოვიხსენიებთ, მანამ სერიოზული

დაფიქრება გვმართებს იმაზე, თუ ვინ შეიძლება იყოს ნამდვილი მეგობარი?–არა ის, ვინც ჩვენი ნაძალადევი ღიმილითა და მოჩვენებითი კარგად ყოფნით ლაღობ-ხალისობს, არამედ ის, ვისაც შეუძლია სულის სიღრმეში შემოაღწიოს და იქ დახვავებულ უამრავ ტკივილთაგან, რომელიმე მაინც განგვიქარვოს.

3. სანამ ამქვეყნად, ერთი ვინმე მაინც არსებობს, ისეთი, ვის მიმართაც გაუმხელელი სიყვარულის ნექტარი გმსჭვალავს, მანამ არავითარ შემთხვევაში არ გაქვს უფლება, შენი სიტყვით და საქმით, თუნდაც ყველაზე უღირსი გარშემომყოფის გულისწყრომა და გულისტკივილი გამოიწვიო!

4. ვინც იოლად ელევა ძველთაძველ ნივთებს, მას ახლობელი ადამიანების დათმობაც არ გაუჭირდება!

5. თუ ღირსეული მტრის პატივისცემის გრძნობა არ აღმოგაჩნდა, მეგობარსაც ვერ უერთგულებ.

6. ბავშვობის მეგობრობა მხოლოდ ბავშვობაში რჩება, სამაგიეროდ, მტრობას ასაკი და ხანდაზმულობა არ განსაზღვრავს.

7. ყველაზე ახლობელ ადამიანებსაც კი, ძალიან ბევრჯერ შეუძლიათ მოგვაყენონ სასიკვდილო დარტყმა, ყველაზე საუკეთესო სურვილების საბაბით.

8. ჩვენი სიყვარულის გადასარჩენად, უნდა ვილოცოთ მტრის კეთილდღეობაზე, რათა დაუმსახურებლად არარაი მივუზღოთ.

9. მეგობარი არის მხოლოდ ის, ვინც არ შეგეშვება და თავს არ დაგანებებს არასდროს, არც მაშინ, როცა არავის დანახვა და არაფრის გაგონება არ გინდა.

10. ძმათა შორის გაუტანლობა ღალატი ერთი გვერდიც არ გამოვა მუხთალი საწუთროების იმ უზარმაზარ წიგნში, რომელიც რჩეულ მოღვაწეთა იდუმალ ბედისწერას დაუწერია.

11. ჭეშმარიტად დიდი ხელოვნება წარმოადგენს სულ-ხორციელი ტრფიალით გახელებულ ვნებას, რომელიც დაახლოებით ისე ეგუება ერთფეროვნებას, როგორც მეხი მყუდროებას!

12. სადაც ვნებისა და ტრფობის გრანდიოზული ქარცეცხლი არ მძვინვარებს, იქ არც ხელოვნებაა, არც მეცნიერება და არც არავითარი შემოქმედება!

13. როცა ერთ ვინმესთან დამეგობრება მეორესთან გადამტერების გარეშე ვერაფრით მოგიხერხებია და კვლავაც ასეთ გაგრძელებას აპირებ, მაშინ ადრე თუ გვიან მაინც მიხვალ იმ დასკვნამდე, რომ არც ერთ უარეს მტერზე უკეთესი მეგობარი არც აქამდე გყოლია და არც მომავალში არ გეყოლება!

14. თუ რომელიმე ერის სიყვარულსა და სიძულვილს მათგან წამოსული მტრებისა და მეგობრობის განზომილებით შევაფასებთ, ეს იქნება საბედისწერო განაჩენის ტოლფასი შეცდომა, ვინაიდან ამას საკუთარი ქვეყნისთვის უბედურების მეტი, კარგი არაფერი მოჰყვება; წარმოიდგინეთ, ასეთი მიდგომა რომ გამართლებული ყოფილიყო, მაშინ ყველა ქართველს თავისი სამშობლო უნდა სძულებოდა, რადგანაც თითოეულ მათგანს, ყველაზე მეტი მტერი სწორედ საკუთარ ქვეყანაში ჰყავს.

15. ჩვენი ხალხისა და ქვეყნის მტრები, მართალია, ძალზე ცოტანი არიან, თუმცა, იმდენად ბევრი კეთილსინდისიერი ადამიანის ადგილს იკავებენ, რომ მთელი სამოღვაწეო ასპარეზის ბურთი და მოედანი მათ რჩებათ.

16. სიყვარული მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს პირველი, როცა ის იმავდროულად არის უკანასკნელიც!

17. ვინც მტერთან ურთიერთობას გაწყვეტს, მას მეგობარი დაამარცხებს!

18. მტერი აუცილებლად ყოველთვის უნდა ჰყავდეს ვარგისიან კაცს, მეგობარი კი, სასურველია, ოდესღაც მაინც აღმოაჩნდეს.

19. როცა გვერდით მყოფი გულშემატკივარი, შენი გასაჭირის უმნიშვნელოვანეს ჟამს, გვერდით არ გყავს, აღიარე, რომ ნამდვილი მეგობარი არც არასოდეს არ გყოლია!

20. თუ გსურს სატრფოს თავი მოაწონო_ აჩვენე, რაც რამ კარ-

გი და უკეთესი გაქვს, მაგრამ თუ ცდილობ, თავი შეაყვარო, მაშინ შენს უმთავრეს ნაკლს ნუ დაფარავ!

21. ქართული ტრადიციული სუფრა საკრალური მაგიური ძალის შემცველია, რომელსაც ძალუძს მოსისხლე მტრებს საერთო სიწმინდის სადღეგრძელო წარმოათქმევინოს და მათი ჭიქები,- გაშიშვლებული მახვილების სასიკვდილო კვეთების ნაცვლად, ერთიმეორეს სამშვიდობოდ და სასიცოცხლოდ შეახეთქოს! სირცხვილია, ფლობდე ასეთ ხელოვნებას და არ გივარგოდეს დიპლომატია!

22. სანამ საზოგადოების უმადურობით აღვშფოთდებით, მანამ არც ის დაგვავიწყდეს, რამდენი ადამიანი დაგვეხმარა უანგაროდ, ყველაზე კრიტიკულ ვითარებაში, ან თავის მხრივ, რამდენი ვინმე გვიმადლიდა, მარტო იმის გამო, რომ ნებსით თუ უნებლიეთ, მისი საქმისთვის ხელი არ შეგვიშლია, არ მოგვიტყუებია, არ გაგვიძარცვავს და ზიანი არ მიგვიყენებია, იქნებ იმიტომაც, რომ გვეშინოდა, ან უბრალოდ არ ვიცოდით, როდის რა უნდა გვექნა, თორემ ვინ იცის....

23. არც ერთი მხარის მოკეთედ, კარგა ხანია, აღარ ვითვლებით, რამეთუ საკუთარ თავსაც ვერ ვშველით და აბა სხვას როგორღა დავეხმარებით! მტრადაც აღარავინ მიგვიჩნევს, რაკიღა უძლურების გამო, წინააღმდეგობის გაწევა არ შეგვიძლია–ჰოდა, გეკითხებით ახლა მე თქვენ–არის თუ არა ეს ნეიტრალიტეტი?– მეტი რა ვთქვათ, ან რა ვქნათ, რომ მაინც არ გვეშვებიან მაინც ეს შეჩვენებულები?!

24. თუ ვინმეს არ გამოგიცდიათ, წარმოიდგინეთ მაინც, როცა დიდი ხნის უნახავი სიყრმის მეგობრის სანახავად, სადღაც შორს მიდიხართ, ხანგრძლივი კვლევა-ძიების შემდგომ, როგორც იქნა პოულობ და ის კი, ისე, რომ ნორმალურად ზედაც არ გიყურებს, ყასიდად გკითხავს: რისთვის მოხვედიო?.... აი, ვინ არიან დღეს-

დღეობით, ეს ჩვენი გადიდკაცებული ქართველები, იმ ლეგენდარულ დიდებულ წინაპართა სისხლზე და ოფლზე აღმოცენებული, ნებიერი შთამომავლები!

25. თუკი მტრებად ისინი ითვლებიან, ვინც ჩვენთან არ არიან, ჩვენთან ერთად რომ ყოფილიყვნენ, ნეტა, მაშინ რაღას იზამდნენ?!

26. თუკი თავიდანვე ცხოვრებას თვითონვე არ გავირთულებდით, ყოველი მხრიდან განუზომელ სითბოს და სიყვარულს ადვილად შევისისხლხორცებდით, მაგრამ ერთი ბეწო უსამართლობის, წყენისა და გულგრილობის შეხვედრისთანავე, უმალ გული გაგვისკდებოდა. ამიტომაც ამის თავიდან ასაცილებლად, რახანია, გამალებით მუშაობს საგანგებო სოციალური მექანიზმი, რომელიც რეგულარული წვრთნისა და სწავლების შედეგად, გვაუფლებს სახიფათო თამაშის საჭირო წესებს, რომელთა წარმატებით გამოყენების მიზნითაც, ვქმნით განუსაზღვრელი სირთულისა და სიღრმის რაციონალურ ფილოსოფიას, რისი მეოხებითაც, ხან მოგების, ხან განცდილი მარცხის გამო, რევანშის წყურვილით, ამდენს ვჯახირობთ, ვცდილობთ, ვიღწვით და თანაც იობის მოთმინებით ვუძლებთ მთელ ამ ამაზრზენ სიდუხჭირეს და სისასტიკეს, ამასობაში კი, თვითონვე ვიქცევით იმად, რითაც შეგვაძულეს ერთმანეთი....კი, მაგრამ რისთვის, ან ვისთვის?! განა ამით რამე უკეთესობისკენ იცვლება?!....

27. ნებისმიერი ადამიანის წონასწორობიდან გამოყვანის იმდენი გზა არსებობს, რამდენი კაციც ცხოვრობს დედამიწის ზურგზე, სამაგიეროდ, სულიერ სიმშვიდეს მხოლოდ მოყვასის სიყვარულით და ნდობით გამთბარი გული გვანიჭებს, რასაც ყველაფერზე მეტად უნდა გავუფრთხილდეთ!

28. რაც უფრო მეტად ჰკარგავს ადამიანი სხვათა ნდობას, მით მეტად ხდება ღმერთსა და საკუთარ სინდისზე დამოკიდებული, მაშასადამე სხვებისთვის ბევრად უფრო სანდო, რაც იმის მაუწყე-

ბელია, რომ დაკარგული ნდობა, რწმენის უმაღლეს ხარისხში აყვანილი, კვლავ უკან ბრუნდება.

29. ნუ ვიქნებით უმადურნი იმ მოშუღართა მიმართ, რომელნიც რაც უფრო ძალუმად გვექაჩებიან დაბლა, უფსკრულისაკენ, მით უფრო მარჯვედ გვეწევიან მაღლა, მწვერვალისაკენ!

30. არაფერია მეტოქის უპირატესობის აღიარებაზე უფრო ძნელი და თავის მოტყუებაზე უფრო ადვილი!

31. იმას მაინც თუ ვამჩნევთ, ეს ჩვენი შეჩვენებული ხალხი როგორი გამეტებით და გამუდმებით ესვრიან ერთმანეთს ამდენი ნაშალი ქვებისა და ნამსხვრევების გროვას აქეთ-იქით, მაშინ მაინც ხომ უნდა მივხვდეთ, თურმე რამხელა ნანგრევების ქვეშ ვყოფილვართ მოტნეულნი?!

32. მეტი თანამზრახველისა და მოკავშირის შეძენა ნივთიერ მოსახვეჭელში, ნიშნავს ნაკლები მეგობრისა და გულშემატკივარის შენარჩუნებას საბედისწერო საღვთო მსჯავრის მისაგებელში.

33. ღიმილი, თანაგრძნობით გაცისკროვნებულ მზერაში, ან ღვთისგან მოძღვნილი იოტისოდენა ნუგეში, ამ დაზაფრული თანაცხოვრების აპოკალიფსურ სინამდვილეში, სავსებით საკმარისია ჩვენს გონებაში დასადგურებული, აბეზარი მკილივით ტვინგამბურღავი უკუღმართი ეჭვების გასაქარწყლებლად!

34. ის, ვინც ორ მოსისხლე მტრის შუა დგას და მათ მიმართ მეგობრობის დამტკიცებას ცდილობს, ან ორთავეს ატყუებს, ან ერთ-ერთს მაინც!

35. სიყვარული იწყება ნდობით, გრძელდება ეჭვით და მთავრდება სრული მარტოობით!

36. როგორც კი მეგობარს მეგობრობის შენებური გაგების ვალდებულებას შეახსენებ, მასში მტერს გააღვიძებ!

37. მეგობრობა შეუძლებელია, თუ არ იცი, როგორ იმეგობრო.

38. შინაურ მტრობაში მარჯვედ გაწაფული, ყოველი თავკერ-

ძა რაინდი, გარეშე მტრობისთვის სრულიად გამოუსადეგარი და უვარგისია.

39. ვისაც რაც უყვარს, თვითონაც ისაა და როგორც უყვარს, ზედმიწევნით ისეთია!

40. განა რამე შეედრება ამქვეყნად ნდობას, თანადგომასა და ურთიერთდახმარებას?! თუმცა, როცა შენ წილ საკეთებელ საქმეს სხვას აჰკიდებ, ეს უკვე დახმარება კი არა, პიროვნული ღირსების შეურაცხმყოფელი მოხმარებაა, რაც თავმოყვარე კაცმა არაფრის ფასად არ უნდა დაუშვას!

41. სიცოცხლის გაგრძელება, ტანჯვისა და ამაოების მომაბეზრებელი გახანგრძლივებისთვის, სიყვარულის შემოკლების ფასად, ვისაც რაიმედ უღირს, ისინი, ჯოჯოხეთსაც, სამოთხეზე ბევრად უკეთესად ეგუებიან, მაგრამ მთელი უბედურება კიდევ ისაა, რომ თავიანთი მარტოობის გასაქარწყლებლად, სხვა დანარჩენებსაც გვაიძულებენ მათ შევეგუოთ.

42. როდესაც მეგობრების კამათში ვიღაც არაკეთილმოსურნე თავისი მოუხოცავი ცხვირის ჩაყოფას გაბედავს, ეს ან ერთერთი მეგობრის ბრალია, ან საერთოდ ყველა იმ მეგობრისა, ვინც ამას საკადრის პასუხს არ გასცემს და ვისაც მსგავსი რამ დასაშვებად მიაჩნია!

43. როცა სადმე, რომელიმე შენს სამეგობროში აღმოგაჩნდება ერთი მაინც პირადი მტერი, მაშინვე უნდა დარწმუნდე, რომ თურმე იქვე გყოლია არა უშუალოდ შენი, არამედ სწორედ იმ შენი ერთი მტრის არაერთი მეგობარი!

44. თუკი მტრის სიძულვილს მთელი არსებით შეუპყრიხარ, მოყვასის სიყვარულისთვის ძალი აღარ შეგწევს და ამიტომაც შენი მარცხი გარდაუვალია!

45. სხვათა თვალით რომ გამუდმებით უმზირო საკუთარ თავს, ვერასოდეს გაიგებ და შეამჩნევ იმას, რასაც განსხვავებუ-

ლად ზოგიერთნი, სწორედ იმ სხვათა სიყვარულის გამო განიცდიან!

46. ისინი, ვინც თავიანთი გარდაცვლილი მეგობრის შესახებ ლამაზ მოგონებებს წერენ, იმავდროულად საკუთარ თავსაც გულისხმობენ.

47. წარმოიდგინეთ, რა ბედნიერი იქნებოდა ნებისმიერი ჩვენთაგანი, თუკი ყველაზე უფრო ხშირად სწორედ იმათ არ ვატკენდით გულს, ვის გარეშეც სინამდვილეში არსებობა არ შეგვიძლია.

48. მიწიერი სიყვარულის განცდის გარეშე, ზეციურ სიყვარულამდე ვერავინ ამაღლდება, მაგრამ სამაგიეროდ, ზეციური სიყვარულის ნიჭისა და ღვთიური მადლის უზიარებლად, მიწიერი სიყვარულის საბოლოო შენარჩუნება ყოვლად წარმოუდგენელია.

49. ის, ვისაც საჭიროების ჟამს ბუნებრივი სიძულვილისა და მტრობის ღიად გამჟღავნება არ შეუძლია, მეგობრობისა და სიყვარულის მფარველად ყოვლად გამოუსადეგარია და ამიტომაც ნდობას არც არავისგან იმსახურებს.

50. იმისათვის, რომ მოაზროვნე სუბიექტმა საღი განსჯის უნარი და სულიერი წონასწორობა არ დაკარგოს, მას ყოველთვის უნდა ახსოვდეს თვითშემეცნების უმთავრესი მორალური პრინციპი: "ჭეშმარიტი ცოდნის დაუფლება ნიშნავს სხვათა დახმარების, გადარჩენისა და განვითარების ვალდებულებას და არა, მავანთა დასაკნინებლად მომარჯვებულ, ვინმეზე რაიმეთი აღმატებული პრივილეგიის მისაკუთრებას!"

51. სიყვარულის მიღმა სიცოცხლე მთავრდება და იწყება არსებობა საფუძვლის გარეშე.

52. მიყვარს, მაშასადამე ვიღწვი, ვზრუნავ და ვპატრონობ.

53. ამქვეყნად არც ერთ ძეხორციელს, სხვადასხვა ერის ნაშიერს, ისე არ სძულს არც ერთი უცხო გადამთიელი, როგორც ქართველებს ერთმანეთი, მაშინაც კი, როცა ისინი იმის გამო კამათო-

ბენ, რომ ვინმე სხვა ჯიშსა და მოდგმას განსაკუთრებით ამოიჩემე-ბენ და აძაგებენ, სინამდვილეში ამით, ერთმანეთის დაუოკებელ სიძულვილს ირიბად აფრქვევენ და ყოველივე ამას, სხვათა ლან-ძღვა-გინებით ნიღბავენ!

54. კი, მართალია, გადამტერებული მეგობარი გაცილებით უარესია, ვიდრე დამეგობრებული მტერი, თუმცა საერთოდ, მე-გობრობისგან განსხვავებით, ორთავე შემთხვევაში, მტრობას და-სასრული მაინც არ აქვს!

55. როცა გულგრილად მოსეირე ხალხს ვავალდებულებთ, ვინმეს მიმართ თანაგრძნობას, მათში მძვინვარე მხეცს ვაღვიძებთ.

56. თუ ვინმეს გულწრფელად გაჭირვებულზე დახმარება სწყურია, მან, მედიდურად გაღებული ფარისევლური მოწყალე-ბით, ადამიანს, მისი ღირსებისთვის დამამცირებელი მათხოვრო-ბა კი არ უნდა გაუხანგრძლივოს, არამედ მეგობრული ხელი შეაშ-ველო და ალალი შრომით ნაშოვნი ლუკმა შუაზე გაუყო, როგორც ეს საკუთარი ოჯახის წევრს ეკადრება!

57. მადლისგან და თანადგომისგან დაცლილი ყოველგვარი ფულადი დანახარჯი, ან აღვირახსნილი მფლანგველობაა, ან სიკ-ვდილის მუქარით დათრგუნული სიძუნწის ციებ-ცხელება, რო-მელიც არავის არაფერში არ წაადგება.

58. მოყვასთაგან განცალკევებული ადამიანის თვალში, მსოფ-ლიო ერთბაშად მაშინ პატარავდება, როდესაც მის არსებაში სა-მუდამოდ ქრება და ქარწყლდება, მონატრებულ ახლობელთა მი-მართ, ცოცხალი ურთიერთკავშირის ბუნებრივი წყურვილი.

59. თქვე ოჯახაშენებულო და მამაცხონებულო ემიგრანტებო, ერთი ეს მითხარით, როცა უკან არავინ მოგდევდათ, მაგრამ ამის მიუხედავად, მაინც სხვაგან გაიქეცით, თავის საშველად, მტერი რომ შემოგვსეოდა, მაშინ რაღას იზამდით, ნეტავ?!–მართალია, ძა-ლიან კარგად მესმის, რომ გიყვართ და გენატრებათ მიტოვებული

სამშობლო, თუმცა, რატომღაც მგონია, რომ საკუთარი თავი მაინც ყველაფერს გირჩევნიათ!

60. თუ არ გვინდა მოწინააღმდეგესთან არსებული ცუდი ურთიერთობის კიდევ უფრო გაუარესება, ამისთვის აუცილებელია მისი მორიგი შეტევის წარმატებით მოგერიება!

61. საყოველთაო ზიზღისა და სიძულვილის ღირსია ის ხალხი, ვისაც განსაკუთრებით აღაშფოთებს და მოსვენებას უკარგავს მავანთა კეთილშობილება და საქმენი სიქველენი, მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ არ უყვარს.

62. ჩემი განსაკუთრებული პიროვნული სიძულვილის ღირსი ვინმე რომ გახდეს, ამისათვის, მასზე ამონთხეული ჯავრი, უზარმაზარი გულისტკივილისა და სიცოცხლის შემოკლების ფასად უნდა დამიჯდეს, მაგრამ ეს არ მოხდება, ვინაიდან სიცოცხლე საკმარისად მშვენიერია იმისთვის, რომ მე მას ყველა აუტანელ ადამიანზე უფრო მეტად ვეგუებოდე და ვიტანდე!

63. ფილოსოფოსობა არა მარტო მეგობრობის დიდი ძალა და უნარია, არამედ ამაზე უფრო მეტად, ის სხვა არაფერი არაა. ფილოსოფოსი მეგობრობს ყველასთან და ყველაფერთან, რასაც კი მოიაზრებს. მას შეუძლია მუდმივ დიალოგში იმყოფებოდეს საკუთარი შემეცნების ობიექტთან, საგანთან. ფილოსოფოსი იმდენად ღრმა თავდავიწყების სტიქიებს აღძრავს სამყაროს სუბსტანციური არსის წვდომის დაუოკებელი წყურვილით, რომ მას შეუძლია, არამც თუ ადამიანს, არამედ თვით უფალსაც გაუწოდოს სამეგობროდ შემართული ხელი, გულწრფელი დახმარების სურვილით.

64. სადაც პრობლემა და გაჭირვებაა, იქაა ფილოსოფიაც თავისი მეგობრობის დიადი ძალისხმევით. ამიტომ ვინც ახერხებს ფილოსოფოსობას, ის ახერხებს მეგობრობასაც. არ არსებობს სხვა მეგობარი და სხვაგვარი მეგობრობა თვინიერ ფილოსოფოსისა და ფილოსოფიისა. არაფილოსოფოსი არამეგობარია, რადგან მას სულიერი ძალა თავისი თავის სანუგეშოდაც არ ყოფნის და მით უმე-

ტეს სხვის სანუგეშოდ რაღა რჩება?!—მეგობრობა მარადიულია, ხოლო მეგობარი კი უკვდავი, ამიტომაც ფილოსოფოსები ყოველთვის ახერხებენ მეგობრობას. მათ ამაში ხელს სიკვდილიც კი ვერ უშლით. მართლაც, ფილოსოფოსისთვის სულერთია, ცოცხალი იქნება თუ მკვდარი, რადგან მის აზრებს ვერც ვერაფერი მოკლავს და ვერც ვერაფერი წაშლის. ეს ის აზრებია, რომლებიც წყვდიადს განანათლებს და ხრიოკს გაამწვანებს, რომელიც ბოროტს კეთილად მოაქცევს და ჭირ-ვარამს ნეტარების სიტკბოებად გარდაქმნის. ფილოსოფოსობა დიადი მეგობრობის მაკავშირებელი გზა და ხიდია ღმერთსა და მის ხელდასმულ კაცობრიობას შორის.

ბედისწერის, იღბლიანობის, ამაოების, საშინელებისა და მოულოდნელობის შესახებ

1. არც ერთი შემთხვევა მოულოდნელი არაა იმდენად, რამდენადაც ყველა საშინელება და უბედურება ნებისმიერ დროს მოსალოდნელია!

2. რაც უფრო აუტანელი და მძაფრია ჩვენს თავს დატეხილი საშინელება და უბედურება, მით უფრო მშვენიერი და დიდებულია ეს სამყარო!

3. ნებისმიერ ადამიანს რომ შეჰკითხოდნენ, რას იტყოდა, მისთვის ნაცნობი იმ ადამიანის მიმართ, რომელიც შესაძლოა, მის ერთ-ერთ დამმარხავთა შორის აღმოჩნდეს?—ვერაფერს, რადგან სასოწარკვეთილებისგან უბრალოდ დამუნჯდებოდა.

4. ძმათა შორის გაუტანლობა ღალატი ერთი გვერდიც არ გამოვა მუხთალი საწუთროების იმ უზარმაზარ წიგნში, რომელიც რჩეულ მოღვაწეთა იდუმალ ბედისწერას დაუწერია.

5. ნუგეშისცემა გვმართებს არა, საკუთარი სასიცოცხლო სტიქიებისგან, საიდანაც უშუალოდ მომდინარეობს ყოველგვარი

საშიშროება, არამედ იმ უვარგისი საფრთხობელებისგან, რომლებიც ასგზის მაინც აღემატებიან იმას, რაც თავისთავად საშიშია!

6. სანამ სინანულით, აქეთ-იქეთ თავს გავაქნევდეთ და უკან მოვიხედავდეთ, მანამ არამც და არამც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ გონივრულად და მიზანსწრაფულად წარმართული იმედები ბუნებრივად ჩაისახებიან ფუჭი ოცნებების გარდაუვალი იმედგაცრუების გზით!

7. იღბალს რამდენადაც ზედმეტ ნდობას უცხადებ, იმდენად ნაკლებ ნდობას იმსახურებ!

8. მოდით, ვეცადოთ, წამით მაინც, ტკბილად გავუღიმოთ ერთმანეთს, რათა როგორმე, მცირე ხნით, ამით მაინც, გადავავადოთ ბედის მწარე დაცინვა!

9. უიღბლო კაცს იმის იღბალი მაინც დაყვება, რომ ამ უთავბოლოდ გაჭიანურებული ცხოვრების ბოლომდე, საკუთარი თავის გარდა, სხვისი იმედი მაინც არ ჰქონდეს, სამაგიეროდ, იღბლიანებისთვის, ბედის სიმუხთლესთან ერთად, მთელი ეს ხანმოკლე წუთისოფელიც იქვე მთავრდება!

10. არც თუ იშვიათად, რასაც შეგნებულად და გააზრებულად ყველაზე მეტად გაურბივართ, სწორედ მისკენ მივისწრაფვით ქვეცნობიერი განცდის სტიქიური მიზიდულობით და საბოლოოდ, როცა თანდათან ვრწმუნდებით, რომ მას ვერსად ვერ გავექცევით, იძულებული ვხდებით ვაღიაროთ, რომ ეს ჩვენი ბედისწერაა!

11. სწორედ მოულოდნელი ფათერაკისა და განსაცდელის დიადი მოლოდინია ამქვეყნიური ბედისწერის გარდაუვალობის ჭეშმარიტი წინასწარმეტყველება.

12. არ არსებობს თავისუფალ არჩევანზე დამყარებული ცალკეული ნებისყოფა, საყოველთაოდ გარდაუვალი ბედისწერის მიღმა, რამეთუ არჩევანი კეთდება, არა საკუთარი ნების ძალით, არამედ ან შინაგანი, ან გარეგანი იძულების წესით.

13. სიცოცხლის გაგრძელება, ტანჯვისა და ამაოების მომაბეზრებელი გახანგრძლივებისთვის, სიყვარულის შემოკლების ფასად, ვისაც რაიმედ უღირს, ისინი, ჯოჯოხეთსაც, სამოთხეზე ბევრად უკეთესად ეგუებიან, მაგრამ მთელი უბედურება კიდევ ისაა, რომ თავიანთი მარტოობის გასაქარწყლებლად, სხვა დანარჩენებსაც გვაიძულებენ მათ შევეგუოთ.

14. სანამ სინანულით, აქეთ-იქეთ თავს გავაქნევდეთ და უკან მოვიხედავდეთ, მანამ არამც და არამც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ გონივრულად და მიზანსწრაფულად წარმართული იმედები ბუნებრივად ჩაისახებიან ფუჭი ოცნებების გარდაუვალი იმედგაცრუების გზით!

15. ამქვეყნიური ამაოება არის ერთადერთი ცხადი ჭეშმარიტება, რომელსაც მაშინ ჩავწვდებით, როდესაც ყოველ ჩვენთაგანს გარდაუვალად დაუდგება ჟამი განუზომელი უბედურებისა და სატანჯველისა, სწორედ იმის გამო, რაც მას ერთ დროს უდიდეს შვებასა და ნეტარებას ანიჭებდა...

16. რაც არ უნდა ვეცადოთ და გავიქაჩოთ, მაინც მუდამ ვიყავით და კვლავაც ვრჩებით პატიმრად, ამქვეყნიური ყოფა-ცხოვრების ამაოების საპყრობილისა, სადაც, სანამდეც ვერ შევძლებთ საკუთარი სადგომის მოპოვებას, მანამდე სხვის საკანში მოგვიწევს მოცდა.

17. რაც უფრო მეტ ნდობას ვუცხადებთ იღბალს, მით უფრო ნაკლებ საიმედონი ვხდებით.

18. როგორც კი ადამიანი, დაუოკებელი ფიქრითა და სასოებით, ჩაეფლობა სამყაროს ნივთიერი ქაოსის კოსმიური მართლწესრიგის გონით რეალიებში, მთელი თავისი არსებით, მყისვე შეიგრძნობს მის გარშემო აბლაბუდასავით დაქსელილ ზერელე და უსარგებლო ურთიერთობებს, რასაც ნებსით, თუ უნებლიედ, ამ ჩვენი ხანმოკლე წუთისოფლის უდიდეს და უმეტეს ჟამს, სულ ამაოდ ვწირავთ.

19. ბედისწერა არის საკუთარი ნებისყოფის ამაოებაში წინასწარ განჭვრეტილი მოულოდნელობა, რომელიც საზოგადოდ, იმდენად ანიჭებს აზრს ერთად დაშვებულ ყველა შესაძლებლობას, რამდენადაც კერძო შემთხვევაში, აზრს უკარგავს ყოველ ცალკეულ განხორციელებულ სინამდვილეს.

ღმერთის განგების, რწმენის, რელიგიის, ლოცვის, ავ-კარგიანი ღვთისმსახურების, სასწაულისა და ზებუნებრივი ძალების შესახებ

1. კი, მართალია, ღმერთი ყოვლისშემძლე და ბედნიერია, ხოლო სამყარო _სრულყოფილი და მშვენიერი, თუმცა, მიუხედავად ამ ყველაფრისა, ჩვენ ყველას, ყველაფერზე მეტად, ერთმანეთი მაინც მუდამ ყველგან გვაკლია!

2. ყოველი რელიგია იმდენივე უაზრობას და სიყალბეს შეიცავს, რამდენი აგრესია და ფანატიზმიც გააჩნია მას განსხვავებულად მოაზროვნე ადამიანთა მიმართ.

3. ფილოსოფიური სიბრძნე სწავლა-განათლებით არ მოიპოვება, ის ღვთის მადლთან ზიარების ნაყოფია!

4. როცა ლოცულობ მხოლოდ პირადი კეთილდღეობისთვის, უფლისგან დაუმსახურებლად ითხოვ იმას, რაც არ გერგება, ამიტომაც იგი უკვე ახდენილი წყევლაა პირადად შენთვის, ხოლო როცა ვინმეს გვარიან-ჯილაგიანად წყევლი, მთელი სისასტიკით ცდილობ მისთვის სიავესა და უბედურებას, ეს უსამართლობაა, ამიტომაც ამგვარი წყევლა ლოცვად გადაიქცევა, ოღონდ მარტო სხვისთვის.

5. კაცი, რომლის სულსა და სხეულში, ჩასახლებულია უმართავი, შეუკავებელი ძალა, წარმოადგენს არა აღნიშნული ძალის

ბატონ-პატრონს, არამედ მის ერთ-ერთ უმწეო და უსუსურ მძევალს, ან ტყვე-პატიმარს.

6. ყველა ბრმად მორწმუნე ადამიანი არავის ისე არ აყენებს შეურაცხყოფას, როგორც ყოვლისშემძლე უფალს, რომელსაც საკუთარი ამაზრზენი დანაშაულის მფარველად და თანამზრახველად მოიხსენიებს! ამიტომაც ტერორისტი მკვლელების მფარველი ღმერთიც, ყველა გამოგონილ ღმერთთა შორის, ყველაზე უფრო პირწავარდნილი ტერორისტია!

7. სამყარო მშვენიერია, ის იმად ნამდვილად ღირს, რომ ყოველი დღის გათენებისას, უფალ შემოქმედს მადლი მივუძღვნათ იმისთვის, რომ ჩვენს დაუკითხავად გაგვაჩინა.

8. ანგარება და გამორჩენა, ფარისევლურ ღვთისმსახურებას, თვით თახსირ მევახშეობაზე ბევრად უფრო მწარედ აკნინებს!

9. იმას, რასაც ჩვეულებისამებრ, ღვთისგან მოვლენილ წარღვნას უწოდებენ, სინამდვილეში უმეცარი კაცობრიობის მიერ ჩადენილი თვითმკვლელობაა, რამეთუ არსებობს ისეთი ცივილიზებულად მხეცქმნილი მტაცებლის სახეობაც, რომლის მიერ უღვთოდ იავარქმნილ ბუნებას, საკუთარი სიცოცხლის გადასარჩენად, რჩება ერთადერთი გამოსავალი_ადამიანის მოდგმის განადგურება!

10. კაცობრიობის მიერ ჩადენილ თვითმკვლელობას ნურავინ უწოდებს ღვთისგან მოვლენილ წარღვნას! გარეწარ ჯალათთა მსხვერპლი–ადამიანთა მოდგმა, ისეთივე მიუსაფარი, დაუცველი და განწირულია, ვითარცა დანარჩენი ცხოველური სახეობანი!

11. სანამ წმინდა გიორგის ხსენებას არ მოიშლის სრულიად საქართველო და ქართული მრევლი, მანამ ჩვენი მიწიერი და ზეციური გმირები გააგრძელებენ უკომპრომისო ბრძოლას, სატანის მოციქულთა წინააღმდეგ, ღვთისმშობლის წილხვედრი კურთხეული ქვეყნის სრული თავისუფლებისა და გამარჯვებისთვის!

12. რაკი ღმერთს არ სურს მიუტევოს მიუტევებელთ, მაშინ

როგორღა მოვიქცეთ, მიუტევებელთა მიმართ, ჩვენ_უბრალო მოკვდავნი?–თუკი მივუტევებთ, ამით ღვთის საწინააღმდეგო საქმეს ხომ არ ჩავიდენთ? ხოლო, თუ არა და, მაშინ ჩვენც ხომ მიუტევებელნი ვიქნებით, ისეთივენი, როგორც ისინი, ვისაც არ მიუტევებს ღმერთი???

13. რელიგიური დღესასწაულები გვამხნევებენ სულიერად, გვიმსუბუქებენ ცხოვრებისეულ ჭაპანს და გვილამაზებენ ძვირფას ახლობლებთან ურთიერთობებს, თუმცა კატეგორიულად შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ამ დღეებში ყოველგვარი შრომა და საქმის კეთება იკრძალებოდეს, რამეთუ როგორც სიტყვის თქმას ვერ აღუკვეთავ მეტყველ არსებას, ასევე საქმის კეთებასაც ვერ მოუშლი გამრჯე კაცს, რომელიც ღმერთის შრომამ და შემოქმედებამ შექმნა. თანაც არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ დასვენება მხოლოდ დაღლილს ესაჭიროება, ხოლო გადადებული საქმე კი ეშმაკისაა!

14. როცა განკითხვის დღე დადგება, უფალი არ მოკითხავს იმათ, ვინც დაეცა ეშმაკეული ცდუნების ძალით, მოკითხავს საკუთარ სამწყსოს, რომელმაც თუნდაც საკუთარი სიცოცხლის ფასად ვერ დაიხსნა ისინი საშინელი განსაცდელისგან!

15. იქ, სადაც რწმენის ნაცვლად მლიქვნელობა სუფევს, ხოლო მოყვასის სიყვარულს ცინიკური ამპარტავნება შთანთქავს, მაძღრად ნაყროვანი მამაონი გაძვალტყავებულ დამშეულ მრევლს მოძღვრავენ და ამუნათებენ, რის გამოც ღვთის ტაძარი სულის საპყრობილე დილეგადაა ქცეული და მას ეშმაკეულნი ეპატრონებიან!

16. არაფერია იმაზე უფრო არაადამიანური, სასტიკი, აუტანელი და ამაზრზენი ქმნილება, როგორც არაბუნებრივი ადამიანის მიერ გამოგონილი ღმერთი!

17. ჭეშმარიტი ცოდნა და ღვთაებრივი სიბრძნე, ისევე გამო-

უსადეგარი და უვარგისი ინსტრუმენტია, ამქვეყნიური გამორჩენა-ანგარებისთვის, როგორც წისქვილის ბორბალი ფეხის აჩქარებისთვის.

18. რელიგია ადამიანის ინდივიდუალური არსების სულიერი განსხეულებაა საზოგადოებრივი ორგანიზმის ვრცეულ ანატომიაში, რომლის გარეშეც ყოველივე აზრობრივი და მოწესრიგებული უბრალოდ აზრს კარგავს.

19. ის, ვინც ახერხებს დაემორჩილოს თავისუფლების განმსაზღვრელ, განგების მიერ დადგენილ, აუცილებელ წესებს, ღვთის მონაა, ხოლო ვისაც ამის ძალა და უნარი არ შესწევს—უძლურების ქვეშევრდომი!

20. უფალი რომ მოწყალე და გულუხვი ყოფილიყო, მაშინ ის სამართლიანი ვერ იქნებოდა!—ამაზე გამახსენდა:ამასწინათ, ერთმა გაჭირვებულმა, ჩვენებურმა გლეხკაცმა ღმერთისადმი მადლიერება ასე გამოთქვა: ვენაცვალე გამჩენო შენს წყალობასა, ჭექა-ქუხილი ვინატრე და მეხი კი დამეცა!—მერედა რატომ ინატრე მეთქი?—წვიმა რომ მოსულიყო, მაგრამ წვიმისა რა ვთქვა, სეტყვამ გამინადგურა ყველაფერი! მე კი მაინც გადავრჩი და ვაი ამ დარჩენას! მიპასუხა მან.

21. ღვისმოშიშების საკრალური ძალის გარეშე, უბიწოება სექსუალური გაუკუღმართების ყველაზე მძიმე პათოლოგია იქნებოდა, ხოლო პატიოსნება და სამართლიანობა_სიჩლუნგისა და სიძაბუნის გამოვლინება!

22. ვინაიდან არ არსებობს არც ერთი ერი, უფლის განგებით მონიჭებული, მისსიის გარეშე, არც ერთი ხალხი, ღვთისგან დაწესებული, საამქვეყნო ტვირთის გარეშე, არც ერთი საზოგადოება, მიზანდასახულად გაცნობიერებული საქმიანი ურთიერთთანამშრომლობის გარეშე, ასევე არც ერთი ოჯახი, ურთიერთსიყვარულისა და პატივისცემის გარეშე, ამიტომაც ყველა დანარჩენი, ნე-

ბისმიერ ადამიანთა სიმრავლე, უბრალოდ, წარმოადგენს სახელ-დახელოდ თავშეყრილ ნახირს, რომლის მბრძანებელი და წინამ-ძღოლიც გახლავთ ან თვით შეჩვენებული ეშმაკი, ან რომელიმე მისი მსგავსი წყეული მაჯლაჯუნა.

23. ყველა სხვა სანუკვარ საქმესთან ერთად, ქვრივმა და მარ-ტოხელა კაცმა, იმაზეც უნდა ილოცოს, რომ მისთვის განკუთვნი-ლი სიცოცხლის უმეტესი მანძილის გავლა სიბერეში არ მოუწიოს!

24. ღმერთის არსებობის დასაბუთების ონტოლოგიური არ-გუმენტი ჩემი გაგებით: "რაკი შესაძლებელია ჩემი არსებობა არა მხოლოდ ასე და ამგვარად, არამედ, აგრეთვე, ისე და სხვაგვარად, როგორც წარმომიდგენია, მაშასადამე აუცილებლად არსებობს ღმერთი, რომლის გარეშეც, ნებისმიერი რაიმეს არსებობა, უბრა-ლოდ წარმოუდგენელია."მაშასადმე, წარმოდგენა არის ღვთაებ-რივი უნარი, რომელიც მოიცავს უსასრულო ყოფიერების ყველა შესაძლებლობას.

25. ღმერთი მარტო ადამიანში შეიძლება მოკვდეს, მხოლოდ იქ და სწორედ იმ გაუკუღმართებულ, ხელოვნურად მოდელირე-ბულ ინტელექტში, სადაც მუდმივად, სიცოცხლე ფერფლივით მკვდარია, ხოლო სიკვდილი გააფთრებული მხეცივით ცოცხალი.

26. ჭეშმარიტი მორწმუნე ისაა, ვინც განსაცდელის გარეშეც ახერხებს გამუდმებით იფიქროს ღმერთზე, რათა უკეთური და საძრახისი რამ არ ჩაიდინოს.

27. უღმერთო კაცის ერთგულება და მამულიშვილობა, ისევე სარწმუნო და დასაჯერებელია, როგორც მუნჯის მჭევრმეტყველე-ბა.

28. ყოველგვარი სიზარმაცე გონით უმართავი ნებისყოფის უძლურებაა, რომლის განკურნების უებარი წამალი რწმენასა და შთაგონებაშია.

29. მიწიერი სიყვარულის განცდის გარეშე, ზეციურ სიყვარუ-

ლამდე ვერავინ ამაღლდება, მაგრამ სამაგიეროდ, ზეციური სიყვარულის ნიჭისა და ღვთიური მადლის უზიარებლად, მიწიერი სიყვარულის საბოლოო შენარჩუნება ყოვლად წარმოუდგენელია.

30. ყველაზე დიდი განსაცდელისა და შინაურთა მიერ უიმედოდ მიტოვებულობის ჟამს, უფალი ისეთი ადამიანების ხელით მოგივლენს შემწეობას, ვისგანაც საერთოდ არ ელოდები.

დაუძლურებული სხეულით ძლიერი სულის ზიდვა ისე და სხვაგვარად, ყოვლად წარმოუდგენელია,. თუმცა უფალთან თუ ხარ, პირიქით, ასე და ამგვარად, სავსებით შესაძლებელია.

31. ეს ჩვენი დალოცვილი ღმერთი, ყველა საწყალ, ღვთისნიერ კაცს, დღითი

დღე გამუდმებით უმრავლებს სხვადასხვა ჭმუნვასა და სატკივარს, ერთი მთავარი მიზეზისა გამო, რომ კურთხეული მისი სახელის ხსენება არასოდეს მოიშალოს ამქვეყნად.

32. ზომიერებას არაფერი გვერჩიოს, ყველგან და ყველაფერში, ვინაიდან თვით გადაჭარბებული ლოცვაც კი წყევლაში გადადის, ისევე, როგორც პირიქით!

33. ადამიანთა მოდგმას რომ შესძლებოდა სამართლიანი განაჩენის გამოტანა, მისთვის ყველაზე უფრო საჭირბოროტო ვითარებაში, მაშინ აბსოლუტურად აზრს დაკარგავდა ერთადერთი პირუთვნელი და ჭეშმარიტი ღვთის ზეციური სამართალი.

34. უფლის მიერ ხელქმნილი სამყაროს შეცნობა, თავიდან ბოლომდე, პრინციპულად შეუძლებელია, თვით რწმენაც კი უძლურია, თუკი მას საყოველთაობის პრეტენზია გააჩნია, ამიტომაც ყველა დიდი მოაზროვნე, მეცნიერი თუ თეოლოგი, სუყველაზე პირველად თვითონ დგება იმ გამონაკლისი, გამაოგნებელი მოვლენის წინაშე, რომლის უარსაყოფადაც, თავდაუზოგავად ცდილობდა შეექმნა ობიექტური კანონზომიერების დასაბუთებისთვის, ან პირიქით, უარყოფისთვის, რაიმე არაწინააღმდეგობრივი თეორია.

35. საერთო სარწმუნოებაზე მყოფი ორი ერის ურთიერთსიძულვილი და მტრობა, წარმოუდგენელია დიდი ხნით ისე გაგრძელდეს, რომ ამ თავიანთ სარწმუნოებას ან ერთმა არ უღალატოს და ან მეორემ; ჭეშმარიტ ქრისტესმიერ ძმებსა და დებს კი ერთმანეთის სიყვარული აუცილებლად მართებთ, რადგანაც სხვაგვარად, ისინი სჯულის კანონის თანახმად, ქრისტიანებადაც არ მოიხსენიებიან.

36. ყველაფრის თავიდან დაწყება სასურველი და გამართლებულია მხოლოდ მაშინ, როცა დანაკარგი არაფრად განაღვლებს, მაგრამ თუ აქამდე ვერ დარწმუნდი, რომ შენი განვლილი ცხოვრების გზაზე ისეთი ვერაფერი ჰპოვე, რაც ვინმეს რაიმეში ოდნავ მაინც ანაღვლებს, მაშინ უმჯობესია, ერთბაშად მიატოვო ყველაფერი და თავი უფალს მიუძღვნა, ვისთვისაც არასოდეს, არსად, არავინ და არაფერი არაა სულერთი!

37. ქმრისა და მამისგან განტევებულ, ნაცოლართა და ასულთა, უძეოდ თავშეყრილ, ოჯახურ ერთობას, არ ეცხება მადლი სულიწმიდისა, რამეთუ ქვემძრომთა საბინადრო, უდაბურ, ურწყულ, უკაცრიელ, კლდე-ღრე ხრიოკში, კეთილ-სულდგმული და ნაყოფ-ვარგისი, არავითარი რაიმე, არსით, არ იხილება.

სიკეთე- ბოროტების, ომის, ბედნიერება-უბედურებისა და წინააღმდეგობათა ერთიანობის შესახებ

1. შესაძლოა, მავანის სიკეთემ უნებლიედ გვავნოს, ხოლო სიავემ სარგებელი მოგვიტანოს, თუმცა, ამის მიუხედავად, გონიერი კაცი, თეთრსა და შავს მაინც უთუოდ გაარჩევს.

2. განსაცდელი და უბედურება ავ კაცს კიდევ უფრო აბოროტებს, ხოლო კარგ კაცს კიდევ მეტად ასპეტაკებს და აკეთილშობილებს.

3. სხვისი უბედურებით აღტაცებული მაჯლაჯუნა საკუთარ ბედნიერებას ვერასოდეს ეღირსება.

4. ყველა უბედურება და საშინელება, რაც კი აქამდე კაცობრიობას გადაუტანია და რასაც მუდმივად ვეღარ გადაიტანს, თითოეული ადამიანის გარდაუვალი და კანონიერი ხვედრია, რაც მან თავისი არსებობით განგებისგან დაიმსახურა.

5. ბოროტება ამ ქვეყნას მოევლინა ადამიანთან ერთად, თუმცა შესაძლოა, თვით ადამიანი იყოს სამყაროში ერთადერთი ბოროტება.

6. ორ ბოროტებას შორის დაპირისპირებაში ყოველთვის სიკეთე იმარჯვებს.

7. რაკიღა ბოროტმოქმედება, ცალკეულ ადამიანში, ყველა ზღვარს სცილდება, აღსასრულის დადგომამდე მას სინანულის ფიქრიც არ გაუჩნდება, სწორედ ამის გამო გვმართებს, სასწრაფოდ აღმოვუჩინოთ მას გადაუდებელი დახმარება და რაც შეიძლება, მალე მივიყვანოთ აღსასრულამდე.

8. ადამიანური მოდგმის გაკეთილშობილების იდეისთვის ბრძოლა და ფიქრი, საბოლოო ანგარიშით, იმასაც კი სასტიკად აბოროტებს, ვისაც ამის გამო ძილი და მოსვენება დაკარგული აქვს.

9. სამკვდრო-სასიცოცხლოდ მომართული ორი ავბედითი ძალის მტრობასა და დაპირისპირებაში, არასოდეს არ არსებობს არც ერთი კეთილშობილი და მართალი, არც რომელიმე მათგანის შიგნით და არც მათ გარეთ არავინ!

10. მართალია, ერთი ადამიანის მიერ მეორის ჩაგვრა საშინელი დანაშაულია, მაგრამ მაინც არც ერთი დაჩაგრული არც ერთ მჩაგვრელზე უკეთესი არაფრით არ არის.

11. გადამწყვეტი ბრძოლის მოგება, მიმდინარე ომში, საბოლოო გამარჯვებისათვის, საკმარისი მაინც არ არის, თუკი, მოჩვენებითი სიმშვიდის მდგომარეობით, მუდმივი ომის მზადყოფნაში არ ვიმყოფებით.

12. მუქარა, ეს არის ხმამაღალი ფიქრი, რომელიც ნებისმიერი ხელსაყრელი პირობის არსებობის ვითარებაში, გათვალისწინებული მოლოდინის ფარგლებში განხორციელდება!

13. სანამ ჩვეულებისამებრ, ომს ღიად გამოგვიცხადებდნენ, ის, როგორც წესი, უკვე დიდი ხნის დაწყებულია! ასე იქნება ახლაც, ამ მორიგ, მესამე მსოფლიო ომშიც....

14. კაცობრიობა, სანამ ის ცოცხალია, ომს ვერ დაამთავრებს, რადგანაც ომი მისი სასიცოცხლო, ბუნებრივი მოთხოვნილებაა. ომი, რა თქმა უნდა, ადრე თუ გვიან, დაამთავრებს კაცობრიობას, ისევე, როგორც ცალკე აღებულ ყველა სხვა ბუნებრივ ქმნილებას, მაგრამ ამას ისე არ გააკეთებს, რომ სიცოცხლის უფრო მაღალი სახეობის წარმოქმნას არ დაუდოს დასაბამი, რამეთუ ომი, ისევე, როგორც უნივერსალური კოსმიური სიყვარული, უფლის უმაღლესი განჩინებაა!

15. ყველა ომი კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი უდიდესი დანაშაულია, ამიტომაც ყველა ომის მონაწილე დამნაშავეა, თუმცა ის, ვინც ასეთნაირ ომებს საზოგადოდ თავს არიდებს, ყველაზე დიდი ბოროტმოქმედი და გარეწარია! ამრიგად, ომი ერთადერთი და საყოველთაოა, რის გამოც, მისი გადატანა, თითოეული ჩვენთაგანის საღვთო ვალდებულებაა!

16. კეთილშობილად მხოლოდ მას შეუძლია დარჩეს, ვინც, დიდსულოვნების მეოხებით, უმადურობასთან გამკლავებას შეძლებს.

17. მთელი კაცობრიობის უბედურების არსი მდგომარეობს იმაში, რომ ადამიანები, მთელი თავიანთი შეგნებული მიზანსწრაფულობით, მომართულნი არიან არა ერთმანეთის შესავსებად, არამედ ერთმანეთის შესაცვლელად.

18. არც ერთი შემთხვევა მოულოდნელი არაა იმდენად, რამდენადაც ყველა საშინელება და უბედურება ნებისმიერ დროს მოსალოდნელია!

19. რაც უფრო ვუახლოვდებით ათწლეულობით ნანატრი სიმშვიდისა და მყუდროების განცდას, მით უფრო მძლავრად გვითრევს და გვიპყრობს მადისაღმძვრელ ცდუნებათა გრაგნილში ამოყირავებული ქარბორბალა. კი, მართალია, ამ გაუთავებელი ტანჯვა-წვალების წუთისოფელში, ვერაფერი შეედრება თავდავიწყებამდე მისულ ნეტარებას, თუმცა საბოლოოდ, ისე მაინც არ უნდა ვქნათ, რომ ამ სანუკვარი სიმშვიდისა და მყუდროების ნაცვლად, ჩვენს სულში უნებური სინანულისა და სასოწარკვეთილების სამარისებურმა სიჩუმემ სამუდამოდ დაისადგუროს!

20. რაც უფრო აუტანელი და მძაფრია ჩვენს თავს დატეხილი საშინელება და უბედურება, მით უფრო მშვენიერი და დიდებულია ეს სამყარო!

21. ყველა მასობრივ ჩხუბსა და ალიაქოთში, სადაც გამშველებლებს მოჩხუბრებზე მეტი ხვდებათ, წამქეზებლები საერთოდ არ მონაწილეობენ!

22. მთელი კაცობრიობის უბედურებაც ისაა, რომ ხელოვნების ნაწარმს ბევრად უფრო მეტი თაყვანისმცემელი ჰყავს, ვიდრე ბუნებრივ ქმნილებას, ვინაიდან ბუნებრივი მშვენიერება, ადამიანური თვალთახედვით, მუდამ შეუღწევადი და შეუფასებელია!

23. თუ ბედნიერების განცდის ერთი წუთი შენს სიტყვაზეა დამოკიდებული, დაუშურველად გამოთქვი, ისე, რომ ნუ დაიწყებ იმის გამოთვლა-დაანგარიშებას, თუ რამდენი გაუთვალისწინებელი წყენა და უსიამოვნება შეიძლება მოჰყვეს ამას, ვინაიდან ბედნიერების წუთები ისედაც თითებზე ჩამოსათვლელია, ხოლო უსიამოვნებანი და წყენანი კი განუსაზღვრელი!

24. ვინც თანადგომისა და დახმარებისთვის გამოწვდილ ხელს ზურგს აქცევს, მაშასადამე ის, არა მარტო შერიგებაზე უარს ამბობს, არამედ მოსალოდნელი ომისთვის მზადყოფნასაც საქვეყნოდ, ღიად აცხადებს!

25. ყველაზე დიდი სიბრძნე და წინდახედულება, სწორედაც ომის დიადი ხელოვნების დაუფლებაა, რომლის მიხედვით, მოწინააღმდეგის არჩევანშიც გვმართებს გარკვევა, იმისათვის, რომ ისეთი მეტოქე არ შევარჩიოთ, ვისთან ბრძოლაშიც, ჩვენს ცხოვრებას და მოღვაწეობას ყოველგვარი აზრი დაეკარგება.

26. საბრძოლო იარაღი მარტო ისაა, რისი ფლობაც შეგვიძლია, დანარჩენი, სხვა ყველაფერი, უძლურებისგან მოჭარბებული შიშის ხელსაწყოა.

27. თუ მართლა შარიანი ხარ, რომც არავინ დაგეჯახოს, უხიაგი სიტყვა არ გაკადროს, არც დაგემდუროს, არც არაფერი გთხოვოს, საერთოდაც არ შეგხედოს.... მოკლედ, როცა სხვას ვერ იპოვი, საკუთარ ანარეკლზე მაინც იყრი ჯავრს და გაუწყრები, იმის გამო, რომ ის შენგან განსხვავებით, ავი თვალით მარტო შენ გიყურებს, ან იმდენად ტუტუცია, რომ გამოღვიძებაშიც გასწრებს და რაც მთავარია, შენს ჯინაზე უფრო ადრე იმიტომ დგება, რომ ცუდ ფეხზე შემოგხვდეს.

28. ის, რაც უკვე გადატანილ ცუდზე უარესია, უკეთესია იმდენად, რამდენადაც აუტანელია!

29. ადამის ნაშიერთა მიერ გამჟღავნებული, თანდაყოლილი პათეთიკური ხიბლი და ტრფიალი აურაცხელი სახეობის საბრძოლო იარაღთა მიმართ, ხანდახან მაინც გვაფიქრებინებს, რომ ეს მთელი ჩვენი აპოკალიფსური მოდგმა ვერასოდეს დააღწევს თავს ტრაგიკული სისხლიანი მსხვერპლშეწირვის დაუოკებელ წყურვილს და ურთიერთგაჟლეტის მხეცური ჟინით აღტყინებულ ეიფორიას! აი, მთელი საზიზღობის სამსალა, დუღაბი და ჭუჭყიანი მასალა, საყოველთაო სულიერი განწმენდის კათარზისული დასუფთავების ჰიგიენური ფარსის პროპაგანდის გასაქარწყლებლად.

30. კოღოები რომ არ იკბინებოდნენ, შესაძლოა მათი არსებობის შესახებ არც არაფერი გვცოდნოდა! ამიტომაც რაც მეტ ზიანს

მოგვაყენებენ ეშმაკის პატარა მიმდევრები, მით უფრო მეტი ცოდნით და გამოცდილებით შეგვაიარაღებენ თვით ყველაზე დიდი ეშმაკის წინააღმდეგ წარმოებულ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში!

31. აფორიაქებული სულისგან გახელებული სხეული აუტანელი ტკივილია, ლტოლვილი სულისგან მიტოვებული სხეული გვამია, ხოლო კეთილშობილი სულის სიწმინდით დამშვიდებულ-დაამებული სხეული კი, კვარცხლბეკზე აღმართული ჭეშმარიტი ტაძარია, რომელსაც ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ მოერევიან! ვიზრუნოთ, ვიდრე მასში ვართ, თორემ მის გარეთ საზრუნავიც არაფერია.

32. ნამდვილი ბედნიერება სხვა არაფერია, თუ არა უახლოეს ადამიანთა მდგომარეობისგან გამოწვეული ზრუნვა, დარდი და საჭმუნავი!

33. ნუ ვიქნებით უმადურნი იმ მოშუღართა მიმართ, რომელნიც რაც უფრო ძალუმად გვექაჩებიან დაბლა, უფსკრულისაკენ, მით უფრო მარჯვედ გვეწევიან მაღლა, მწვერვალისაკენ!

34. რამდენადაც არ ძალგვიძს, გავაკეთოთ ის, რისი გაკეთებაც გვევალდებულება, იმდენადვე ხელგვეწიფება გავაფუჭოთ ის, რისი გაფუჭებაც გვეკრძალება!

35. იმას მაინც თუ ვამჩნევთ, ეს ჩვენი შეჩვენებული ხალხი როგორი გამეტებით და გამუდმებით ესვრიან ერთმანეთს ამდენი ნაშალი ქვებისა და ნამსხვრევების გროვას აქეთ-იქით, მაშინ მაინც ხომ უნდა მივხვდეთ, თურმე რამხელა ნანგრევების ქვეშ ვყოფილვართ მოტნეულნი?!

36. ყველაფერი, რაც ნანგრევებზე იგება და შენდება, მასზე უკეთესი არ არის.

37. გარდაუვალი უბედურების შიშს შეუძლია ხელი აგვაღებინოს სანუკვარ ბედნიერებაზე, რამეთუ მთელი კაცობრიობის

უდიდესი ნაწილისთვის, სამოთხის ხანმოკლე წუთების დასასრული უთავბოლოდ გაჭიანურებულ ჯოჯოხეთზე უარესია!

38. წაგებულ ომში დამარცხებული მთავარსარდალია, ხოლო მოგებულ ომში გამარჯვებული ჯარისკაცი!

39. დიდი გონების ჭეშმარიტი საზომისაკენ_ უმოკლესია ერთადერთი გზა ომისაკენ!

40. საკუთარი თავის მიმართ ულმობელი სხვისი მწყალობელია, თუმცა არც ერთ ასეთ წყალობას არავისთვის სიკეთე ჯერ არ მოუტანია!

41. როცა საკუთარ ომში გამოვლენილი უგუნურობა და სიმხდალე წინ უძღვის სხვისი ომების "სიბრძნისმეტყველურ სიმამაცეს", ასეთ სტრატეგიას, წინასწარ პროგნოზირებადი შედეგის მიღწევაში, წინ ვერაფერი აღუდგება.

42. კეთილმადლიანი და სანუკვარი საქმის შემოქმედის ღვთივკურთხეულ, გაცისკროვნებულ ნამოღვაწარს, შურიანი და გონებაშეზღუდული ხალხი, უმალ გამოუყვანდა წირვას, ცალკეულ ვისმეს, მავან ცბიერსა და ვერაგს, მისი ბოროტად გამოყენების ბნელი ზრახვები რომ არ ამოძრავებდეს.

43. როგორი თანმიმდევრობით და მოცულობითაც არ უნდა გადაფასდეს, ან გადანაწილდეს მამათა და დედათა შიდა ოჯახური, თუ საერთო საზოგადოებრივი უფლება-ვალდებულების ხვედრითი წილი, ზვარაკად შეწირულ, კეთილსინდისიერ პიროვნებათა ქანც-გამწყვეტ ტვირთს იოტისოდენი მისხალ-ნატამალიც არ დააკლდება.

44. სადაც კაცი ფლობს ძალაუფლებას, იქ ყოველთვის ჩანს საზოგადოების კეთილდღეობისთვის მისი გამოყენების ნათელი პერსპექტივა; და თუ პირიქით, ძალაუფლება იპყრობს კაცს, არ არსებობს არავითარი სხვა გასაქანი და მისწრაფება, გარდა ამ ტიპის ძალაუფლების ბოროტად გამოყენების დაუოკებელი წყურვილისა.

45. არც ერთ სხვა მეტოქესთან ჭიდილს არ ესაჭიროება იმოდენა ძალგულოვნება და შემართება, რამდენიც საკუთარ უძლურებასთან გამკლავებას.

46. თავიანთი უდრტვინველი სიმშვიდისა და უსულგულობის გასახანგრძლივებლად, ახლანდელი ანტიეროვნული მთავრობები, საკუთარ დანაშაულებრივ ომებში, სრულიად უდანაშაულო ხალხებსაც ითრევენ.

47. თაობათა დაპირისპირებაში, სამართლიანად და დამსახურებულად, მარტოდენ ის კეთილგონიერი თაობა გაიმარჯვებს, რომელიც, ასეთნაირი სახის დაპირისპირებასა და ბრძოლაზე, უარს განაცხადებს.

48. თუ საკუთარ თავთან ნამდვილ ომს აპირებ, მოკავშირეებს ნუ დაელოდები, მაგრამ ნაცვლად ამისა, თუ მეტოქესთან ბრძოლას, დროებითი მარცხის შიშით განერიდები, ეს შიში სამუდამოდ დაგამარცხებს!

49. ადრე, როცა კაცს თავზე უბედურება დაატყდებოდა, ხალხი სეირის საყურებლად მაინც შეიყრებოდა და, მათ შორის ვიღაც მადლიანი, სასიკეთოდ თავსაც გამოიდებდა; ამჟამად კი, ამ თვალუწვდენელ სოციალურ ქსელებში შთანთქმულ მწერქმნილ არსებებს სეირი აღარ ესაჭიროებათ, რამეთუ ისინი კაციჭამია ობობების ავბედითი სიახლოვის მოლოდინში არიან გატრუნულები.

50. ბედნიერება იმდენად რთულია, რომ ხალხი მასიურად უარს ამბობს მასზე და ამჯობინებს იოლი გზით ცხოვრებას, რომელსაც საბოლოოდ ჩალის საღირალიც კი არ გააჩნია.

51. კანონიერი მსჯავრის აღსრულებამდე, ყველა მხილებული ბოროტმოქმედი, მართალ კაცთან ანგარიშსწორების მიზნით, კიდევ ერთი ისეთი ბოროტების ჩადენას ცდილობს, რომელიც შესაძლოა, წინანდელ დანაშაულებთან შედარებით, უმძიმესი იყოს.

52. წარმოიდგინეთ, რა ბედნიერი იქნებოდა ნებისმიერი ჩვენთაგანი, თუკი ყველაზე უფრო ხშირად სწორედ იმათ არ ვატკენ-

დით გულს, ვის გარეშეც სინამდვილეში არსებობა არ შეგვიძლია.

53. ის, ვინც სიბერისგან დაუძლურებულ ბოროტმოქმედს გაკეთილშობილებულად მიიჩნევს, თვით ყოველი კეთილშობილი კაცის ნამოღვაწარსაც სულ იოლად ივიწყებს.

54. ყველა, ვინც ყოველთვის ხელაღებით გამორიცხავს შეთქმულების თეორიას, თვითონ გახლავთ სულ მცირე, ერთ-ერთი, რომელიმე შეთქმულების აქტიური მონაწილე და თანამზრახველი მაინც!

55. თუ არ გვინდა მოწინააღმდეგესთან არსებული ცუდი ურთიერთობის კიდევ უფრო გაუარესება, ამისთვის აუცილებელია მისი მორიგი შეტევის წარმატებით მოგერიება!

56. არსებული სინამდვილის წინააღმდეგ მიმართული ყველა მეამბოხე, ადამიანის ცხოვრების აზრის გამუდმებულ ძიებაში, აღიჭურვება იმ სახის ღირებულებებითა და იდეალებით, რითაც ხსნას ჰპოვებს სამყაროს ღვთაებრივი დასაბამის მისტიურ წარმოსახვაში.

57. საყოველთაო ზიზღისა და სიძულვილის ღირსია ის ხალხი, ვისაც განსაკუთრებით აღაშფოთებს და მოსვენებას უკარგავს მავანთა კეთილშობილება და საქმენი სიქველენი, მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ არ უყვარს.

58. ბოროტი ფიქრი, შხამიან საკვებზე მეტად, ერთიანად აავადებს და წამლავს ადამიანის სულსა და სხეულს, ამიტომაც ასეთი ავადმყოფი ვერავითარი ექიმითა და წამლით ვერ განიკურნება, სანამ მის სულხორციელ არსებაში ბინადარი მხეცი საბოლოოდ არ განიდევნება.

59. ვერავინ ვერასოდეს ჩაწვდება სხვისი უბედურების არსს, მისი ბედნიერების ნამდვილი მიზეზის შეუტყობლად, რადგან მართალია, ადამიანთა უმეტესობა საკუთარ უბედურებაზე ხმამაღლა გაჰყვირის და მოსთქვამს, თუმცა ბედნიერების შესახებ, ხმაგაკმეტილი და სულგანაბული სდუმს.

60. თავიდან ბოლომდე რომ ჩაწვდე ამ ცხოვრების ყველა იმ დიდ საშინელებას და უბედურებას, რაც საყოველთაოდ და მხოლოდ ფულის გამო ხდება, საჭიროა ბევრად უფრო მეტის გადახდა, მოცემულ შესაძლებლობასთან შედარებით.

61. უცხო ქვეყნის მიწაზე, დამპყრობთა რიგებში, ომი და სიკვდილი, არის თვითმკვლელობაზე უარესი ცოდვა და დანაშაული, ღმერთისა და ერის წინაშე!

62. სასურველ მშვიდობას მხოლოდ ის ხალხი იმკვიდრებს, ვინც მოსალოდნელი ომისთვის მუდმივმზადყოფნაშია.

63. ომია ერთადერთი მკურნალი მთელი კაცობრიობის სულიერი გაჯანსაღებისა და გაკეთილშობილების საქმეში, მის გარეშე, თითოეული ადამიანისთვის დაკარგულია ადამიანობის ჭეშმარიტი დანიშნულება და ფასი, ამიტომაც უმჯობესია, ისევ ადამიანებმა იომონ ერთმანეთში, ვიდრე ისინი აღმოჩნდნენ ბუნების შინაგან კანონებთან ძირეულ დაპირისპირებაში; რა იქნებოდა რომელიმე საუკუნე, უსასტიკესი ომების გარეშე?–აბსოლუტურად არაფერი, ის გარდაიქმნებოდა დრო-ჟამის განუწყვეტელი სრბოლისგან განტევებულ, უბადრუკ მაჩანჩალად, უძლურ, უპერსპექტივო, საბოლოოდ განწირულ, ბჟოლის ნეშოდან მოსხლეტილ და ძირს დაგდებულ აბრეშუმის ჭუპრად, ამიტომაც ისტორიისთვის ყოვლად წარმოუდგენელია ასეთი საუკუნე, რამეთუ სხვაგვარად, კაცობრიობა ვეღარ იარსებებდა.

შიშის, სიმამაცის, საყოველთაო საშინელებათა საფრთხეებისა და საშველის შესახებ

1. არაფერი ისე არ ხიბლავს ფათერაკების მოყვარულ ადამიანს, როგორც ადრეულ ბავშვობაში გაღვიძებული მხეცის გაბედულება და სითამამე!

2. არც ერთი შემთხვევა მოულოდნელი არაა იმდენად, რამდენადაც ყველა საშინელება და უბედურება ნებისმიერ დროს მოსალოდნელია!

3. ვისაც სიკვდილის არ ეშინია, ის თვით სიკვდილზეც კი, ბევრად უფრო საშიშია!

4. ნუგეშისცემა გვმართებს არა, საკუთარი სასიცოცხლო სტიქიებისგან, საიდანაც უშუალოდ მომდინარეობს ყოველგვარი საშიშროება, არამედ იმ უვარგისი საფრთხობელებისგან, რომლებიც ასგზის მაინც აღემატებიან იმას, რაც თავისთავად საშიშია!

5. განა შესაძლებელია, ისეთმა ვინმემ მოახერხოს გამძვინვარებული დათვისთვის ბაბაიას დაძახება, ვისაც მის დანახვაზე შიშისგან ენა მუცელში ჩაუვარდება?!

6. გარდაუვალი უბედურების შიშს შეუძლია ხელი აგვაღებინოს სანუკვარ ბედნიერებაზე, რამეთუ მთელი კაცობრიობის უდიდესი ნაწილისთვის, სამოთხის ხანმოკლე წუთების დასასრული უთავბოლოდ გაჭიანურებულ ჯოჯოხეთზე უარესია!

7. იმას, რასაც არსებობა შეუძლია ამოსაწყვეტად და დასაღუპავად, ამოწყვეტისა და დაღუპვის გარეშე ვერ იარსებებს!

8. ყველაზე დიდი და საშინელი მუქარა მაინც სიცოცხლის დასაბამიდან მოდის, რომელიც ამ უკიდეგანო სამყაროს სიკვდილითაც არ დამთავრდება!

9. ზედმიწევნით უტყუარი, ეჭვგარეშე საბუთია ის, რომ ცოცხალ არსებათა აბსოლუტურ უმრავლესობას თუ არა, სულდგმულთა მნიშვნელოვან ნაწილს მაინც, გაჩენისთანავე აღენიშ-

ნებათ გაუცნობიერებლად თანდაყოლილი შიშის შემაძრწუნებელი განცდა, რაც წინა, დაბადებამდელი და სიკვდილის შემდგომი, ყოფა-ცხოვრების განუწყვეტელი მსვლელობის კიდევ ერთი ცხადი დასტურია.

10. შიშებთან უნუგეშოდ წილნაყარი აზროვნება, რამდენადაც უძლურია, თვითდინების ძალით, შემოქმედების ღია სარბიელზე თავისუფალი გასაქანი ჰპოვოს, იმდენად იძულებულია, დამფრთხალი ლოკოკინასავით, თავისავე გავაზნექილად დაშენებულ ნიჟარაში უკუღმა შეიჩურთოს, რათა მთელი მისი დარჩენილი, გატიალებული ცხოვრება, ყოვლად უჟმურ, მოსაწყენ ერთფეროვნებაში დაშრიტოს.

11. თუ საკუთარ თავთან ნამდვილ ომს აპირებ, მოკავშირეებს ნუ დაელოდები, მაგრამ ნაცვლად ამისა, თუ მეტოქესთან ბრძოლას, დროებითი მარცხის შიშით განერიდები, ეს შიში სამუდამოდ დაგამარცხებს!

12. რაოდენ კარგია, როცა ვასწრებთ ყველას და ყველაფერს, თუმცა რა უნდა ვიღონოთ მაშინ, როცა მშველელს ამის გამო აგვიანდება?!

13. ვინც მარტოდენ ჯოჯოხეთის შიშით ლამობს საკუთარი თავის გაკეთილშობილებას, ცხონების ღირსი არაა, სამაგიეროდ, ვისაც, სიყვარულისა და სიმართლისთვის, ძალუძს უყოყმანოდ გადაეშვას მდუღარე კუპრში, მან უკვე სიცოცხლეშივე დაიმკვიდრა ადგილი სამარადჟამო სასუფეველში!

14. ბრიყვული გულარხეინობითა და მოწყალებით, ნებაზე გაშვებული პატარა ნადირი, ყოველგვარი ზედმეტი დროის დაუხანებლად, ხელში უზარმაზარი მხეცის მრისხანებას დაგაჭერინებთ!

15. მიტოვებულ სახლებსაც გააჩნიათ კანონიერ მეპატრონეთა დაბრუნებისთვის განსაზღვრული ლოდინის ვადები, რომლის

ამოწურვის შემდეგ, ასეთი სახლები არა მარტო საცხოვრებლად გამოუსადეგარია სხვა ბინადართათვის, არამედ საშიშიცაა მათი სიცოცხლისთვის.

16. ყველაზე გაჭიანურებული საქმეებისგან თავისდაუღწევლობის ნამდვილი მიზეზი, საფრთხის მოლოდინთა გამძაფრების ქვეცნობიერი მისწრაფებით განისაზღვრება, რაც ზედმეტი სიფრთხილის გრძნობით დახშულ-დაგმანული წინდახედულობის უქონლობის ბრალია.

ადამიანის არსების, ძალისა და უძლურების, საერთო უნარ-ჩვევებისა და იშვიათ თავისებურებათა შესახებ

1. რაც უმცირესია დაფარული, მით უმრავლესია გაუმჟღავნებელი.

2. თუ კი ხანგრძლივი ჭაპანწყვეტის გაგრძელების ენერგია და ნებისყოფა ისევ ძველებურად შეგრჩენია, მაშასადამე ცხოვრების ხელახალი დაწყება კვლავაც ახლებურად შეგძლებია!

3. რაც უფრო ნაკლები მიზეზი გვრჩება სიხარულისა და დროსტარებისთვის, მით უფრო მეტად უფასურდება გლოვისა და მწუხარების ბუნებრივი განცდა.

4. კაცი, რომლის სულსა და სხეულში, ჩასახლებულია უმართავი, შეუკავებელი ძალა, წარმოადგენს არა აღნიშნული ძალის ბატონ-პატრონს, არამედ მის ერთ-ერთ უმწეო და უსუსურ მძევალს, ან ტყვე-პატიმარს.

5. თუკი ადამიანი საკუთარ ტკივილსა და სიამოვნებაზე ვერ ამაღლდა, იგი საბოლოოდ განწირულია, რამეთუ ნებისმიე-

რი უკიდურესი ტკივილი, რომელიც საბოლოოდ გადაიზრდება სიამოვნებაში–საზიზღარი მაზოხიზმია, ხოლო ნებისმიერი უკიდურესი სიამოვნება, რომელიც აუცილებლად აღწევს ტკივილამდე–ამაზრზენი სადიზმი.

6. რასაც გაეკარები, მისი გამავრცელებელი ხდები!

7. თუ ვარგებული და სარგებლიანი ხარ, ბავშვობაც, ახალგაზრდობაც, და სიბერეც თავთავისებურად ძვირფასი და განუმეორებელია, ხოლო უვარგისად და უსარგებლოდ დღე-მოთეული ხალხი, ერთნაირად უშნო, უგაბავი, აუტანელი, საყოველთაოდ ნაცადი და გაგონილი ჭირია.

8. რაც უფრო ვუახლოვდებით ათწლეულობით ნანატრი სიმშვიდისა და მყუდროების განცდას, მით უფრო მძლავრად გვითრევს და გვიპყრობს მადისაღმძვრელ ცდუნებათა გრაგნილში ამოყირავებული ქარბორბალა. კი, მართალია, ამ გაუთავებელი ტანჯვა-წვალების წუთისოფელში, ვერაფერი შეედრება თავდავიწყებამდე მისულ ნეტარებას, თუმცა საბოლოოდ, ისე მაინც არ უნდა ვქნათ, რომ ამ სანუკვარი სიმშვიდისა და მყუდროების ნაცვლად, ჩვენს სულში უნებური სინანულისა და სასოწარკვეთილების სამარისებურმა სიჩუმემ სამუდამოდ დაისადგუროს!

9. როცა ადამიანი სხვადასხვა საქმეებით იმდენად ერთობა, რომ ქეიფისა და დროსტარების სურვილიც აღარ რჩება, ის უკურნებელი, ქრონიკული ნევრასთენიითაა შეპყრობილი.

10. დასვენების ჟამს, მომქანცველი შრომის შესახებ ფიქრი ბევრად უფრო მეტად ღლის კაცს სულიერად, ვიდრე თავად ის სამუშაო, რომლის ფიზიკური ამტანიანობაც ამ ფიქრის მერე, განსაცდელად საოცრად მსუბუქია.

11. ნებისმიერი რამ, რაც გარეგნული თვალთახედვით, ძალდატანებით მიიღწევა, ყოველივე, უკლებლივ, შინაგან უძლურებას ექვემდებარება!

12. თუ კაცი თავისავე ფიქრში არ წახდა, მას ვერავითარი საქმე ვერ წაახდენს!

13. ნებისმიერი გამჟღავნებული ძლიერება აუცილებლად დაუძლურდება და ადრე თუ გვიან დაიძლევა რომელიღაც გაუმჟღავნებელი ძალის მიერ!

14. უმჯობესია შეგიწიროს უკუღმართი საქმის ჩადენამ, ვიდრე უკუღმართი საქმის ჩადენის დაუოკებელი ჟინის განუხორციელებლობამ!

15. ყველაზე საუკეთესო ამბავი, რაც კი ოდესმე სადღაც მოგისმენიათ, არის ის დაუჯერებელი რამ, რაც თვითონ აქამდე არსად არ გადაგხდენიათ!

16. მართალია, ბევრჯერ ახლანდელი ფრჩხილის ტკივილი ადრინდელ თავის ტკივილზე უფრო მძაფრი და აუტანელია, თუმცა შედარებაზე თუ მიდგება საქმე, უთავოდ დარჩენასთან, არამც თუ უფრჩხილობა,არამედ თვით უხელ-ფეხობაც კი რა მოსატანია?!

17. დღესდღეობით ნამდვილ ცხოველში უფრო მეტია ადამიანური, ვიდრე თვით ნამდვილ ადამიანში, ისევე, როგორც ნამდვილ ადამიანში უფრო მეტია მხეცური, ვიდრე თვით ნამდვილ მხეცში!

18. ადამიანური მოდგმის გაკეთილშობილების იდეისთვის ბრძოლა და ფიქრი, საბოლოო ანგარიშით, იმასაც კი სასტიკად აბოროტებს, ვისაც ამის გამო ძილი და მოსვენება დაკარგული აქვს.

19. ყველგან, სადაც მიმდინარეობს გამუდმებული ცდები და ექსპერიმენტები ადამიანის ახალი რაციონალური სახეობის შესაქმნელად, ნამდვილი ადამიანისთვის ცალი ფეხის ჩასადგმელი ადგილიც აღარ რჩება.

20. ერთადერთი ძილია, რაც არ იწვევს მოწყენილობას და დაღლილობას, თუმცა ავ სიზმართაგან განრიდება და მოსვენება მაინც არ გვაწყენდა!

21. გაუკუღმართებული სექსის მოთხოვნილებაში გადაზრდილი ხორციელი ლტოლვა, სიმახინჯის ისეთივე გულისამრევი, და საზარელი მოვლენაა, როგორც მძორის ჭამა!

22. შეუძლებელია გავეცალოთ ყველა არასასურველ მდგომარეობას, ამიტომაც, არც თუ იშვიათად გვიწევს, უკეთ შეგუებისა და თმენის ვალდებულებით, ზოგიერთი მათგანის სასურველად გარდაქმნა.

23. მას შემდეგ, რაც ადამის მოდგმამ არავითარი ძალისხმევა არ დაიშურა იმისთვის, რომ საკუთარი ფიზიკური სხეული მასში ჩასაყდრებული სულის საპყრობილედ ექცია, გალიებსა და ორანჟერიებში ცოცხალი ბუნების გამოკეტვის დაუოკებელმა ჟინმა, მისი არსება, ერთგვარი სამოქალაქო კეთილდღეობისა და კმაყოფილების ეიფორიით აღავსო; რაც ზედმიწევნით განასახიერებს უმთავრეს მიზეზსა და ძირითად საფუძველს, ამდენ გამრუდებულ კაცთა ცნობიერებისა, რომელიც ერთბაშად უგულებელყოფს იდუმალი ყოფიერების საზრისის გაგებას და ამის სანაცვლოდ, ყოველ მათგანთა მოკლე ჭკუის შესაფერი, საცირკო სანახაობებით თვალ-სეირობს.

24. უკიდურეს განცხრომამდე მიმართული აღგზნება, დაცხრობისთანავე გარდაიქმნება, ასევე უკიდურეს სასაწარკვეთილებამდე, გამძაფრებულ გაღიზიანებად, რაც იმას ნიშნავს, რომ რაც უფრო მატულობს სიამოვნების განცდა, მით უფრო კნინდება ნებისყოფის ძალა და გარდაუვალი სატანჯველიც სრულიად აუტანელი ხდება!

25. ბავშვური გატაცებანი ყოველთვის დაკავშირებულია რაღაც ხმაურთან და აურზაურთან, ხოლო ეს ყოველივე–ნგრევასთან, რღვევასთან, შეჯახებასა და აფეთქებასთან; აღნიშნული მისწრაფებანი ბავშვებთან ერთად იზრდებიან და ვითარდებიან, ქვეყანას წალეკვითა და ქვა-ქვაზე არდატოვებით ემუქრებიან, რა-

მეთუ ამ დაუსრულებლად მზრდ ბავშვურ ახირებას მუდმივად ეწირებიან გონითი წესრიგიდან წარმოებული ცალკეულ-ინდივიდუალური ნებისყოფანი, რომელთა შორის, მხოლოდ ერთადერთ, განსაკუთრებულად გამონაკლის მათგანს, უფლის მადლითა და შემწეობით, ხელეწიფება თვითშენახვა, ბედისწერასთან თანხმობა და სულ-ხორციელი ჰარმონიის დამკვიდრება.

26. ვინაიდან ნებისყოფას ერთიანად განსაზღვრავს, სხვადასხვა საჭიროებათა მიმართ, შინაგანი მოთხოვნილების სიჭარბე, ამიტომაც, სადაც ნამდვილი მისწრაფებაა, იქ სიზარმაცისთვის ადგილი არც მოიძებნება.

27. მოზღვავებულ პრობლემებსა და სირთულეებს უმკლავდება არა ვიღაც გარე სუბიექტთა მზამზარეული რეცეპტის მიხედვით შემუშავებული მეთოდოლოგია, არამედ ნებისყოფა, ბრძოლისუნარიანობა და დაუშრეტელი რწმენა.

28. ამ ალთა-ბალთას მიდებ-მოდებული მოდის აყოლა ყველაზე უფრო გონებრივად თვალდახუჭულ და უკიდურესობამდე ჩამორჩენილ ხალხს სჩვევია.

29. ადამიანი მხეცქმნილი ცხვრის უცნაური ჰიბრიდია, რომლის ორთავე ბუნება და ხასიათიც მისივე საბედისწეროდაა მომართული: მხეცია იმიტომ, რომ აქამდე ღმერთსაც კი ვერ მოუთვინიერებია, ხოლო ცხვარი მაშინ ხდება, როცა ეშმაკს ერთ ულუფადაც არ ყოფნის.

30. ერთერთი საგულისხმო თვისება, რითაც ადამიანი განსხვავდება მაიმუნისგან, არის მისი კერპთაყვანისმცემლობა, რომლის გარეშეც ის ყოველნაირად უძლური და უმოქმედოა; ჩვენი ანთროპო-სოციალური სახეობის შედარებით მცირე ნაწილი ძველ კერპებს მისტირის, ხოლო უმეტესი ნაწილი–ახალ კერპთა აღმშენებლობის მანიითაა შეპყრობილი. კერპთაყვანისმცემლობას ემსახურება ყოველგვარი აგიტაცია, პროპაგანდა, იდეოლოგია და რაც მთავარია, მასმედიასა და სოციალურ ქსელებში განთავსებული

რეკლამა, რომლის გარეშეც, დღევანდელი ადამიანი, უბრალო მაიმუნისგან განსხვავებით, ბანანსაც კი ვერ დააგემოვნებს გემრიელად, სანამ ამისთვის საგანგებო ნებართვას არ აიღებს საკუთარი მბრძანებელი კერპისგან; მაიმუნს კი, ბანანის სასუსნავად, არავითარი კერპი არ ესაჭიროება!

31. თუ მართლა შარიანი ხარ, რომც არავინ დაგეჯახოს, უხიაგი სიტყვა არ გაკადროს, არც დაგემდუროს, არც არაფერი გთხოვოს, საერთოდაც არ შეგხედოს.... მოკლედ, როცა სხვას ვერ იპოვი, საკუთარ ანარეკლზე მაინც იყრი ჯავრს და გაუწყრები, იმის გამო, რომ ის შენგან განსხვავებით, ავი თვალით მარტო შენ გიყურებს, ან იმდენად ტუტუცია, რომ გამოღვიძებაშიც გასწრებს და რაც მთავარია, შენს ჯინაზე უფრო ადრე იმიტომ დგება, რომ ცუდ ფეხზე შემოგხვდეს.

32. სანამ სინანულით, აქეთ-იქეთ თავს გავაქნევდეთ და უკან მოვიხედავდეთ, მანამ არამც და არამც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ გონივრულად და მიზანსწრაფულად წარმართული იმედები ბუნებრივად ჩაისახებიან ფუჭი ოცნებების გარდაუვალი იმედგაცრუების გზით!

33. ვერც ერთი მიმბაძველი, ვერასოდეს გახდება თავის რომელიმე მისაბაძზე უფრო უკეთესი!

34. "გველსა ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარიო"_ უთქვამს დიდ რუსთველს და რა თქმა უნდა, ამაში სადაო არაფერია, მაგრამ გვინდა ახლა ჩვენ, ამდენი ქვეწარმავლის გამოყვანა თავთავიანთი სოროებიდან?–განა, უმჯობესი არ იქნება, საგანგებო მოწვევისა და მოპატიჟების გარეშე, ისევ იქ, იმავე ხვრელებსა და ჯურღმულებში, უდრტვინველად ეყარონ?!

35. დაჟინებული ცნობისმოყვარეობა ახასიათებს ბავშვსაც და მოზრდილსაც, თუმცა, თუ ეს ბავშვში გარკვეულ აღტაცებას იწვევს, მისი გულუბრყვილობის გამო, სამაგიეროდ, ზრდასრულ

ადამიანში საგრძნობლად აღმაშფოთებელი და გამაღიზიანებელია, იმდენად, რამდენადაც ამის უკან, თავხედობისა და უტიფრობის გარდა, სხვა არაფერი იმალება!

36. რაც უფრო ძვირია სიამოვნება და განცხრომა, მით უფრო იაფია ძალმომრეობა და ჩაგვრა!

37. როცა ადამიანი არ სცნობს საკუთარი ასაკის შესაფერ ქცევებს და ისეთ რამეებს მიელტვის, რაც მასზე ბევრად უფრო ახალგაზრდას შეშვენის, ერთი შეხედვით, მისთვის ყოველი სასიამოვნო წუთი, სინამდვილეში, ჯოჯოხეთურ ტკივილში განვლილ საუკუნეს უდრის.

38. როდის ვართ კარგად, ან ცუდად, თითოეული ჩვენთაგანის გასარკვევია, რის უფლებასაც ვერც ვერავინ ვერასოდეს ჩამოგვართმევს. ცუდად ვართ ყოველთვის, როცა რაიმე არ მოგვწონს, ხოლო კარგად ვართ, მხოლოდ მაშინ, როცა სხვის ადგილზე ყოფნას არ შევნატრით.

39. ყველაფერს აქვს თავისი წარმომავლობის ისტორია, დასაწყისი და დასასრული, ადამიანური მხეცობისა და ენით აუწერელი სისასტიკის გარდა!

40. როცა სხვათა თანდასწრებით, ვინმეს გამორჩეულად რაიმეს სთავაზობენ, ამით განზრახ ცდილობენ, ამ უკანასკნელთა თვალში, დანარჩენთა მიმართ, არაკეთილგანწყობილების ხაზგასმას.

41. შრომის ნამდვილი საფასური ჯერ არც ერთი მშრომელისთვის არ გადაუხდიათ, ვინაიდან ის, რასაც ნაკლებს ღებულობ და შენია, პირველ ყოვლისა, საზიანოა იმათთვის, ვინც გაკლებს, ხოლო რასაც ზედმეტს გაძლევენ და სხვისია, ისაა სწორედ სავალალო შენთვის! მაშ, თვითონ აირჩიე, მათ შორის რომელია უკეთესი და უარესი!

42. რაც უფრო ნაკლებად ურევია თითოეული ადამიანის ხელი მთელი კაცობრიობის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ნაწარ-

მის კეთებაში, მით უფრო მოწყვეტილია მსოფლიოს საზოგადოება კლასიკური ხელოვნებისგან და შემოქმედებითი კულტურისაგან!

43. ძალიან კარგია, როცა თვალის ჩინი გიჭრის და ყველაფერს ამჩნევ, მაგრამ ბევრად უფრო ცუდია, როცა ამ ტიალი ქვეყნის შიგნით, ყველა უკუღმართობა და უმსგავსობა ჩანს!

44. ხელმოცარული ადამიანი, რაც მეტადაა ნაწყენი სხვაზე, მით უფრო გაბრაზებულია საკუთარ თავზე.

45. ოცნება, რომელიც მახინჯი სინამდვილის ატანასა და შეგუებაში გვეხმარება, ნათელი და ფხიზელი გონების გამოთაყვანება-გაბრუების უებარი ელექსირია!

46. სიზმარი არის ცხოვრების გაგრძელება, რაღაც გაურკვეველი დასაწყისიდან, დაწყვეტილ-დანაწევრებული უსასრულობისაკენ...

47. ამდენ ცოცხალ ორგანიზმთა სახეობაში, ადამიანი ერთადერთია, რომელიც გაჩენისთანავე ომახიანი ტირილით კიცხავს და აპროტესტებს ამქვეყნიური ჯოჯოხეთის სატანჯველს, რასაც მშობლები და ახლობლები განსაკუთრებული აღტაცებით და სიხარულით ეგებებიან!

48. ეს საკვირველი დედა ბუნება, რა მასალისგანაც წარმოქმნის, ასაზრდოებს და კვებავს, სწორედ იმავე მასალის საზრდოდ და საკვებად გარდაქმნის ყოველ სულდგმულს...მარად და დაუსრულებლად; ამიტომაცაა, რომ ყველა მჭამელი, თვითონაც ამავდროულად არის საჭმელი....

49. ვინც ოდნავ მაინც არ წაისულელებს და ყოველთვის მთელი სერიოზულობით გააცნობიერებს ოჯახური ვალდებულების უმძიმეს ტვირთს, ის სამისდღემჩიოდ ვერ დაქორწინდება!

50. ადამიანთა უმეტესობა მხოლოდ იმიტომ ვერ აღწევს დასახულ მიზანს, რომ მათ უბრალოდ არ იციან, რა უნდათ; ან ამის გაგება ვინმესგან რაღაცით მაინც რომ შეძლებოდათ, სხვებსაც როგორღაც მიახვედრებდნენ საკუთარი მწარე გამოცდილებით, იმი-

სათვის, რათა ბოლოს და ბოლოს, მთელ ჩვენს ხალხს, როგორღაც ერთიანად საშველი დადგომოდა.

51. რამდენადაც არ ძალგვიძს, გავაკეთოთ ის, რისი გაკეთებაც გვევალდებულება, იმდენადვე ხელგვეწიფება გავაფუჭოთ ის, რისი გაფუჭებაც გვეკრძალება!

52. ამ უკიდურესად გაიაფებულ, უყველპურო სანახაობის მიღმა, დაბუდებულია ერთი მუჭა უმაქნისი ყალთაბანდების ჯგუფი, რომელთა ავადმყოფურ აკვიატებებსა და თავხედურ ახირებებს, ერთიანად ეწირება მთელი ჩვენი საზოგადოების ძალა, ენერგია და კეთილდღეობა!

53. სანამ განცვიფრების უნარი შემოგვრჩენია, მანამ მაცოცხლებელი ნიავით მორთმეული მათრობელა ჰაერის სუნთქვით ტკბობაც შეგვიძლია, რაც ამ იდუმალი სამყაროს შეცნობის წყურვილს სიკვდილამდე გვინარჩუნებს.

54. თვითკრიტიკა მნიშვნელოვანი და აუცილებელი უნარია, რადგან მისი არქონა, ნებისმიერი რანგის პიროვნებას, თვითკმაყოფილი იდიოტის მდგომარეობაში აგდებს, თუმცა არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ საკუთარი სისუსტის კრიტიკით, ნებსით თუ უნებლიეთ, მტერს იმ ყველაზე უფრო დაუცველ და მტკივნეულ ადგილზე მივანიშნებთ, სადაც ის მყისვე უმძიმეს და სასტიკ დარტყმას მოგვაყენებს, ამიტომაც უმჯობესია, თვითკრიტიკას ისევ ის ძლიერი მხარეები დავუქვემდებაროთ, სადაც უმცირესი დანაკარგებით შევძლებთ ყველა გადამწყვეტი შეტევის მოგერიებას.

55. როდესაც ჩვენი თანდასწრებით ღიად საუბარს ერიდებიან, ჩვენს შესახებ ფარულ სათქმელსაც სწორედ მაშინ ამბობენ.

56. საკუთარი თავის მიმართ ულმობელი სხვისი მწყალობელია, თუმცა არც ერთ ასეთ წყალობას არავისთვის სიკეთე ჯერ არ მოუტანია!

57. ერთი სანაქებო უბიწოება კი არ ავლენს და აშიშვლებს, არამედ მხოლოდ დროებით ფარავს და აფერმკრთალებს ათას საძ-

რახის ბიწიერებას, რამეთუ რაც უფრო სუფთაა წყალი, მით მეტ ჭუჭყს აიტანს ერთი ადგილიდან, თან წაიღებს, მაგრამ, სამაგიეროდ, მთელ სიგრძეზე მოსცხებს ნაპირებს.

58. ერთი სანაქებო უბიწოება კი არ ავლენს და აშიშვლებს, არამედ მხოლოდ დროებით ფარავს და აფერმკრთალებს ათას საძრახის ბიწიერებას, რამეთუ რაც უფრო სუფთაა წყალი, მით მეტ ჭუჭყს აიტანს ერთი ადგილიდან, თან წაიღებს, მაგრამ, სამაგიეროდ, მთელ სიგრძეზე მოსცხებს ნაპირებს.

59. ის, ვინც ახერხებს დაემორჩილოს თავისუფლების განმსაზღვრელ, განგების მიერ დადგენილ, აუცილებელ წესებს, ღვთის მონაა, ხოლო ვისაც ამის ძალა და უნარი არ შესწევს—უძლურების ქვეშევრდომი!

60. რეალურ ძალაუფლებას ფლობენ მხოლოდ ისინი, ვისაც მუდმივად შესწევთ ძალა მასზე უარის თქმისა.

61. რასაც არ ვეძებთ, დაკარგულად არც ჩაითვლება!

62. სხვათა სატკივარისა და ჭირ-ვარამის გვერდის ავლით, ვერც ერთი მათგანი, საკუთარ განსაცდელს თავს ვერ გაართმევს!

63. სადაც ადამიანები ნივთის ფუნქციებს ითავსებენ, იქ ნივთებს ადამიანური საქმეების კეთება აკისრიათ.

64. არაბუნებრივი მდგომარეობით განპირობებული იძულებითი საქმიანობა გვართმევს იმოდენად განუზომელ ძალასა და ენერგიას, რომ გზააცდენილი, არაქათგამოცლილი და აოტებული სული, ამქვეყნიური ნეტარების შეზღუდვისა და ჯოჯოხეთური სატანჯველის გაფართოების ხარჯზე, ამაოდ წელავს და აჭიანურებს, არარსებული სიცარიელის, ერთადერთ სინამდვილედ შემოტყუებულ-შემოსაღებულ, დრომოჭმულ ხანდაზმულობას.

65. რამდენადაც ძალიან კარგია, როცა ცდას და მონდომებას არ ვაკლებთ, ვიყოთ იმაზე უკეთესად, ვიდრე ვართ, იმდენად ძალიან ცუდია, თუკი საერთოდ ვერ ვხვდებით, რომ მდგომარეობა,

რასაც საბოლოოდ ვაღწევთ, ჩვენთვის ყველაზე საუკეთესოა.

66. ნებისმიერი რანგისა თუ მნიშვნელობის საკითხზე საუბრის გაგრძელება და გაჭიანურება, როგორც წესი, იმის ნიშანია, რომ მთავარი სათქმელი ყოველთვის უთქმელი რჩება.

67. არც ერთ სხვა მეტოქესთან ჭიდილს არ ესაჭიროება იმოდენა ძალგულოვნება და შემართება, რამდენიც საკუთარ უძლურებასთან გამკლავებას.

68. ადამიანის ზნეკეთილობა და სიდიადე საკუთარი უბადრუკობისა და უსუსურობის განცდა-გაცნობიერებაშია, რაც მას საშუალებას აძლევს, სიცოცხლის ბოლომდე ებრძოლოს სხვადასხვა სახის მანკიერებებს და თანდათანობით აღმოფხვრას ისინი.

69. საკუთარი შეცდომების აღიარება უდიდესი ვაჟკაცობაა, თუმცა, ასეთ დროს, მაინც განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო, რომ გარეწარმა ხალხმა, ამ შეცდომებს, თავიანთი წილი ბრალეულობით გაჭუჭყიანებული ხელი, ზედ არ შეახოცონ.

70. როცა გათენება გეჩქარება, ღამე ღამეს არ გავს!

71. არც თუ იშვიათად, ადამიანები ძალიან ნაადრევად ივიწყებენ წარსულში მომხდარ ისეთ რამეებს, რომლის გარეშეც, მთელი დარჩენილი სამომავლო ყოფა-ცხოვრება, ოდნავ მოგვიანებით მაინც, ყოველგვარ აზრს კარგავს.

72. იცით, რა არის მსოფლიოს ყველაზე დიდი საოცრება? მიწის, ცეცხლის, ჰაერისა და წყლის გარდა რომ ამქვეყნად სხვა არაფერია და მაინც, თუ ეს ყველაფერი ადამიანმა მისხალ-მისხალ, ცალობით, გრამობითა და სანტიმეტრობით არ შეისყიდა, ის ამ ყველაფრის მიღმა აღმოჩნდება, თუმცა სად არის ეს მიღმა, დღემდე ჯერჯერობით, ეს არავინ უწყის!

73. ადამიანთა გვარი განეკუთვნება მკბენარ, ძუძუმწოვარ არსებათა იმგვარ ნაირსახეობას, რომელსაც შეუძლია უკბინოს და მოშხამოს ყოველი ცოცხალი სულდგმული, ჯერჯერობით, მხოლოდ დედამიწის ზურგზე, მაგრამ ახლო მომავალში, ალბათ

თვით კოსმოსშიც, ისე და იმგვარად, რომ ოდნვადაც არ მიუახლოვდეს, არც მიეკაროს და საერთოდ არც შეეხოს არავის.

74. ვისაც სჩვევია, საკუთარ გასაჭირთან შეხვდრა ლაღი იუმორით, მხოლოდ მას ახასიათებს, სხვისი გასაჭირის აღქმაც, მთელი სერიოზულობით!

75. სინამდვილეში სწორედ ის გაურბის საზოგადოებას და განცალკევებისკენ მიილტვის, ვინც თავს საშინლად მარტოსულად გრძნობს, იმის გამო, რომ ამ აუარებელ ხალხთან ამდენ უაზრო ურთიერთობებშია გახლართული.

76. სანამ ადამიანს იუმორის გრძნობა არ დაუჩლუნგდება, მანამ მას წონასწორობიდან ვერავინ გამოიყვანს, ხოლო ამ ნიჭსა და უნარს მოკლებული ხალხი, რომელთაც აღნიშნული ნაკლის დასაფარავად, თავი მწუხარე სახის რაინდად მოაქვთ, ყველაზე უფრო არასასურველ, სასაცილო მდგომარეობაში ვარდებიან.

77. ვისაც სხვათა ხუმრობებზე საერთოდ არ ეხუმრება და არ ეცინება, თვითონ ხდება სახუმაროც და სასაცილოც.

78. ის, რაც გამუდმებით ჩვენთან ერთადაა, ყოველთვის ისე და იმგვარად არ გვეკუთვნის, როგორც ვისურვებდით, ამიტომაც კუთვნილების იმდენი არასასურველი მიმართება და მდგომარეობა არსებობს, რამდენიც საკუთარი თავის შენარჩუნების ძალას ათიათასჯერ მაინც აღემატება.

79. რასაც არ უნდა ვაკეთებდეთ და რა შედეგებსაც არ უნდა ვაღწევდეთ, რასაკვირველია, არაა სულერთი, მაგრამ მაინც ყველაზე უფრო უმთავრესი და გადამწყვეტი, ადამიანური ცხოვრების საზრისის განაღდებისთვის, არის ჩვენი ნებისყოფა, გამძლეობა და ბრძოლისუნარიანობა.

80. არც თუ ისე ცოტანი არიან ისინი, ვისაც უვარგისი ხალხი უფრო მოწონს, ხოლო ვარგებული არაფრად ეპიტნავებათ, ამის მიზეზი კი ისაა, რომ მათ საკუთარი თავი ყველაფერს ურჩევნიათ.

81. ის, ვინც სიბერისგან დაუძლურებულ ბოროტმოქმედს გაკეთილშობილებულად მიიჩნევს, თვით ყოველი კეთილშობილი კაცის ნამოღვაწარსაც სულ იოლად ივიწყებს.

82. იქ, სადაც არაადამიანებს კერპებად გადააქცევენ და მათ ნაბოდვარს არამიწიერ სიბრძნედ შერაცხავენ, ნამდვილ ადამიანებს სულით ხორცამდე გაატყავებენ, ხოლო მათ შთამომავლობას ცოცხლად დამარხავენ.

83. როგორც არ უნდა იცხოვრო და რაც არ უნდა გადაიტანო, ეს თავისთავად, არაფერს არ ნიშნავს, იმ გაგების გარეშე, რის მეოხებითაც შეიძლება, ვინმეს რაიმედ უღირდე.

84. ვიდრემდის სრულიად უპატრონოდ არ დავრჩებით, იქამდის ვერც ვერაფრის ბატონ-პატრონი ვერ გავხდებით!

85. თუ ვინმეს რაიმეს კეთება კარგად გამოსდის, უნდა ვაღიაროთ, რომ ამას ის არ აკეთებს მარტო საკუთარი თავისთვის, ამიტომაც, რაც უფრო მეტად ვეცდებით ვაკეთოთ მხოლოდ ის, თან ისეთნაირად, როგორც უკეთ ხელგვეწიფება, მით მეტად, ჩვენ სუყველანი, ერთმანეთს გამოვადგებით.

86. როცა ღრიალი და წივილ-კივილი ძალას გაკარგვინებს, მაგრამ გაჩუმება მაინც არ შეგიძლია, უნდა აღიარო, რომ შენი თამაში უკვე დამთავრებულია!

87. ის, ვინც იდიოტებისა და ყეყჩი ადამიანების განსჯა-შეფასების გამო, გონიერი და ჭკვიანი ხალხისთვის პასუხის გასაცემად დროს ვერ პოულობს, თვითონ არც ერთ მათგანზე უკეთესი არ არის.

88. სისულელის კოლექტიური გამოვლინების განუსაზღვრელი პერსპექტივა, ბადებს გენიალურ სიბრძნესთან ნაზიარებ ინდივიდებს, რომელთაც ძალუძთ ისტორიის ჩარხის ასოთხმოცი გრადუსით უკუღმა შემობრუნება.

89. განსხვავება ჩვეულებრივ ადამიანებსა და რჩეულებს შორის არის, ერთი მხრივ, აუტანელი შიში მარტოობისა, ხოლო მეო-

რე მხრივ, უდიდესი ლტოლვა განსაცდელში ჩავარდნილთა დახმარებისა.

90. ყველაზე ჯანსაღი და იდეალური, ისეთი საზოგადოებრივი ურთიერთობებია, სადაც არც ერთი ადამიანი, საკუთარი ბუნებრივი ნაკლის გამო, თავს დათრგუნულად არ გრძნობს.

91. მაძღარი კაცი ყოველთვის, ყველაფრის გამო დაღლილია და განსაკუთრებით, მაინც ჭამისგან!

92. ნებისმიერი ადამიანი, მთელი თავისი საუკეთესო თვისებებით, მხოლოდ ცხოველებთან და მცენარეებთან თანაარსებობაში ცხადდება, დანარჩენად კი, ის თავიდან ბოლომდე, უიმედოდ განწირული, სიცოცხლის დეზერტირია!

93. ყველაზე უფრო უმძიმეს და გამოუსწორებელ ზოგად საკაცობრიო დანაშაულთა ნუსხაში, ძირითადი დამნაშავენი სწორედ ისინი არიან, რომელთა მიერ დაშვებული შეცდომებიც აბსოლუტურ უმრავლესთაგან საერთოდ შეუმჩნეველია.

94. თავიდან ბოლომდე, ნებისმიერი რთული გზის გავლა, მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, როცა არ ვცდილობთ, რომელიმე მის მონაკვეთში, აღმოვაჩინოთ უფრო იოლი სხვა გზა!

95. რაოდენ სანუკვარი მისაღწევიც შეიძლება იყოს, ახლის შემენას მაინც დაკარგული ძველის დაბრუნება უნდა გვერჩიოს.

96. ძირითადად, ადამიანის ცხოვრების აზრი განისაზღვრება ყველაზე მარტივად შესამჩნევი, მაგრამ რთულად შესაგუებელი უზუსტობითა და შეუსაბამობით, რასაც ეწოდება, რეალური სურვილის დიდი მანძილით დაცილება სასურველი რეალობისგან.

97. ნებისმიერი ადამიანი, თავის მოძღვრად და მრჩევლად, ირჩევს სწორედ ისეთს, როგორიც თვითონაა!

სივრცე-დროის, მოძრაობა-ცვალებადობის, განვითარების, წარმავლობისა და მარადისობის შესახებ

1. ნუვინ გაავლებს ტოლობის ხაზს დაბადებასა და სიკვდილს შორის, რამეთუ არაფერი ვუწყით იმის შესახებ, რაც ჩვენში წამიერად ჩნდება, სამაგიეროდ, კარგად ვატყობთ და ვიგებთ, ყოველივეს, რაც ჩვენთვის სამუდამოდ ქრება!

2. რაც უფრო ნაკლები და ხანმოკლე მიზეზი გვრჩება სიხარულისა და დროსტარებისთვის, მით უფრო მეტად უფასურდება და ჭიანურდება გლოვისა და მწუხარების ბუნებრივი განცდა.

3. როცა რაიმე კარგს ვიხსენებთ, ვამბობთ: რა კარგი დრო იყო, როცა ცუდი რამ შეგვემთხვევა, ვიტყვით: ეს რა უბედური დრო დაგვიდგაო; ალბათ იმიტომ, რომ დრო ჩვენ თვითონ ვართ, მარად და მარად.

4. ის, ვინც ლამობს ამ ხანმოკლე წუთისოფელში ყველაფერი მოასწროს და მიიღოს: მეგობრობაც, სიყვარულიც, სახელიც, ქონებაც, ბედნიერებაც, ჯანმრთელობაც და ძალაუფლებაც, ხან ერთს წირავს მეორეს, ხან მესამეს მეოთხეს, აგრძელებს ასე და მანამ ვერ მოისვენებს, სანამ საბოლოოდ თვითონ არ დარჩება განწირულიც და გათახსირებულიც!

5. ვერც ერთი მიმბაძველი, ვერასოდეს გახდება თავის რომელიმე მისაბაძზე უფრო უკეთესი!

6. რამდენადაც ძალიან კარგია, როცა ცდას და მონდომებას არ ვაკლებთ, ვიყოთ იმაზე უკეთესად, ვიდრე ვართ, იმდენად ძალიან ცუდია, თუკი საერთოდ ვერ ვხვდებით, რომ მდგომარეობა, რასაც საბოლოოდ ვაღწევთ, ჩვენთვის ყველაზე საუკეთესოა.

7. თუ ბედნიერების განცდის ერთი წუთი შენს სიტყვაზეა დამოკიდებული, დაუშურველად გამოთქვი, ისე, რომ ნუ დაიწყებ იმის გამოთვლა-დაანგარიშებას, თუ რამდენი გაუთვალისწინე-

ბელი წყენა და უსიამოვნება შეიძლება მოჰყვეს ამას, ვინაიდან ბედნიერების წუთები ისედაც თითებზე ჩამოსათვლელია, ხოლო უსიამოვნებანი და წყენანი კი განუსაზღვრელი!

8. შეუძლებელია გავეცალოთ ყველა არასასურველ მდგომარეობას, ამიტომაც, გარკვეული დროის შემდეგ, არც თუ იშვიათად გვიწევს, უკეთ შეგუებისა და თმენის ვალდებულებით, ზოგიერთი მათგანის სასურველად გარდაქმნა.

9. დავიწყება გარდაუვალია, იმიტომ, რომ გახსენების ე. წ. ლიმიტი ყოველთვის ისეთნაირად და ისეთ დროსაა შეზღუდული, რომ ამ სასტიკ და საზიზღარ სინამდვილეს ვერანაირად ვერსად ვერ გაექცევი!

10. უმჯობესია არ გახსოვდეს არაფერი, რაც წარსულში გარდაგხდომია, ვიდრე გაგახსენონ ის სამარცხვინო მოგონება, რომელიც სუსტი მეხსიერების გამო დავიწყებული გეგონა.

11. ჩვენთვის საინტერესო, მნიშვნელოვანი და ძვირფასი საგნები, ახლო სივრცეში, თვალსა და ხელს შუა სწორედ მაშინ ქრებიან, როდესაც მათზე დარქმეული ნამდვილი და საკუთარი სახელების მოძებნას ან გახსენებას, დიდი ხნის მანძილზე ამაოდ ვცდილობთ.

12. ყოველი საგნის არსებობის ხანგრძლიობა და მდებარეობა დროსა და სივრცეში, მთლიანად განისაზღვრება სხვადასხვა საგანთა თანაარსებობის კვალის შენახვა-შენარჩუნების პირობითა და პრინციპით.

13. მართალია, მოძრაობა, როგორც სივრცეში ადგილგადანაცვლება, დრო-ჟამთა ცვალებადობის ერთ-ერთი გამოკვეთილად გაცხადებული ფორმაა, თუმცა რაც უფრო მზარდია აღნიშნული მოძრაობის ინტენსიობა, მით უფრო კლებადია დროში ცვალებადობის ხარისხი. საბოლოო ანგარიშით კი, რაც არ უნდა იყოს, არაფერია ჩვენში, უწყვეტ ზმანებათა მომცველ, თვითმოძრავ ფიქრზე უფრო უსწრაფესი, რომელიც თითოეული მოკვდავის განკითხვის

ჟამს, ამ სამგანზომილებიან, დანაწევრებულსა და ერთმანეთისგან მოწყვეტილ, წამ-წუთიერ საწუთროებას, ერთადერთ, მთლიან და განუყოფელ განზომილებაში, მყისიერად განგვაცდევინებს.

14. სათუთი გრძნობების მქონე არსებას სამყაროში ის წესრიგი შეაქვს, რომლის აღქმა და ატანაც, ქაოსისა და ყირამალა ორომტრიალის მძევლებს არ ძალუძთ, ამიტომაც მოსდევს ხოლმე დიდი სიყვარულის ამობრწყინებას დროებითი იმედგაცრუება, თუმცა ყველაფერი ჩაივლის და ნივთიერ განზომილებათა სიდიდეები თავთავიანთ ადგილას დალაგდებიან....

15. მართალია, დაბადებიდან სიკვდილამდე სიცოცხლის გზა, ამ წუთისოფლის ერთი გაელვებული წამია, ხოლო სიკვდილიდან ხელახალ დაბადებამდე, მთელი მარადისობა, და მაინც, ამ წამის გაელვებას განუსაზღვრელად მეტი დრო ესაჭიროება, ვიდრე მთელ იმ დაუსაბამო მარადისობას.

16. როცა ხე უდროოდ ხმება, მას ზედ შემხმარი ფოთლებიც აღარ ცვივა, რამეთუ როცა ჩვენი ცხოვრების ძირითადი და მთავარი დანიშნულება აზრსა და ღირებულებას ჰკარგავს, ის არაფრით არ აღემატება, რომელიმე მის შემადგენელ, თუნდაც ერთი წამის ყოფის ნებისმიერ წვრილმანს.

17. საზოგადოებრივ ძალთა განუწყვეტელი მოძრაობისა და მღელვარების გარეშე, ნაპირზე გამორიყულ ათასგვარ ჭუჭყსა და ნაგავს ვერაფერი ვერ გაასუფთავებს.

18. ყველაფრის თავიდან დაწყება სასურველი და გამართლებულია მხოლოდ მაშინ, როცა დანაკარგი არაფრად განაღვლებს, მაგრამ თუ აქამდე ვერ დარწმუნდი, რომ შენი განვლილი ცხოვრების გზაზე ისეთი ვერაფერი ჰპოვე, რაც ვინმეს რაიმეში ოდნავ მაინც ანაღვლებს, მაშინ უმჯობესია, ერთბაშად მიატოვო ყველაფერი და თავი უფალს მიუძღვნა, ვისთვისაც არასოდეს, არსად, არავინ და არაფერი არაა სულერთი!

19. სიზმარი არის ცხოვრების გაგრძელება, რაღაც გაურკვევე-

ლი დასაწყისიდან, დაწყვეტილ-დანაწევრებული უსასრულობისაკენ...

20. ის, რასაც ჩვენში წინასწარმეტყველებას უწოდებენ, სინამდვილეში დროში მოგზაურობის უნარია, რომელიც განსაკუთრებული გონებით დაჯილდოებულ ადამიანთა ხვედრია...ამიტომაც დროის მანქანას გამოგონებაც არ სჭირდება, რამეთუ იგი უკვე არსებობს!

21. ზედმიწევნით უტყუარი, ეჭვგარეშე საბუთია ის, რომ ცოცხალ არსებათა აბსოლუტურ უმრავლესობას თუ არა, სულდგმულთა მნიშვნელოვან ნაწილს მაინც, გაჩენისთანავე აღენიშნებათ გაუცნობიერებლად თანდაყოლილი შიშის შემაძრწუნებელი განცდა, რაც წინა, დაბადებამდელი და სიკვდილის შემდგომი, ყოფა-ცხოვრების განუწყვეტელი მსვლელობის კიდევ ერთი ცხადი დასტურია.

22. ვინც საკუთარი დროების უკუღმართობაზე დაიჩივლებს, მას არც რომელიმე სხვა დროება არ მოჰგვრიდა შვებას, რამეთუ რეალური და სასურველი, არც ერთ დროებაში ერთმანეთს არ დამთხვევია!

23. როცა გათენება გეჩქარება, ღამე ღამეს არ გავს!

24. არც თუ იშვიათად, ადამიანები ძალიან ნაადრევად ივიწყებენ წარსულში მომხდარ ისეთ რამეებს, რომლის გარეშეც, მთელი დარჩენილი სამომავლო ყოფა-ცხოვრება, ოდნავ მოგვიანებით მაინც, ყოველგვარ აზრს კარგავს.

25. შეუძლებელია მუდმივად იმის შენარჩუნება, რაც მორთმეულია დროებითი ცვლილების შედეგად!

26. ულევია, ის რაც გვლევს, ამიტომაც ვივლით და ვივლით... ასედაც და ისედაც!

27. ის, რაც გამუდმებით ჩვენთან ერთადაა, ყოველთვის ისე და იმგვარად არ გვეკუთვნის, როგორც ვისურვებდით, ამიტომაც

კუთვნილების იმდენი არასასურველი მიმართება და მდგომარეობა არსებობს, რამდენიც საკუთარი თავის შენარჩუნების ძალას ათიათასჯერ მაინც აღემატება.

28. ჩვენს მეხსიერებასა და სინამდვილეში მოცემულ საგნთა და მოვლენათა ზემოქმედების ძალით დატოვებული კვალი მით უფრო ცხადი და თვალსაჩინოა, რაც უფრო მძაფრი და მტკივნეულია მისი აღქმით გამოწვეული წარმოდგენები და განცდები, ვინაიდან სწორედ ამგვარი შემაძრწუნებელი ზემოქმედების გზით წარმოებული კვალი, ჩვენსავე წარმოსახვაში მომართულია სხვადასხვაგვარ ობიექტთა და სუბიექტთა უწყვეტ თანაარსებობად.

29. მოსაზღვრე საგანთა და მოვლენათა ურთიერთგანსხვავება, ვრცეული განფენილობისა და დროული თანმიმდევრობის განრიგის მიხედვით, არის ამასთანავე მათივე აზრობრივი ურთიერთმსგავსების უეჭველი მტკიცებულებაც, არსის დაუსაბამო ერთიანობის ღვთაებრივი წარმომავლობისა, ლოგოსური იგივეობის მეტაფიზიკური წესის გაგებით.

30. იმისათვის, რომ გახდე უკეთესი, თვითონ კი არ უნდა შეიცვალო, არამედ ეცადო, შენს ირგვლივ ყოველივე შეცვალო!

31. უკეთესი მომავალი არ არსებობს, რადგან ყოველივე, რაც საუკეთესო იყო, დარჩა წარსულში და თუ ბედი ოდესმე კვლავ გაგვიღიმებს, შესაძლოა წარსული განმეორდეს!

სიკვდილ-სიცოცხლის, ჭირის, ლხინის, ტანჯვისა და სიამოვნების შესახებ

1. ნუვინ გაავლებს ტოლობის ხაზს დაბადებასა და სიკვდილს შორის, რამეთუ არაფერი ვუწყით იმის შესახებ, რაც ჩვენში წამიერად ჩნდება, სამაგიეროდ, კარგად ვატყობთ და ვიგებთ, ყოველივეს, რაც ჩვენთვის სამუდამოდ ქრება!

2. მართალია, დაბადებიდან სიკვდილამდე სიცოცხლის გზა, ამ წუთისოფლის ერთი გაელვებული წამია, ხოლო სიკვდილიდან ხელახალ დაბადებამდე, მთელი მარადისობა, და მაინც, ამ წამის გაელვებას განუსაზღვრელად მეტი დრო ესაჭიროება, ვიდრე მთელ იმ დაუსაბამო მარადისობას.

3. რაც უფრო ნაკლები მიზეზი გვრჩება სიხარულისა და დროსტარებისთვის, მით უფრო მეტად უფასურდება გლოვისა და მწუხარების ბუნებრივი განცდა.

4. ნებისმიერი უკიდურესი ტკივილი, რომელიც საბოლოოდ გადაიზრდება სიამოვნებაში–საზიზღარი მაზოხიზმია, ხოლო ნებისმიერი უკიდურესი სიამტკბილობა, რომელიც აუცილებლად გადაიზრდება ტანჯვაში–შემაძრძუნებელი სადიზმი; ამიტომაც, თუკი ადამიანი საკუთარ ტკივილსა და სიამოვნებაზე რწმენითა და ნებისყოფით ვერ ამაღლდა, იგი საბოლოოდ განწირულია.

5. რაც უფრო ვუახლოვდებით ათწლეულობით ნანატრი სიმშვიდისა და მყუდროების განცდას, მით უფრო მძლავრად გვითრევს და გვიპყრობს მადისაღმძვრელ ცდუნებათა გრაგნილში ამოყირავებული ქარბორბალა. კი, მართალია, ამ გაუთავებელი ტანჯვა-წვალების წუთისოფელში, ვერაფერი შეედრება თავდავიწყებამდე მისულ ნეტარებას, თუმცა საბოლოოდ, ისე მაინც არ უნდა ვქნათ, რომ ამ სანუკვარი სიმშვიდისა და მყუდროების ნაცვლად, ჩვენს სულში უნებური სინანულისა და სასოწარკვეთილების სამარისებურმა სიჩუმემ სამუდამოდ დაისადგუროს!

6. ვისაც სიკვდილის არ ეშინია, ის თვით სიკვდილზეც კი, ბევრად უფრო საშიშია!

7. ყველაზე ახლობელ ადამიანებსაც კი, ძალიან ბევრჯერ შეუძლიათ მოგვაყენონ სასიკვდილო დარტყმა, ყველაზე საუკეთესო სურვილების საბაბით!

8. სხვა ბუნებრივ სურვილთაგან მოწყვეტილი და უმაღლეს მიზანთან გათანაბრებული ერთადერთი, განსაკუთრებულად გამონაკლისი სურვილი, სხვა არაფერია, თუ არა სიკვდილი! ამიტომაც, გაუმარჯოს დაუსრულებლად აუსრულებელ უსასრულო სურვილებს!

9. სიყმაწვილე სიმაჭრეა, სიჭარმაგე_ღვინო, ხოლო სიბერე_ძმარი! ის, რაც ყმაწვილშია, მაჭარივით თავზე წამოტივტივებული, ყოვლისწამლეკავი დელგმა და კორიანტელი, უკვე ჭარმაგშია დადუღებულ-დაწმენდილი, ფსკერზე დალექილი, ყოველივე სიმღვრივე და სიბლანტე, თუმცა ბერიკაცობაში, სწორედ ის მთხლე-გამოცლილი, გაკამკამებულ-გამჩატებული წმინდა ნექტარიღა შთება, მჭმუნვარე ურვისაგან ნაღვლითა და ზაფრით მოკანჭულ-მოხაშმული!

10. უმჯობესია შეგიწიროს უკუღმართი საქმის ჩადენამ, ვიდრე უკუღმართი საქმის ჩადენის დაუოკებელი ჟინის განუხორციელებლობამ!

11. მართალია, მშვიდ სიბერესაც, ისევე, როგორც მშფოთვარე სიყმაწვილეს, ბევრ შემთხვევაში, ვერავინ დაუკარგავს თავის მოკრძალებულ, ერთადერთ და განუმეორებელ ხიბლს, თუმცა, მაინც უმჯობესია მანამ წავიდეს კაცი ამ ქვეყნიდან, სანამ ვიღაც იტირებს და იწუხებს მასზე!

12. სასოწარკვეთილი და სვეგამწარებული კაცი, სანამ შეუჩვეველ ლხინს დაეპკურება, მანამ თავის შეჩვეულ ჭირზე უარეს უბედურებებს გადაეყრება. აი, ძირითადი მიზეზი, თუ რატომ შეიძლება გვერჩიოს შეჩვეული ჭირი შეუჩვეველ ლხინს!

13. ერთადერთი ძილია, რაც არ იწვევს მოწყენილობას და დაღლილობას, თუმცა ავ სიზმართაგან განრიდება და მოსვენება მაინც არ გვაწყენდა!

14. შეუძლებელია გავეცალოთ ყველა არასასურველ მდგომარეობას, ამიტომაც, არც თუ იშვიათად გვიწევს, უკეთ შეგუებისა და თმენის ვალდებულებით, ზოგიერთი მათგანის სასურველად გარდაქმნა.

15. ნუგეშისცემა გვმართებს არა, საკუთარი სასიცოცხლო სტიქიებისგან, საიდანაც უშუალოდ მომდინარეობს ყოველგვარი საშიშროება, არამედ იმ უვარგისი საფრთხობელებისგან, რომლებიც ასგზის მაინც აღემატებიან იმას, რაც თავისთავად საშიშია!

16. უკიდურეს განცხრომამდე მიმართული აღგზნება, დაცხრობისთანავე გარდაიქმნება, ასევე უკიდურეს სასაწარკვეთილებამდე, გამძაფრებულ გაღიზიანებად, რაც იმას ნიშნავს, რომ რაც უფრო მატულობს სიამოვნების განცდა, მით უფრო კნინდება ნებისყოფის ძალა და გარდაუვალი სატანჯველიც სრულიად აუტანელი ხდება!

17. როცა საქმე გინდა, იცი და გამოგდის, ესაა სიამოვნების მომგვრელი, გართობის ტოლფასი_თავისუფალი შრომა, რომელიც ამქვეყნიურ ბედნიერებას განიჭებს, ხოლო, როცა იძულებული ხარ, აკეთო ის, რაც არ გინდა, არ გამოგდის და ჯახირობ რის ვაივაგლახით, მაშინ ასეთი შრომა მონური ტანჯვა-წამებაა, რომლის ფასად, თვით არსებობაც არ ღირს!

18. სანამ განცვიფრების უნარი შემოგვრჩენია, მანამ მაცოცხლებელი ნიავით მორთმეული მათრობელა ჰაერის სუნთქვით ტკბობაც შეგვიძლია, რაც ამ იდუმალი სამყაროს შეცნობის წყურვილს სიკვდილამდე გვინარჩუნებს.

19. იმას, რასაც არსებობა შეუძლია ამოსაწყვეტად და დასაღუპავად, ამოწყვეტისა და დაღუპვის გარეშე ვერ იარსებებს!

20. მხოლოდ ოთხი რამ არ იყიდება და მუქთად გვეძლევა ამქვეყნად: სიღარიბე, სიბერე, ავადმყოფობა და სიკვდილი!

21. ყველაზე დიდი და საშინელი მუქარა მაინც სიცოცხლის დასაბამიდან მოდის, რომელიც ამ უკიდეგანო სამყაროს სიკვდილითაც არ დამთავრდება!

22. სხვათა სატკივარისა და ჭირ-ვარამის გვერდის ავლით, ვერც ერთი მათგანი, საკუთარ განსაცდელს თავს ვერ გაართმევს!

23. ზედმიწევნით უტყუარი, ეჭვგარეშე საბუთია ის, რომ ცოცხალ არსებათა აბსოლუტურ უმრავლესობას თუ არა, სულდგმულთა მნიშვნელოვან ნაწილს მაინც, გაჩენისთანავე აღენიშნებათ გაუცნობიერებლად თანდაყოლილი შიშის შემაძრწუნებელი განცდა, რაც წინა, დაბადებამდელი და სიკვდილის შემდგომი, ყოფა-ცხოვრების განუწყვეტელი მსვლელობის კიდევ ერთი ცხადი დასტურია.

24. არაბუნებრივი მდგომარეობით განპირობებული იძულებითი საქმიანობა გვართმევს იმოდენად განუზომელ ძალასა და ენერგიას, რომ გზააცდენილი, არაქათგამოცლილი და აოტებული სული, ამქვეყნიური ნეტარების შეზღუდვისა და ჯოჯოხეთური სატანჯველის გაფართოების ხარჯზე, ამაოდ წელავს და აჭიანურებს, არარსებული სიცარიელის, ერთადერთ სინამდვილედ შემოტყუებულ-შემოსაღებულ, დრომოჭმულ ხანდაზმულობას.

25. სიკვდილი, სიცოცხლის მარადიული უკვდავყოფის საყოველთაოდ გარდაუვალი წესია!

26. უზომოდ გაჭიანურებული საქმე, მეტადრე ლხინი, ხანდახან მაინც, იმდენად მომაბეზრებელია, რომ ურიგო არ იქნება, კაცმა თავი შეიკავოს, როგორც ზედმეტი სიბეჯითისგან, ასევე სიფხიზლისგანაც.

27. ყველა სხვა სანუკვარ საქმესთან ერთად, ქვრივმა და მარტოხელა კაცმა, იმაზეც უნდა ილოცოს, რომ მისთვის განკუთვნილი სიცოცხლის უმეტესი მანძილის გავლა სიბერეში არ მოუწიოს!

28. სიცოცხლის გაგრძელება, ტანჯვისა და ამაოების მომაბეზრებელი გახანგრძლივებისთვის, სიყვარულის შემოკლების ფასად, ვისაც რაიმედ უღირს, ისინი, ჯოჯოხეთსაც, სამოთხეზე ბევრად უკეთესად ეგუებიან, მაგრამ მთელი უბედურება კიდევ ისაა, რომ თავიანთი მარტოობის გასაქარწყლებლად, სხვა დანარჩენებსაც გვაიძულებენ მათ შევეგუოთ.

29. ნამდვილი მუსიკა რასაც ჰქვია, სწორედ ისაა, რომელსაც ძალუძს, სულ-ხორციელად შეგვძრას, ენით უთქმელი ნეტარება განგვაცდევინოს და მაგიურად მოგვაჯადოვოს, ის ბევრად უფრო ცხადი და ახლობელია ჩვენთვის, ვიდრე საკუთარი თავი.

30. ღმერთი მარტო ადამიანში შეიძლება მოკვდეს, მხოლოდ იქ და სწორედ იმ გაუკუღმართებულ, ხელოვნურად მოდელირებულ ინტელექტში, სადაც მუდმივად, სიცოცხლე ფერფლივით მკვდარია, ხოლო სიკვდილი გააფთრებული მხეცივით ცოცხალი.

31. შუა ხანს გადაცილებულ კაცს თავისი კალო თითქმის უკვე გალეწილი აქვს და ამიტომაც გული სათიბისკენ ნაკლებად მიუწევს, თუმცა ფაფარაშლილი, დაუდგრომელი ფიქრები, ბოლო ამოსუნთქვამდე, მოსვენების უფლებას მაინც არ აძლევს.

32. ყველგან, სადაც კი პირსისხლიან რევოლუციებს დღესასწაულობენ, საზოგადოების კოლექტიურ არაცნობიერში, ტოტალური მსხვერპლშეწირვის რიტუალებს აწესებენ და სიკვდილსაც საჯაროდ აღმერთებენ.

33. ვისაც სჩვევია, საკუთარ გასაჭირთან შეხვდრა ლაღი იუმორით, მხოლოდ მას ახასიათებს, სხვისი გასაჭირის აღქმაც, მთელი სერიოზულობით!

34. ცოცხალი ადამიანის უფლების დაცვაზე უფრო ღირსეული და ამაღლებული, გარდაცვლილთა შელახული უფლებებისათვის ბრძოლაა, რამეთუ ზეციური სამსჯავრო, მიწიერისგან განსხვავებით, მუდმივად სამართლიანია და მაშასადამე, თუ მართალი ხარ, ის შენსკენაა!

35. ყველაზე მეტად მაშინ გატკბება ბავშვური და ახალგაზრდული მოგონებანი, როდესაც ხანში შესვლასა და დაბერებასთან ერთად მეტი სიმწარე და ჭმუნვა მოგვეძალება.

36. ყველა ჭირი, სენი, ოხრობა, ეპიდემია და ავადმყოფობა, ვერაგი და გათახსირებული ხალხის მოგონილია, სიცოცხლის, მშვენიერებისა და ამქვეყნიური სიხარულის გასაქარწყლებლად!

37. როგორც ღმერთია სამყაროს შემოქმედი, ასევე სიკვდილია სიცოცხლისა და სიყვარულის აზრის დიადი დასაბამი, რომელთანაც შერწყმა, მთელი ამქვეყნიური ტანჯვა-ვაებისა და ჭირ-ვარამისგან გათავისუფლებით, უდიდესი ნეტარებაა, რამეთუ ეს ეგრეთ წოდებული სიცოცხლე, სხვა არაფერია, თუ არა იოტისოდენი სიხარული და ბედნიერება, განუზომელი მწუხარებისა და უბედურების ფასად.

38. სიამოვნება ეს არის სასიცოცხლო უნარი, ტანჯვა-წვალების ნეტარებად განცდისა, ხოლო საკუთრივ ტანჯვა არის სიკვდილთან წილნაყარი უძლურება, რომლის მეოხებითაც სიცოცხლე გაუმართლებელი და აუტანელია.

39. მაძღარი კაცი ყოველთვის, ყველაფრის გამო დაღლილია, და განსაკუთრებით მაინც, ნაყროვანებით გათანგული სმა-ჭამისგან!

40. ჩემი განსაკუთრებული პიროვნული სიძულვილის ღირსი ვინმე რომ გახდეს, ამისათვის, მასზე ამონთხეული ჯავრი, უზარმაზარი გულისტკივილისა და სიცოცხლის შემოკლების ფასად უნდა დამიჯდეს, მაგრამ ეს არ მოხდება, ვინაიდან სიცოცხლე საკმარისად მშვენიერია იმისთვის, რომ მე მას ყველა აუტანელ ადამიანზე უფრო მეტად ვეგუებოდე და ვიტანდე!

41. უცხო ქვეყნის მიწაზე, დამპყრობთა რიგებში, ომი და სიკვდილი, არის თვითმკვლელობაზე უარესი ცოდვა და დანაშაული, ღმერთისა და ერის წინაშე!

სიცრუე-სიმართლის, სამართლიანობა-უსამართლობის, კანონიერების, ბრალეულობა-დამნაშავეობის, თავისუფლების, სასჯელისა და შეწყალების შესახებ

1. ამ მუხთალ ქვეყანაში, ბევრად უფრო მავნებელია, სიმართლით თავის მოტყუება, ვიდრე ტყუილით თავის მართლება!

2. თუ თავდაცვის იარაღად არ გამოდგება, თავის მართლება, არა უბრალოდ აზრს კარგავს, არამედ ამ უაზრო თავის მართლებით, ბევრჯერ თავსაც კი ვკარგავთ.

3. ყველა უბედურება და საშინელება, რაც კი აქამდე კაცობრიობას გადაუტანია და რასაც მუდმივად ველარ გადაიტანს, თითოეული ადამიანის გარდაუვალი და კანონიერი ხვედრია, რაც მან თავისი არსებობით განგებისგან დაიმსახურა!

4. მხოლოდ განსაკუთრებულად ბრძენ და გონიერ მმართველს შეუძლია დასაჯოს დამნაშავენი ისე, რომ თან შეიწყალოს; დასაჯოს იმისათვის, რაც მათ ჩაიდინეს და იმავდროულად შეიწყალოს იმიტომ, რომ განმეორებით იგივე არ ჩაიდინონ.

5. ადამიანთა უმრავლესობა მზადაა ყველანაირი დამოუკიდებელი ფიქრი და მისწრაფება დათმოს, რათა სხვათა შემწეობით დაცულად იგრძნოს თავი, ამიტომაც უყოყმანოდ, ქვეშევრდომული მორჩილების უსიტყვო ხელშეკრულებით, განამტკიცებს იმ ულმობელი წესწყობილების მსჯავრსა და განაჩენს, რომლის ძალითაც, ის ერთხელ და სამუდამოდ უარს ამბობს, გახდეს საკუთარი ბედ-იღბლის ბატონ-პატრონი; რომლის მერეც აღარ რჩება აღარავითარი საფუძველი და გამართლება, საკუთარი უმწეობის გამო წუწუნსა და დაჩივლებაზე.

6. სიტყვას მაშინ მივანიჭებთ ნამდვილ თავისუფლებას, რო-

დესაც მას, ვიგინდარების ენის ამოგლეჯვით, უღირსთა ტყვეობისგან დავიხსნით.

7. ყველა ყალბისმქმნელსა და ცილისმწამებელს ამოძრავებს ერთადერთი მიზანი: წესიერი და პატიოსანი კაცი, ხალხის თვალში, წარმოაჩინოს იმად, რაც სინამდვილეში თვით არიან!

8. არავინ და არაფერი არაა ამქვეყნად არც ერთი წესიერი და პატიოსანი კაცის მეგობარი ისე, როგორც მისი სიმართლე და სიმამაცე. მართალია, სიცოცხლის შენარჩუნების პირობას ვერ მოგცემენ, თუმცა სამაგიეროდ, სახელს, ნამუსს და ღირსებას სამიდღემჩიოდ შეგინახავენ!

9. ცოდნა, განათლება და ჭკუა მაშინ ამკობს კაცს, როცა მართალი სიტყვის ხმლად და სატევრად მოიხმარება, სხვა შემთხვევაში კი, მათსავით ვერაფერი ვერ აღძრავს სიმახინჯისა და ზიზღის გრძნობას, სწავლას მოწყურებულ ახალგაზრდობაში.

10. შემთხვევის ადგილზე წასწრებული დამნაშავე იმდენად ცდილობს გაექცეს პიროვნულ პასუხისმგებლობას, რომ არც ღირსებას და არც თავმოყვარეობას არად დაგიდევთ, ისე გაიშვერს თითს სხვისკენ, თუმცა რაკი ვერ ბედავს თქვას–ამის ბრალია!–ამბობს–ამან მასწავლა!.. და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ განზრახ მიჩქმალოს შინაგანად სარწმუნო, საყოველთაო აზრი შემეცნების იდუმალი თავისებურებისა–ვერავინ ვერავისგან ვერაფერს, ისეთს ვერ ისწავლის, რაც უკვე თვითონ, იმთავითვე არ იცის.

11. იქ, სადაც სიმართლის თქმა გაუმართლებელია, უმჯობესია, პატიოსნად მაინც ვიცრუოთ!

12. უმჯობესია შეგიწიროს უკუღმართი საქმის ჩადენამ, ვიდრე უკუღმართი საქმის ჩადენის დაუოკებელი ჟინის განუხორციელებლობამ!

13. ვიდრე დაფარული გამჟღავნდება და სათქმელი ითქმება, სიცრუესა და სიმართლეს შორის შუამავლობა დუმილს აკისრია.

14. თუკი, მბრძანებელთა სასტიკი განკარგულება, სამართლიანობისა და კანონიერების უეჭველი განჩინებაა, სამაგიეროდ, მის აღმასრულებელ ქვეშევრდომთა სისასტიკე, ლაჩართა სიმხდალით ნაკისრი მონური ვალდებულებაა.

15. ვინც ადამიანს არ უტოვებს უნებლიე შეცდომის გამოსწორების უფლებას, ის განზრახ სჩადის გამოუსწორებელ შეცდომას, რაც ამავდროულად მიუტევებელი დანაშაულია!

16. გარეწრებსა და არამზადებს იმდენი თავხედობაც ყოფნით, რომ თავიანთი ბინძური მოქმედებებით, საჯაროდ, კიდეც მედიდურად დაიკვეხნონ; სამაგიეროდ, ამდენ ცხვრის ქურქში გახვეულ მორალის მქადაგებელს, სინდის-ნამუს გარეცხილ, მათ ღია, თუ ფარულ წამქეზებელს, შეუძლია ყოველივე ამას მონანიება დაარქვას და მათგან დაზარალებულთ, თავის მხრივ, აქეთ დაგვდოს ბრალი შეუწყნარებლობაში.

17. მით უარესი მისთვის, ვინც უფრო მართალია! რამეთუ ფასი ცბიერებისა და სიცრუისა, ძე-ხორციელთაგან მიუწვდომელი, შეუცნობელი და დაუდგენელია!

18. შეიძლება სამართლიანად გაამტყუნო სხვა, თუმცა ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, იმას, რომ შენ, თუნდაც ამ შემთხვევაში, თვითონ მართალი ხარ; მართალი თუ ხარ, მაშინ შენს სამართლიან გამტყუნებას, არამც თუ ადამიანი, არამედ თვით ღმერთიც ვერ შეძლებს!

19. შრომის ნამდვილი საფასური ჯერ არც ერთი მშრომელისთვის კანონიერად და სამართლიანად არ გადაუხდიათ, ვინაიდან ის, რასაც ნაკლებს ღებულობ და შენია, პირველ ყოვლისა, საზიანოა იმათთვის, ვინც გაკლებს, ხოლო რასაც ზედმეტს გაძლევენ და სხვისია, ისაა სწორედ სავალალო შენთვის! მაშ, თვითონ აირჩიე, მათ შორის რომელია უკეთესი და უარესი!

20. საჯარო კანონმდებლობა, რომელიც რაციონალური აზრის მიზანშეწონილებასა და მორალურ პრინციპს არ ექვემდებარება,

საზოგადოებრივი წესრიგისა და სამოქალაქო უსაფრთხოების გარდა, ყველა სახის დანაშაულებრივ უმსგავსობას ემსახურება.

21. არც ერთი იდეა, რომელიც ადამიანის თავისუფლებას, თანასწორობასა და სამართლიანობას ისახავს მიზნად, ჯერ-ჯერობით არსად არ განხორციელებულა, იმიტომ, რომ ყველაზე საჭირბოროტო ვითარებაში, უხეში ძალმომრეობის გარდა, აქამდე, სხვა საშუალებები არც უძებნიათ.

22. თუ სადმე და ოდესმე, რომელიმე დამნაშავის თანამზრახველი არ ყოფილხართ, რაც არ უნდა ეცადოთ, სუფთა ხელებით, ვერც ერთი სახის დანაშაულის გამოსყიდვას საბოლოოდ მაინც ვერ შეძლებთ!

23. ვისაც, სიკვდილამდე, ერთხელ მაინც არ ეყოფა გამბედაობა, იმის აღიარებისა, რომ მთელი ცხოვრების უდიდესი ნაწილი სიცრუეში გაუტარებია, მას სიმართლის თქმის უკანასკნელი შანსიც დაუკარგავს!

24. ადამიანური მშვენიერება, სიბრძნე და სიკეთე, წარმოადგენს, სიცრუესთან წილნაყარი მდგომარეობის შინაარსით და ფორმით, შეფარულად და ირიბად გამოხატულ ცნობიერების აბსტრაქტულ ჰიპოსტაზებს, რომლის გარეშეც აზროვნება და გაგება ყოვლად შეუძლებელია.

25. ღიად, გაბედულად და საჯაროდ წარმოთქმულ, წრფელი გულიდან ამოხეთქილ, პირუთვნელ, ვაჟკაცურ სიტყვას ზოგადსაკაცობრიო იდეის სტატუსი ენიჭება და ჭეშმარიტი სამართლიანობის ტრიუმფალურ გამარჯვებაში, მას წინ ვერაფერი აღუდგება!

26. ალალ-მართალ ხალხს, ეტყობა ყველაფერი, რასაც იმჩნევს, ან არ იმჩნევს, დანარჩენი კი, ვერც იმას ატყობს, რასაც ის იმჩნევს და , ვერც იმას ამჩნევს, რაც მას ეტყობა.

27. როცა ვინმესთან მართალი ხარ და ამ სიმართლით საკუთარ თავს იმდენად ინუგეშებ, რომ მზად ხარ, დანარჩენად ყველაფერი მოითმინო და აიტანო, მაშინ ისიც უნდა გაითვალისწინო,

რომ ასეთ დროს, მთელი საზოგადოების თვალში, სულ მცირე, ერთი კაი გამოთაყვანებული ბრიყვი ხარ!

28. ვინაიდან ადამიანებს, განუწყვეტლივ, ერთმანეთში ერევათ სამართლიანობა და სისასტიკე, ამიტომაც დასაბამიდან დღემდე, ამ ერთიანად აფორიაქებულ კაცობრიობას, სხვა აღარაფერი დარჩენია, გარდა იმისა, რომ კვლავაც მდუმარედ შეეგუოს ამდენ სასტიკ უსამართლობას...

29. საკუთარი შეცდომების აღიარება უდიდესი ვაჟკაცობაა, თუმცა, ასეთ დროს, მაინც განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო, რომ გარეწარმა ხალხმა, ამ შეცდომებს, თავიანთი წილი ბრალეულობით გაჭუჭყიანებული ხელი, ზედ არ შეახოცონ.

30. როდესაც სამართალი არ მიდის ხალხთან, ხალხი აუცილებლად მივა სამართალთან, ყველა ცბიერი და გაიძვერა, ყალბისმქმნელი მსაჯულის გვამებზე გადაბიჯებით!

31. იმ სახელმწიფოში, სადაც საზოგადოებრივი წესრიგისა და თანაცხოვრების სისტემა სამართლიანობისა და კანონიერების საფუძველს არ ემყარება, თვით ბუნებით კეთილშობილი ადამიანებიც კი, ყველაზე არამზადა და გაიძვერა მმართველთა ყურმოჭრილი ყმები არიან, რომლებიც, გადამწყვეტ ვითარებაში, განსაკუთრებული მონდომებით უშლიან ხელს მდგომარეობის ძირფესვიანი გაჯანსაღებისკენ მიმართულ ყველა წამოწყებას და ძალისხმევას.

32. კანონი ყველგან მკვდარია, სიცოცხლესთან ერთად, სიკვდილის მთესველი არამზადების ხელში!

33. წესიერი კაცი არავის არაფერს არ პირდება, რადგანაც ცდილობს, სხვა თუ არაფერი, თავის თავთან მაინც მართალი იყოს, თუმცა გარშემომყოფნი მას მოსვენებას იქამდე არ მისცემენ, სანამ დაპირებას არ გამოსტყუებენ, რათა სადღაც, ოდესმე მაინც, მისი გამტყუნების შესაძლებლობა მოიპოვონ...

34. ეჰ,ნეტავ ვინ იცის, რამდენი საზიზღარი სიცრუით, რამდენი წესიერი და პატიოსანი ადამიანი ისე ლამაზად და მიმზიდვილად იტყუებს თავს, რომ არც არავინ უწყის, ამის გამო ბრალი ვის დასდონ?!

35. არასოდეს არ უნდა წაუყენო ვინმეს ისეთი მოთხოვნა, რომლის შეუსრულებლობის შემთხვევაშიც, პასუხისმგებლობას ვერავის დააკისრებ.

36. მატყუარათა გაიძვერობაზე მინდობილი მსხვერპლი, ან იმთავითვე განწირულია, ან გარკვეული ვადის განმავლობაში, წარმოგვიდგება ჩვეულებრივ სატყუარად, რომელიც იმგვარადვე ატყუებს სხვას, რაგვარადაც თვითონ ტყუვდება.

37. კანონიერი მსჯავრის აღსრულებამდე, ყველა მხილებული ბოროტმოქმედი, მართალ კაცთან ანგარიშსწორების მიზნით, კიდევ ერთი ისეთი ბოროტების ჩადენას ცდილობს, რომელიც შესაძლოა, წინანდელ დანაშაულებთან შედარებით, უმძიმესი იყოს.

38. პოლიტიკოსთა მიერ, ხალხის გასაბრიყვებლად შეთხზული ყალბი წარმოდგენა, მწარე სიმართლეზე ბევრად უფრო ძვირფასი და მიმზიდველია, რამეთუ იგი, მთელი თავისი ტყუილებით, ჰგავს იმ ნაირფერადოვან, მძაფრი სანელებლით შეკაზმულ, ნუგბარ კერძს, რომლის ნატვრითაც, დამშეულ კაცს დროებით ავიწყდება გარდაუვალად მოსალოდნელი ყველა ჭეშმარიტად ნამდვილი, გაჭიანურებული ავადმყოფობა, ტანჯვა-სატკივარი და უსიამო წყენა, რაც მის დახარბებულ მირთმევას დაუყონებლივ მოჰყვება.

39. ყველა, ვინც ყოველთვის ხელაღებით გამორიცხავს შეთქმულების თეორიას, თვითონ გახლავთ სულ მცირე, ერთ-ერთი, რომელიმე შეთქმულების აქტიური მონაწილე და თანამზრახველი მაინც!

40. სრულიად ფუჭი და დამღუპველია, სიტყვის თავისუფლება, სიტყვის განუსჯელობისა და დაუსჯელობის გარეშე, სიტყვა

არათუ კაცზე მეტი, არამედ თვით ღმერთზე ნაკლები არაა, რამეთუ ისაა მთელი ყოფიერების დასაბამი და თუ ვინმეს ჰგონია, რომ რაც მოეპრიანება და რასაც უნდა იმას იტყვის, ის ყველაზე უსასტიკეს სასჯელს იმსახურებს!

41. ნახევრად სიმართლე იმიტომაც გვანაწყენებს ტყუილზე უარესად, რომ ნახევრად ტყუილი სიმართლეზე უკეთესად გვაამებს.

42. ადამიანთა მოდგმას რომ შესძლებოდა სამართლიანი განაჩენის გამოტანა, მისთვის ყველაზე უფრო საჭირბოროტო ვითარებაში, მაშინ აბსოლუტურად აზრს დაკარგავდა ერთადერთი პირუთვნელი და ჭეშმარიტი ღვთის ზეციური სამართალი.

43. თვალთმაქცობაა ყოველგვარი საჯარო აღიარება და სინანული, თუკი მანამდე, საკუთარ სინდისთან ანგარიში არ გაგისწორებია!

44. იმისათვის, რომ ჩვეულებრივ, ნაცნობ ადამიანთა უდიდესი უმრავლესობა ვერ გიტანდეს და კეთროვანივით გერიდებოდეს, ამისთვის სრულიად საკმარისია, იყო მამაცი, ზნეობრივი და საკუთარ სიცოცხლეზე მეტად გიყვარდეს სიმართლე!

45. ერთადერთი სიმართლე, რომლის აღიარებაც, ადრე თუ გვიან მაინც მოგვიწევს, გახლავთ ის, რომ ნებაყოფლობით არავინ არაფერს არ ამბობს, იძულებით კი, ან საერთოდ იტყუებიან, ან უბრალოდ, რაღაცაში მაინც გამოტყდებიან.

46. ყველაზე უფრო უმძიმეს და გამოუსწორებელ ზოგად საკაცობრიო დანაშაულთა ნუსხაში, ძირითადი დამნაშავენი სწორედ ისინი არიან, რომელთა მიერ დაშვებული შეცდომებიც აბსოლუტურ უმრავლესთაგან საერთოდ შეუმჩნეველია.

47. შურისძიების ღია და ფარული მიდრეკილების დაუდგრომელი ძალა უსასტიკეს დანაშაულთა მასობრივი გავრცელება-გახანგრძლივების ყველაზე ხელსაყრელი საშუალებაა, რომლის გარეშეც, კაცობრიობის რჩეულ ადამიანთა მიზანდასახული,

ისტორიული მოღვაწეობა, საყოველთაოდ აზრს დაკარგავდა.

48. შურისძიება რამდენადაც ძალიან ცუდია, თუკი ის ნაჩქარევად ხდება, იმდენად ძალიან კარგია, როცა გაცილებით უფრო მოგვიანებით აღსრულდება–ყველასათვის მოულოდნელად.

49. ცთომილია ცალკე აღებული, ყოველი ქმნილება და სიტყვა, რომელიც შესაბამისობაში არაა მოყვანილი, ქმნადობისა და მეტყველების იმ უმთავრეს, საყოველთაო წესთან, რომელიც ერთიანი ყოფიერების შიგნით, ნამდვილი მოცემულობის საფუძველსა და შედეგს განსაზღვრავს.

50. არც ერთი გზა არ მიდის ტაძრისკენ, რადგან, ყველა გზა უკვე თვითონაა მასზე მოსიარულე კაცის ტაძარი.

ღვინის, ვენახის, ქეიფის, გართობის, დროსტარებისა და თავდავიწყების შესახებ

1. რაც უფრო ნაკლები მიზეზი გვრჩება სიხარულისა და დროსტარებისთვის, მით უფრო მეტად უფასურდება გლოვისა და მწუხარების ბუნებრივი განცდა.

2. თვითშემეცნებისა და გონიერების ფილოსოფია, რომელსაც სიბრძნის განუზომელი სიყვარულით ბახუსამდე მიჰყავხარ, ბახუსში არ ჩაგტოვებს და თან გაგიყოლებს, სამაგიეროდ, თავდავიწყებისა და თრობის ფილოსოფია, რომელიც ბახუსის ტკბობით, თავგზააბნევას განიჭებს, სამიკიტნოს კარებამდეც კი არ მიგაცილებს!

3. რაც უფრო ვუახლოვდებით ათწლეულობით ნანატრი სიმშვიდისა და მყუდროების განცდას, მით უფრო მძლავრად გვითრევს და გვიპყრობს მადისაღმძვრელ ცდუნებათა გრაგნილში ამოყირავებული ქარბორბალა. კი, მართალია, ამ გაუთავებელი ტანჯვა-წვალების წუთისოფელში, ვერაფერი შეედრება თავდავიწყებამდე მისულ ნეტარებას, თუმცა საბოლოოდ, ისე მაინც არ

უნდა ვქნათ, რომ ამ სანუკვარი სიმშვიდისა და მყუდროების ნაცვლად, ჩვენს სულში უნებური სინანულისა და სასოწარკვეთილების სამარისებურმა სიჩუმემ სამუდამოდ დაისადგუროს!

4. როცა ადამიანი სხვადასხვა საქმეებით იმდენად ერთობა, რომ ქეიფისა და დროსტარების სურვილიც აღარ რჩება, ის უკურნებელი, ქრონიკული ნევრასთენიითაა შეპყრობილი.

5. სიყმაწვილე სიმაჭრეა, სიჭარმაგე_ღვინო, ხოლო სიბერე_ძმარი! ის, რაც ყმაწვილშია, მაჭარივით თავზე წამოტივტივებული, ყოვლისწამლეკავი დელგმა და კორიანტელი, უკვე ჭარმაგშია დადუღებულ-დაწმენდილი, ფსკერზე დალექილი, ყოველივე სიმღვრივე და სიბლანტე, თუმცა ბერიკაცობაში, სწორედ ის მთხლე-გამოცლილი, გაკამკამებულ-გამჩატებული წმინდა ნექტარიღა შთება, მჭმუნვარე ურვისაგან ნაღვლითა და ზაფრით მოკანჭულ-მოხაშმული!

6. უკიდურეს განცხრომამდე მიმართული აღგზნება, დაცხრობისთანავე გარდაიქმნება, ასევე უკიდურეს სასაწარკვეთილებამდე, გამძაფრებულ გაღიზიანებად, რაც იმას ნიშნავს, რომ რაც უფრო მატულობს სიამოვნების განცდა, მით უფრო კნინდება ნებისყოფის ძალა და გარდაუვალი სატანჯველიც სრულიად აუტანელი ხდება!

7. რაც უნდა სათაკილო და საკამათოც შეიძლება იყოს, ქართული კაიკაცობის საქმეთა სიდიდისა და სიმცირის ხარისხი, ჩვენში, სუფრის ტევადობის საწყაულით ფასდება.

8. ჭეშმარიტად დიდი ხელოვნება, სულ-ხორციელი ტრფიალით, წარმოადგენს ღვინისა და ქალისგან ამღერებული ვნების გახელებას, რომელიც დაახლოებით ისე ეგუება ერთფეროვნებას, როგორც მეხი მყუდროებას!

9. სადაც ვნებისა და ტრფობის გრანდიოზული ქარცეცხლი არ მძვინვარებს, იქ არც ხელოვნებაა, არც მეცნიერება და არც არავითარი შემოქმედება!

10. ქართველი კაცი ყოვლად წარმოუდგენელია მამა-პაპის დანატოვარი ვენახის გარეთ; რასაც ეძღვნება კიდეც, უძველესი მრავალხმიანი საგალობელი–"შენ ხარ ვენახი". ვინც მიატოვებს თავის წილ ვენახს, ადრე თუ გვიან, ის უარს იტყვის სამშობლოზეც!

11. ქართული ტრადიციული სუფრა საკრალური მაგიური ძალის შემცველია, რომელსაც ძალუძს მოსისხლე მტრებს საერთო სიწმინდის სადღეგრძელო წარმოათქმევინოს და მათი ჭიქები,- გაშიშვლებული მახვილების სასიკვდილო კვეთების ნაცვლად, ერთიმეორეს სამშვიდობოდ და სასიცოცხლოდ შეახეთქოს! სირცხვილია, ფლობდე ასეთ ხელოვნებას და არ გივარგოდეს დიპლომატია!

12. ალბათ მართლა ღვინოს უნდა ვუმადლოდეთ, რომ ამდენი ტანჯვა-წვალების მიუხედავად, სადღეგრძელოებს ვსვამთ და არა სადღემოკლოებს!

13. თუკი სიმთვრალეში, ერთხელ მაინც, ვინმეს წინაშე, რაიმე სისაძაგლე ჩაგიდენია, არ გაქვს არავითარი უფლება, უწყინარ, მსმელ კაცს ლოთი უწოდო!

14. თუ კაცი სიმთვრალეში ერთობ ჭირვეული და აუტანელია, მისმა სიფხიზლემ შეცდომაში არ უნდა შეგვიყვანოს, რადგანაც ის, საბოლოო ჯამში, მაინც უვარგისია.

15. ქართველი ხალხის დიად და გრანდიოზულ სიბრძნეს თან ახლავს ცოტათი პატარა, მაგრამ ერთობ გამაოგნებელი უგუნურობაც: ნეტა, გამაგებინა, რატომ ითვლება ბევრის დალევა, სასიქადულო ღირსებად და ლამის, საარაკო საქმედ, ხოლო მისგან გამოწვეული დათრობა–ზნედაცემულობის, სირცხვილისა და გაკიცხვის სარწმუნო მოწმობად?!

16. ვისაც ლუდი კეთილშობილ სითხედ არ მიაჩნია და თაკილობს, მისი მეშვეობით, ტრადიციული სადღეგრძელოების და-

ლევას, მან, უმჯობესია, რახი შესვას და კვასი დააყოლოს!

17. უზომოდ გაჭიანურებული საქმე, მეტადრე ლხინი, ხანდახან მაინც, იმდენად მომაბეზრებელია, რომ ურიგო არ იქნება, კაცმა თავი შეიკავოს, როგორც ზედმეტი სიბეჯითისგან, ასევე სიფხიზლისგანაც.

18. ის ქართველი, რომელიც მამა-პაპისგან დანატოვარ ბებერ ვენახს ისე უმოწყალოდ აჩეხავს, რომ ახალშენით არ ჩაანაცვლებს, არა მარტო საკუთარ მოხუცებულ მშობელს არ მიხედავს, არამედ მის კუთვნილ საგვარეულოსაც უშვილ-ძიროდ გადააგებს და საბოლოოდ გადააჯიშებს!

19. ვის სულშიც ვენახისადმი მზრუნველობა და მოვლა-პატრონობა ამაღლებულ განცდას არ იწვევს, მისგან ღვინის ტრფიალის სულ ოდნავი გამომჟღავნებაც კი, უდიდესი ზნეობრივი სიმდაბლეა!

20. სანამ მიწისა და ვაზის ნაჟურის მომყვანი იხარებს და ერისთვის ილოცებს, საქართველო არ გადაშენდება!

21. ვაზი და ადამიანი ერთმეორის ბუნებრივი თანაარსია, როგორც ადამიანი არის ცხოველთა საბინადროში შობილი ვაზი, ისევე ვაზი გახლავთ მცენარეულ სიმწვანეულში აღმოცენებული ადამიანი; სანამ ერთად არიან, ღმერთთან არიან, ცალ-ცალკე კი, ორთავეს ეშმაკეული იპყრობს, ერთი მათგანი უღმერთოდ დაშთენილი მხეცია, ხოლო მეორე—უპატრონოდ მიტოვებული სარეველა, ამიტომაცაა, რომ დედა-ეკლესიურ ისტორიას მოწყვეტილი, გაველურებული ხალხი, გატყიურებული ვაზივით ხვიარი, ხეშეში და უნაყოფოა, რომელიც ან უნდა კარგად გამოისხლას, გაიმარგლოს და გაიფურჩქნოს, რათა სასიკეთოდ მორჯულდეს, ან ძირიანფესვიანად ამოიჩეხოს და ამოიძირკვოს, რათა საბოლოოდ განადგურდეს!

22. როგორც კაი ქეიფის მოყვარულთათვის არაფერი შეედრება, მამაპაპურ ქვევრში დაძველებული, თავანკარა კახური ღვინის ადგილზე დაჭაშნიკებას, ასევე უებარია, სადმე აქაურ კურორტზე, თავდავიწყებამდე მისული, მგზნებარე ტრფიალი, ახლადგაცნობილი ლამაზმანისა.

სხვადასხვა ზნეკეთილობათა და უმსგავსობათა შესახებ

1. შესაძლოა ვინმეს გადაჭარბებულად მოეჩვენოს, მაგრამ დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ ზრდილობა მართლაც ფასდაუდებელი განძია და მისი მფლობელი გახლავთ მხოლოდ არისტოკრატიული გონებისა და პლებეური გრძნობების მატარებელი ხალხი, ვინც ბუნებრივად ახერხებს პიროვნული პატივისცემის გამოხატვას, ყოველგვარი ფარისევლობის, მლიქვნელობისა და პირფერობის გარეშე.

2. კეთილშობილად მხოლოდ მას შეუძლია დარჩეს, ვინც, დიდსულოვნების მეოხებით, უმადურობასთან გამკლავებას შეძლებს.

3. ყველა ყალბისმქმნელსა და ცილისმწამებელს ამოძრავებს ერთადერთი მიზანი: წესიერი და პატიოსანი კაცი, ხალხის თვალში, წარმოაჩინოს იმად, რაც სინამდვილეში თვით არიან!

4. მედიდურობისა და ამპარტავნობის მაღალი გადმოსახედიდან, განუსაზღვრელად მისი სიფართისა და სიგრძისა, გარდაუვალ ქვესკნელამდე მიმავალი გზის მანძილი, სულ რაღაც, ერთი ნაბიჯია.

5. როცა მავან სუბიექტს განდიდების მანია შეიპყრობს, მისი ნიჭისა და შემოქმედების საქმე საბოლოოდ წასულია, ვინაიდან ამ

საშინელი პათოლოგიური ავადმყოფობისგან განკურნება მანამდე შეუძლებელია, სანამ მისი გრესიული ამპარტავნება გონებრივი დეგრადაციის ფსკერზე დაეშვება და თავზემოთ დაბუდებულ წყვდიადს ქვესკნელიდან არ ამოხედავს.

6. თუ ვარგებული და სარგებლიანი ხარ, ბავშვობაც, ახალგაზრდობაც, და სიბერეც თავთავისებურად ძვირფასი და განუმეორებელია, ხოლო უვარგისად და უსარგებლოდ დღე-მოთეული ხალხი, ერთნაირად უშნო, უგაბავი, აუტანელი, საყოველთაოდ ნაცადი და გაგონილი ჭირია.

7. ვერც ერთი მიმბაძველი, ვერასოდეს გახდება თავის რომელიმე მისაბაძზე უფრო უკეთესი!

8. გარეწრებსა და არამზადებს იმდენი თავხედობაც ყოფნით, რომ თავიანთი ბინძური მოქმედებებით, საჯაროდ, კიდეც მედიდურად დაიკვეხნონ; სამაგიეროდ, ამდენ ცხვრის ქურქში გახვეულ მორალის მქადაგებელს, სინდის-ნამუს გარეცხილ, მათ ღია, თუ ფარულ წამქეზებელს, შეუძლია ყოველივე ამას მონანიება დაარქვას და მათგან დაზარალებულთ, თავის მხრივ, აქეთ დაგვდოს ბრალი შეუწყნარებლობაში.

9. სიტყვას მაშინ მივანიჭებთ ნამდვილ თავისუფლებას, როდესაც, ვიგინდარების ენის ამოგლეჯვით, მას უღირსთა ტყვეობისაგან დავიხსნით.

10. ჩვენი ხალხისა და ქვეყნის მტრები, მართალია, ძალზე ცოტანი არიან, თუმცა, იმდენად ბევრი კეთილსინდისიერი ადამიანის ადგილს იკავებენ, რომ მთელი სამოღვაწეო ასპარეზის ბურთი და მოედანი მათ რჩებათ.

11. ნებისმიერ შემთხვევაში, ანგარებიანი კაცის მიმართ გაწეული უანგარო სამსახური, ყველაზე სამარცხვინო და დამამცირებელი მონობის ხვედრია, რაც მორალური კეთილგანწყობილების რაიმე მოტივით გამართლებას ძირეულად ეწინააღმდეგება!

12. ე. წ. საქმიანი ხალხი, ყოველთვის გამუდმებით ფეხქვეშ

ეგება გავლენიანი არამზადების მმართველობას, რამეთუ ყველაზე წვრილმანი და უბადრუკი გამორჩენის ფასად, სასიკვდილოდ წირავს იმ გენიოსებს, ვისაც საკუთარი უნიკალური ტალანტით შეუძლიათ მონობის დამარცხება.

13. ისევე, როგორც საკუთარ ქვეყანაში, ადგილობრივი გარეწრები ღირსეულ ადამიანებს ავიწროებენ და ჩაგრავენ, ამიტომაც აღარც უნდა გვიკვირდეს, რომ სწორედ ამის გამოც, ასევე, ამ ქვეყანასაც უცხო მომხდურები ჯიჯგნიან და თანდათანობით სანსლავენ!

14. როდის ვართ კარგად, ან ცუდად, თითოეული ჩვენთაგანის გასარკვევია, რის უფლებასაც ვერც ვერავინ ვერასოდეს ჩამოგვართმევს. ცუდად ვართ ყოველთვის, როცა რაიმე არ მოგვწონს, ხოლო კარგად ვართ, მხოლოდ მაშინ, როცა სხვის ადგილზე ყოფნას არ შევნატრით.

15. ძალიან კარგია, როცა თვალის ჩინი გიჭრის და ყველაფერს ამჩნევ, მაგრამ ბევრად უფრო ცუდია, როცა ამ ტიალი ქვეყნის შიგნით, ყველა უკუღმართობა და უმსგავსობა ჩანს!

16. ნუ ვიქნებით უმადურნი იმ მოშუღართა მიმართ, რომელნიც რაც უფრო ძალუმად გვექაჩებიან დაბლა, უფსკრულისაკენ, მით უფრო მარჯვედ გვეწევიან მაღლა, მწვერვალისაკენ!

17. ერთი და იგივე შეფასება, მავანის კეთილშობილური საქციელის გამო, თუ პირველ პირში თავმდაბლობის ნიშანია, სამაგიეროდ, მეორე და მესამე პირში, უმადურობის გამოვლინებაა…საკუთარი თავის ქებასა და დაქადილს კი სხვა ყოველთვის დამადლებად აღიქვამს და ამიტომ რაც არ უნდა მართალი იყოს, ხმის ამოღების ხალისი მაინც ყველას ეკარგება.

18. რაც უფრო მეტია ეგრეთწოდებული თავისუფალი არჩევანის უფლებისა და შესაძლებლობის თავსმოხვეული ილუზია, მით უფრო მდგრადი და შეუვალია საზოგადოებრივი ორჭოფობა და გაურკვევლობა, რაც გახლავთ პირდაპირი მიზეზი და საფუძ-

ველი ჩვენი ხალხის მასობრივი ინერტულობისა და დამყაყებისა.

19. რამდენადაც არ ძალგვიძს, გავაკეთოთ ის, რისი გაკეთებაც გვევალდებულება, იმდენადვე ხელგვეწიფება გავაფუჭოთ ის, რისი გაფუჭებაც გვეკრძალება!

20. ერთი წუთით წარმოიდგინეთ, რა მოხდებოდა, რომ გამოშტერებული ხალხი არ არსებობდეს და საერთოდ, უმეტეს შემთხვევაში, თავს ძალით არ ვიშტერებდეთ?!

21. როგორც ყოველი მომდევნო თავის წინამორბედს განგებ არ გაუფრთხილდება , ასევე გაუფრთხილებლად, შემდგომ ჯერზედ, მისი წილხვედრი საბედისწერო განაჩენი აღსრულდება.

22. იმ საზოგადოებაში, სადაც ერთგულება, პატიოსნება და კეთილსინდისიერება ყოველგვარ ღირებულებას კარგავს, ღალატს, გათახსირებას და უსინდისობას უზარმაზარი ფასი ედება!

23. ამ უკიდურესად გაიაფებულ, უყველპურო სანახაობის მიღმა, დაბუდებულია ერთი მუჭა უმაქნისი ყალთაბანდების ჯგუფი, რომელთა ავადმყოფურ აკვიატებებსა და თავხედურ ახირებებს, ერთიანად ეწირება მთელი ჩვენი საზოგადოების ძალა, ენერგია და კეთილდღეობა!

24. ღიმილი, თანაგრძნობით გაცისკროვნებულ მზერაში, ან ღვთისგან მოძღვნილი იოტისოდენა ნუგეში, ამ დაზაფრული თანაცხოვრების აპოკალიფსურ სინამდვილეში, სავსებით საკმარისია ჩვენს გონებაში დასადგურებული, აბეზარი მკილივით ტვინგამბურღავი უკუღმართი ეჭვების გასაქარწყლებლად!

25. ყველა გადიდკაცებული არამზადა, ვისაც გულწრფელი თანაგრძნობის ნატამალიც არ შერჩენია, არნახული სისასტიკით შეურაცხყოფს განსაცდელში ჩავარდნილ თანამემამულესა და მოყვასს, როდესაც მავანთა თვალისასახვევად, ცდილობს საკუთარი ცინიზმის შენიღბვას ფარისევლური ქველმოქმედების საფასურად!

26. ერთი სანაქებო უბიწოება კი არ ავლენს და აშიშვლებს, არამედ მხოლოდ დროებით ფარავს და აფერმკრთალებს ათას საძრახის ბიწიერებას, რამეთუ რაც უფრო სუფთაა წყალი, მით მეტ ჭუჭყს აიტანს ერთი ადგილიდან, თან წაიღებს, მაგრამ, სამაგიეროდ, მთელ სიგრძეზე მოსცხებს ნაპირებს.

27. საჯაროდ გამოხატული, უტიფარი უმადურობის უმთავრესი მიზეზი, გულში ფარულად ჩაბუდებული, შინაგანი ბოღმა და ვერაგი შურია.

28. როცა სხვები იყიდებიან და გვღალატობენ, მაშინ ვამბობთ, რომ ქვეყანა მათ გამო იქცევა, ხოლო როცა, ამის მერე იმავეს თვითონ ჩავდივართ, ამჯერად ვიტყვით: სულერთია, ამდენი ხალხის გაფუჭებულ საქმეს, მარტო ჩვენ მაინც ხომ ვერაფერს ვუშველითო?!

29. უკვე, ვინ იცი, რა ხანია, რაც ჩვენი სამსახურეობრივი დაწესებულებანი გარდაიქმნა, იმ ფსკერ-ამოღრმავებულ, მდორე წყალსატევად, სადაც მარტო ვეებერთელა ღლავები თუ დატყლაშუნობენ თავიანთ გემოზე, ლაღად და თავმომწონედ, ხოლო სხვა დანარჩენ, ჯიშიან თევზებს, უიმედოდ და უღიმღამოდ რომ შეყუჟულან ქვა-ღორღის ქვეშ, აქ არავითარი გასაქანი არ ეძლევათ!

30. მარგინალურ ცნობიერებაზე დაქვემდებარებულ, სოციალურ, სუბკულტურულ დანაშრევებში, ამორალიზმის მორალური დოქტრინა, ყველანაირი დოგმატური შეუვალობის აღმატებულ ხარისხშია აყვანილი.

31. უსაქმური ხალხი მუდამ მოუსვენარი და შფოთიანია, ვინაიდან მათ ყველაზე მეტად სხვისი საქმიანობა ღლით და აღიზიანებთ; სწორედ ესაა მიზეზი, რომ ისინი არც თვითონ ცდილობენ რაიმეს შექმნას და არც სხვას ანებებენ საერთო სიკეთისთვის ღვაწლის გაღებას.

32. ადამიანის ზნეკეთილობა და სიდიადე საკუთარი უბადრუკობისა და უსუსურობის განცდა-გაცნობიერებაშია, რაც მას სა-

შუალებას აძლევს, სიცოცხლის ბოლომდე ებრძოლოს სხვადასხვა სახის მანკიერებებს და თანდათანობით აღმოფხვრას ისინი.

33. ნამდვილი საქმის მკეთებელი გაკეთებული საქმეებით იცნობა და არა ფუჭი და უნაყოფო ილუზიების წარმოსახვითი ხიბლით.

34. ვისაც სჩვევია, საკუთარ გასაჭირთან შეხვდრა ლაღი იუმორით, მხოლოდ მას ახასიათებს, სხვისი გასაჭირის აღქმაც, მთელი სერიოზულობით!

35. ყველაზე მეტად მოსარიდებელი და საშიში ის ადამიანია, ვისაც ერთი შეხედვით, არაფერი ეშლება, რადგანაც ის არავის არც ერთ შეცდომას არ პატიობს, უმჯობესია მანამ ჩამოშორდეთ, სანამ თვითონ ჩამოგაშორებს ყველას და ყველაფერს.

36. კაცთა ამქვეყნიურ სიავეს რომ არც დასაბამი აქვს და არც დასასრული, თავისთავად ცხადია, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ამ უმეტეს ავთაგანს საკუთარი ვერაგობისა და მზაკვრობის თვითონ ყველაზე მეტად ეშინია, მაინც სწორი გზის არჩევას და გაკეთილშობილებას, სიკვდილი ურჩევნია!

37. უმჯობესია ადამიანი იყოს თავიდან ბოლომდე უსინდისო, ვიდრე იმდენად უნამუსო და უსირცხვილო, რომ საკმარისად ყოფნიდეს თავხედობა, რათა ღიად და საჯაროდ, მოხერხებულად ივაჭროს საკუთრი სინდისის ქენჯნასთანაც კი!

38. როდესაც ხალხის დიდ ნაწილს ჰღალატობს მეხსიერება, შესაბამისად მას არ გააჩნია ნატამალი მადლიერებისა და ამიტომაც, ნათელი გონის აზრსა და ღვთიურ მადლს მოკლებული მისი არჩევანი, მუდმივად მცდარი, სათაკილო და ქვეყნის დამაქცევარია.

39. თუკი კუჭს მუცელში მის კუთვნილ ადგილზე არ დააყენებ, ის დაუყონებლივ დაიჭერს ადგილს შენს თავში, გონების ნაცვლად!

40. ყველაზე გაჭიანურებული საქმეებისგან თავისდაუღწევ-ლობის ნამდვილი მიზეზი საფრთხის მოლოდინთა გამძაფრების ქვეცნობიერი მისწრაფებით განისაზღვრება, რაც ზედმეტი სიფ-რთხილის გრძნობით დახშულ-დაგმანული წინდახედულობის უქონლობის ბრალია.

41. მადლისგან და თანადგომისგან დაცლილი ყოველგვარი ფულადი დანახარჯი, ან აღვირახსნილი მფლანგველობაა, ან სიკ-ვდილის მუქარით დათრგუნული სიძუნწის ციებ-ცხელება, რო-მელიც არავის არაფერში არ წაადგება.

42. არც თუ ისე ცოტანი არიან ისინი, ვისაც უვარგისი ხალ-ხი უფრო მოწონს, ხოლო ვარგებული არაფრად ეპიტნავებათ, ამის მიზეზი კი ისაა, რომ მათ საკუთარი თავი ყველაფერს ურჩევნიათ.

43. ყველა ჭირი, სენი, ოხრობა, ეპიდემია და ავადმყოფობა, ვერაგი და გათახსირებული ხალხის მოგონილია, სიცოცხლის, მშვენიერებისა და ამქვეყნიური სიხარულის გასაქარწყლებლად!

44. ყველა უმადური და დაუნახავი, ახლობელი ხალხის მიერ გამოხატული სათნოებისა და სიკეთის გასაქარწყლებლად და თა-ვისი ავბუნებიანი ფიქრის შესანიღბავად, გამუდმებით ქადაგებს უანგარო სიკეთის ჩამდენ ისეთ შორეულ უცხო ვიღაცეებზე, რო-მელთაც მთელი დედამიწის ზურგზე, კაციშვილი არ იცნობს.

45. ზოგჯერ მართლაც რა კარგია უამინდობა, როდესაც იგი ზედმეტი მუშაობისგან გვასვენებს, ისევე, როგორც არც თუ ისე ცუდი ყოფილა უმადურობაც, რომელიც ზედმეტი პასუხისმგებ-ლობისგან გვანთავისუფლებს.

46. თვალთმაქცობაა ყოველგვარი საჯარო აღიარება და სინა-ნული, თუკი მანამდე, საკუთარ სინდისთან ანგარიში არ გაგისწო-რებია!

47. ის, ვინც იდიოტებისა და ყეყჩი ადამიანების განსჯა-შეფა-სების გამო, გონიერი და ჭკვიანი ხალხისთვის პასუხის გასაცემად

დროს ვერ პოულობს, თვითონ არც ერთ მათგანზე უკეთესი არ არის.

48. ყველაზე ჯანსაღი და იდეალური, ისეთი საზოგადოებრივი ურთიერთობებია, სადაც არც ერთი ადამიანი, საკუთარი ბუნებრივი ნაკლის გამო, თავს დათრგუნულად არ გრძნობს.

49. რაოდენ სანუკვარი მისაღწევიც შეიძლება იყოს, ახლის შეძენას მაინც დაკარგული ძველის დაბრუნება უნდა გვერჩიოს.

სიმდიდრის, სიღარიბის, ჯანმრთელობისა და ავადმყოფობის შესახებ

1. ვინც ჯანმრთელობის ფასი იცის, სიმდიდრეს არასოდეს არ მოინატრებს, მათგან განსხვავებით, ვინც ყოველივეს ფულის საფასურით განსაზღვრავს.

2. მართალია, ბევრჯერ ახლანდელი ფრჩხილის ტკივილი ადრინდელ თავის ტკივილზე უფრო მძაფრი და აუტანელია, თუმცა შედარებაზე თუ მიდგება საქმე, უთავოდ დარჩენასთან, არამც თუ უფრჩხილობა,არამედ თვით უხელ-ფეხობაც კი რა მოსატანია?!

3. მხოლოდ ოთხი რამ არ იყიდება და მუქთად გვეძლევა ამქვეყნად: სიღარიბე, სიბერე, ავადმყოფობა და სიკვდილი!

4. იცით, რა არის მსოფლიოს ყველაზე დიდი საოცრება? მიწის, ცეცხლის, ჰაერისა და წყლის გარდა რომ ამქვეყნად სხვა არაფერია და მაინც, თუ ეს ყველაფერი ადამიანმა მისხალ-მისხალ, ცალობით, გრამობითა და სანტიმეტრობით არ შეისყიდა, ის ამ ყველაფრის მიღმა აღმოჩნდება, თუმცა სად არის ეს მიღმა, დღემდე ჯერჯერობით, ეს არავინ უწყის!

5. ზოგადი კანონზომიერების შესაბამისად, მოგება და წაგება, სიმდიდრე და სიღარიბე–ყოველთვის ერთიმეორის განუყრე-

ლი დედმამიშვილები არიან, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, მოგებული და წაგებული, ისევე როგორც მდიდარი და ღარიბი, ოდითგანვე ერთმანეთის დაუძინებელ მტრებად იშვნენ და ბოლომდე ასეთებად დარჩებიან.

6. მადლისგან და თანადგომისგან დაცლილი ყოველგვარი ფულადი დანახარჯი, ან აღვირახსნილი მფლანგველობაა, ან სიკვდილის მუქარით დათრგუნული სიძუნწის ციებ-ცხელება, რომელიც არავის არაფერში არ წაადგება.

7. თავიდან ბოლომდე რომ ჩაწვდე ამ ცხოვრების ყველა იმ დიდ საშინელებას და უბედურებას, რაც საყოველთაოდ და მხოლოდ ფულის გამო ხდება, საჭიროა ბევრად უფრო მეტის გადახდა, მოცემულ შესაძლებლობასთან შედარებით.

დაუძლურებული სხეულით ძლიერი სულის ზიდვა ისე და სხვაგვარად, ყოვლად წარმოუდგენელია. თუმცა უფალთან თუ ხარ, პირიქით, ასე და ამგვარად, სავსებით შესაძლებელია.

8. ყველა ჭირი, სენი, ოხრობა, ეპიდემია და ავადმყოფობა, ვერაგი და გათახსირებული ხალხის მოგონილია, სიცოცხლის, მშვენიერებისა და ამქვეყნიური სიხარულის გასაქარწყლებლად!

9. ის, ვინც სიბერისგან დაუძლურებულ ბოროტმოქმედს გაკეთილშობილებულად მიიჩნევს, თვით ყოველი კეთილშობილი კაცის ნამოღვაწარსაც სულ იოლად ივიწყებს.

10. ყველაზე ჯანსაღი და იდეალური, ისეთი საზოგადოებრივი ურთიერთობებია, სადაც არც ერთი ადამიანი, საკუთარი ბუნებრივი ნაკლის გამო, თავს დათრგუნულად არ გრძნობს.

11. ბოროტი ფიქრი, შხამიან საკვებზე მეტად, ერთიანად აავადებს და წამლავს ადამიანის სულსა და სხეულს, ამიტომაც ასეთი ავადმყოფი ვერავითარი ექიმითა და წამლით ვერ განიკურნება, სანამ მის სულხორციელ არსებაში ბინადარი მხეცი საბოლოოდ არ განიდევნება.

წიგნისა და მისი ავტორის, მკითხველისა და სხვადასხვა შემოქმედებით ღირშესანიშნაობათა შესახებ

1. გენიალურ პოლიტიკურ საჭეთმპყრობელთა ყველაზე უფრო გამაოგნებელი და მომნუსხველი გავლენა, უპირველეს ყოვლისა, გენიალურ ხელოვანთა და მეცნიერთა შემოქმედებით ნამოღვაწარზე ვრცელდება.

2. გენიოსი მწერალი არამც თუ წიგნს, არამედ უბრალო წერილსაც ვერ დაწერს იძულებით, რამეთუ მას, ღმერთის გარდა, ვერც ერთი სხვა ძეხორციელი, ვერასოდეს ვერაფერს აიძულებს.

3. არ არსებობს ამქვეყნად არც ერთი ისტორიული ძეგლი, რომელიც, ბარბაროსთაგან ნამათხოვრებ, სამარცხვინო ბოძზე დაბჯენით, გრანდიოზული წარსულის ხელშესახებ სამკაულს ინარჩუნებდეს; ამას ისევ ჯობია, ბარემ, რაც დასანგრევია სულ ერთიანად დაინგრეს!

4. მთელი კაცობრიობის უბედურებაც ისაა, რომ ხელოვნების ნაწარმს ბევრად უფრო მეტი თაყვანისმცემელი ჰყავს, ვიდრე ბუნებრივ ქმნილებას, ვინაიდან ბუნებრივი მშვენიერება, ადამიანური თვალთახედვით, მუდამ შეუღწევადი და შეუფასებელია!

5. ჭეშმარიტად დიდი ხელოვნება წარმოადგენს სულ-ხორციელი ტრფიალით გახელებულ ვნებას, რომელიც დაახლოებით ისე ეგუება ერთფეროვნებას, როგორც მეხი მყუდროებას!

6. ვერც ერთი მიმბაძველი, ვერასოდეს გახდება თავის რომელიმე მისაბაძზე უფრო უკეთესი!

7. იმისათვის, რომ დიდი ადამიანების ფასდაუდებელ ღვაწლს ჩრდილი მიაყენონ და მათ მიმართ გამოხატულ ერთგულებაში ეჭვის ჭია ჩანერგონ, ავანტიურიტი პოლიტიკოსები ყველაზე ზნედაცემულ ადამიანებს შეარჩევენ, რათა ყველაზე მხურ-

ვალე მხარდამჭერთა სახელით, სწორედ მათ დააკისრონ, ხალხის რჩეულთა შესახებ, მაღალფარდოვანი დითირამბების ფრქვევა და ხოტბის აღვლენა.

8. რაც არ უნდა გემრიელი კერძებით გააწყო სუფრა და ათასგვარი ზიზილპიპილოებით მოკაზმო, სრულიად საკმარისია, ზედ ერთი ნაგვის ყუთი შემოდგა, უმალ ყველაფერი სანაგვედ გადაიქცევა, ასე დაემართება ყველა იმ ბეჭდურ გამოცემას და კრებულსაც, სადაც მრავალ დამსახურებულ მოღვაწეთა ღირშესანიშნავ შრომებს თითო-ოროლა მარგინალ მჯაბნელთა მონასაქმებიც შეერევა.

9. რაც უფრო ნაკლებად ურევია თითოეული ადამიანის ხელი მთელი კაცობრიობის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ნაწარმის კეთებაში, მით უფრო მოწყვეტილია მსოფლიოს საზოგადოება კლასიკური ხელოვნებისგან და შემოქმედებითი კულტურისაგან!

10. მწიგნობარნი, ამ ხანმოკლე წუთისოფლის უდიდეს ნაწილს იმ ავტორთა ფიქრების ტყვეობაში ატარებენ, ვის წიგნებსაც კითხულობენ, მაშინ როდესაც უწიგნურნი, მთელი თავიანთი უბადრუკი ცხოვრების მანძილზე, უგუნურთა ტყვეობას თავს ვერ აღწევენ.

11. იქ, სადაც წიგნს მკითხველი გამოლევია, მიწას მიწათმოქმედი, სახლ-კარს კომლი, გზას მეგზური და ტაძარს მლოცველი, კაი კაცობის ღვაწლისა და ღვთის მადლისგან დამშტარ-დაწრეტილი ნაკაცარებისა და ნატაძრალების გარდა, უკვე სხვა აღარაფერია.

12. კეთილმადლიანი და სანუკვარი საქმის შემოქმედთა ღვთივკურთხეულ, გაცისკროვნებულ ნამოღვაწარს, შურიანი და გონებაშეზღუდული ხალხი, უმალ გამოუყვანდა წირვას, ცალკეულ ვისმეს, მავან ცბიერსა და ვერაგს, მისი ბოროტად გამოყენების ბნელი ზრახვები რომ არ ამოძრავებდეს.

13. ისე უსაზღვროდ მიყვარს პლატონის ფილოსოფია, რომ ლამის ვაღმერთებ, მაგრამ აქვე ვიტყვი იმასაც, რომ აქამდე ვერ შევგუებივარ მის უმკაცრეს და ულმობელ დამოკიდებულებას ლირიული პოეტებისადმი, თუმცა ამ ბოლო ხანს, განსაკუთრებით, იმნაირ უცნაურ ლექსებს წავაწყდი, რომ თითქმის მზადა ვარ, ამ ბუმბერაზ მოაზროვნეს არ დავეთანხმო არაფერში, ოღონდაც, უკლებლივ, მთელი სიგრძე-სიგანით, გავიზიარო მისი გულისწყრომა ამ აუტანლად აბეზარი და მატრაკვეცა ხალხისადმი!

14. ნამდვილი მუსიკა რასაც ჰქვია, სწორედ ისაა, რომელსაც ძალუძს, სულ-ხორციელად შეგვძრას და მაგიურად მოგვაჯადოვოს, ის ბევრად უფრო ცხადი და ახლობელია ჩვენთვის, ვიდრე საკუთარი თავი.

15. გაუფასურებული წიგნების საუკუნეში იმდენად ასტრონომიული რაოდენობის წიგნი ქვეყნდება, რომ ისინი განუზომლად აღემატებიან არა მარტო მკითხველთა, არამედ დედამიწაზე სულდგმულ ადამიანთა საერთო რაოდენობასაც, ისევე როგორც მიცვალებულთა ნამარხები ცოცხლად მოარულ არსებებს, რომლებმაც თავ-თავიანთ მკვდრებს, თავ-თავის დროზე, სამუდამო ბინა და განსასვენებელი განუმზადეს.

16. მსურს საჯაროდ მივმართო სხვათა ნამოღვაწარზე დამსუნაგებულ-დახარბებულ თვითმარქვია ავტორ-ავტორიტეტებს: ამ უსწორმასწორო წუთისოფლის უკუღმართობის პირობებში, თქვენ და თქვენისთანებს ჭარბად გყავთ ვითომ მკითხველი, სინამდვილეში_არამკითხველი, ხოლო მე და ჩემისთანებს ბევრად უფრო ნაკლები, ვითომ არამკითხველი, სინამდვილეში მკითხველი; მაგრამ გავა დრო და როცა არც ერთი ჩვენთაგანი აღარ დარჩება ამქვეყნად, თქვენს წიგნებს თქვენივე მკითხველის ბედი ეწევათ, ხოლო ჩვენს მკითხველს _ჩვენივე წიგნების!

17. ანტიკური პერიოდიდან მოყოლებული, მეოცე საუკუნის ჩათვლით, ინტერნეტის თაობამ საბოლოო წერტილი დაუსვა წიგ-

ნების ეპოქას, რამეთუ აღნიშნული თაობა, სრულიად უძლური და უუნაროა იმისთვის, რომ ან გულისყურით წაიკითხოს და გაიგოს, ან თვითონ დაწეროს და შექმნას, საკუთარი ეპოქალური წიგნი.

ქალთა შესახებ

1. განუსაზღვრელი ოდენობის მამაკაცთა გულთამპყრობელი ყოველი ქალი, რომელიც ღვთის წყალობით საკმაოდ ბევრია, შეუძლებელია რომელიმე მათგანის საკუთრება იყოს!

2. მას მერე, რაც ნადირობა და არშიყობა მომხიბლავ დიაცთა აზარტული ენერგეტიკის თამაშობად გარდაიქმნა, მათი გულის მოგება მარტოდენ ძლიერ მამაკაცთა საკვირველი მონაპოვარი არ გახლავთ, თუმცა როდესაც საქმე ამ ტურფა ასულთა საბოლოო მისაკუთრებასა და შენარჩუნებას ეხება, ეს ყოველთვის იყო, არის და იქნება ყველაზე განსაკუთრებულთა და რჩეულთა ხვედრი.

3. სანამდე კაცს, უნებურად, თვალი ლამაზი ქალისკენ გაურბის, მისი ახალგაზრდობაც იქამდე არ დასრულებულა!

4. იმ კაცს, ვისაც ძალა და გამბედაობა არ შესწევს, პირუთვნელად და თამამად თვალი გაუშტეროს ქალის სილამაზეს, ის სულ-ხორციელად ხეიბარი და უბადრუკი საჭურისია!

5. თუ გსურს სატრფოს თავი მოაწონო_ აჩვენე, რაც რამ კარგი და უკეთესი გაქვს, მაგრამ თუ ცდილობ, თავი შეაყვარო, მაშინ შენს უმთავრეს ნაკლს ნუ დაფარავ!

6. 8 მარტი, მთელი თავისი გულთბილი მილოცვებითა და ჩახუტებებით, არის იურიდიული გაფორმება და აღიარება იმ დიადი ისტორიული სახელშეკრულებო აქტისა, რომლის თანახმად, ნამდვილი მამაკაცები, ყველა სხვა დღეებსაც, ქალბატონებს სრულიად უსასყიდლოდ უძღვნიან!

7. აუცილებელი არ არის, კაცი იყოს ფილოსოფოსი, რათა მიხვდეს, რომ აშარი დედაკაცების ტყვეობაში ყოფნას, ისევ აბეზარი და მოუსვენარი ფიქრების ტყვეობაში ყოფნა სჯობს.

8. ქმრისა და მამისგან განტევებულ, ნაცოლართა და ასულთა, უძეოდ თავშეყრილ, ოჯახურ ერთობას, არ ეცხება მადლი სულიწმიდისა, რამეთუ ქვემძრომთა საბინადრო, უდაბურ, ურწყულ, უკაცრიელ, კლდე-ღრე ხრიოკში, კეთილ-სულდგმული და ნაყოფ-ვარგისი, არავითარი რაიმე, არსით, არ იხილება.

9. ბუნებრივად და ისტორიულად დამკვიდრებული, პატრიარქალური ცხოვრების, საზოგადოებრივი წესი, არის, სხვა რამეებთან შედარებით, ქალთა უსაფრთხოების, უფრო სანდო და მოხერხებული საშუალება, რომლის მეოხებითაც, თვით ყველაზე ურჩი და დაუდგრომელი, შემაძრწუნებელი ფათერაკების მოყვარული მანდილოსნებიც კი, ერთობ საიმედოდ არიან დაცულნი, დანარჩენთათვის სასტიკად საზიანო და მავნებლური, თავისივე ავანტიურისაგან.

10. როცა ქალი სისტემატურ ბილწსიტყვაობას მიმართავს, ეს იმის ნიშანია, რომ ბოლო ხანებში მირთმეული სიამ-ტკბილობის დოზა, მას უკვე აღარ აკმაყოფილებს!

11. ყველანი სასტიკად შეურაცხყოფენ იმ ქალბატონებს, ვის საამებლადაც ცდილობენ დაამტკიცონ, რომ მათ მიერ ჩადენილი ნებისმიერი შეცდომა და დანაშაული, მარტოდენ მამაკაცთა სისუსტისა და ბრალეულობის შედეგია და სხვა არაფერი.

12. კაცს, რომელსაც საკუთარი დედა სძულს, ვერც ერთ სხვა ქალს დიდი ხნით ვერ იტანს და ამიტომაც იცვლის მათ წარამარა, ასევეა ქალიც, რომელიც მამის დაუკითხავად მარტო იმიტომ თხოვდება, რომ ერთ მშვენიერ დღეს ქმარს უღალატოს!

13. არაფერი ისე მოხერხებულად არ ამართლებს ქალის მსუბუქ ყოფაქცევას, როგორც ერთი მხრივ, ფუჭი ოცნება თეთრ ტაი-

ჭოსან მზეჭაბუკზე და მეორე მხრივ, ყოველ შემხვედრ მამაკაცთა მიმართ იმედგაცრუება.

14. ამქვეყნად, როგორც ვერ იპოვით ვერც ერთ იმგვარ უკარეგა და ცივ ქალს, რომელიც არ დანებდება არც ერთ მამაკაცს, ასევე ვერ მონახავთ ვერც ერთ ისეთ მეძავსა და მრუშს, რომელიც, განურჩევლად, ყველა მამრს საწოლში ჩაუკოტრიალდება.

15. ოდითგანვე ასე იყო და კვლავაც გრძელდება, რომ რაც უფრო მეტად იზრდება და მასობრივი ხდება თავქარიან ლამაზმანთა ავტორიტეტი, მით უფრო, პირდაპირპროპორციულად ვრცელდება საყოველთაო ბოზობის ხარისხიც.

16. მამაკაცთან თანასწორობის მოსურნე ქალი, ქალობას საბოლოოდ ისე ჰკარგავს, რომ მამაკაცი მაინც ვერ ხდება!

17. რასაკვირველია, ქალი ადამიანის მეგობარია, ოღონდ მხოლოდ იმ იშვიათ და განსაკუთრებულ შემთხვევაში, როცა იგი ადამიანს არაადამიანურად უყვარს.

SOCIAL-PHILOSOPHICAL AND LOGICAL-GNOCHEMICAL BASICS OF ORATORY ART AND GENERAL RHETORIC

Summary

The specified course serves to convey the basics of general rhetoric, it also describes and examines the best oratorical art samples and fragments of well-known personalities. In the modern stage, the subject of general rhetoric is the access and understanding of those most common laws of the speech activity, which define the purposeful, intellectual relations and socio-cultural systems produced on various stages of public activity. On the basis of consistent logical-methodological analysis and competent professional classification, based on established conclusions and key provisions, based on established conclusions and key provisions, it is possible to refine speech relationships and effective improvement, for develop practical recommendations. Oratory activity is characterized as

a transforming process of word to thought and thought into the word, that is why the general rhetoric, which represents one of the main activities of the main use oratory discipline, learning and explores in various conversations, the general laws of speech-related behavior; in addition, it provides practical guidelines and recommendations, for improve effective communication-relations with audience of listeners and speaker. The main attribute that determines the given discipline, this is its multipurpose content and volume. Accordingly, there is a separation of professional marks, special, ie, rhetorical variants and models of private use.

To make clear opinion expressed and to learn and understand the say right, it is required definition of their significance. The opinion

is a certain idea, the fascinating icon, which is formed within the consciousness, as a certain event, or material and spiritual expression of the sequence of events, as for the thinking, it is the dynamically tuned procedural row, those perceptions that were initially carried out in our minds, before that, they will be transformed into their words, ie verbalization, which available will become, both inside and outside frame, in the pottery or in the mold. Thus, the word is simply a form of idea and the idea is thoughtful meaning of the word. However, quite often, there are also untold ideas, which are expressed in a very different way, in the such profession of people, as pilots, drivers, footballers and others players. This is the category of people who, neither consider nor have time to move their thoughts into words. When we talk to others or write a comment, taken from our own consciousness screen, on the basis of performing perceptions and images, we delivere codified words to the listener and the reader and when others talk to us, or we read their writings, in this case, the opposite is happening_converting coded words on your own consciousness screen also, as perceptions and imaginations. The main thing in this process, is the establishing author's identical subject icon, which provides a sense of understanding of our interlocutor. By the way, in the language of philosophy, it is called hermeneutics, which implies the deeper access to ideas and communion with other souls. Such attitude and dependence of the conditioned possibility is called intentionality.

The impact of the verbal membrane greatly simplifies and delivers a delicate image of a thoughtful expression which is less likely to match its condition in the original idea. That is why it still remains in force the sophisticated tradition of antiquity enlightenment, whose predecessors were still in the philosophical perspective of Gorgia, the

unthinkable verbal expression of true opinion. Therefore, in the tasks of rhetoric is included the research, of the problems of speech and opinion interaction and commonality, but his obligation, in contrast to philosophy, is not expressed in the issue and solution of this problem, which is partially a prerogative of language philosophy and some kind of logic, but also the theoretical difficulties and even the recognizable patterns of gnosiological agnosticism, which is impressive, convincing and acceptable for the listener.

ბიბლიოგრაფია

1. არისტოტელე., რიტორიკა, თბილისი., 1992.
2. არისტოტელე ,,რიტორიკა ”., თსუ გამომცემლობა, თბილისი., 1981.
3. გოზალიშვილი გ., ქსე, ტ. 2, გვ. 162, თბ., 1977.
4. დანელია ს., ანტიკური ფილოსოფიის ნარკვევები, თბილისი უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1983.
5. დემოსთენე, ფილიპიკები., წინასიტყვაობა და კომენტარები დაურთო გიგლა სარიშვილმა., თბილისი., 1984.
6. მჭედლიშვილი ლ. ივანიძე ნ., „ლოგიკა“., თბილისი 1997 წ.
7. ლომოური ნ., ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 4, გვ. 26, თბ., 1979 წელი.
8. მარკუს ავრელიუსი., ფიქრები. /წინასიტყვაობა, რომელიც დაურთო ბაჩანა ბრეგვაძემ/გამომცემლობა CARPE DIEM 2008.
9. ქანთარია გრანი., რედაქტორი: ლ. სანიკიძე/ ძმები გრაკხუსები. თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა., 1990.
10. ყაუხჩიშვილი თ., ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, თბ, 1977.
11. Аверинцев С. С. Риторика и истоки европейской литературной традиции. - М.: Шк. «Языки русской культуры», 1996.
12. Бахтин М.М. Эстетика словесного творчества. Сост. С.Г.Бочаров. - М.: Искусство, 1979.
13. Гаспаров М. Л. Средневековые латинские поэтики в системе средневековой грамматики и риторики //Проблемы литературной теории в Византии и латинском средневековье. - М.: Наука. 1986.
14. Карл Краус. Беньямин В. Маски времени. Эссе о культуре и литературе. СПб: Симпозиум, 2004.

15. Кащей Н. А. Современная риторика как методология убеждения // Вестник Новгородского государственного университета. № 67, 2012.

16. Курбатов Л.Г. Риторика // Культура Византии (IV - первая половина VII в.). М., 1984.

17. Львов М.Р. Риторика. Культура речи: Уч. пособие для студентов гуманитарных факультетов вузов. – М.: «Академия», 2003.

18. Лами Б.. Риторика, или Искусство речи / Пер. Е. Л. Пастернак // Пастернак Е. Л. «Риторика» Лами в истории французской филологии. М.: Языки славянской культуры, 2002.

19. Литературные манифесты западноевропейских классицистов. М.: Изд-во Моек, ун-та, 1980.

20. Лотман Ю.М. Происхождение сюжета в типологическом освоении // Лотман Ю.М. Статьи по типологии культуры. -- Тарту: Изд.ТГУ, 1975.

21. Лукасевич Я. Аристотелевская силлогистика с точки зрения современной формальной логики. М., 1959.

22. Лютер, Мартин. О свободе христианина. [Сборник]. Уфа: ARC, 2013.

23. Муштук О.З. ОСНОВЫ ОБЩЕЙ РИТОРИКИ: Учебно-методический комплекс. – М., 2008.

24. Маркичева Т.Б., Ножин Е.А. Мастерство публичного выступления. М., 1989.

25. Михальская А. К., Теория риторики. — М:, 1997.

26. Памятники византийской литературы IV - IX веков. М., 1968.

27. Платон, Эвтифрон, Введение, перев и примеч. А. М. Якимаха, СПБ, 1893.

28. Пешков, И.В. М.М. Бахтин: от философии поступка к

риторике поступка / И.В. Пешков. — М.: Лабиринт, 2006.

29. Перельман, Х.; Олбрехт-Тытека, Л. Из книги «Новая риторика: трактат об аргументации» // Язык и моделирование социального взаимодействия. — М.: Прогресс, 1987.

30. Риторика. Курс лекций / Под ред. Л.А. Муриной. - Мн., 2002.

31. Сурин Н.В. Риторика: Уч. пособие. – М: Изд-во МГИУ, 2000.

32. Творения Платона., Федр, пер. Н. Мурашова, М., 1904.

33. Уколова В.И. Античное наследие и культура раннего средневековья (конец V - начала VIII века).М. 1989.

34. Хазагеров Г.Г., Лобанов И.Б. - Риторика (Учебники, учебные пособия)- 2004.

35. Adler, Mortimer J. "How to Mark a Book." Rpt. The McGraw-Hill Reader: Issues Across the Disciplines. Ed. Gilbert H. Muller. 8th ed. Boston: McGraw-Hill, 2003.

36. Barthes, R.The Rhetoric of the Image." In his book Image-Music-Text, trans. S. Heath. rpt. London., 1964.

37. Barthes R., Introduction to the Structural Analysis of Narratives,. New York 1977.

38. Genette, G., T. Todorov (ed.), Semantics of poetry, Paris, Seuil. 1979.

39. Corbett, Edward P.J. Classical Rhetoric for the Modern Student. 3rd ed. New York: Oxford UP, 1990.

40. Chaïm Perelman, The New Rhetoric: A Treatise on Argumentation, 31. Translated by John Wilkinson and Purcell Weaver. Indiana: University of Notre Dame Press, 1969.

41. Cohen, H. (1994). The history of speech communication: The emergence of a discipline, 1914–1945. Annandale, VA: Speech Communication Association; and Gehrke, P.J. 2009.

http://www.iep.utm.edu/cicero/

სარჩევი

რედაქტორის წინასიტყვაობა.....3

ნაწილი I

ორატორული ხელოვნებისა და ზოგადი

რიტორიკის ძირითადი თავისებურებანი.....11

§1.ზოგადი რიტორიკის საგანი.....11

§2.ზოგადი რიტორიკის კანონებისა და

კატეგორიების წინასწარი განმარტება.....16

§3.მეტყველების ძირითადი

მიზნობრივ-ფუნქციონალური სახეები.....19

§4.ზოგადი რიტორიკის ოთხი კანონი.....25

§5.აუდიტორიის მართვისა და გაძღოლის

„ტექნოლოგიები“.....29

§6. ძირითადი რიტორიკული კანონი.....33

ნაწილი II

ზოგადი რიტორიკის ისტორიული

ტრანსფორმაცია (პერიოდიზაცია).....35

§1. ანტიკური ეპოქის რიტორიკული ტრადიცია.....35

§2. ძველბერძნული პერიოდი.....36

§3. რომაული პერიოდი.....46

§4. შუა საუკუნეების დროინდელი რიტორიკა.....55

§5. აღორძინებისა და ახალი ეპოქის რიტორიკა.....78

§6. მეოცე საუკუნისა და თანამედროვე რიტორიკა.....95

ნაწილი III
რიტორიკული დასაბუთების ლოგიკურ-გნოსეოლოგიური
და სოციალურ-ფსიქოლოგიური მეთოდები.....117
§1. ლოგიკური დასაბუთება და გაბათილება.....117
§2. ლოგიკურ დასაბუთებაში დაშვებული
ტრადიციული შეცდომები.....125
§3. კამათი, დისკუსია, პოლემიკა და მათი სახეები,
კამათის რაციონალური წესები და პრინციპები.....131
§4. კამათის წარმოების ლოგიკურად
აპრობირებული მანევრები 136
§5. კამათის სოფისტური ტრადიცია და მისი
გამოყენების შემთხვევები.....140
§6. თავდასხმისა და მოგერიების ლოგიკური წესები
საკამათო სიტუაციებში.....148

ეულად მოარულ ფიქრთა იდუმალმეტყველება 154

ისტორიის, წინაპრების, მშობლების, შვილებისა და
სწავლა-აღზრდის შესახებ.....164

საქართველოს, ქრთველი ერის, აგრეთვე, მასთან
შეხებაში მყოფი, სხვა ქვეყნებისა და ერების შესახებ.....170

ფილოსოფიის, ცოდნის, ფიქრის, აზროვნების,
გაგებისა და შემეცნების შესახებ.....177

სიყვარულისა და სიძულვილის, დახმარება-თანადგომის,
მეგობრობისა და მტრობის შესახებ.....186

ბედისწერის, იღბლიანობის, ამაოების,
საშინელებისა და მოულოდნელობის შესახებ 196

ღმერთის განგების, რწმენის, რელიგიის, ლოცვის,
ავ-კარგიანი ღვთისმსახურების, სასწაულისა და
ზებუნებრივი ძალების შესახებ.....199

სიკეთე- ბოროტების, ომის, ბედნიერება-უბედურებისა
და წინააღმდეგობათა ერთიანობის შესახებ.....205

შიშის, სიმამაცის, საყოველთაო საშინელებათა
საფრთხეებისა და საშველის შესახებ.....215

ადამიანის არსების, ძალისა და უძლურების, საერთო
უნარ-ჩვევებისა და იშვიათ თავისებურებათა შესახებ.....217

სივრცე-დროის, მოძრაობა-ცვალებადობის,
განვითარების, წარმავლობისა და მარადისობის შესახებ.....231

სიკვდილ-სიცოცხლის, ჭირის, ლხინის, ტანჯვისა
და სიამოვნების შესახებ.....236

სიცრუე-სიმართლის, სამართლიანობა-უსამართლობის,
კანონიერების, ბრალეულობა-დამნაშავეობის,
თავისუფლების, სასჯელისა და შეწყალების შესახებ.....242

ღვინის, ვენახის, ქეიფის, გართობის, დროსტარებისა
და თავდავიწყების შესახებ.....249

სხვადასხვა ზნეკეთილობათა და უმსგავსობათა შესახებ.....253

სიმდიდრის, სიღარიბის, ჯანმრთელობისა
და ავადმყოფობის შესახებ.....260

წიგნისა და მისი ავტორის, მკითხველისა და
სხვადასხვა შემოქმედებით ღირშესანიშნაობათა შესახებ.....262

ქალთა შესახებ.....265

SOCIAL-PHILOSOPHICAL AND LOGICAL-
GNOCHEMICAL BASICS OF ORATORY ART A
ND GENERAL RHETORIC.....268

ბიბლიოგრაფია.....271